



სიგელისძეობა

# სურსათის უვნებლობის დასაცემი

სურსათის უვნებლობის  
დასაცემი  
2019 წ.

რედაქტორი

თინათინ სიყმაშვილი

კორექტორი

შორენა მამალაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

მარი ცუცქერიძე

ტიქნიკური რედაქტორი

ირაკლი კორძახია

გარეკანზე

რუსთავის ისტორიული ციხე

ნაზი პაჭიკაშვილის ფოტო

მადლობა ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელობას წიგნის  
გამოცემაში დახმარებისათვის

ISBN 978-9941-8-1953-7

## წიხათქმა

მწერლობა, ისევე, როგორც მხატვრობა, მუსიკა ან ხელოვნების რომელიმე სხვა დარგი, თვითგამოხატვის საშუალებაა. პოეტი თუ პროზაიკოსი საკუთარი ნაკალმევით გამოხატავს თავის შინაგან, პიროვნულ მე-ს, დამოკიდებულებას სამყაროს, მოვლენების, ადამიანებისადმი... გვაცნობს თავის ხედვას, ნაგრძნობსა და ნააზრევს, იმას, რაც გულმა მისმა ვერ დაიტია და ქალღმერთად გადაიტანა. ეს, რა თქმა უნდა, უკეთეს შემთხვევაში, რამეთუ დღევანდელი მკითხველი, დიდად სამწუხაროდ, სხვაგვარი ლიტერატურული ნაცოდვილართაცაა უხვად მომარაგებული, მკითხველს არაფერს რომ არ ეუბნება, არც არაფერს სთავაზობს (და თუ მაინც რაღაცას ეუბნება და კიდევაც სთავაზობს, ვაი!) და ცხადია, არც გულს ესაღბუნება და არც სულს...

მწერლობას ხშირად სარკეს ადარებენ (მკითხველის ნებართვით საბას ვიმონებ: სარკეს ძველქართულად მიჭვრიტანა ერქვა!). მაგრამ სარკეცაა და სარკეც.

ზოგი სარკე ასახავს მხოლოდ იმას (და ესეც ასე თუ ისე!), რაც არის და როგორც არის. ასეთ სარკეს თავისი მჭვრეტელი ჰყავს.

ზოგ სარკეში, როგორც ზოგი რამ უკეთესი მოჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ასეთ სარკეს ბევრი ეტანება, ხელიდან არ უშვებს.

ზოგი სარკე ისე ამახინჯებს გამოსახულებას – ადიდებს, აპატარავებს, აგანიერებს, მისი გატეხვა თუ არა, მეორედ შიგ ჩახედვა მაინც აღარ უნდა გინდოდეს, მაგრამ მასში მაინც იჭვრიტებიან და მერე როგორ!

თვალს თუ არ დავიბრმავებთ, ან არ დავხუჭავთ, დასანახს დავინახავთ: ასეა მწერლობაშიც... სარკესავით...

ზოგი წიგნი ასახავს იმას, რაც არის და როგორც არის და როგორც ხდება ხოლმე, მას თავისი მკითხველი ჰყავს...

ზოგი წიგნი (და რამდენია ასეთი!) სინამდვილედან, ცხოვრებიდან ისეა მოწყვეტილი, ისე შორსაა, რამდენიც გინდა, იმდენი ფურცლე, იკითხე... ამოდ: დასანახს მაინც

ვერ დაინახავ... ვერც ვერაფერს შეიგრძნობ, ვერც ვერაფერს შეიცნობ და შეიმეცნებ... ვაი, რომ არც ასეთ წიგნს აკლია მკითხველი!..

ზოგი წიგნი ასახავს არასასახველს, არასაჩვენებელს – უზნეობას, სიბილწეს, შორს გამიზნულ ვერაგობას, მაგრამ დიდი ტირაჟით, უმაღლესი ხარისხის ქალაქზე დაბეჭდილი, ძვირი ღირს და ძვირადაც ფასობს... კიდევაც ვრცელდება... ვრცელდება რომელია, იტაცებენ, ხელიდან ხელში გადადის... ერთი სიტყვით, ბესტსელერია, რა! ავტორები? მათ შემფასებელიც ჰყავთ და დამფასებელიც. დიდი პატივით სარგებლობენ: მაღალი ლიტერატურული პრემიებით განებივრებულებსა და თავმოწონებულებს შეხვედრებს უწყობენ, უსმენენ... ზოგჯერ ჭკუასაც ეკითხებიან! ტელე და საბიბლიოთეკო სივრცეები ლამის დაპყრობილი აქვთ. იმათაც რა ენაღვლებათ... ენაღვლებათ კი არა, თავი მოაქვთ, ჩვენა ვართ, ვინცა ვართო. რატომაც არა, ისეთი ლიტერატურული პრემიები აქვთ მინიჭებული და შეფერებული, მათ შემხედვარეს ან უნდა გელიმებოდეს, ან გეტირებოდეს სირცხვილით (მათ გამო) და სიმწრით!

ასე რომ, წიგნი ანუ მწერლობა და სარკვე ზოგ რამეში მართლაც ჰგავს ერთმანეთს.

მაგრამ მათ შორის განსხვავებაც რომ არის?!

როგორი იყო ან როგორია, როგორი ჩანს ცხოვრება, ამის ცოდნა, დიახაც კარგია, საჭიროა, მაგრამ საკმარისი როდია... მთავარია: როგორი უნდა იყოს... ხოლო როგორი უნდა იყოს ცხოვრება, როგორები უნდა იყვნენ ადამიანები, ამას ვერცერთი სარკვე-მიჭვრიტინა ვერ გვიჩვენებს, აი, წიგნს, მწერლობას კი ეს შეუძლია... თუმცა!..

ეს სარკვე და მასთან შედარებული მწერლობა და, იმასაც ხომ გააჩნია, ვინ ჩაიხედავს ამ სარკვეში, ანუ წიგნში... როგორ ჩაიხედავს: უგულისყუროდ, უბრალო თვალით ჩაიხედავს, ჩაიჭვრეტს თუ გონების თვალსაც მოიშველიებს და ისიც: რის დანახვა სურს ან რის დანახვა ძალუძს. მერე კი, თუ ჩაფიქრდება დანახულზე, წაკითხულზე... ოდნავ მაინც უკეთესი თუ გახდება, ვიდრე მანამდე იყო...

წერას ვერავენ ვერავის დაუშლის, ვერც აუკრძალავს (დღეს მაინც!), ვერც დააძალებს. ადამიანს ეწერება და წერს,

წერს ლექსს, მოთხრობას... მაგრამ ყველა ლექსი ლექსი რო-  
დია, ყველა ლექსს პოეზიის სურნელი როდი ახლავს... არც  
არალექსის, თხრობითი ფორმის ნაწერია პროზის ნიმუში.  
ზღვა ნაკალმევიდან რომელია ლექსად ლექსი და რომელი –  
ნაღდი პროზაული ნაწარმოები, ეს მკითხველმა უნდა გააც-  
ნობიეროს!

კარგი ბრძანებაა, ომს მარტო გენერლები არ იგებენო...  
მე დავამატებ: არ და ვერ! ეს ომში და მწერლობაშიც, ვგონ-  
ებ, ასეა. აბა, თუნდ ერთი წამით წარმოვიდგინოთ: ოდენ  
რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი,  
ვაჟა, გალაკტიონი... და კიდევ: მიხეილ ჯავახიშვილი, კონ-  
სტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ოთარ ჭილაძე,  
გოდერძი ჩოხელი, რევაზ ინანიშვილი რომ გვყოლოდნენ,  
ასეთი მდიდარი ქართული ლიტერატურის საგანძურის  
მქონენი ვიქნებოდით? ისე, ვინაა მწერლობაში გენერალი  
და ვინ – ჯარისკაცი, ამის მსაჯული მხოლოდ დროა და ჭეშ-  
მარიტი მკითხველი!

როგორც წინმდებარე წიგნის რედაქტორი და ერთ-ერთი  
ავტორი კი, იმათ გასაგონად და შესაგონებლად, ვისთვისაც,  
ერთი ცნობილი ანდაზისა (პერიფრაზით) არ იყოს, შინა-  
ური მწერალი ელამია, საჯაროდ ვაცხადებ: შორს ცქერა,  
ჭვრეტა, ურიგო როდია, პირიქით, სასურველიცაა, მაგრამ  
როცა საკითხი მწერალსა და მწერლობას ეხება, კარგი ავ-  
ტორის – კარგი ლექსისა და მოთხრობის ძებნისას შორ-შორ  
ცქერით ძალიან ნუ გადავიღლებით, ირგვლივაც ყურადღე-  
ბით მიმოვიხედოთ, ჩვენს ქალაქში მცხოვრები მოღვაწე არ  
დაგვრჩეს შეუმჩნეველი და შეუფასებელი (არ ვამბობ: დაუ-  
ფასებელი! თუმცა, რატომაც არა?), მერე რა, რომ ის არც  
უცხოელია და არც დედაქალაქელი, ჩვენი თანამოქალაქეა,  
ჩვენთან ერთად მუშაობს, ან სწავლობს, ან ერთ ქუჩაზე, სუ-  
ლაც, მეზობლად ცხოვრობს... ყოველდღე გვხვდება... ჩვენი-  
ანია, რუსთაველია!

არ მიყვარს ანდაზების მოხმობა, მაგრამ მაინც უკვე მერ-  
ამდენედ მიხდება საკმაოდ ცნობილი გამონათქვამების მოშ-  
ველიება. ამჯერად ამის – გემოვნებაზე არ დაობენო... რასაც  
ვერ და არ ვეთანხმები: რატომ არა? წიგნი წავიკითხოთ,

დავხუროთ და გადავდოთ... ეგ არის სულ? იმას რა ვუყოთ, თუ წიგნი მოგვეწონა, ან არ მოგვეწონა? გულში ჩავიძარხოთ ჩვენი აზრი, არავის გავუზიაროთ? ჩვენ მოგვეწონა, ან არ მოგვეწონა... სხვას? ჰოდა, ჩვენც ნუ ვიქნებით სხვისი გამონათქვამის ტყვეობაში... სხვას რას ვუყურებთ, კიდევაც ვიკამათოთ, კიდევაც ვიდაოთ ნაკითხულზე, წიგნზე, მწერალზე... მსჯელობა, კამათი, დავა კი ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანს უთუოდ!

ამის გათვალისწინებით, ვიცი, დაინტერესებული მკითხველი ჩვენს წიგნშიც იპოვნის მისთვის მოსაწონს, ნაკლებად, ან სულაც არ მოსაწონს... ეს მკითხველის გემოვნების (და არა მარტო გემოვნების!) მაჩვენებელია... მე კი, ჩემდათავად, მინდა, მკითხველს მივებმარო: ამ წიგნის ერთ-ერთი(!) ღირსება ისიცაა, რომ ახალი ავტორები აღმოვაჩინეთ და გამოვაჩინეთ... გაიცანით!!!

თხოვნა მკითხველებს: ჩვენი წიგნი – „რუსთაველები“, რუსთაველში მცხოვრები და მოღვაწე მწერლების ნაკალმევს, ჩვენი თვალთ დასახულს, გულში გავლილსა და გონებით გააზრებულს (ესეც, უკეთეს შემთხვევაში, თქმა არ უნდა!) გთავაზობთ... ასეთები ვართ, ასეთები!.. არც მეტი, არც ნაკლები!.. თქვენ კი, გულგრილნი ნუ იქნებით, უყურადღებოდ ნუ დაგვტოვებთ... შემოგვეხმიანეთ... მოგწონთ ჩვენი წიგნი? გვითხარით... არ მოგწონთ? ისიც გვითხარით... ნუ მოგვერიდებით, ნურც დაგვინდობთ... კიდევაც ვიკამათოთ, ვიდავოთ...

ამაზე მეტი და საჭირო და, აუცილებელიც, აბა, რა უნდა გთხოვოთ?

### **თინათინ სიყმაშვილი**

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი  
საქართველოს ჟურნალისტიკის კავშირის წევრი  
ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი  
რუსთავის საპატრიო მოქალაქე

---

అవతారిక





პაჩინე  
ცხველიაშვილი

## თეთრი ლაქსი გავი ლაქები

მე მძულს ის მიწა, რომელზედაც შენ დააბიჯებ,  
ის ცა, რომელიც ზედ დაგყურებს,  
და მზე – გაყინულ ძვლებს რომ გითბობს განთიადისას.  
დასაჯეთ მთვარე, ჩვენი ტრფობის თანაზიარი,  
გაშოლტეთ მაგრად, რადგან არ მსურს, მთელ დუნიაზე  
უნყოდეს ვინმემ, როგორ ვევენე, როგორ დავეცი,  
როგორ არ დამრჩა მოტირალი კაცთა მოდგმიდან.  
ნურც შენ დაჯდები მაგ ცივ ლოდთან, ბებერო ქარო,  
თან მიმანყევლე, როგორც სხეები არ თაკილობენ  
და გაერიდე ჩემს სამყოფელს უჩუმრის პირით.  
ან კი რას მეტყვი იმაზე მეტს, რაც უკვე მოხდა.  
მე სიზმრებიც მძულს, სიმწრისაგან გაღეშილ ღამეს  
ჩემთან რომ მოაქვს ხნეშითა და ბანდალ-ბანდალით.  
იქნებ, დაქვრივდა სიზმრის დედა ერთ სისხამ დილას  
და სურს, რომ ელდის მოზიარედ მეც გამიხადოს.  
ნუთუ არ იცის, რომ ქალი ვარ, ბოლოს და ბოლოს  
და რომ ეს მხრები ვერ დაიტევეს ამდენ სატკივარს.  
აღბათ, ამიტომ თუ მასიზმრებს ავადმყოფ მამას,  
უიღბლოსა და მიუსაფარს, ათასგზის ვნებულს.  
ან რად მიჩვენებს სახლს, რომელიც აღარ მეკუთვნის,  
განა არ უწყის, რომ იქ ჩემი ქალობა დარჩა,  
და სადაც მუდამ, როგორც ქურდი, ისე შევდივარ.

და რომ იმ კედლებს, ძველ ნივთებით გავსებულ კედლებს  
 აღარასოდეს დაერქმევა კერა, ოჯახი.  
 აღარც მერცხლები ააგებენ ჟღერტულა ბუდეს  
 და არც გალობით შესხდებიან ბანზე ჩიტები.  
 უხსენებელიც თაკილობსო ცოდვიან ალაგს.  
 ვაი, ფუძევ და ანგელოზო, პატივაყრილებს,  
 შეკვეცილ ფრთებზე რა მალამო წაგცხოთ ნუგეშად,  
 რით გაგიქარვოთ უჩემობის დიდი ნალველი.  
 მე ახლა ჩემი ლაინერის ხიდურზე ვდგავარ,  
 და როგორც სიკვდილს, ისე ვნატრობ ამ გაშლილ ზღვაში  
 მას, ვინც აისბერგს გადაამსხვრევს ჩემს ცოდვილ სხეულს  
 და სულს კი, როგორც გაფრთხილებას, აუშვებს აფრად,  
 რომ მერე ყველა სანაპიროს ზარავდეს შიშით  
 ღალატისა და მარტოობის სასტიკი ხვედრი.  
 იქნებ, მოვბანოთ საუკუნო სირცხვილი მიწას,  
 იქნებ, მოვთოკოთ ავკაცობის ყინი ვერაგი.  
 იქნებ, ო, იქნებ, ეშაფოტებს მსხვერპლი ჩამოვხსნათ  
 და შევაგებოთ გაშიშვებულ მახვილს იები.  
 გემუდარებით, დაამსხვრიეთ ჩემი სხეული,  
 სული კი, როგორც გაფრთხილება, აუშვით აფრად!  
 და მე ვიქნები სიყვარულის თეთრი ხომალდი,  
 ყოველ ცისმარე რომ მოგივათ მაგ ცივ ნაპირთან  
 და მრისხანებით გაქვავებულ გულებს გაგიტობოთ.  
 გემუდარებით, დაამსხვრიეთ ჩემი სხეული,  
 სული კი, როგორც გაფრთხილება, აუშვით აფრად!

## ქიში

მათხოვრის ქოლგით მოჩრდილულ ქალაქს,  
უჭერო ქოხით, მერცხლებბუდიანს,  
ლაზიერივით ვწირავთ და ვამბობთ,  
იყვნენ, წავიდნენ, არ დაბრუნდიან.  
რამ დაგვამგვანა მითიურ როკავს,  
სად გაქრა მზერა ეგზომ მეფური,  
დღეს უცხოეთის მინაზე როკავს  
ჩემი თაობა თინას ლეკურით.  
თქვენ რომ გეგონათ, უცებ შებინდდა,  
უცხოტომელთა ქუხან ზარები,  
მზე ჩამოგვფერთხეს სუსტი მხრებიდან,  
მშობელ მინაში ნაბულრავები.  
თავზე გადგანან სიტყვის დენდები,  
ფუჭი ქადილით სურთ რომ გაგართონ,  
ემანდ, სხვის კარზე როგორ ბერდებით,  
ასე კენტად და უმისამართოდ.  
მაგრამ თქვენ ახლა გითრევთ კაბარე,  
ბრუკლინის ხიდი, გზები დამფრთხალი,  
ჩვენ სულ ვეძებდით ძვირფას სამარეს,  
სად „სატანძიე ძვლები“ დავფალით.  
მე სიყვარული თუ დამაჩოქებს,  
ამქვეყნიური სხვა არ მაქვს შიში,  
უკვე დავუშვი თეთრი ალამი,  
რალას უყურებ, მითხარი ქიში.  
ვიცი, შორია ახლა მცხეთამდე,  
როგორც ღმერთამდე თქვენი გულიდან,  
ისე ვიბრძოდით დამარცხებამდე,  
არც ამოგვანყვეს გრძნეულ ყუთიდან.  
რაის კასტელი და არქანჯელო,  
წლები შეშლილი ხმლით და ქაოსით,  
მე მენატრება ის საქართველო,  
ჭადრაკითა და „ვეფხისტყაოსნით“.  
ბილწი, მართალი, კარგი თუ მრუში,  
სადღაც იჩქარის დედაბუდიან,  
საყდრის ჩიტი კი ჩამტირის ყურში,  
იყვნენ, წავიდნენ, ვერ დაბრუნდიან.

## მომიჯანია გული ზვარაკად

კმარა, შემხსენი ცოდვის ქამარი,  
ბედო, როდემდე უნდა გელოდო,  
კაცის გული ხომ ნივთი არ არის,  
ძველი თოფივით სხვენზე შემოდო.

თუმცა უსაყდრო მრევლივით მომთქვამს  
უგულისნორო დღეთა ქორონი,  
თავდაღწეულმა ჯალათს და ხონთქარს,  
როგორ დავლენო ხსოვნის ბომონი.

ან ვით დავფარო წარსული ნისლით,  
რარიგ ვავედრო განგებას კრულმა,  
ბედი ბედია, ყივილი სისხლის  
პირველად უნდა გაიგოს გულმა.

და თუ ვერ ჰგუობს პატრონს უნიათს,  
როგორც ტაძარი შუშის ცათამბჯენს,  
გულსაც ხომ თავის წილი გული აქვს,  
ან უნდა მოკვდეს, ანდა აჯანყდეს.

კაცი, უგულო, მაგონებს ხანჯალს,  
უცეცხლოდ ნანრთობს, გესლით დაფერილს,  
თუმც გულიანი ღალატიც გვტანჯავს  
და ვერც ვენევით დღეებს გაფრენილს.

სული გაირყვნა ყალბი ტაშის კვრით,  
ეგება, ეშმამ ისევ დაგვძლიოს,  
მაშინ ეს გული – სოფლის აშიკი –  
ხარჭად დაუსვით შეშლილ ალიონს,

რომ მერე, ნიკას დამფრთხალი ფუნჯით,  
დაცლილ სურებად გვხატონ „წარაფზე“...  
თქვენ შეგეშალათ, ჯიშად ვარ გურჯი  
და სასთუმალი მიდევს არაგვზე.

ვერ გავერიე მე სხვა მარაქას,  
ვერ ვუღალატე არსთა გამრიგეს,  
მომიტანია გული ზვარაკად  
და ნანჩილ-ნანჩილ ჩამოარიგეთ.

## **მოგონებები მოგავალზე**

მზე ზვარაკივით ამოიჩარეს,  
თუმც ილღიაში ანცობს მნათობი,  
მე კი – ვითომდა საძმო მინაზე  
ვდგავარ ათასგზის ამონათოფი.

ეს ზედაშესთან ფეხებგაკრული  
ჩემი წარმართი სული ფართხალებს,  
მიმშობიარეს, ვით დღენაკლული,  
მერე ტკივილთან ერთად დამთვალეს.

მადლობა უფალს, ახლა ბევრი ვარ,  
გამიბლომავდა სული საჩინოდ,  
მაგრამ მასწავლეთ, ამ ღრმა ქვევრიდან  
სიკეთე როგორ ამოგანვდინოთ.

ჩამსაფრებია დროის მარხილი,  
ვიცი, ოდესღაც მაინც გამწირავს,  
ზეცა კი ჩემსკენ თვალებდახრილი,  
ჰგავს დედამიწის უხმო სამძიმარს.

როგორც ზღაპარში დევების სულებს,  
მეც მომძებნიან, ალბათ, წამიერ,  
იტყვიან, ლექსით მთვრალსა და სულელს,  
ოქრო სდებია გულის მაგიერ.

მაგრამ ვის უნდა გული დამზრალი,  
ვერშესადარი ბროლის მინანქარს,  
საყვედურივით უზარმაზარი –  
სიხარულივით – ორი გირვანქა.

და დღეს ტკივილთან თუ არ დავზავდი,  
ვით წილნაყარი ბებერ სანჩოსთან,  
ვერმორღვეული რჯულის ფასადით  
ამოვეხეტე სულის ჩარჩოდან.

ახლა, როდესაც ცრემლისტოლა ვარ,  
მარადისიდან წამით ნასესხი,  
ნუ მომიგონებთ, როგორც მომავალს,  
დამიმახსოვრეთ მხოლოდ ასეთი.


## საქართველოში

იქ, ძველ დუქანში ტირის დაირა,  
ტკბილი დუდუკიც თითქოს ფიცხობდეს,  
საქართველოში ლადოსნაირად  
არ ჰყვარებიათ მზე და სიცოცხლე.

დღეს ბარდნალაში ბოლთას სცემს ქარი  
და სახვამლეთიც წელში მოხრილა,  
გულზვიადი კი, პოეტის ქნარი,  
თითქოს ამირანს ადევს ბორკილად.

და ამ სასჯელის სიმსუბუქეთი  
ისევ ლეგენდებს მიგანდობ, ლომო,  
მაგრამ, გახსოვდეს, შენს სამშობლოში  
ლექსი იმარჯვებს და ლექსი ომობს.

სისრულის პირზე მინდა იცოდეთ,  
მთელი ცხოვრება ღირდეს აი, რად:  
რომ გყვარებოდეთ მზე და სიცოცხლე  
საქართველოში ლადოსნაირად.



ასლან  
კორქია

\* \* \*

შავმა აშკარად იძალა  
საჩემო ფერთა გამაში,  
მომბეზრდა წუთისოფელთან  
თვალსუჭობანას თამაში.

ფინიშის სწორთან მისული  
გზამ ილაჯისგან დამცალა,  
უხვად მაგემა დარდი და  
მარტოსულობის სამსალა.

ხიბლი დაკარგეს კერპებმა,  
ფეტიშიც აღარ ფეტიშობს,  
ახლა ის დროა, დავცხრე და  
მარათონს გამოვეთიშო.

ყოფნა – არყოფნის მიჯნასთან  
ვდგავარ, მორჩილი ღვთის ნების,  
ვგონებ, სულეთშიც წმყვება  
ჯვარი და კითხვის ნიშნები...

## უხველკა მთაუი

– საით, ლამაზო სტუმარო?  
– ცხუმარში, არღვლიანებთან.  
უცხო ასული შავ თვალებს  
მაკვერჩხლებრ აბრდღვიალებდა,  
მე გულის სახმილს ვმაღავდი,  
მზერა კი აღიარებდა...

\* \* \*

წლების ბორკილი ამყარეთ და  
მე უკან წავალ  
(ქრისტეს ასაკშიც  
არაფრისთვის ბრძოლას  
ვუნდები),  
ჰო, უკან წავალ –  
ოცდახუთი  
დალაშქრული  
მწვერვალის მიღმა,  
ლახტის წრეში  
დენტის სუნით გაბრუებულ,  
შიშველკანჭება  
ჩემს ბავშვობას  
დავუბრუნდები...



## თავსაქილაჲი

თუ ამა ქვეყნის ძლიერნი  
მამულს ბითუმად ყიდიან,  
შენც შეგეცვალა იერი,  
შეხედულება, იდეა.  
შიმშილით სული რომ გძვრება,  
მავანი ფულში იხრჩობა,  
პატიოსნების მოძღვრებას  
გიჯობდა ხელის ბიჭობა!  
გულში რა ღადარს ინახავ,  
ამაოდ რატომ დაშვერი,  
სად გაგონილა, ვინ ნახა  
უსაშველობის საშველი.

\* \* \*

დაემსგავსა შარა ნაგზობს,  
ხიდი გახდა ნახიდარი,  
შარბათის წილ შხამს გვთავაზობს  
ბედი – ფლიდი დახლიდარი.  
უსიერ ტყეს ველარ გასცდა,  
ჩაგვეჩიხა ქარავანი,  
რკინის ჯოხი უკვე გაცვდა,  
დაცვდა რკინის ქალამანი.  
კეთილ ნაყოფს ვით მოისხამს  
ეშმას რგული ხე, ტიალი,  
ვით არა ჰგავს უფლის რისხვას  
ასე უგზოდ ხეტიალი?  
სახლი გვექცა ნასახლარად,  
კაცს დაერქვა ნაკაცარი,  
მტრების გულის გასახარად  
დავიღვევით, სადაც არი.  
გავასხვისეთ, რაც გვებადა,  
კერა ვით არ გაცივდება,  
ქართველი რომ გაძლება და  
მამულს გაუმაცილდება!..



თაქარ  
ჯაჭვიაკე

## მოქენაზრეუი

მოქენატრები, როცა მიწა ყვავილს გაახელს,  
მზეს მოსწყურდება სიმწვანე და გაზაფხულება,  
როცა ტოროლა წაიტირებს ერთ ლამაზ სახელს,  
როცა ღრუბელი პეიზაჟებს დაემღურება.

მოქენატრები ფოთოლივით ფერგადასული,  
როცა ხეები მოიცვლიან ჭაღარა ფოთოლს,  
შენი ხასხასა სიჭაბუკე, მწვანე წარსული,  
მთების კალთებზე შემოდგომის ფერებად მოთოვს.

ჩამოსხდებიან ვარსკვლავები ხეზე ატმებად,  
აიშლებიან წითელ-ყვითელ ფერთა გამები...  
როცა ენძელას გაზაფხული მოქენატრება,  
აღექსდებიან ტკივილები დაუამები.

მონატრებაზე მოგიყვები, მომისმენ ვიდრე,  
წლებთან ბრძოლები გულს ხმალივით  
ცვეთდა და ლევდა...  
მე შემოდგომის სინაზეში უნდა მოვიდე  
და მოგიტანო ჟამგადასულ ფოთოლთა სევდა.

## ერთიანი საქართველო

როცა მტერზე ილესები, როცა ბრჭყალს უსინჯავ ბოკვერს,  
როცა უფალს მიაბარებ რუსთაველს თუ სარგის თმოგველს,  
როცა ბოლმა დამარცხების გადაგივლის გულის წვერზე,  
როცა ლექსი წამოგცდება ჭირში გაუტეხელ ერზე,

დაილღები როცა ძებნით წინაპართა ნატერფალის,  
სხვის მიწაში ატირდება პაპის ქვევრის ნატეხარი,  
შეეყრები საქართველოს როცა უცხო ქვეყნის გზაზე  
და თვალები გეფეთება ძველქართული ცრემლით სავსე,

როცა გინდა ვინმეს ეძმო, ამოყვრო და აქართველო,  
მტერმა არა, როცა შიშობ მოყვარემ არ გადათელოს,  
ილოცები: – ღმერთმა მოგცეს ერთიანი საქართველო!  
შენ თუ არა, მე თუ არა, ვინ გვინდა, რომ გაგვამრთელოს?!

სალამური გახარებს თუ ფანდური და გუდასტვირი,  
ვილაც დარდობს და სიყვარულს ბულბულივით ლექსად ტირის,  
თუ კითხულობ, მეგრელია, კახელია თუ რაჭველი,  
სწორედ შენ ხარ, შენი ხელით საქართველოს გულდამჭრელი.

ყველა ბრძენობს, ყველა ზეობს საკუთარ ძმის დამარცხებით,  
სიამაყევ, რად არ დუმხარ, ქედმაღლობავ, რად არ ცხრები?!  
სწორედ მაშინ მესვეიან ყვავ-ყორანნი ფრთაგაშლილნი,  
როცა მკითხავ, საიდან ხარ, ან რომელი კუთხის შვილი?!

დღესაც ისევ ქუცმაცდები ჯგუფებად და პარტიებად,  
სიყვარული კი არა და... ჭირს მოყვასის პატიება,  
სისხლში მიდულს საქართველოს ყველა კუთხის თითო წვეთი,  
მიხარია, საქართველო ჩემით როა ერთით მეტი!

## ღირსება

თაღები ემსხვრევა კვიპროსს და ქაიროს,  
სულო, უსასრულო ზღვარს გადადიოდი...  
დედა თუ ჰყოლიათ შექსპირს და ბაირონს,  
მე ჩემი ვაჟა მყავს და გალაკტიონი!

მთვარე უზომავდა სიცხეს ოაზისებს,  
გრგვინავდნენ სტამბული, რომი და ირანი...  
ძეგლავდნენ ძეებს და ასულებს ზევსისებს...  
მყავდეს მიჯაჭვული ჩემი ამირანი!

რამდენმა შეირგო სხვის ქალთა მშვენება,  
სხვის ოფლით რამდენი ხაზინა ივსება...  
ჩემი წინაპარი რწმენას აშენებდა,  
მას ჰქონდა ბორკილი და ჰქონდა ღირსება!

ძმის მარცხში ყოველთვის ძმის ხელი ერია  
და ღირსეული მტრის ღირსების ღირს ქება.  
დაეცეს დიდი და ყველა იმპერია,  
ღმერთო, შეინახე ქართული ღირსება!

## კახეთი

მოთმინებამ გზასთან დადო ზავი...  
დედა დამხვდა ეზოს ღია კართან...  
გამიშალა მოკანკალე მკლავი,  
ჩაიფერთხა კაკლიანი კალთა.

– მოდით, შვილო, გენაცვალოთ დედა!  
თავი როგორ მოგვანატრე, გოგო...  
– მოდიანო! რა იცოდა ნეტა?!  
მამა წნავდა სათონესთან გოდორს.

აივნის ქვეშ ხელგაშლილი სუფრა,  
სუფრის თავში ხელადები სველი...  
დაბრძანდითო, დინჯად ასაუბრდა  
პაპისტოლა ტახტი ძველისძველი.

მარნის კართან ჩამნკრივებულ ჯაგნებს  
მისდგომია ჩურჩხელების ჯარი...  
„მომხდურებმა“ იქვე ხაპს მიაგნეს,  
მკლავად ჰქონდა შვინდის ჯოხის ჯვარი.

ქვევრის თავზე კელაპტრები ენთო,  
ღვინომ ჯამში გაახილა თვალი...  
მეორე ხმას მოსძახოდა ერდო...  
ბანს მარანი – ბაყბაყდევი მთვრალი.

ბახუსს უცებ რომ შეეთბო ძვლები,  
სადღეგრძელო ყველამ შეამოკლა...  
ერთად ვსვამდით მე და ლექსის ძმები,  
გვერდით გვეჯდა გაბლენძილი გოგრა.

მკვახე ძუძუს გაშრობია რძე და  
გუდალეღვი იშმუშნება გარეთ...  
თონეს წითელ შოთს ასტაცებს დედა,  
გატეხეთო, შვილო, გაიხარეთ!

ვით სამწვადე ნაკვერჩხალი ცაზე,  
სათივეზე ვარსკვლავები ყრია.  
ინურება ლექსით სავსე ღამე  
და ამ ღამეს სიყვარული ჰქვია.



გოგივა  
ველიძე

## თავად უფალმა გაიღო სისხლი!

ბოროტებასთან პირდაპირ შებმულს  
დათმობა არ მსურს არცერთი მისხლის,  
რადგანაც ჩემი გადარჩენისთვის  
თავად უფალმა გაიღო სისხლი!

შიშით არავის გაუმარჯვნია,  
გამარჯვებული არვინ არს სიმხდლით,  
თავად უფალმა, თავად უფალმა,  
თავად უფალმა გაიღო სისხლი!

სისხლის გაღებას ვინც კი გაურბის  
და ვისაც სისხლი აკრთობს და შიშს ჰგვრის,  
უნდა ახსოვდეს, რომ თვით უფალმა,  
თვით უფალმაც კი გაიღო სისხლი!

## სიკვდილის უფლებს სათქაელი ლექსი

სამშობლოვ ჩემო,  
სამშობლოვ ჩემო,  
ვერ მოვკვდი შენთვის  
და მაპატიე!  
თუმც კი ანდერძი გორგასალისა  
მენერა გულზე  
და ვეძიებდი, ვეძიებდი  
საშენო სიკვდილს,  
მაგრამ ვერ ვპოვე,  
ვერ მოვკვდი შენთვის  
და მაპატიე!  
მიწით მქმნა ღმერთმა,  
არა სადღაც  
და არა როგორღაც,  
არამედ შენით,  
არამედ შენგან,  
არამედ შენთვის  
მიწით მქმნა ღმერთმა.  
და რაკი უნდა გარდავიცვალო  
და შევიცვალო,  
შევიცვალო  
კვლავ მიწად შენდა;  
ამიტომ ისევ,  
ამიტომ კვლავაც,  
ამიტომ მარად მიწა ვარ შენი,  
სამშობლოვ ჩემო!  
სამშობლოვ ჩემო!  
ვერ მოვკვდი შენთვის  
და მაპატიე!

## სულთქვა

შენ ახლა შორს ხარ, აფხაზეთო, ძალიან შორს ხარ...  
 შენმა სიშორემ დამილალა თვალსველი მზერა,  
 მე ვარ ის კაცი, დღენიადაგ შენზე რომ მოსთქვამს,  
 შენზე ლოცვით რომ ღამეებს ტეხს, ის კაცი მე ვარ!  
 მინდა, ხმა მაინც მოგანვდინო ამ ჩემი მოთქმის,  
 მინდა, როგორმე შეგაშველო გულწრფელი ლოცვა,  
 ეს მერამდენე წელიწადი უშენოდ მიდის,  
 ნუთუ ახალი საუკუნეც უშენოდ მოვა?!  
 რაკი ვლოცულობ და რაკილა სიტყვა დავძარი,  
 გამოგიტყდები, რომ მიყვარხარ თავზე ძალიან,  
 სამშობლო ჩემი – დანგრეული არის ტაძარი,  
 მაგრამ ტაძარი დანგრეულიც სალოცავია!





ჯეაკ  
ქუნალაშვილი

## ჩხუმი

დღეებს ავედევნე დარებიანს,  
ლამეც გაცისკარდა პირბნელეთი,  
თურმე თავზე მეტად მყვარებია  
ჩემი ლეჩხუმი და იმერეთი.  
ჩემთა სალოცავთა კარ-კედელი –  
სული ჩაკირვია ხვამლის მთაში,  
დიდი ტკივილების დამტეველი –  
ბერი ბარდნალა და ლაილაში.  
გული ისე გნატრობთ სანდომიანთ,  
როგორც ქრისტეს შეყრას ნაზარეთი,  
ისევ ავი ჟამი დაგვდგომია,  
ისევ ლალატი და თავზარეთი.  
ჩემგან უხატველო, შენისლული  
შენ ხომ ცის მოლბერტებს შეგანივთეს,  
იქნებ ეგ კვამლია ჩემი სული,  
ყოველ მიმწუხრზე რომ ლამეს გითევს.  
როგორ შემოგკადრო გულჯავრიანს,  
სელის ტილოზე რომ დაგიტანო,  
შენმა სილამაზემ გადამრია,  
ახლა გიჟიც უნდა ამიტანო.  
დღეებს ავედევნე დარებიანს,  
ლამეც გაცისკარდა პირბნელეთი,  
თურმე თავზე მეტად მყვარებია  
ჩემი ლეჩხუმი და იმერეთი.

## ქოჩბელა

ბრძენი კოპალა ხმალცვრიანი, სისხლნაბდიანი,  
 ბრინჯაოს ზარებს თეთრი ზაქის ზმუილს ამცნობდა,  
 შატილის გზაზე მიმავალი ვკბენდი ტკივილებს,  
 ჯერმოსახდენი განსაცდელის შიში კაცობდა.

ვარცლში ტალახი იცვლებოდა ყოველ ცისკარზე,  
 მომეცი, მზეო, წვიმა, ცეცხლი, ორი ხის ხმალი,  
 როკავს სიკვდილი ქორბელელას კუბოს ფიცარზე  
 და არსით მოჩანს სინანულის ერთი მისხალიც.

გუდაში სული სიმღერასთან ერთად ჩასახლდეს,  
 ოჩხარზე ძროხა მომიყვანეთ ვარსკვლავზე მეტი,  
 თორემ წალეკავს ამ ტანჯულ და ნაფერებ სტრიქონს  
 ხსოვნის თეატრში მოთამაშე წარმართის ბედი.

ღმერთო, ვთქვი, მომეც ტალახი და ნაძერწი თიხა,  
 მე ბეთქილივით ვერ შევიშვნი დალის წყალობა,  
 რად მურყვამობდა მოსავლისთვის სნეული მიწა,  
 ან ჩემი სული კლდეზე მიბმას რატომ ლამობდა.

ჭირში დამეხსენ, შავო დანავ, შავი კაცისა,  
 მთვარე დაბნელდა, კალმასობდა დღე არაბული,  
 ზაქი დავკარგე თეთრ ზაქებში გამორჩეული,  
 ოქრო დავკარგე და მეგონა ჩემი წარსული.

ტალახში ჯვარი ვარიჟრაჟე, როგორც ცისკარი,  
 კოხინჯრის ჯოხით დავედევნი გაქცეულ იღბალს,  
 რა მოხდა, თუკი მტრადმოსული მოყვრად ვიცანი  
 და ვერ ავხადე ფარდა შურით დაკემსილ ნიღაბს.

## **ქოქალები**

ჩემს ჯიშს ფარმანი აჩეჩებს ძონძებს,  
ნიჭნაწამები დავდივარ ფიქრით,  
ფეხი წამოვკარ ტკივილის კორძებს  
ქვაზე დამცდარი გუმანის ნიხრით.

რად ვეძებ ღმერთებს ნაცემი ზურგით,  
განცდებგამოვლილ ძველამანის ჯადოს,  
ვერ ამიხსნია სიცოცხლე თუკი,  
მაცვია სხვისი ნამკვდრევი პალტო.

ვილაცის სითბო ტანსაცმლად ვიგრძენ,  
ბრმანიც ხვდებიან, ირაოდ რაც მჭირს,  
დამცინის ჩემი სისუსტის სიბრძნე –  
თეჯირზე მჯდომი თოჯინა ნაჭრის.

ჩვენ ყველას ერთი პალტო გვაცვია,  
თუმც ველარ იტევს ქურქებს დარბაზი,  
თვით სიღარიბეც ერთი კაცია  
და დანარჩენი – ყველა ჯამბაზი.

## ონოგო

გულის ხედვიდან ლანდად გასული,  
ვენევი ველად გაჭრილ ონოტოს,  
კართან ქვითინებს ჩვენი წარსული –  
ასე ურჩი და საჭირობოროტო.

გადაჩვეული ასეთ ამინდებს,  
აღარ დამინდეს ძვლით და ლავინით,  
ცეცხლი ედებათ წითელ კრამიტებს,  
ოცნების ქოხის ალში დავინვი.

ქუდად მახურავს მოკვდავთა ნისლი  
და თითქოს გრძნობებს ზურგი ვაჩვენე;  
სინამდვილეში, გოლგოთის სისხლი  
ცასშეუხებ ფრთებს ცელზე აჩერებს.

## პე ლა შენ

არ დამეხსნება, ვიცი, ქალბანა,  
ნელი მუხლის სვლით ავყვები კიბეს,  
შენ გინევს რთული კაცის ატანა,  
ზამთარი ყინვით გულისპირს გიბნევს.

იმ დროს მოვადექე შენს ეულ კარავს,  
როცა სიხარულს ბავშვი ჰქვიაოდა,  
მას შემდეგ ღმერთი ოთხ კუთხივ მფარავს,  
დღეებს მიხელებს პანდაქიონთა.

სინგურის წითლით უნდა გამოვხსნა  
ტილოზე შენი სულის სარკმელი,  
ყველა კედლიდან თუნდაც ჩამომხსნან,  
ჯერ შენ ხარ, მერე ჩემი სათქმელი.

## ნოსტალგია

არ ამხდენია ნატვრა,  
ნათელს თან ახლავს ბნელი,  
ვერ შევისწავლე ხატვა  
ორმოცდაათი წელი.

ნაშლა, ტკივილი, ბნედა  
ცრუ, გულგატეხილ ხალხით,  
ფანქარი – დიდი სევდა,  
ფანქარი – თბილი სახლი.

ჩემს წვერმოტეხილ კალამს  
კგავარ მომტვრეულ ბეჭით,  
თვით ბედისწერა მქარგავს –  
წელში მოხრილი ეჭვი.

ფერთა უზადო ნოხით  
სულში ჩავუშვებ ღუზას,  
დავალ მუხლებზე ხოხვით  
და ვმონობ მხოლოდ მუზას.

ჩემს აუხდენელ ნატვრას  
რას დააკლებდა ბნელი,  
მიოქროვებდა მაჯას  
როცა თვით უფლის ხელი.



ბესიკ  
ჯაალიუვილი

\* \* \*

არ დამიჯერებთ, გზას მინათებთ იერის ცისკრით,  
 ნეტავი, ღირს კი – სულ ტყუილად ხომ არ ვირჯები?  
 როგორ აგისხნათ... გავიქარვე ტკივილი ვისკით,  
 გულთან მან უხებთ და ლექსივით აღარ მირჩებით.  
 ქალურ რითმათა ტკივილები რაღას მერჩიან?  
 ამ სიბნელეში სივრცეს ხლეჩავს მუნჯის კივილი.  
 იმედისმომცემ თანხმობაში ხომ არ შემშლია  
 მაგ თქვენს სახეზე გაელვება წამით ღიმილის?  
 ხან ზენა ქარზე ამაყი ვარ მედროშესავით,  
 ჭორების ურდოს ვუმკლავდები, როგორც მომხდურებს,  
 ეგ თქვენი კაბა, მხატვრის ტილო, ფერთა შრესავით  
 შუალამითაც იმეორებს ნატიფ კონტურებს.  
 ლოდვიით მადევს ამ ცხელ გულზე ცივი უარი  
 თქვენივე მკაცრი და სასტიკი განაჩენიდან.  
 თუმცა კი მიკვირს, ჩემი მზერა, სახის ოვალი,  
 თქვენი თვალების სიღმეებში რად ჩარჩენილა?

\* \* \*

სიტყვების ზღვაში შევცურე თითქოს,  
დროა, შეგირდი იქცეს ოსტატად.  
ჩემგან ცხოვრება რექვიემს ითხოვს,  
მე კი ვაჟღერებ მხოლოდ კანტატას.  
მზე პოეტების გულივით იწვის  
და აშლილია ნერვიც, ვნებებიც,  
მეც მესამასე მებრძოლად ვიბრძვი  
და მხოლოდ მაგ შენ ალერსს ვნებდები.  
ამ გულს ეჭვები ეხება წინვის,  
თვალეები მზერის სითბოს იჭერენ,  
დრო მიაქვს ძველი საათის ნიკ-ნიკს,  
ლექსების მართალ ტყუილს ვიჯერებ.  
ისევ შეურევს დროება სისხლს თოვლს,  
დამარბევს ქარი უხილავ ხელით.  
ჩემგან ცხოვრება რექვიემს ითხოვს,  
„მრავალჟამიერს“ ჯიუტად ვმღერი.  
ეგება, ლოცვაც არ ვიცი კარგად?..  
არ მიყვარს მძიმე ბედზე წუნწუნი  
და რწმენასავით სამშობლოს ვკარგავ,  
ოფლიც სისხლივით დამდის წურწურით.  
გოროზ გონორში ვერ ვიტან ლითონს,  
ნამეხარ ბალში ვაშენებ ხე-ხილს.  
ცხოვრება ჩემგან რექვიემს ითხოვს,  
თუმცა, ჯიუტად „ჩაკრულოს“ ვმღერი.  
წვიმაა, ხეა კართან მოხრილი,  
თითქოს წალეკვას გვიქადდეს თქეში.  
ვითა ძე, ჯვრიდან გარდამოხსნილი,  
ახალი ლექსი მიჭირავს ხელში.  
სიტყვების ზღვაში შევცურე თითქოს  
და ვშლი სულივით დაჭრილ იალქნებს.  
მე ვეხიდები უფსკრულზე თვისტომს,  
ლექსი კი გულებს თავად მიაგნებს.

## გაგონ ასლან კოჩიაიას

კოლხურ კოშკის სიმაღლიდან  
შენც ხომ გითქვამს ტირადები,  
წითელ ეშმას დაექადნე  
წყობის გადატრიალებით.  
ვაკეც გვერდით გედგა მუდამ  
და ხედები მთიანები.  
მართალ სიტყვით გამოკაფე  
მტრები, მტრები ტიალები!..  
მოხუცდი და ვით ბილინგვა,  
მამულს ემატიანები.



\* \* \*

მე თავად, გზა-კვალს რატომ ავირევდი?..  
ვტკეპნე მიღები და განედები,  
ღმერთო! მაშორე ავი ბედი,  
ხატს არა, პოეტებს დავედრები.  
ეს გზებიც ცრემლებით მორწყულია,  
სულს ვუვლი წყლულიანს და ნალექიანს.  
მკვლელი და ბოზანდარაც მორწმუნეა,  
ასეთებზე მიჩნდება ალერგია.  
განა რა მერგება დივიდენდი  
რიტმების უფრო მეტად დამძიმებით?  
მეც გულთან იარაღს მივიდებდი  
და სისხლს გაგატანდით ბარძიმებით.  
ნაღები მოვხვრიპეთ და მოხდილია...  
ძალღვივით დაგვდევს სულ თან შიში.  
ამაყი ქედი უკვე მოხრილია,  
ცხოველებს ვამრავლებთ სუფთა ჯიშის.  
დავალთ უდაბნოში ცაღ წავალნი...  
კარგ მიწას ჯანმრთელი თესლი უნდა.  
აბა, რომელ ბარძიმშია სანამლავი?  
ანდა, ვის გულში იბუდებს დღეს იუდა?  
მამულო! შენთვის ლუკმას ვინ იმეტებს?..  
ედემი ხარ მთებით, ტყეებით, სინოტივით.  
თავი ანებე ცრუ იმედებს...  
უნდა აშენდე სინოდივით.  
სადაც სამართალი არ ბოგინობს  
(ზიარების მადლიც არ აქვთ ამ ფიალებს),  
ბავრაცებს ომი იცნობს,  
მშვიდობის დროშას ლექსი აფრიალებს.  
არ მოგცემთ უფლებას მიძინების  
ისევ ჩემეული განგაშებით...  
(მუდამ რომ ერთურთი აჩანაგოთ),  
ხმლებმა მოძებნეს ქარქაშები,  
მხოლოდ პოეტმა არ ჩააგო.  
წინაპართა ვარ ანასხლეტი, რასაც ვიტევ...  
(ხან ლოთი, მოძველებიჯო)...  
მშობლიურ მიწაზე განთესილი.  
მიფრთხილდით! ჯიბეში ლექსი მიდევს,  
რწმენით და სიმათლით ალესილი.

## ჰიკას

იიფ... რა ქალია... ჟრუანტელი,  
 რომ იტყვიან ქალი, ძალიან...  
 ვუყურებ, ახლა,  
 ჩემთვის იმას არა სცალია,  
 არც ვენერაა და არც კოლხი ამორძალია,  
 დადის ბარში და  
 ლუდით სავსე კათხებს არიგებს.  
 ხან მზრას გულში გამიტარებს,  
 ხანაც მარიდებს.  
 დახლს ზემოთ ცასთან, სურათია:  
 წყალთან ღრუბელივით თეთრი ნიმფა წევს,  
 ითვლის ეს ქალი ხურდებს, როგორც  
 მოთვალთვალე კაცთა სიფათებს.  
 სავსეა ბარი ღრიანცელით  
 და ქაფქაფა შუშის კათხებით.  
 აქ ცივი ლუდით გაგრილდები,  
 დახლიდარის მზერით გათბები.  
 ვის არ შეხვდები...  
 დავინყებულ თუნდაც მევალეს,  
 ხელმოცარული რომ შეჰყურებს  
 მკერდის მწვერვალებს,  
 რომ ვერ დაიპყრო...  
 ვისთვის მუზაა იგი ქალი,  
 ბოჰემია...  
 ვისთვის დაიკო.  
 რა მეშველება  
 ჯიბეფშუტეს, მხოლოდ გალექსილს?  
 ვერ შეედრება ამ ქალს შარმი მრავალ გოგოთა...  
 ტუჩიდან ვიხსნი, მაგიდაზე ისევ ჭიქას ვდებ,  
 ვიკაც ხომ ალბათ, სიყვარულის მისხამს ელექსირს,  
 ამ ლექსსაც ვიცი, ზედ კედელზე მიაჭიკარტებს  
 და ეს იქნება ჩემი ჯვარცმა, ანდა გოლგოთა.  
 ვდგავარ მე ისევ ლუდის ბართან ერთი ამბალი,  
 ორი მჯღაბნელი დავეკვებეთ ამ ბარს ტანდემად.  
 ვერ გადმოვეცი ალბათ, კარგად ჩემი ამბავი,  
 ეს ლუდიც ერთი ყლუპია და უცებ თავდება.

\* \* \*

გასული წლის ღვინობისთვის  
მივაშურე მეჯვრისხევს,  
ვისვენებდი, ვესწრებოდი  
შემოდგომის მეჯლისებს,  
ქარი როგორ ხრიდა თუთებს  
და მავთულებს დაეჭიმათ სიმები,  
ვენახს, ასე ნასათუთევს,  
ასველებდა წვიმები.  
იყო თვალთამზერა თბილი,  
ფერს იცვლიდნენ ხეები.  
გამყვა მოგონება ტკბილი  
ჩამაჭრებულ დღეების.  
შეუმჩნევლად გავლენ წლები,  
ჟამთა ბრუნვა მეც მსჯის დღეს.  
ნეტავ კიდევ მოვესწრები  
მეჯვრისხევში მეჯლისებს?..



აიკან  
ჯანჯღავა

**გიჟელ...**

ნინი ზირაქაშვილს

იქნებ, არცაა დამთხვევა, რომ  
ქალაქი ვენა და ჩემი ვენა  
უფრო უგებენ ერთმანეთს,  
ვიდრე  
ენა ფაუსტის,  
ენა ბიოლის,  
კაცს შეიძლება გულ გაუსკდეს,  
მაგრამ არ კვდება ასე იოლად!  
ვიოლა,  
ჩემს სულში ამოზრდილი შენ ხარ, ვიოლა...

ქარი დილიდან ცის თეთრ დღიურებს  
მიკითხავს...  
მაცნობს თვალებში  
ჩარჩენილ სულებს...  
იმ დღეს კედელზე ამოსულ დიურერს  
კი არ ვუმზერდი,  
ვიმასხოვრებდი შენს ღვთიურ სურნელს...

და არც ის არის დღეს გასაკვირი,  
რომ ჩვენი სული,

ამოშენებული თიხით და კირით,  
დაშორებული მილიონ მეტრით,  
ჰგავს უფრო მეტროს  
სადგურს, სადაც ჩვენი ფიქრები  
გროვდებიან და უცემთ საფეთქელი  
გამალებით...  
ბეტონის შენობები, გზები, მთები და ვერც ტრამალები  
ვერ იარსებებენ ჩვენს შორის...

იმ დღეს მართლა კი არ ვუმზერდი შილეს...  
შენი თვალებით ვუამებდი ჩემს სულს,  
ატკიებულ შიმშილებს...

დანამდვილებით შემიძლია  
ახლა იმის თქმა,  
რომ ქალაქი ვენა და ჩვენი ვენა,  
შენი თმა,  
ენა ღმერთის  
და ენა ბიოლის,  
ისე შეუხორცდა ჩვენს სულებს,  
რომ სიკვდილიც მოსჩანს უფრო იოლი...  
ვიოლა,  
შენ ხარ ჩემს სულში ამოზრდილი თეთრი ვიოლა...

## უშენოვლობა

იმდენად ბევრი სიყვარული დაგროვდა ჩემში,  
 სასიძულველო ყველა სივრცე მოისახადე.  
 უშენოვლობა მეფიფქ(რ)ება ფიქრებზე, შემშლის...  
 უშენთვალეზო, უშენზეცას ერთხელ ახედე,  
 ამოგილაგოს თვალებიდან ის დარჩენილი  
 ჩემი სხეული, ჩემი სუნთქვა, გემო ჩემივე,  
 შენს თხელ მხრებზე რომ არასოდეს გამოჩენილა  
 ჰაერივით და მაინც იყო გამოფენილი...  
 ვშიშობ, მომირჩა დანაზოგი უშენო ხველა  
 და ეს ხმაური – რე, ფა, ლე, სი... ხდება რეფლექსი,  
 ანუ დატოვა უშენობამ ეს სულის ხვრელი,  
 ვინრო ხორხიდან ისევ მოჩანს შიში – ყეფს ლექსი...  
 იწყება დილა, ემსგავსება ცივსა და უშნოს  
 ჩემი სხეული, დეფორმული ეს სულის ტარი...  
 უშენოვლობა ჩემს სულს, ფიქრებს ისე დაუშენს,  
 ალესილ ჰაერს ტყვიებივით გადაატარებს...

## პე შეიქლება

უშენო დღეთა იკვრება წრედი  
და ეს დღეც ისევ უშენოდ მოდის.  
მე შეიქლება ჩიტებზე ვწერდე,  
მაგრამ შენ მაინც მიმიხვდე მოტივს.  
წვიმებით მკლავებს ცა უსვამს წერტილს,  
მთავრდება ფრთები, შორია ცამდე  
და თუმცა ღმერთზე რა ცხადად ვწერდი,  
მე მხოლოდ შენი თვალების მწამდა.  
ხდებოდა ისეც, კარებთან წერტის  
გვექონია კაცებს კამათი ვრცელი  
და როცა უცნობ ქალებზე ვწერდი,  
ფიქრები შენზე – ეს ბასრი ცელი,  
კისერზე მედო. ჰაერი ხმელი  
ფოთლების მსგავსად იწვედა ქვევით,  
იჭერდა სული საკუთარ ხელით  
უშენო სხეულს და ცეცხლის ქვეები –  
ფიქრები ჩემი, აჩენდნენ ხანძარს,  
სდიოდათ კვამლი ხან ქვეების, ხან ხის  
და შენით, როგორც თბილისის ანძით,  
კვლავ მოხიბლული რჩებოდა ხალხი.  
ასეა ახლაც, გრძელდება წრედი,  
მიათრევს სხეულს ფიქრები ცამდე.  
მე შეიქლება ჩიტებზე ვწერდე  
და მხოლოდ შენი თვალების მწამდეს.

\* \* \*

ჩემი თვალების ფირიდან  
 ხმა მოსჩანს იმ ენის,  
 სურნელს რომ უფრქვევდა სულიდან ხიმენესს...  
 ჩემი ფიქრების მხრებიდან –  
 ცა უფრო იოლი.  
 მე ხშირად კამიუ, ჰესე და ბიოლიც...  
 უცხო, მარტოსულ კლოუნებს,  
 სულს ვუყოფ შეზელილს  
 ჰაერთან. გავერთე სიკვდილთან, შევძელი...  
 ჩემი სიცოცხლის მანძილი –  
 ეგ თმები ხვეული...  
 როგორ ვცდებოდი, შენს სულს  
 რომ ვეტოლებოდი სხეულით...  
 გამაქვს ქალიდან ქარებში,  
 სულს ვბერტყავ, ვინელებ  
 ფიქრებს...  
 ჭილაძეს, ტერენტის, ჩემს ბინელებს  
 ფანჯრის დაორთქლილ მინიდან,  
 ხელს ვუქნევ, ვათენებ...  
 და შენზე უფრო ახლოა ახლა რომი და ათენი...  
 მაინც უშენო ქუჩებში  
 ქალს ვხედავ ვუაღლით,  
 პარიზზე დიდი ყოფილა შენი პატარა უარი...  
 ჩემი უძილო თითებით  
 წერს წერილს ნიზამი,  
 ჩემს სიტყვებს თურმე ჩემსავით  
 ვერ უვარგოდათ მიზანი...  
 თითქოს ვიყავი მაჯნუნი  
 და შენ კი ლეილი,  
 მთელი ცხოვრება მოგწერე ელექტრონული მეილით,  
 თუმცა ვერ გაცდა ცის ქარებს...  
 სად ქარი?! სად ენა?!  
 თურმე მაჭრიდნენ ყოველდღე  
 სულზე გამობმულ სადენებს...  
 ამიტომ ჩემი თვალების  
 ფირს მაჩვენებ თუ არი...  
 შოთაზე დიდი ყოფილა შენი პატარა უარი...



## რა უნაშინა, მაგრამ მაინც...

ციკლიდან: წერა რომ არ დამავიწყდეს

ჩვენ ვემსგავსებით შენობებს,  
გვემსგავსებიან ისინიც,  
კედელს აშორებ შენ ობებს,  
მერე კი ერთად იცინით  
შენ და კედლები და ობებს  
ენწყებათ ელეთმელეთი,  
ვფიქრობ, რომ ყველგან დაობენ  
ცაა, ზღვაა თუ ხმელეთი:  
– დრო ქმნის ობებს, თუ ობები  
კედლებზე დროებს ლამბავენ?!  
დრო პირმშო, კაცთა ომების,  
შვილი ამ ავი ამბავის.  
შენ კი აშორებ ამ ობებს  
კედლებს და უცვლი თარიღებს.  
დროზე იმასაც ამბობენ,  
საკუთარ თავზე არ იღებს  
ბრალდებებს, რომ ვერ შევძელით  
ფიქრებზე ფრთების გამობმა,  
დაგვაქვს სხეულით ჩვენ ძველი  
კადრები, გაღმა – გამოღმა  
ქალაქის, სადაც შენობებს  
ვგავართ წვიმისგან დაუცველს,  
დგახარ და კედლებს, შენ ობებს  
აშორებ, აშრობ და უცვლი  
თარიღებს, დღეებს, ალიბებს,  
რომ აქ დრო თითებს იზრდიდა,  
ჩვენთვის შეექმნა ყალიბი,  
რომელშიც სითბო, ის რიდი  
სულიდან უნდა ჩაგვესხა,  
ამოგვეზარდა სახლები.  
შენ იქნებოდი, ის თუ სხვა,  
გამოგვეზარდა ახლებად,  
რომ დრო კი არ ქმნის ამ ობებს,  
ობები დროებს ლამბავენ  
კედლებზე, სადაც თაობებს  
ჩვენ წაგვაკითხეს ამბავი,

რომელიც უკვე ნაშალებს  
და კედლებიდან აიღეს...  
დგას დედა ისევ თავშალით,  
თვალებში მალავს თარიღებს...

## ღეჟაჟე

უყურებ მთვარეს, ღრუბლების ჩადრით  
როგორ იფარავს გადაღლილ სახეს,  
როცა მზე მშვიდად ეზოში ჩადის,  
ქუჩებში ტოვებს ბეტონის სახლებს.  
რუტინას ისევ ანაცვლებს სარკე,  
კისერზე გიჭერს ფიქრების ხლართი,  
დგები ყოველდღე, შენ ასე ცალკე  
ატარებ სხეულს სულ სხვების ხათრით,  
უცხადებ პროტესტს განგებას აშარს,  
სუნთქვა კი ხდება დღითიდღე მძიმე.  
ამინდი ფიქრებს ქარებით აშრობს,  
მაგრამ ვერ შველის ჩვეულ სამძიმარს,  
რომ ეს სხეული – განგების ქარგა,  
არის ალიბი სულ უფრო მკვეთრი,  
რომ შენზე კონტროლს სამყარო კარგავს  
და მის გარეშეც სივრცეებს კვეთავ.  
ბრუნდები ზოგჯერ...

მგზავრობამ ხშირმა

დაგლალა უკვე, გტკივდება გვერდი,  
ნაწილი შენი სხეულის – შირმა  
ვერ ეგუება სამყაროს ვერდიქტს.  
უყურებ ისევ, ღრუბლების დაფას  
გამარჯვებულის აწერენ სახელს  
და სიმბოლურად ფიფქები დაფნის  
გვირგვინის მსგავსად ახურავთ სახლებს.  
სარკის წინ მშრალი ფიქრები გელის,  
ფიქრები, შენი სხეულის ყურე  
და მაინც სადღაც, სიღრმეში გულის,  
ფიქრობ, რომ ნანახ კადრებს უყურებ.

\* \* \*

ჩემს ფინჯანში ბევრი შაქარია, ჩაი – არა.  
ჰგავს ეს რალაცით ჩემს ცხოვრებას, თანაც უშენოს.  
შენ შეგიძლია უბრალოდ გვერდზე ჩამიარო  
და ჩემს არსებას იმედები გადაუშენო,

რადგან უშენოდ ყველაფერი რჩება უცვლელი.  
მატარებლებიც ვერ უცვლიან მგზავრებს ადგილებს  
და ეს სამყაროც, დარჩენილი ასე უცოლოდ,  
ცდილობს წვიმებით უშენობა გამიადვილოს,

მაგრამ დღეები ნისლებივით არის უმწეო,  
მოჰგავს ღრუბლების ამჩატებულ ცაზე ფორიაქს,  
შენი ფილტვები მთელ სამყაროს სუნთქვას ურწევენ  
და ამინდებსაც შენი თხელი კანის ფერი აქვთ.

თოვლის თითებით დაკემსილი თეთრი შინელი  
აცვიათ ხეებს და ტოტებით დააქვთ კვირტები,  
შენც დაიჯერებ, რომ სამყაროს ვილაც შინ ელის,  
ჩემს თვალებიდან ამინდებს თუ დააკვირდები.

ახლა ლამეა, ფინჯანი კი ჩაის გარეშე  
ჰგავს ჩემს ცხოვრებას, ფერმიხდილს და თანაც უშენოს,  
ჩემზე ფიქრები შენ მარტივად ფენით გაიშრე  
და ჩემს არსებას იმედები გადაუშენე.



გაჩო  
ზაქაიძე

## სველი თითები

მოსვალ სალამოს დაღლილ თვალებით,  
მიჩვენებ წვიმით გათოშილ თითებს,  
თითქოს გინდა, რომ გადავითვალო,  
თითო სიცივეს თუ როგორ ითმენ.

იტყვი, რომ წვიმდა, ოღონდ ცოტა ხნით,  
წვიმის წვეთებში ცურავდა ქუჩა,  
ჩემი თვალები – მყუდრო ოთახი,  
უშენოდ ყოფნას ძლივს გადაურჩა.

მოსვალ, უბრალოდ მომაპყრობ მზერას,  
ყველაფერს მეტყვის ნრფელი მიმიკა,  
თებერვლის ფონზე გაგათბობს მზე რას?!  
და ვფიქრობ, დროა, მკერდთან მიგიკრა...

თითო სიცივეს როგორც ითმენდი,  
დაკარგა აზრი თითებზე ათვლამ,  
მეჭირა მშვიდად შენი თითები  
და ჩემს ხელებში ნელ-ნელა გათბა.

## **შენ ზამთარი ხარ...**

შენ ზამთარი ხარ, უცდი ფანტელებს,  
სხვა სეზონები დაჯერდნენ წვიმებს,  
და ამ სეზონსაც თეთრად ათენებ,  
რადგან გინდა, რომ არ ჰგავდეს წინებს.

შენ ზამთარი ხარ, ფანტელებს უცდი,  
უცდი წვიმების გაფერადებას,  
ფანტელებს თითქოს ატარებ მუცლით,  
გჯერა – ერთ დღესაც დაიბადება...

შენ ზამთარი ხარ, ასეც იქნები,  
რადგან გწყურია თოვლით ავსება,  
რადგან ამ თოვლის ცივი ფიფქები  
პირველ სიყვარულს დაემსგავსება.

შენ ზამთარი ხარ, ცივი საოცრად,  
ბევრად ცივიც და ძლიერიც ამ წელს,  
პირველ სიყვარულს უწყობ გამოცდას,  
ნანვიმარ გზებზე ფანტელებს აწვენ.

შენ ზამთარი ხარ, უნდა ყინავდე,  
ფიფქებს გაადნობ ამ ნანვიმარზე,  
უნდა ყინავდე, თოვდე დილამდე  
და სხვა ფიფქებიც თავს გასწირავენ...

წვიმებს ყინვით და თოვლით ამთავრებ,  
წვიმებთან ბევრი ჭიდილი გახსოვს,  
შენ ზამთარი ხარ, ცივი ზამთარი,  
ზამთარი მხოლოდ ფიფქებით ფასობს.

\* \* \*

რამდენ უხილავს აიტაცებენ,  
რამდენ სასწაულს ცხადად იხილავ,  
ქალის სხეულზე მამაკაცები  
ძერწავენ ვნებას, როგორც თიხიდან  
ძერწავდა ღმერთი ევასთვის ადამს...  
იქნებ პირიქით, ანდა რამ გაჰყო?!  
უმძაფრდებოდათ სიცოცხლის მადა,  
აგემოვნებდნენ აკრძალულ ნაყოფს...

\* \* \*

თოვდა თუ წვიმდა, არ ჰქონდა აზრი,  
კაცი ფიქრებში რას არ გაივლებს?!  
მეყვავილე ქალს, კუთხეში ბაზრის,  
ჩუქნიდა კაცი მინდვრის ყვავილებს.

## სიყვარულს ვერ ვთმობ

აზრი არა აქვს წარსულის ხედებს,  
ხიდებს, რომლებიც დავტოვეთ ერთად,  
უბრალოდ ვხვდები, უბრალოდ ვხედავ,  
ყველა მცდელობის მიუხედავად,  
სიყვარულს ვერ ვთმობ, ვერ დავმარცხდები,  
ახლა დავნებდე უფრო ძნელია...  
მაგიჟებს ფიქრი, ფიქრთა ცხედრები,  
სხეულიდან რომ ამოძვრებიან.

შემდეგი ღამეც ღამეს მიება,  
თითქოს ერთმანეთს მხარი აუბეს,  
არ ღირს ახალი გზების ძიება,  
მოსმენა სხვა და სხვათა საუბრის.

ვგრძნობ სისასტიკეს, ბედის კაფიებს,  
ვანწყდები ბარებს, ნაცნობ კაფიებს,  
ასე, უბრალოდ ამაზრზენია,  
ყველას თვალებში მოჩანს მკაფიოდ,  
აქ რომ დავეცე, ამას ელიან.

ვფიქრობ, ისედაც ბევრი მოვროშე,  
ველარ ვეტევი ამ ბნელ სოროში.

არ ვიცი, ახლა რა უნდა გითხრა  
და ვეძებ სიტყვებს, ბვრჯერ განაცრელს,  
როგორც სიცხისგან დამფრთხალი ვირთხა,  
საკუთარ თავში ვეძებ გასაქცევს...

სალამოობით ვიწყებ ბოდიალს  
და გზები მხვდება გაუკვალავი,  
როცა უბრალოდ შენკენ მოდიან  
ეს ნაბიჯები – მხვდება არავინ!

აზრი არა აქვს წარსულის ხედებს,  
ხიდებს, რომლებიც დავტოვეთ ერთდ,  
უბრალოდ ვხვდები, უბრალოდ ვხედავ,  
ყველა მცდელობის მიუხედავად  
სიყვარულს ვერ ვთმობ!  
სიყვერულს ვერ ვთმობ!

## ახალი გვერდიან...

ერთ ძველ მეგობარს შევხვდი შემთხვევით,  
 შევხვდით შემთხვევით საბავშვო ბაღთან,  
 გამოწვდილ ხელზე ნაზად ვემთხვიე,  
 მას ძველებურად სიმშვიდე ახლდა.  
 არა, არ იყო, ვფიქრობ, დამთხვევა,  
 ძლივს მოახერხა ხელების დახრა.

დამალა მორცხვად ნაამბორალი,  
 ვერ იშორებდა ღიმილს შიშნარევს,  
 იდგა ჩვენ შორის ფიქრის ბორანი,  
 ალბათ, სისუსტეს უნდა ნიშნავდეს,  
 დავკარგე წამით თავიც, მორალიც,  
 ველარ მოვთოკე გრძნობის სიშიშველე.

ვიდექით ისე, როგორც ჭადრები,  
 არღვევდა დუმილს ნელი ნიავი,  
 წარსულის ხედი იდგა კადრებად,  
 იდგა ზამთარი, სუსხი იანვრის,  
 ვგრძნობდი, რომ არა, არ იყო ადრე,  
 არ იყო ადრე და არც გვიანი...

ქუჩას, რომელსაც ჩამოვუყევით,  
 რჩებოდა თოვლზე ანაბეჭდები,  
 ჩემს ბედს კი, ძალღი ალარ უყეფდა,  
 უიღბლობაზე ალარ ვეჭვდები.

სწორედ იმ დღიდან სხვაგვარად ვწერდი,  
 თითქოს აქამდე მხოლოდ ბედს ვცდიდი.  
 იდგა ცხოვრების ახალი გვერდი  
 და ხელნაწერი იყო შეცვლილი...





ეუკალ  
ჭოლოკაძე

## აღბათ, ასე სჯობს

მზე ამოვიდა, თეთრი ღრუბელი  
მოჩანს ფანჯრიდან ცას მინავლული, –  
სევდას ჰგავს ჩემსას, დაუურველი,  
უსავანო და შორს მიმალული...  
და მზის ძახილი მესმის შორიდან,  
რომ ვსდიო მის გზას უმისამართოდ...  
აქ სიძულვილის მძვინვარებს ომი,  
კვლავ ძმათამკვლელი და უსამართლო.  
აუტანელი გახდა ცხოვრება  
ამ წუთისოფლის გზაზე ნაგები.  
აღბათ, სჯობს, გავყვე ამ დარდის ღრუბელს...  
წავალ, მივანდობ ჩემს ბედს განგებას...

## დიღუა პაპაქუჩოს

მიმწუხრის მთვარე არაგვს რომ დარაჯობს  
და მისი ნათება ამშვენებს ნაპირებს, –  
ამ მზის სანახებს სამოთხეც არა სჯობს,  
ლამაზი სიცოცხლევ აქ გაიაპრილებს.

მე ჩემი მანუხებს, არაგვს კი თავისი,  
თუმცაღა წარსული ერთი გვაქვს ორივეს,  
ამიტომ ჟამთა ხვედრს ძმებევით განვიცდით  
და შიშიც არა გვაქვს, მტერიც რომ მოვიდეს!..

რადგანაც არ მქვია ამქვეყნად ეული,  
ჩემს დღეებს ვერავინ ვერაფრით დარეგავს.  
მე დამარცხებას არა ვარ ჩვეული,  
ჩემსავით დანდობა არ იცის არაგვმა!..

ეს მთები ოდითგან გვიზრდიდნენ ვაჟკაცებს,  
არაგველები ამისთვის დაგვარქვეს.  
ნიჭი რომ გვიბოძა – დავიცვათ მამული...  
მადლობა არაგვს და დიდება მამალმერთს!

## რწმენა

გათენდა, ზეცა გადაინმინდა,  
ჩემი გული კი ისევ წითლად ცას ახატია.  
მე დილას შევრჩი ხატივით წმინდა  
და სული ჩემი, ვით სანთელი, ისე ანთია...  
რაღაც კეთილი, ზეციური, მერევა სისხლში,  
მაგრამ ამ ძალის გადმონერგვა ვინ გამიბედა?!  
უფალო, მხოლოდ შენ მპატრონობ, ეს მწამს და ვიცი, –  
შენ ხარ მარადის ჩემი ღმერთიც, ჩემი დიდებაც!..

\* \* \*

როგორც სიზიფე, ლოდს მივათრევ დღიდან გამჩენის,  
წვა და წვალეზა მერგო არჩივად,  
ზოგ-ზოგებს სურდა, გამყწრომოდა ქვეყნად გამჩენი,  
მაგრამ რწმენამ და ქართველობამ გადამარჩინა.

\* \* \*

გამთენიისას დაიხურავს ნისლის ყაბალახს  
დილა და მერე სულს მიმძიმებს მისი იერი.  
ავის მოლოდინს ჩამომძახის ციდან ვილაცა, –  
ვინ იცის, ხვალე რას მიმზადებს ბედი ცბიერი!!!

## ჩვენ ზარები...

ედღნება ტაბახმელაზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში  
დაღუპულ იუნკრებს

რეკენ ზარები,  
წარსულს რომ სდევდა მდუმარე, ცივი...  
ყორნისფერი ღრუბელი შედგა...  
ატირდა ცა და ცრემლების წვიმა  
ასველებს მწუხრით ქვადქცეულ სევდას,  
რომ ამოსულა ყვავილებად დიდი ტკივილი!..

## ვე გაკადის ასეთად ვივლი

და ჩემი ზამთრის დროც ჩამოდგა, როგორც დაისი,  
დამშორდა უკვე დედა – ხონი და ქუთაისი.  
უჩინო ტივით შემოცურდა მთვარე ვეება,  
ჩუმი ჩურჩულით შემომძახეს სოფლის ხევებმა.  
ჩემო სუხჩელავ, ცხენისწყალო, ჩემო ღარჩელავ,  
თქვენ შემასწავლეთ ღმერთის ენა, ლოცვა, გალობაც  
და შემაყვარეთ კაცთა მოდგმა – უფლის წყალობა.  
თქვენი მადლია, სიყვარული ასე რომ ვიცი,  
სამშობლოსათვის თავდადებაც ლამაზი ხიბლით...  
არ გაჩენია ამისათვის გულს ერთი ბზარიც...  
მოვდივარ ასე და მარადის ასეთად ვივლი!..



ლია  
კაპანიშვილი

## ღვთისმშობელს

შორი გზა მაქვს გასავლელი,  
ღვთისმშობელო მარიამ,  
შენი ლოცვა გამატანე,  
როგორც დედის ვალია!  
გამიკვალე შორი გზები,  
მარტო დავალ ეული,  
ხევხუვები დამიწყნარე  
ჩემებრ გადარეული!  
ამარიდე ღალატი და  
ორპირობა ქარისა,  
ბნელი ღამე გამინათე  
შუქით სავსე მთვარისა!  
გრძელი გზა მაქვს გასავლელი,  
ღვთისმშობელო მარიამ,  
შენი ლოცვა გამატანე,  
როგორც დედის ვალია!

ერთხელ მაინც შემახვედრე იესოს,  
დავუკოცნო ნალურსმალი ფეხები,  
ნაგვემ სხეულს წავეცხები სალბუნად,  
ბამბის ფთილად ფრთხილად შემოვცხვევი...

## გთხოვ, მოკითხვა უთხარი!

გადაჭრილი ბილიკი,  
ჩანავლული ბუხარი...  
ნიავექარო, ჩემს ეზოს  
გთხოვ, მოკითხვა უთხარი!  
მენატრება წარსული,  
ჩემი ძველი მოყვარე,  
ჩემი ქსანი დიდგულა,  
ამაყი და მშფოთვარე.  
გული დარდით სავსეა,  
არ მასვენებს ფიქრები,  
რალად მინდა სიცოცხლე,  
თქვენთან თუ არ ვიქნები!

\* \* \*

რად არ გიხმობდი, ვაჟაუ,  
რად არ გიქსოვდი ხალიჩას,  
რად არ გიგებდი ტყავკაბას,  
გიშრის დალალებს ბალიშად...  
რად არ გვესხმოდა მტარვალი,  
შავაკვდებოდით წამისად,  
მერმე ამ მთებში ყოილად  
ჩვენც მოვიდოდით გაისად,  
რად არ გმალავდი უბეში  
მოშურნე ქალის თვალისად,  
ხომ აღარ მეყოლებოდი  
საძებ-საჩხუბარ-დავისად...  
ახლა კი საით გეძებო,  
რომელ ქალა გთვლის თავისად?!

## შავზუსა

წლებმა უმატა სტუმრობას,  
თმას მოემატა სურნელი,  
შავტუხას შავხვდი შარაზე,  
ხომ გახსოვთ, ზემოუბნელი.  
გული ტოტივით შატოკდა,  
მუხლებ წაერთვა ძაღაო,  
თავ შავუძახე, ჩამისკდი,  
რა გემართება, ქაღაო?!  
წლებმა უმატა სტუმრობას,  
თმაში განელდა სურნელი,  
ველარსად ვნახე შავტუხა,  
ის ბიჭი, ზემოუბნელი.  
თვალში გამიქრნენ ვარსკვლავნი,  
ღანვზეც მიმიჭკნა ყაყაჩო...  
ისევ იმ შავტუხას ველი,  
მისმა სურვილმა დამახრჩო.

## მოღალაგუს

წუხელ გამიტყდა ბეჩავი,  
თრთოლვა შაჰყროდა ხმისა,  
თავზე ბოდიშებს მაყრიდა:  
ცოლ მიყვარს უცხო ყმისა...  
ჯერ ისევ ნალვერდალი ვარ,  
კიდევ დავანთებ კოცონს,  
სხვის ცოლ რო გაუფრინდება,  
მერე ჩემ ფეხებ კოცნოს!

## უენზე თუ არ ვილოცე...

თვალეები გაქვს წმინდანის,  
გამოხედვა, იერი,  
შენზე რომ არ ვილოცო,  
აღბათ, გადავირევი.

თუკი არ გაგიტაცე,  
სასახლე არ აგიგე,  
ენძელა და გვირილა  
ფიადაზად დაგიგე,

მაშინ რაღა კაცი ვარ,  
თუ რა გეცი თაყვანი,  
თუ არ დაგარწვევინე  
ჩემი ვაჟის აკვანი!

\* \* \*

ვერ მივატოვე ჩემი ბავშვობა,  
ჩემი მშობლების ნაამაგარი,  
გულის ფანცქალით ეზოს მოვიარ,  
თავს შევეუძახებ: გულო, გამაგრდი!

ფიქრში რას აღარ ვესათუთები,  
ქოჩორა ტყეებს, ვენახებს, კორდებს,  
ყვავილებს ყურში ვეჩურჩულები:  
დღეს რომ შევშინდი, ველებს ნუ მოსდებთ...

თქვენზე ფიქრებით დაღლილ-დაქანცულს  
წამიყვანს ძილი ჩუმი სიზმრებით,  
მტერი თუ მომკლავს, მე მაინც აქვე,  
ლურჯთვალა იად ამოვიზრდები.



## **ჩოღის ვნაჲ ლექსეგ...**

როცა განთიადს მზე შეანითლებს,  
დილის ნამისგან შეაჟრიალებს,  
მთა ნისლის ჩოხას მორცხვად გადიხსნის  
და გულისნადებს გამიზიარებს,

აი, მაშინ ვარ მე ბედნიერი,  
ჩემი შვილების სიცოცხლეს ვფიცავ,  
მაშინ ვჩურჩულებ გულში ახალ ლექსს,  
მაშინ მაქვს ლამის სიმაღლე ცისა!

## **ბოსოვ!**

შენ თუ უარით კვლავ გამისტუმრებ,  
არ მისაღბუნებ გულის იარას,  
არ მასაკუთრებ მაგ შენს ბაგეებს,  
რომ დავენაფო ვითარც ფიალას,  
მაშინ ვულკანად ამოვიფრქვევი,  
ცას მივებნევი გულზე საკინძედ,  
მერე კი, მერე, ნამად მოგივალ,  
გთხოვ, ყელზე მძივად მაინც დამკიდე!



უოკინა  
პაპალაშვილი

\* \* \*

მოდი, ავიდეთ შემოდგომისპირას თუშეთში  
და მთაში ჩავრჩით გაზაფხულამდე,  
სანამ ბუხრისპირს გრძელ, ცივ ღამეებს  
ზამთარი თექით გადახურავდეს.

მერე შევუჩნდეთ მოხუც მეზღაპრეს,  
მოჰყვეს ყველაზე ძველი ამბავი,  
როგორ შეუხსნა ერთხელ ქალთამზეს  
ხევსურმა ბიჭმა ვერცხლის ქამარი...

როგორ გმინავდნენ გოროზი მთები,  
როცა ბედშავი არაგვს მინებდა,  
როგორ ტორავდნენ მინას სხივები,  
სანამ მზე ჩასვლას დააპირებდა.

მოვუყვით შვილებს, მათა უბეში,  
ცისა და მინის გრძელ ფერხულამდე,  
როგორ ავედით ერთხელ თუშეთში  
და მთაში ჩავრჩით გაზაფხულამდე...

## **გახსოვს?**

გახსოვს, ღობეზე გადმონვდილი ლელვის ტოტები  
და ორღობეში დასუსხული სველი კანჭები?  
გახსოვს კოცონთან აკრეფილი მთვარის ნოტები  
და ღამის ცაზე ვარსკვლავები, როგორც სანთლები?

გახსოვს, თიბათვის ლორთქო სუნი თივის ზვინებში  
და ცვრიან მოღზე შებნეული გულყვითელები?  
გახსოვს ოთახი, შემინული, თავსხმა წვიმებში  
და ხეივანზე გალუმპული მწიფე მტევნები?

გახსოვს, ვუცქერდით ყოველ დღით მზის დაბადებას  
და კავკასიონს მშობიარე ქალს ვადარებდით?  
ღამეს ვარქმევდით მზის უეცარ გარდაცვალებას  
და სიბნელეში მთვარის კიაფს თავს ვაფარებდით.

გახსოვს, ბუხართან მოქსოვილი ზღაპრების ბადე,  
გრძელი ზამთრები, უსპეტაკეს თოვლის საბანში,  
მიძინებული დედამინა და ზამთრის ცაზე  
ფიფქების ჩუმი, უხმაურო ცეკვა-თამაში.

გახსოვს, ბაყაყთა გუნდი, მთვარით სავსე გუბეში  
რა მონდომებით ასრულებდა ღამის არიას?  
და იმ შურდულმა, შენ რომ მუდამ გედო უბეში,  
ის გაბერილი მომღერლები როგორ არია?

გახსოვს, კიბისქვეშ, საბუდარში, გუგულის ბარტყი,  
გაოცებული ბებიის და კრუხის თვალები?  
ყველაზე უფრო პანია და ყველაზე მარდი,  
ერთ დილას როგორ დაგვეკარგა პურის ყანებში...

გახსოვს, უბანში გაწოლილი კაკლის ჩრდილები  
და ამ ჩრდილებქვეშ ათასობით ჩავლილი ღანდი?..  
და ჩვენ – ბავშვები, უცოდველი ცოდვის შვილები,  
მათ ვეკუთვნოდით, თუმცა, მაინც არაფრით ვგავდით.

რადგან ტკივილი მაშინ მხოლოდ ვიცოდით კბილის,  
ანდა, ეკლებით დაკანრული ხელისგულების.  
რა უშურველად ვარიგებდით კამკამა ღიმილს  
და როგორ ძლიერ გვეშინოდა ავი სულების...

მერე დღეებმა შეუმჩნევლად იცვალეს ფერი,  
სხვა საფიქრალით დაგვიძიმდა გაზრდილებს მხრები...  
და უცაბედად გაფრენილი ბავშვობის წლები  
ტკივილად გვექცა, როგორც ძილში დაჭრილი ფრთები.

\* \* \*

ჩვენ შორის მხოლოდ ერთი მუხა დგას,  
ერთი მუხა დგას ტოტებგაშლილი,  
და სულ ფოთლებად გამოუსხია  
დღეები ჩვენი, უკვე ჩავლილი.

წყაროს წყალივით ანცი კისკისი,  
შველისთვალემა ბავშვის ფიქრები,  
ოცნების ფრთებით ცაზე ლიცლიცი  
და ფიცი: მუდამ შენი ვიქნები...

ჩვენ შორის ახლა ერთი მუხა დგას,  
როგორც ცხოვრება ფერებაშლილი,  
მაგრამ შენ მაინც ისე შორსა ხარ,  
ერთი სიცოცხლის გვიდევს მანძილი.

## **ფეხიღნელო!**

ფერეიდნელო, ამოავლე სისხლში კალამი  
და ეგ ანბანი ალამივით გაშალე მზეში,  
საქართველომდე არც იმდენად შორი არ არი,  
რომ მისი ფეთქვა გაგინელდეს ჯიშთან მკერდში.

ფერეიდნელო, დაგელოცოს გამრჯე ხელები,  
ირანის ყამირ მინაში რომ ახარე ვაზი,  
ვიცი, სამშობლოს გახსენებენ მისი მტევნები  
და როცა ხელში ღვინით სავსე გიჭირავს თასი.

კვლავ საქართველოს დასტრიალებს ნეტარი ფიქრი,  
რადგან მშობლიურ მიწის გემოს ღვინო ინახავს...  
და შენს ძარღვებში დანმენდილი ქართული სისხლი  
ყივილით გამცნობს, რომ ქართული სულის დვრიტა ხარ!

რომ ვერაფერი დაგაკავებს უცხო მიწაზე,  
რომ გამოჰყვები ცისარტყელას ფერად ბილიკებს,  
რომ იქართველებ საქართველოს მტრების ჯინაზე  
და შენს სამშობლოს არასოდეს გადაივინყებ!

\* \* \*

არ შემიყვარო!  
 ნუ აანთებ გრძნობის ჩირალდანს,  
 თორემ ამ ცეცხლით გულდამწვარი  
 ბევრი მინახავს...

არ შემიყვარო!  
 ნუ შეავლებ ხელს ჩემს იაზმას,  
 თორემ რაც იცი,  
 დაგავინწყებს გული იმასაც...

არ შემიყვარო!  
 ნუ მომართმევ ლექსებს ემბაზით,  
 გაგიურჩდები,  
 ვერ მომხიბლავ მაინც ვერაფრით.

არ შემიყვარო!  
 და არც მკერდით გადამეფარო,  
 ვაითუ, სადმე,  
 ბენჯის ხიდზე გადამეყარო...

არ შემიყვარო!  
 ნუ მომაპყრობ თვალებს იმედით.  
 შენ რომ გგონივარ თვინიერი,  
 არ ვარ ისეთი...

არ შემიყვარო!  
 შეიბრალე, თუ გიყვარს თავი,  
 ვენერამ ჩემგან გამოძერწა  
 მაცდური ქალი...

## **გელის სიმღერა**

როცა ხეები მოისხამენ ოქროსფერ ატლასს,  
მე და ცა ცრემლის ნაკადულად ჩამოვიცლებით...  
ეს ბოლო წასვლაც არ იქნება უბრალოდ წასვლა,  
გედის სიმღერას გიმღერებ და გარდავიცვლები.

როცა სიჩუმე გამეფდება დეკემბრის ღამის  
და გაყინულ ტბებს დატოვებენ თეთრი გედები,  
მე, როგორც ფრთებზე მეოცნებე მიჯნური მთვარის,  
ხელებს გავშლი და გედის ფრთებით დაგედევნები.

გარდავიცვლები, როგორც თოვლში დამზრალი ვარდი  
და ჰა, ფურცლებად მცვივა ლექსის მარგალიტები...  
უკანასკნელად მოგიყვები, როგორ მიყვარდი,  
უკანასკნელად გიმღერებ და გარდავიცვლები.

## **მთვარის პილიგრიმები**

ცამ შეიბნია ვარსკვლავები, როგორც ღილები,  
სრა-სასახლეში საარაკო ამბებს ჰყვებიან...  
და ეს ჩიტები, როგორც მთვარის პილიგრიმები,  
ცის ბილიკებით ოცნების გზებს მიუყვებიან...

მთვარის კიბეზე ვეზიდები ფიქრის საზიდარს,  
ამ ფიქრთა ფიქრში უთვალავი წელი დავხარჯე,  
ზოგჯერ მგონია, კვლავ ბავშვივით ვეძებ ნატვრისთვალს  
და ამ ძებნაში უკვე ყველა ნატვრა დავკარგე.

შორეულ ცაზე შეფენილი ლურჯი ჩიტები  
სამხრეთის თბილი კალთებისკენ ეშურებიან,  
რატომღაც ვფიქრობ, ეს ფრთოსანი პილიგრიმები  
ოდესღაც ჩემგან გაფრენილი ოცნებებია...

## გაზაფხული

მზეს ემოსა სადედოფლო კაბა,  
 ცის მაყრიონს მოუძლოდა მთვარე,  
 ღრუბლის თეთრად დაქარგული ფატა  
 უგზო-უკვლოდ გაეტაცა ქარებს.

გაზაფხულით გათქვირული მიწა  
 ითვრებოდა თვალყუყუნა წვიმით,  
 ხის რტოებზე ლურჯი დილა ინვა  
 და ძარღვები ევსებოდა კვირტით.

მარტის ვნება ახელებდა ზეცას,  
 არისხებდა წვიმასა და ელჭექს,  
 ქარი ტყემლებს ასწავლიდა ცეკვას,  
 მოკრძალებით უკოცნიდა ტერფებს.

სიხარულის ცრემლებს ღვრიდა ვაზი,  
 ლაყვარდისკენ აეზიდა პნკალებს,  
 ქაღალმერთივით ამაყი და ნაზი,  
 ალვებისკენ აპარებდა თვალებს.

ისე მორცხვად აზმორებდა მიწას,  
 გაელელა მკერდი მსხმოიარე,  
 ღამით საბნად იხურავდა ცის ნამს  
 და სველ დალალს უვარცხნიდა მთვარე.

უჩვეულო აღტკინებით შემკრთალს  
 ყვავილები ეღვრებოდა წვიმად  
 და თავადაც ვერ გაეგო ბეჩავს,  
 როგორ იქცა ორსულ დედამიწად.



\* \* \*

წვიმა უკრავს შემოდგომის ელეგიას,  
ჭადრებს ტანზე შემოაცვდა ფოთლის ფარჩა,  
მთვარე რუხი ღრუბლის ქულებს შერევია  
და უმთვარო ღამე ისევ ჭინკებს დარჩა.

ბუ მოჰკვივის სიბნელეში დამხრჩვალ ღამეს  
და ცის ცრემლებს მისი ცრემლიც ურევია,  
ატრიალებს უძილობით დათხრილ თვალებს,  
ყველა ღამე მარტოს თეთრად უთევია.

ტყისნაპირას უსირცხვილოდ ანგლობს ქარი  
და ჭინკებიც ძველ ხის წისქვილს გარს უვლიან,  
ჭრაქის შუქზე კრთის იმედის ნაპერწკალი,  
ამ ღამეში ქარიც თითქოს ავსულია...

სანამ დილა სხივებს კვირტად ამოიყრის,  
გალვივდება სანამ ცისკრის ნალვერდალი,  
მზე ცის ტატნობს სანამ ეტლით ჩამოივლის,  
ძველ წისქვილში კრთის იმედის ნაპერწკალი.



ნანა  
ყალიჩავა

## სულით საზიდო

ოქროს მზეო და ვერცხლის მთვარეო,  
 შენ ტვირთო ჩემო, მამულზე ფიქრო,  
 ჩემო ჯვარო და ჩემო მირონო,  
 მხრებით კი არა, სულით საზიდო!  
 გოროზო მთებო, კობტა მინდვრებო,  
 ჩემო ზღვაო და ჩემო ბაღებო,  
 მიწაო ჩემო, ქართველი კაცის  
 მარცვალ და მისხალ საგოგმანებო!  
 ჩემო ენგურო და ალაზანო,  
 ვენახის ზვარო და მწიფე ყანავ,  
 ჩუქურთმიანო ციცქნა აკვნებო  
 და საოცარო ქართულო ნანავ!  
 შენ, ძველთაძველო, ჩემო ბებერო,  
 ძლიერო გენო, ვერდაძლეულო,  
 ციხეო, ისე მტკიცედ ნაგებო,  
 მიუდგომელო, ვერწაქცეულო!  
 ჩემი ლამაზი ქართული ენა  
 შენს წარსულსა და დიდებას მიქებს,  
 შენი მირონი მაცხია შუბლზე  
 და მკერდში შენი ზედაშე მიჩქეფს.

## **გიჟის პეკანგი**

ამალამ, ალბათ, არ დავიძინებ,  
აღარ გავიშლი ფარდაგს საძილედ  
და ერთხელ კიდევ ფრთხილად მოვზომავ  
ისევ გასავლელ გზებს და მანძილებს.

დღეები, ასე ვერცხლისფერები,  
ისევ სიცხიან ლექსებს მაბოდებს...  
და მაინც ავკრეფ თეთრ კლავიშებზე  
ჭკუიდან შემშლელ ბოლო აკორდებს.

დავუდარაჯებ მზეს განთიადზე,  
იქნებ მოვპარო სხივი სამკერდე,  
ზღვებზე აფრებად ამშალოს ქარმა  
და გადარეულ სიზმრებს დავნებდე.

სანამ მერწყული ბობოქრობს ჩემში,  
ისევ მოვდივარ გიჟურ დინებად,  
კვლავ მოვაგროვებ სითბოს, სიყვარულს  
და მზიან ველზე დავდგამ ზვინებად.

თვალსაწიერი ჯერაც მოჩანს და  
მომნატრებია მოსვლა შენამდე,  
სანამ მაცვია გიჟის პერანგი  
და ქალი მქვია ბოლო გენამდე.

## მეხსიე ბაღა

ო, როგორ მინდა, გადავცურო ისევ ენგური,  
 მჯერა, სიზმარი წინათგრძნობას არ გამიცუდებს.  
 რა მაცდურია ურჩ ტალღებთან შებმის სურვილი,  
 ლამის გავგიჟდე, კაბა ტანზე ჩამომიცურდეს.

იქნებ დამინდო, ნება მომცე, ტალღებს შევება,  
 ასეთად გავჩნდი, სულ საკუთარ თავს ვეძიებდი.  
 სადღაც ვცდილობდი დამკვიდრებას, სამყაროს მიღმა...  
 რა დრო გასულა, მაინც ველარ მოვთვინიერდი.

გაგეჯიბრები, ხედავ, აზრი ვერ შევიცვალე,  
 რომ მეცხრე ტალღის მოლოდინში შენს ახლოს ვიყო,  
 თუ გამოწვევას და სიყვარულს არ მაპატიებ,  
 დამარცხებული, გთხოვ, ნაპირზე არ გამომრიყო.

## ერთმანეთს ვგავდით

მირაჟმა სადღაც გამიტყუა თვალახვეული  
 და ვგრძნობ, უდაბნოს მხურვალეობას  
 როგორ ვეხები.

რა ნელა ფეთქავს ჩემი სულის  
 ციციქნა ნალევი,  
 რა დაღლილი მაქვს სიარულით  
 სუსტი ფეხები.

სიცხიან ხვატით ზიმზიმებდა  
 უდაბნოს მკერდი  
 და ინვა, როგორც ლოდი, დიდხანს  
 მზეზე ნადები.

მე და უდაბნო რაღაცაში  
 ვგავდით ერთმანეთს,  
 წვიმის ლოდინში დაღლილი და  
 განანამები.

## როგორ მიჰველო

დგახარ და ცისკენ გიჭირავს თვალი,  
თითქოს უფლისგან მოელი შველას.  
დადუმებულან შენი ზარები,  
დავინწყებიხარ, ციხეო, ყველას.

და გცვივა ქვები, როგორც ცრემლები,  
იქნებ ტირიხარ მართლა, ბებერო,  
რით გაგიახლო ნეტავ დღეები,  
როგორ გიშველო და მოგეფერო.

იქნება თვლემ და გტკივა მუხლები  
და დრო გიგია, როგორც ქვეშაგი.  
სიავითა და სისხლით უძლები  
ეჩურჩულება ღამეს ეშმაკი.

ვეთაყვანები შენი კოშკიდან  
დილით შემოჭრილ სხივთა სინათლეს.  
ვინც აგიტანა მზისგულთან ახლოს,  
ვინც გაეჯიბრა დროს და სიმაღლეს.

შენს ძველ საძირკველს მოვეფერები,  
შენს შუბლზე დარდით შეკრულ ნაოჭებს.  
ვიცი, გტკივა და მაინც მხნედ დგახარ  
და მოთმინება შენი მაოცებს...

შენი მკერდიდან წვეთავს მირონი  
და გცვივა ქვები, ხავსმოდებული.  
დგახარ და ცისკენ გიჭირავს თვალი  
და იზმორება ათასწლეული.

## პოეზიას ნაპირები...

სადღაც სივრცეში, მთრთოლვარე ხელით  
ისევ ვწერ ლექსებს უხმოს, უბგეროს,  
ისევ ვაჭენებ ამორძლის ყინით  
უხედნავ რაშებს, თეთრს და უბელოს.

შენი რძისფერი რიბირაბო ვარ,  
მომირაჟეა ოცნება ჩემი,  
მე შრიალი ვარ თეთრი ნიჟარის  
და თვალი ჩემი სივრცეა სველი.

მე ამ ნაპირზე გავშლი ალაცოხის  
და ოჯალეში ისევ დამატრობს.  
ღმერთების სისხლი – შმაგი ენგური,  
გადარეული მთვარეს დარაჯობს...

უნდა გავხედნო ეს ურჩი ტალღაც,  
ანაკლიასთან ნაპირს გავაღწევ,  
ამალამ ენგურს გავეჯიბრები  
და მოტაცებულ მთვარეს ნავართმევ.

## ლაპაზ თარიღებს

ენგურის წყალში, მთვარის შუქზე  
ვიბანე თმები,  
ახლა ოქროსფრად მიზიმზიმებს  
გრძელი დალალი,  
შენს მოლოდინში კიდევ უფრო  
ფაქიზი ვხდები  
და საპაემნოდ გამიმზადე კოშკი მაღალი.  
გთხოვ, ნუ დამტოვებ მარტოდმარტო  
ფიქრთან მწუხართან,  
დრო ნელა მიდის, მოლოდინში  
დარდით გიკვდები,  
მე მოგიყვები ათას ზღაპარს ჩემს თბილ  
ბუხართან,  
ათასმეერთედ სიყვარულში გამოგიტყდები.  
მეიმედები, ისევ შენზე ფიქრით ვივსები,  
არ მსურს ვიფიქრო – ყველაფერი უკვე  
წავიდა,  
ლამაზ თარიღებს ისევ ფურცლავს  
ჩემი თითები  
და სიყვარულსაც დღეს დავინწყებ  
ისევ თავიდან.



პალონა  
ღვალაი

## სონეტი 1

ვიდრე იმედსაც გაუხდია თეთრი სტიქარი,  
ვიდრე მზის ქოშით ალიონი მოდის დილაზე,  
მე ლოცვასავით, ისევ ლექსის წერას ვიჩქარი,  
რომ სტრიქონს მაინც შევახიზნო სულის სინაზე.

აქ, მამრებს, ჯერ ვერც შეუტყვნიათ ევას თამაში,  
ალბათ, შენც ველარ ამოიცინობ ქალის ხასიათს,  
მერიდე, ვიდრე ჩავტყუღვარ ისეთ კაბაში,  
რომლის შლეიფიც ადამისთვის ბოლო ხავსია.

ჯერ იქნებ არც კი უტყვევია შენთვის იზიდას,  
გაგათამამეს, გახალისეს იქნებ ხასებმა,  
ის პლანეტა ვარ, რომ ატყვევებს (ჯერ მიიზიდავს),  
ამ კალმით შენი ბედის რუქა დაიხაზება!

მრავალ მწვერვალზე გიმტვრევია, თურმე, ყინული,  
ბოლოს დაეცი ჩემს მწვერვალთან, ფრთაშეყინული.



## **სონეტი 2**

ვრცელია შენგან დაპყრობილი ქალთა არქივი  
და არ დაგიჯდეს უკვე ძვირად ტრფობა მელექსის,  
მათი ცრემლი არ გაზღვევინოს ახლა ხარკივით,  
მათ მაგივრადაც თუ მოგართმევს იმ „ტკბილ“ ელექსირს.

ასე ზვიადი, დაგამსგავსოს იქნებ პიეროს,  
სჯობდა, ნაკლებად გეამაყა შენი ძალებით...  
ერიდე, რომ შენს ცხოვრებაშიც არ გაიეღვოს  
ისარმა, მამრზე აჯანყებულ ამორძალების.

შენ უდიერად ეპყრობოდი, თურმე, ფერიებს,  
იმ უსუსურებს იქნებ, ისევ, კვლავ ენატრები?  
მაგრამ ამ ერთხელ მაინც, მე ხომ ვერ მომერიე,  
იმ ფერიებში ნუ გეშლება კლეოპატრები.

თუმცა, ათასი ლამაზმანი გერგო, ვით პრიზი,  
ამ ერთხელ ხომ არ გაგივიდა შენი კაპრიზი.

### სონეტი 3

ნუ მინყენ, უკვე თუ მოგმართავ მხოლოდ სახელით,  
 ასე უხმობენ ან მეფეს და ანდა, მსახურებს,  
 მე დიდსულოვნად შეგეგებე, თვალთა გახელით,  
 მაგრამ ამ სიტბოს, თურმე, არვინ არ იმსახურებს.

რარიგად მსურდა, შენს თვალებში წრფელად მემზირა,  
 მთელი ცხოვრება ვიგერიებ ათას „ლოველასს!“  
 მეგონე მეფე, რამ გაქცია ბოლოს ვეზირად?  
 ვაი, თუ ლექსიც დაემსგავსოს ბოლოს ნოველას...

უნდა წავიდე, ავუჩქარო იქნებ ნაბიჯებს,  
 ჩემი მუზების საუფლოშიც ვიდრე მოყინავს,  
 მე მამრის ტრფობა ძვირად რატომ უნდა დამიჯდეს?  
 მე, ლექსის კერპთან, პოეზიის ღმერთთან მორკინალს!

შენ უფაქიზეს ღრუბლის ნავში უნდა ჩაგესვი,  
 მაგრამ აღმოჩნდი თვით „გოჩაზე უგოჩავესი!“

## **სონეტი 4**

ასეთ ქაოსში, სიბრიყვის და კადნიერების,  
ასე კარდაკარ რომ დამეძებ, ნეტა ვინ გრჯიდა?  
რომ მიმტვრევ საკანს, ფატალური ბედნიერების,  
არა ხარ მხსნელი – პოეზიით გვემამისჯილთა.

ამ გრადაციის კარიბჭესთან ნუ ილურსები,  
რადგან არც შენი გაკვალული გზებით არ წავალ,  
მე რაც დავწერე ვარსკვლავების ძველი ლურსმნებით,  
ამ დედამიწას არ დატოვებს გაუკანრავად.

ამდენი გვემა გამართლდება მხოლოდ იმ ერთით,  
სხვებიც რომ შენებრ იპოვნინან სულის ამ მდელს  
და სიყვარულის გადარჩენის რწმენით, იმედით,  
შეაფარებენ თავს ჩემს სტრიქონს, როგორც ანგელოზს.

ნუ გაირჯები, შენს წყალობას ნუ დამპირდები,  
მე მიპოვიან – პოეზიის ვუნდერკინდები!

## სონეტი 5

უკვე აღარ ვლვრი, რახანია, ცრემლის წვიმასაც,  
ტკბობამ ხანმოკლემ, მომიტანა დარდი ხანგრძლივი,  
ზეიმის მერე ივინყებენ თავად წმინდანსაც,  
რომ გამოხრიან, რაც მიაართვეს, ვითომ განძივით.

ბევრი, მოსული სალამურით, დოლით გავუშვი,  
ვნანობ, რომ აღარ მოვერიდე შარის ატეხვას,  
რადგან დავრწმუნდი, არ ილევა ბრიყვი და მრუში,  
პატარა ქვით რომ ცდილობს დიდი თავის გატეხვას.

რალა დროსია, ვითომ შენც რომ ვნება გალომებს  
და გინდა, ვიყო ვითომ შენი იაგუარი...  
ქედს ვუხრი, მე იმ უჭკვიანეს ქალს, ლუ სალომეს,  
თავად ნიცშეს და თვით ფროიდს რომ უთხრა უარი!

უკვე არავის დავრთავ ნებას სულში თარეშის,  
რადგან სამოთხეც არ არსებობს გველის გარეშე.



**პაჩინა  
იხნაიუვილი**

## **ჩემი უიქაჟი**

ჩემი ფიქრები თეთრ ზღვაში აგორებული ზვირთებია,  
უსახელო გემებით სავსე,  
მე კი მწყემსი ვარ და ჩემს ქარავანს  
ხან გაღმა მივერეკები, ხან – გამოღმა...  
აგერ, ამ კუნძულს „ბავშვობა“ ჰქვია:  
ცისარტყელას ბაირაღები მოუქარგავს  
და ყველა აფიშა გვამცნობს, რომ  
კუნძულზე გამოცხადებულია მარადიული დღესასწაული,  
დღესასწაული, რომელსაც უკანასკნელ  
ზღაპრების წიგნთან ერთად ვამთავრებთ  
და ვინყებთ ზრდასრულ ცხოვრებას,  
ყოფითი დეტალებით სავსეს,  
დევის თვალით რომ შევცქერით და  
როცა დავიღლებით, თვალს მოვხუჭავთ,  
ვიგონებთ ბავშვობას და მოვთქვამთ,  
ერთთავად მივტირით.

ეს „უიმედობის“ კონცხია – ჯართის სანყოფი,  
დამტვრეულ-დაჟანგებული ფარ-ხმალისა  
და რკინის ფრთებისა,  
ცრემლის გუბეები კი ჭაობებად ქცეულა,  
ან დაშრეტილა.

ვცდილობ, სრული სვლით ვიარო და არ მოვიხედო.  
ვინაც სვლა შეანელა, ან გაჩერდა,  
მწარედ ინანა.

ესეც „სატანის“ კუნძული, არ შეგეშალოთ! „ჭინკების“ კუნძულს შორიდანაც კარგად შეამჩნევთ,  
 ამ სასაცილო ზოოპარკში  
 უთავბოლოდ დაცუნცულებენ ადამიანის მსგავსი ჭინკები  
 და გულმოდგინედ ცდილობენ,  
 დაფარონ ტანზე აკრული აბრები:  
 „ორგულობა“, „გაუტანლობა“, „მტრობა“...  
 აქ გასართობად მოვდივარ მხოლოდ.  
 „სატანის“ კუნძული კი „სატანის“ სამკუთხედის ცენტრშია,  
 საითაც უნდა წახვიდე,  
 გვერდს ვერ აუვლი...  
 ძალიან უნდა ეცადო, ისე გასცდე, რომ  
 სამუდამოდ არ დაგიტოვონ თავიანთ მიწა-წყალზე  
 კუნძულის ბინადრებმა – ადამსატანებმა.  
 რამდენჯერ მოვხიბლულვარ მათი სილამაზით,  
 აღზრდილობითა და მჭევრმეტყველებით,  
 თვალებდაბრმავებულს ნაქცეული ამიყენებია,  
 მათი ჭირი გამიზიარებია, ცრემლიც მიფრქვევია  
 და ლხინის სუფრაც დამიმშვენებია.  
 და-ძმობაც შემიფიცია და მათთვის მილოცია.  
 რა საამოდ ჩამწვეთებია ყურში მათ მიერ წარმოთქმული:  
 „გეთაყვა“, „გმადლობთ“, „მომიტყვეთ“.  
 ო, რამ მწარე ნალველით ვივსებოდი ხოლმე,  
 როდესაც უხილავი კუდების ნაკვალევ-ნაიარევს  
 აღმოვაჩინდი საკუთარ სხეულზე და სულზე მაშინ,  
 როდესაც ყოველთვის უკვე იყო გვიან...  
 ბედნიერია ის, ვინც „სატანის“ კუნძულს გასცდება  
 და სულ მალე დაინახავს „იმედის“ კონცხს –  
 ამ ზღაპრულ წალკოტს,  
 მის ჩანჩქერებში იბანავებს,  
 მის ზვრებსა და მინდვრებს მოხნავს,  
 დათესავს და მოიმკის,  
 მის სიყვარულში დაიღლებს,  
 სამშობლო მიწას გულ-მკერდს დაუკოცნის  
 და ლილინ-ლიმილში ტკბილად ჩაეძინება...

ჩემი ფიქრები თეთრ ზღვაში აგორებული ზვირთებია,  
 უსახელო გემებით სვსე,  
 მე კი მწყემსი ვარ და ჩემს ქარავანს  
 ხან გაღმა მივერეკები, ხან – გამოღმა...

## დაქელოდეთ

საით გარბიხართ, დღეებო?  
სად გამირბიხართ, წლებო?  
ჩემი ჯალათი დროს არ კლავს,  
თავზე მადგას და დამძახის,  
ვალს როდის გადაიხდიო.  
ნეტავი ასე ადვილი იყოს...  
გულამომჯდარ მართონში  
ველარ გეწევით,  
ველარ ვსუნთქავ,  
ვერაფერს ვხედავ,  
აი, ახლა დავეცემი,  
მერე გავქრები,  
როგორც მზის გულზე დავარდნილი  
პატარა წვეთი...  
მაგრამ ჯალათი?  
მკაცრია და მონუსხველი.  
ზუსტად ვიცი,  
ეს რბოლა აქ არ მთავრდება,  
უნდა მოვიგო?  
ნუ გამირბიხართ, ძვირფასებო!  
გესმით?  
დამელოდეთ!

## პუის და პოეზიის სონატი

ღმერთო, მიეც მოთმინება,  
ვისაც ფრენა სწყურია  
და ეს წამი უღირს ფასად  
უკვდავების სრულიად,

მიეც ძალა, გრძნეულ დროის  
წამ-წამ ავსოს ფიალა,  
რათა ისევ უსალბუნოს  
ჭირთათმენის იარას,

რათა ისევ შეენივთოს  
ღრუბლებსა და ვარსკვლავებს,  
ზღვის კენჭების ბრილიანტებს,  
მზის სხივებით დანაფერს,

შეენივთოს წყაროს ჩუხჩუხს,  
ტყის ჩურჩულით მონატანს,  
მერე წეროს, კვლავაც წეროს  
მზის და მთვარის სონატა...

ღმერთო, მიეც მოთმინება,  
ვისაც ძლიერ სწყურია,  
დაიმკვიდრო, ერთი წამის  
უკვდავება სრულიად.



## **მოლოდინი**

ამოიქუხე, ლექსო, ამოხმიანდი!  
ახლა შენი ომახიანი ხმოვანებაა ხსნა და შვება,  
ამომღერდი და ამოატანე მგზნებარე გული,  
შენს მელოდებზე დაავანე და დააწყნარე,  
თავისი თვალით დაანახვე სრულიად ქვეყანა –  
აფეთქებული და მომლოდინე,  
გარინდებული მამადავითი,  
გაცოცხლებული ციხე-კოშკები,  
სხივჩამდგარი ფრესკები და  
ირგვლივ მიმოფანტული ბროლის ნაჭუჭები,  
მერე ჩაასუნთქე თავბრუდამხვევი სურნელებით  
გაჟღენთილი ჰაერი და  
ისევ საგულეს დაუბრუნე.

ამოხმიანდი, ლექსო, ამოხმაურდი!

## **ჯერ ყველაფერი არ არის გვიან**

კვლავ სინანულით მიჰყვება მზერა  
ზღვაში კენჭებად გასროლილ დღეებს,  
მერე მოხაზავს წრეს ბედისწერა  
და ფუჭ შეცდომებს გაასხვაფერებს.

იმედის ცისკრით თენდება დილა,  
ჯერ ყველაფერი არ არის გვიან,  
თუმცა, ფარფატივით ფრთები დაღლილა,  
ლოდინის სარკმელს თვალი აქვს ღია...



ლელი  
პქელიძე

ანა იუსნელს

როცა ფიქრის ფანტელში გაეხვია ფერია,  
 როცა ჩიტიც კი მიხვდა, რომ ცხოვრება ძნელია,  
 როცა ცამ გადმოსძახა: „ეს ტკივილი შენია!“  
 როცა მამის ძახილმა: „ღმერთო, შვილი ჩემია!“ –  
 ზღვის ტალღებიც გაშოლტა, ეს რა ჩაუდენიათ?!  
 თოლიები აკივლდნენ: „ეს სირცხვილი ჩვენია!“  
 დააბრუნე, უფალო! დააბრუნე ფერია!..  
 მაგრამ...  
 მალლა მიაწვეს ანას ურჩი ტალღები...  
 მზეო, როგორ დაბნელდი?!  
 დღევ, რა დარდით შავდები?!  
 ანგელოზთა სადარი სულ ღიმილით წავიდა,  
 დაამარცხა სიკვდილი, დაიბადა თავიდან,  
 ღრუბელს ფეხი დაადგა და ნიმფებთან ავიდა...  
 დარჩა საქანელაზე ფერი მისი კაბიდან...

## ქონძებით დადის სიმაართლე

ისევ ძონძებით დადის სიმაართლე  
და სახურავზე ისევ ქარია...  
დაჰკარგა ფიქრმა თვალის სინათლე  
და თქვენს სულებში ლურჯი ღამეა!  
გახედნის გული ტკივილს, მიმადლეთ,  
ეს ერთი პეშვი სითბო რას მიზამს?!  
თქვენ ისევ ბოდავთ, ისევ იხარბებთ,  
მე კი გავრეკავ ღრუბლებს ღამიდან.  
ამდენ მლიქვნელს და ამდენ შარიანს,  
ვიცოდე ნეტავ, რა მიწა გიტანთ?!  
აღესილი მაქვს სიტყვა მახვილად,  
ჩამომეცალეთ! მიზანთან მივალ!

## ნისლის პერდინში გახვეულა ყინწვისი

დილის ნისლის მერდინში გახვეულა ყინწვისი,  
ლოცვა, ჩემგან წასული, ღმერთს მისწვდება?  
ვინ იცის?  
კოლხურ ნაძვებს ფესვებზე მოსდებიან ტკივილი...  
ეს გზა ისევ ჩემია, არ დამცდება ჩივილი.  
რა სველია სიჩუმე, სევდა ქრება ფიფქივით,  
ყველა ისე ნაზდება, უმანკოა ჩვილივით...  
რალაც დამრჩა სათქმელი, შეგიფარე ჩრდილივით...  
უცნაურად მიღიმის ანგელოზი ყინწვისის...

## გული გულია...

გული გულია და არ მიჯერებს,  
მთვარეს დაანია შენზე ფიქრი,  
თვითონ დავიყვედრე ეს სიცელქე,  
სული სად შევმალო, აღარ ვიცი.

ზეცას მივამაგრებ ხვალ ბიაზებს,  
იქნებ ზედ შემოვრჩე თვალხატულა,  
ვიყო რიგით, თუნდაც, ასმეათე,  
ვინც შენს სიზმარეთში იზაფხულა!

მაგრამ აჭედილა მოლოდინი,  
კართან ატუზულა სიმარტოვე,  
მგ ზავრებს ვეკითხები: სად წასულა  
ასე ფეხშიშველი სიყვარული?

გული გულია და... არ გიჯერებს,  
უსწავლებიათო სიარული...  
ფიქრი ერთგულებით დამიბერე,  
ღმერთო, მეც მაჩუქე სიხარული!

## მალე შენგან უხმაროდ წავალ

მალე შენგან უხმაროდ წავალ,  
ისე უხმოდ, მოგეპარე როგორც...  
გაგეყრები ჩემი სულის წაწაღს,  
დავბრუნდები შენთან – ფიქრით მხოლოდ.

რკინის ჩიტი გადაკანრავს ღრუბლებს,  
მონატრება მოვა ცრემლის წვიმად,  
მე ჩემში ვგრძნობ ქალს და ატმის სურნელს,  
მაინც შენი მარტოობა მტკივა.

ყაყაჩოსფერ კაბას ვირგებ უკვე,  
სენტიმენტებს შემოვივლებ მძივად,  
ვტოვებ სახლში სულ ცარიელ ფურცლებს,  
ყველა ფიქრი, რაც გავბედე, მიმაქვს...

მე ვერასდროს ვერ ვბრუნდები უკან,  
ვერ ვპატიობ, რომ მიშვებენ ხელებს,  
დამჭკნარ თითებს შევატოვე ხურდა,  
ვეძებ, ვეძებ მზის ნატერფალ იმედს...

## პირ ვიკადრე ღგომა მონებთან

მე წამოვკარი ფეხი სიყალბეს  
 და ყირამალა დადგა ცხოვრება,  
 შემოვახვიე ნდობა სიმართლეს  
 და ვერ ვიკადრე დგომა მონებთან!  
 ჰო, მითხრეს გესლით: „თქვენ არ ივარგეთ,  
 ვერ აისრულეთ თქვენი ოცნება,  
 გადაჩვეულხართ დუმილს იმაზე,  
 რაც არ მოგწონთ და გავნეს ჭორებმაც!..“  
 ყველა გაბღენძილს ახრჩობს სიმაძღრე,  
 ამძიმებს მის ტანს შავი მანტია,  
 რა ცოტა ვერ თმობს კაცის სიმაღლეს  
 და ეს ღირსება რამდენს აკლია?!  
 მე წამოვკარი ფეხი სიყალბეს,  
 თან მომადახეს: „თქვენ არ ივარგეთ!  
 ან შეეგუე დგომას მონებთან,  
 ან დარჩი მარტოდ, მხნედ და ჭორებთან!“

მე ვერ ვიკადრე დგომა მონებთან!!!

\* \* \*

ნუ გამომრიყავ, ვით ზღვის ნიჟარას  
მაგ შენი სულის ფერად ნაპირთან!  
მე დაღლილი ვარ შენით კი არა,  
ფიქრით, ბედმა რომ გამისამძიმრა.

ხან ვიყვავილე ნაირნაირად,  
ხან ვიხმაურე ისეთნაირად,  
ყველამ იპოვნა თითო პალიტრა,  
დამხატეს ბევრჯერ და სხვანაირად...

მე დავრიგდები ასეთნაირად:  
ვისთვის სიკეთედ, ვისთვის – დაირად,  
სიცოცხლე სხვებს რომ გაუხალისა.  
შენ აირჩიე სხვა რამ, რაც გინდა...

მზე ამიკეცავს ოქროსფერ კაბას,  
თეთრი ღრუბელი მაქმანს გაბალთავს,  
მერე სურვილი პუანტებს ახალს  
ატლასის თასმით გადაიქარგავს...

შენ ნუ გამრიყავ, ვით ზღვის ნიჟარას,  
უცხო ნაპირზე მარტო არ მინდა!  
მე ვარ დაღლილი შენით კი არა,  
მარტის ქარბუქმა ჩამომიარა...

## გაგჟინეს აპრილი

მე გუშინ მატკინეს აპრილი,  
ჩემი ბავშვობა და ღიმილები...  
რალაც დავაშავე, არც ვიცი...  
მინდა, ვიტყვო და ვიღიებო...

ქარმა ითარეშა ჭრელ ბაფთებში,  
პატარა გოგონა გაიბუტა,  
ურცხვად კმაყოფილი ქარიშხალი  
ახლა მინდვრებისკენ გაიძურნა.

დავკემსე სიზმრები და ბალიშები,  
ბავშვური ცრემლებით ავსებულნი,  
კედლებს მოვაშორე აფიშები,  
ვერსად მოვახდინე ყვავილები.

მე გუშინ მატკინეს აპრილი  
და ახლა ღვინობისთვის ვეკედლები.  
ცხოვრება არაა ადვილი,  
ვიცი და ამიტომ გეფერებით...



## ვუალი

ნისლისფერი კაბით და სევდისფერი ვუალით  
მოდის ქალი და მკერდით დააქვს ცივი უარი.  
რალაც თუ არ ეწყინა, რამე თუ არ უთხარით,  
რად ცახცახებს სხეული, რა ატირებს ქუჩაში?  
სახლიც ისე ცივია, ჩამქრალია ბუხარი,  
იქნებ, აღარც გაგრძელდეს ვნების კვირის სიზმარი?!  
ქარი ისე გრიგალებს, რომ თავს იკლავს მუქარით,  
ეგებ გადაავიწყდეს ის, რაც უკვე უთხარით?!..  
ცა გაიხსნა და ვხედავ, ღმერთი ისევ იქ არის!  
ცისკარს რწმენა მოუსხამს, რა მშვიდია უფალი!  
დედამინის პულსივით ჩქარობს დროის ისარი!  
ქალი მუსიკალობს და ვარდისფერობს ვუალი...

## სიჭყვისური სიჩუპე

არის სიჩუპე, მაგრამ მაინც სიტყვებისფერი,  
მე გამებუტნენ ბელურებიც, სადღაც წასულან,  
სარეცხის თოკზე მიამაგრეს ნოტები მჟღერი,  
ყველა მუსიკა, რაც დანერეს, ერთად დასრულდა.  
არ შემიძლია, ვერ დავრჩები ქარსა და მტვერში,  
სულის სარდაფის ხსოვნის სკივრში ტირის თოჯინა...  
ჩქარა! სარკმელი გამოაღეთ ოცნების სხვენში!  
ატმის ყვავილთა სურნელს გავყვეთ ორნი მალულად...  
არ მსურს სიჩუპე, თუნდაც იყოს სიტყვებისფერი,  
აპრილის ქარმა შენი სევდა შემუმახურა,  
გამათამამე სილალით და ლექსების წერით  
და აყვავილე სტრიქონები, როგორც საკურა!



ქეთევან  
სოხავე

## თავისკართლება

ჩემს ზღაპარს მოულოდნელი  
დასასრული აღმოაჩნდა...  
ამან შემაკრთო, შემაშინა და ამიტომაც  
ზურგი გაქციე...  
და შიშნარევი თაფლისფერი ჩამისახლდა  
თვალის გუგებში...  
გაბუტულ ბავშვის ღიმილად  
დავსახლდი შენში  
და გიკვირს განა, რომ შენს  
ცის ფონზე  
მთელი სითეთრე  
განითლდა უცებ?!  
ჩემი სულია  
თეთრი ღრუბელი  
და ეს სინითლევც  
მზით შეეპარა,  
თუმცა არა! – სისხლი  
ჩამექცა სულში  
და შიშნარევი თაფლისფერი  
ჩამისახლდა  
თვალის გუგებში,  
ჩემს ზღაპარს  
მოულოდნელი დასასრული  
ვუპოვე რადგან!

## პარზის აჟინდი

მამას

ცაზე არ ჩანდა  
ღრუბლის ნამცეცეცი,  
არ იგრძნობოდა  
ფრთებიც სიოსი...  
მზე აბრუებდა  
ყველას სითბოთი  
და ატმის ხეებს  
უბულულებდა  
ვარდისფერ ქოჩორს...  
მარტის სულში კი  
ბებერი ქაჯი  
უვლიდა ხორუმს...

მეც ამინდივით  
მხოლოდ გარედან  
ვიყავი მშვიდი...  
მერე კი დღეებს,  
უშენოდ მოსულთ,  
ვთვლიდი და მაინც  
ველარ ვითვლიდი...

## ჩიორას მოთქმა-გოღება

დედის ზრუნვით ვიზრდებოდი, უდარდელი,  
ფრთების გაშლა ზეცას მქონდა ფიქრად!  
მამულის ცა მიზიდავდა, შუქნათელი  
და ვეტრფოდი ულამაზეს მირაჟს.

გული ზეცას, ზეცას ლაღად მიიწევდა,  
სულს ვაძლევდი ტოროლების წკრიალს,  
მაგრამ დღენი დასალიერს ჩაილექა...  
ნატვრა ჩემი უდარდელ ქარს მიაქვს.

თვალთ ნახული გულის ბზარად გადაიქცა  
ჩემი მოდგმის ტირილი და დვრიტა –  
ჩვენი ნატვრა ამ ცხოვრებამ დაამინა  
და არჩივი გუგულის ბარტყს მიაქვს...

P.S.

გული ახლა ავად, ავად გუგუნებს,  
თვალცი გარბის კაცის გაჭრილ ხნულზე...  
ბუდეებში მომრავლებულ გუგულებს  
შიშითა და გაოცებით ვუმზერ!

## ჩაიი პეულე

არ ექნება მას რაინდის ხმალი,  
არც პერანგი ჯაჭვის არ ეცმევა  
და ერთგული გულფიცხელი რაშით  
სიზმრის ბატონს არ შეერკინება.  
ის იქნება სულ უბრალო ბიჭი,  
ძლიერ მკლავით და მაღალი სულით.  
არ იქნება გულფიცხელიც, ვიცო,  
ქართლის ცაი ეყვარება გულით.  
ეყვარება მას მაისის თქეშიც და  
ტყემლების ფიფქისდარი თოვაც  
და მოიტანს შემოდგომის ნილაბს –  
წვიმის სურნელს, როცა სახლში მოვა...

ლექსი?! ლექსი არც უყვარდეს იქნებ!

## პოეზი

მე სასწორი ვარ  
თემიდას ხელში!  
ის სასწორი,  
რომლის პინებზეც  
ირგვლივ მყოფთა  
ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ა  
იზომება და იწონება!



ლაგირა  
უყილაკე

## ლაიბრუნდები

მინდა, გაგიშვა, მაგრამ ვერა გთმობ,  
რომ უშენობით მოვკვდები, ვიცი.  
სიზმარშიაც და ცხადშიც შენ გიხმობ,  
ძალა არ შემწევს, გავტეხო ფიცი.

რალა ვქნა მაშინ, საით წავიდე,  
გზის გასაყართან როცა დავრჩები,  
რით დავიამო გულში ბზარები,  
შენი ბაგეთა ალერსს ნაჩვევი.

შენა ხარ ჩემი მზე და სიცოცხლე,  
წასვლას ნუ მომთხოვ, ნუ გამაგიჟებ.  
მე გეტყვი: წადი, მაგრამ იცოდე,  
ჩემი გულიდან ვერსად გაგიშვებ.

საითაც წახვალ, ეგ სულ ერთია,  
ანყვეტილი გაქვს უკვე ხუნდები.  
უჩემოდ ვიცი, შენც ველარ გაძლებ,  
ვიცი, რომ ისევ დამიბრუნდები.

## სიკვდილის კი ჩაფიქრება ნამით

ეს ზამთარი მიიწურა თითქმის,  
გაზაფხულის მოსვლას ელის მთები.  
რა გაჩერებს, ბიჭო, ახლა გარეთ,  
როცა დედას ასე ენატრები?!

შენი თვალთ შევხაროდი აისს,  
მიხაროდა გაზაფხულის მოსვლა...  
მე უშენოდ როგორ შევხვდე მაისს,  
შენი წასვლით ვიტანჯები როცა?!

გაზაფხული შემოლენავს კარებს  
და სიცოცხლეს ამღერდება ხევში.  
შენ შემორჩი ჩემს უჩინო თვალებს  
და სურათი მიცახცახებს ხელში.

გაიშლება ყვავილები ველად,  
ყვავილებში იჭიხვინებს ქარი.  
ვინც მიყვარდა სიცოცხლეზე მეტად,  
ის წავიდა და დამტოვა მკვდარი.

ძველებურად ისევ გელი თრთოლვით,  
თეთრ ღამეებს შენს ლოდინში ვწველი.  
ამ უმწეო, შეკვეცილი ფრთებით  
ვნვალობ, მაგრამ მაინც დაგენევი.

დედის ცრემლებს ბილიკებზე გავშლი,  
ცის სიღრმეში მოგიძიებ თვალთ,  
მერე ისე ჩაგიხუტებ მკერდში,  
სიკვდილიც კი ჩაფიქრდება წამით.

## სასთუმალზე გაყინული იღო

გუშინ სიკვდილს შევეჩეხე გზაზე,  
სახისფერი ჰქონდა დაკარგული,  
შემებრალა, დავინვინე მკლავზე,  
ტკივილისგან იყო გათანგული.

მაჯისცემა შეუნელდა თითქოს  
და თვალთაგან ჩამოგორდა ცრემლი.  
უსათუოდ სიცოცხლეზე ფიქრობს,  
მთხოვა, გულზე რომ დამედო ხელი.

ექიმებთან მივიყვანე როცა,  
ვინ არისო, განიცდიო ასე...  
გასინჯეს და დანანებით მითხრეს:  
მისი უბე სისხლით არის სავსე...

სასთუმალზე გაყინული იღო,  
მე მივეცი გადარჩენის ფიცი,  
როცა მითხრეს, ძლიერ ცუდად იყო,  
საკუთარი გადავუსხი სისხლი.

გამოკეთდა, წამოდგომა შეძლო,  
გამოწერეს, ახლა სახლში მიმყავს  
და თუ მკითხავთ, რად ვიქცევი ასე –  
ჩემი წილი სიკვდილიც კი მიყვარს.





**ლაკეჯან**  
**ელალაშვილი-უსენაშვილი**

## ეპიგრამის დაკრუნება

მწვანე ხალიჩა დაეფინა მაისში მიწას  
ყვითელ ყვავილთა ნაქარგით და ყაყაჩოებით,  
მომნატრებია ქართული და ნამდვილი, რაც მწამს,  
თუმც არ მინახავს მე თბილისი ყარაჩოხლებით.

ძველი სურნელი, ღმერთო, თბილისს როგორ უხდება,  
მეტეხთან მტკვარი კლდეებს ისევ ესალბუნება,  
ძველი სიზმარი, მჯერა, ერთხელ მეც ამიხდება,  
აწეულ ხელით გორგასალი მომესალმება.

ნარიყალაზე ქართლის დედას დაუბრუნდება  
ძველი დიდება, რაითაც მე ამაყი ვიყავ...  
სიკვდილის კევრი, გთხოვ, უფალო, ნუ მობრუნდება,  
ქართულ მიწიდან ჩემ ქართველებს ნულარ გარიყავ!

## ნინოს გზავით

ნუშის ყვავილებს მიმოფანტავს როცა ნიავი  
და ბუჩქებიდან შემოგცინებს იები მორცხვი,  
აპრილის წვიმა ამოიყვანს ბალახს მუხლამდი  
და ბებერ მინას ძვლებს გაუთბობს სხივი გვიანი.  
მთელი მინდორი დაუფარავს ეკალს ლილისფერს  
და გლეხი მისნობს – შემოდგომა იქნება უხვი...  
დარაჯად დგანან ზვრებისპირას ყაყაჩოები.  
უღიმის ვაზი გაკვირტული, ზამთარში კუშტი,  
თითქოს ბუნებამ მიუჩინა მცველი ყოჩები...  
და სიამაყის ცრემლს ინურავს ყლორტიდან მუშტით.  
გაიმაისებს, ალუბლებიც დაიყვავილებს,  
ვარდისფერ თოვას აქარიშხლებს კვლავ გაზაფხული,  
სადღაც სერებზე გადათეთრდა ფშატის ბუჩქები  
და ნინოს გზებით კახეთისკენ მოდის ზაფხული.

## უემომელია

და სული ჩემი, სულ ერთი ციდა,  
დაიარება ისევე ცალად,  
თუ სიბერემდე არ გამყვებოდა,  
რატომ გავყვევი, ნეტავი ცოლად?!

ახლა წუნუნი რალა დროსია,  
ჩვენ ბავშვობიდან ვართ დაწინდული,  
მაგრამ გრძნობებში რა ქაოსია  
და ან ფრაზები – რა აბურდული?!

ვიცი, რომ სადღაც, ჩემი ბრალია,  
ვერ გავუწიე მუზას ცოლობა,  
არ მაპატია, უემომელია,  
როგორც შემატყო გა-ორგულობა.

## **ყავა და სიგარეტი**

ვისთვის სიგარეტია ყავის ატრიბუტი,  
ვისთვის კალამია და ფურცელი,  
ვისაც, ერთხელ მაინც, დასხმია მუზით რეტი,  
მას უკვე სენი სჭირს უკურნელი.

ეს სენი გვიან ბავშვობაში შემეყარა,  
დღემდე ვერა მშველის ვერა წამალი,  
წერით ავადმყოფი ვერაფრით შემიყვარა,  
ვინც სულში ამიჯანყა მამალი.

ზოგიერთს ლუკმის შოვნის დარდი აქვს უცვლელი,  
სხვასთან – ტაფაზე ხტის ბატიბუტი,  
აბა, ახლა ამის წერას უნდა ფურცელი?!  
ჭრელკუდა მამალო, ამიბუნტი!

ვისთვის სიგარეტია ყავის ატრიბუტი,  
ვის კი, არც ყავა აქვს და არც სიგარეტი.



ეთერ  
ჭელიძე

## სინდისი...

სინდისი ურმის ბორბალი არაა,  
 სავსემ და დაცლილმა იჭრიალოს...  
 სინდისი შუბლის სუფთა დაფაა,  
 ნამუსის ტარზე სატრიალო.  
 სინდისს თავის მართლება არ უყვარს,  
 მას არ სჭირდება დაცვა!  
 ვაზის ფესვებია მადლიანი,  
 შარბათის მტევნებად ასხმა!  
 ნივთი არ არის, გროშებად მოიგდო,  
 რადგან ვერ იყიდი ვერსად,  
 სინდისი შენთან ერთად იბადება  
 და შენთან ერთად კვდება!

## **ჩემი გვარის სალოცავო!**

მოველ შენთან, მოველ, ფუძევ,  
ფეხნატკენო ქვა და რიყევ,  
მოველ, ენგურს დავიფიცებ,  
შენთან მოველ, რადგან მისხმე.  
ლამარია! შენთან მოველ,  
მადლი შენი მიწყალობე,  
მონატრებას გამოვყევი,  
როგორც დედამ, მიგალობე!  
როგორც დედამ, შემეშველე,  
სულს იარა გამიქარვე,  
თმენის ძალა მომეც მერე,  
მრისხანება გამიქარწყლე,  
მომეც ძალა სიყვარულის,  
მიტევების ძალა მომეც,  
ორგულების მოსაქცევად  
გულნაბზარი გამიმთელე!  
მოველ შენთან, სახლო ჩემო,  
საფერებლად შენთან მოველ,  
სიკვდილს ქარტეხილი მოაქვს,  
მაგრამ აღარ დავემონეთ.  
მოველ, რათა ვერნათიბი  
მწვანე მოლი გაგიტბო  
და ბარბარეს წმინდა ხატთან  
გვარის ლოცვა წაგიკითხო!  
მოველ, რადგან მამა-პაპის  
ობლის კვერი აქ ცხვებოდა,  
მურყმელს, ზვავთან შეჭიდებულს,  
ჩვენი ლოცვა სჭირდებოდა...  
მოველ შენთან, დედავ ჩემო,  
კოშკო ჩემო, სახლის დირევ!  
ჩემი გვარის სალოცავო,  
შენი მადლით დამაპურე!

## გულმოკლული ქართველი ვარ!

მწუხრი ღამის, ბნელი ტევრის,  
 ღრუბლის ერთი ნაფლეთი ვარ,  
 გულში ტყვიანაგაუმტარი  
 მყინვარების ნატეხი ვარ,  
 თეთრი კოშკის ქონგურებზე  
 მწვანე ხავსის ნადები ვარ,  
 მწვერვლებზე მონავარდე  
 არნივების ნაბარტყი ვარ,  
 სიკეთესთან მორკინალი  
 სიძულვილის ნაფერთხი ვარ,  
 ტკივილიან სიყვარულის  
 ერთი ციდა ნაფლეთი ვარ,  
 მთის და ბარის სალოცავად  
 ჩაღვენთილი სანთელი ვარ,  
 ქართველობის შესანიერი  
 თაფლის წმინდა კანდელი ვარ,  
 ჩემი ერის სახატესთან  
 მუხლმოყრილი ქართველი ვარ,  
 მამა-პაპის საძვალესთან  
 დანთებული სანთელი ვარ,  
 დავითის და თამარ მეფის  
 დროშის ერთი ნახმლევი ვარ,  
 ნალალატევ საქართველოს  
 გულმოკლული ქართველი ვარ,  
 შუღლისა და ბოროტების  
 ფესვის ერთი ნაგლეჯი ვარ,  
 ძმის ნასროლი ტყვიისაგან  
 განგმირული ქართველი ვარ!

## **რადგან შეასდი!**

ქარი კი არა, ქალა დუდუნებს,  
ქალა ნაპირებს აყრის გრიგალებს,  
ტალღებს მივანდე ჩემი სიგიჟე,  
სადაც ენგურის ტალღა ღრიალებს!  
სად ოხშივარი ასდის სიკეთეს,  
სად ჯიხვის ყანწი რახით ივსება,  
სად სტუმრის გული ბუდეს იკეთებს,  
ბნელი ნათელის სხივით ფითრდება.  
სად მურყვამების ნაფუძარებზე  
სული ნანგრევზე ფიქრში ინთქმება,  
სად მამა-პაპის სასაფლაოზე  
წმინდა კანდელი ისევ ინთება.  
ქარი კი არა, ქალა დუდუნებს  
და მონატრების კათხა ივსება,  
მთიდან აფრენილ ამაყ არწივებს  
მთის სიყვარულით გული ევსებათ,  
მიეხეთქება ლოდი ნაპირებს,  
ქვიშის წყალი და შმაგი ენგური,  
ვართ სიყვარულში დაუღალავი,  
გვარის და ჯიშის მარად ერთგული.  
ქარმა კი არა, სიომ დაჰქროლა  
და მომაცილა ალბათ თქვენამდი,  
ჩემი სვანეთის ერთი მართვე ვარ,  
მთაო, მოვედი, რადგან მეძახდი!..

## მზის საგალოგელი

შემოდი მზევ, ჩემში... დამითბე სული შემცივნული... სული სა-  
თუთი, ხან კლდიდან მომსკდარ უსამართლობის ზვავს შეჭიდე-  
ბული, ხან ერთი ფოთლის თავზე დაცემით შეშინებული....

ხან ენგურივით აბორგებულ-აბობოქრებული...

ხან გაზაფხულის სიოსავით დამორცხვებული...

ხან მაისის ვარდის ფურცლებად გადაშლილი... ხან შემოდგომის  
ხეებისით შემოძარცული...

ხან სიყვარულით ანთებულ-აფერადებული... ხან სისარტყელას  
მანდილ შემოხვეული...

ხან იმედგაცრუებული, ოცნებების ჩირაღდნის სინათლიდან  
წყვდიადის ფერხითი დანარცხებული...

ხან ბედნიერ გზაზე ფრთებგაშლილი, ცის კიდის უსასრულო-  
ბამდე გაფრენილი...

ხან ბედნიერების მოლოდინში ცეცხლის ალივით ჩაფერფლილი...

ხანაც ცალკებად მომღიმარი, გაბოროტებული და სხვების მსგავსი...

შემოდი მზევ, ჩემში... შენ მზისგული ხარ, სამყაროს გული...

შენ შეგიძლია გააღლო შვილდაკარგული დედის გაყინული სხეუ-  
ლი, შენ შეგიძლია სიკვდილს ფერი უცვალო გარდაცვალებით...

შემოდი მზევ, ჩემში, მომაცვი შენი ცეცხლოვანი სამოსი, რომ  
ღირსეულად ამათვლევინო გოლგოთის გზაზე მიმავალი ყველა  
საფეხური დაბადებიდან გარდაცვალებამდე...

გაზაფხულების სურნელება სულს აცხე ჩემსას და აყვავილე,  
როგორ ჯეჯილი...

გამითბე მუხლი, მუხლი, რომელიც ვინ იცის, რამდენჯერ დაე-  
ცა... რამდენჯერ გაიკანრა... რამდენჯერ გაიმართა...

თვალი ამიხილე, რათა შევძლო, თვალებზე ლიბრგადაკრულ-  
მა, მტრის ნაცვლად, მოყვასი არ ავჩეხო!

გული გამინათე, ღვარძლი და ბალღამი იქ ჩავმარხო, სადაც  
ჩემი ქართული ყლორტი უნდა აღმოცენდეს!

გონი გამინათე... უფლისთვის მუხლი მომახრევილე, კაცთათვის  
მიტევება შემადლებინე!

შემოდი მზევ, ჩემში, მადლის ზეთი მაცხე, სხვებსაც რომ ვუ-  
წილადო, სწორედ იმდენი...

წვიმის წვეთებად აქციე წყენა და სიბრაზე, რაც ნებით თუ უნ-  
ებურად დავიმართე...

შემოდი მზევ, ჩემში, უსიყვარულობისაგან განკურნე კაცთა  
მოდგმა!



მომხვიე ხელები და დამითბე გულ-გონება, ფიქრი და მრწამსი, სიტყვა და აზრი!

ზეცა და მიწა, გამითბე ავსიტყვაობით მომხრჩვალ სული...

სიძულვილისგან განკურნე ობმოდებული გონება,

რათა მტერმა ვერ შეძლოს გამარჯვება!

შემოდი მზევ, ჩემში, ეს მე ვარ – დედაღვთისმშობლის კალთის ნაგლეჯი...

ათიათასჯერ დაჩეხილ სხეულს ვუთვლი იარებს, მინდა მალამოდ ვაცხო სული, ათასი ურჯულოს ხელით გაგლეჯილი და შეკონინებული...

მომეცი ძალი, შენი სხივთა ელვარებით ალესილ ხმლით მოვსრა, ვინც თუნდ ერთი მტკაველი მიწა ამათალა, ვინც მტრულად მოირგო მოყვასის მანტია, ვისაც ვენდე და ვერ მიერთგულა... ვინც ჩემი ტაძარი თავისად გაიხადა...

შემოდი მზევ, ჩვენში... გაათბე კაცთა გადაჯეგილი სულის სანყაო, სადაც უნდა გავლიო სიცოხლის დღენი!

შემოაღწიე ჩემ სულში, მზეო, შემოდი ჩემში!!!



პარი  
ცუსქირიქე

\* \* \*

რატომ არ შემხვდი გუშინ,  
 როცა მათოვდა სითბო,  
 როცა ვიდექი კართან,  
 სადაც არავინ იყო...  
 რატომ არ შემხვდი ადრე,  
 თავდავინყების ზღვართან,  
 რატომ არ ქროდა ქარი,  
 როცა ქარიშხალს ჰგავდა!  
 რატომ გექებდი ასე  
 და ვერ გიპოვნე გუშინ,  
 ჩემთვის სათქმელი სულ სხვას  
 რად ჩასჩურჩულე ყურში...  
 რატომ არ წვიმდა მაშინ,  
 როცა ტიროდა ზეცა,  
 როცა გამცვალე სხვაში,  
 თეთრები რატომ მეცვა...  
 როცა მეძახდი სახელს,  
 რად გპასუხოვდა უცხო,  
 როცა მეძახდი ამდენს,  
 რატომ გეგონე უხმო!

## **ჩემი აუსაჯეთი**

ჩემს აფხაზეთში ვიყავი წუხელ,  
ცა იცინოდა და თან ტიროდა.  
იქ დარჩენილი ჩემი ბავშვობა  
დაფიქრებული მიმოდიოდა.

ჩემს აფხაზეთში ვიყავი წუხელ,  
ტირიფს დაენა ცრემლის საბანი,  
ქართულ მინაზე სისხლს წაეშალა  
ჩვენი ქართული წმინდა ანბანი.

უკან წამოსულს მომაცილებდა  
ზღვის შრიალი და ჩემი ბავშვობა,  
კვლავ იქ რჩებოდა ჩემი სიცელქე,  
ჩემი სიცილი, ჩემი ანცობა.

ჩემს აფხაზეთში ვიყავი წუხელ,  
ვიყავი ისე, მხოლოდ სიზმარში...  
რა იქნებოდა, ამ სიზმრის შემდეგ  
გამღვიძებოდა ნანატრ წიაღში!

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“...  
უსიყვარულოდ ანათებდა მაინც მიდამოს,  
და რომ მობეზრდა, ზღვად ჩავიდა, რომ სინანული  
ცივი ტალღების სისასტიკეს მაინც მიანდოს.

ზღვად ჩავიდა, რომ გაიქარვოს დიდი ნალველი,  
რომ დაიძინოს, დაივიწყოს ფლიდი დიდება,  
ღრმა სიზმრებიდან გაერკვევა და ლამაზ ცაზე  
ჩემთან შეხვედრის იმედით კვლავ ამობრწყინდება!!!

ჩემს აფხაზეთში ვიყავი წუხელ...



პაია  
ჩაუჩავაძე

## კუსკლას

მხატვარ ჯემალ კუხალაშვილს

საუცხოო სიუხვით შეგიმოსავს შატილი,  
ურჩი, მუნჯი ფერებით სურვილები დახატე,  
ცრემლით მოფერებისარ, ვით მგოსანი მარტვილი,  
მწუხრის ფონზე დაკიდულ საქართველოს სახატეს.

აამლერე მოლბერტზე ხობისფერი ხევები,  
შემოქმედის ალერსით გათანგულან ხეები,  
სალ კლდეებს ეჭიდები გაშიშვლებულ ხელებით,  
ხამ ტილოზე დაფინე ფერთა სამოთხეები.

მერე ჯანლის ქაოსში ყველაფერი დალაგდა,  
საზეიმო სამოსში გაიღვიძა ქალაქმა,  
ფერი სულში არია დიდოსტატის ტალანტმა  
და ბებერი მთებიდან დაიქუხა არაგვმა...

## განსჯა

### მათეს

ოცდაცამეტი ვარდი...  
ოცდაამეტი წელი...  
შენს დაბადებას, შვილო,  
თითქოს პირველად ველი.

იმ სიხარულის განცდა,  
თავბრუდამხვევი გეში...  
სიყრმის ვერხვებთან დამრჩა  
კვლავ სიყვარულის თქეში.

ცლიდნენ სულ ჯიხვის ყანებს,  
დაიბადაო ბიჭი  
და ივლისივით დაწვეს  
ვნებააშლილი იჭვი.

ისევ იმ ჟინით ველი  
ვარსკვლავანთებულ თვალებს,  
მახსოვს ფიქრები მწველი,  
მიაცილებდნენ მთვრალებს...

## პაპა გაბრიელის საფლავთან

### დედა პარასკევას

მნამს, ერთგულების სანთლად ანთიხარ,  
ინვი და... ყველა დღეა მზიანი,  
ღვთიკურთხეულო დიდი მადლი ხარ,  
თუმც გერგო გზები ნარეკლიანი.

ემსახურები უფლის განგებას,  
რა მოწინებით ქარგავ იმედებს,  
ვინ გაგიბედავს მახის დაგებას,  
ტაძრის ბილიკებს თავად მიენდე.

რა უშურველად გასცემ ია-ვარდს,  
შენი კელია სახლზე თბილია,  
ისე აჰყვები მცხეთის ნიაკქარს,  
თითქოს არგვალზე ფეხით გივლია.

საყდრის ეზოში ერთი საფლავი  
ბევრჯერ ვერ იტევს მწუხრის სანახებს.  
ყველა ოცნება მეც იქ დავფალი,  
სასწალებს კი... დრო დაგვანახებს!..

## სიყვარულს არა აქვს საზღვარი

შემოგველეო, დამძახებ და  
გული გიჩოჩქოლებს, ბებია,  
ბავშვობის ლამაზი დღეები  
კუნტრუშით რად მეგებებიან?  
რა ულევ სიყვარულს იტევდი,  
გვეულურტულებოდი პატარებს,  
საყდარში ღამეებს გვითევდი  
და ბევრჯერ ზურგითაც გვატარე.  
ვეცუღლუტებოდით ბაბუას,  
ხუმრობამ ეჭვები გაფანტა...  
– ჰაი, თქვე პატარა ქინკებო, –  
დაგვაფრთხო პაპილოს საფანტმა...  
იყო თავგასული ხარხარი,  
ჭალარა ჭადარმაც დაგვცინა,  
„სიყვარულს არა აქვს საზღვარი!“ –  
ბებია ამ რა ბრძნულად დასძინა.



ნანა  
ბაგელაშვილი

\* \* \*

როცა შენ ზეცას  
 ნისლები ჰფარავს  
 და კავკასიონს  
 ცრემლები სცვივა,  
 როცა მარაბდის  
 ველი დუდუნებს,  
 როცა ალგეთის  
 ლეკვებსაც სძინავთ,  
 როცა წინამურს  
 შეაზანზარებს  
 მოულოდნელი  
 სიკვდილის ელდა,  
 გულს ეხეთქება  
 და სისხლს მიყინავს  
 „გადანახული  
 დროშების სევდა...“



## ქართული ყოფა

ვიმლეროთ ისევ „გადი-გამოდი“,  
„ხელი ხმაღს იკარ“ და „ოროველა“,  
ისევ შევებათ გუთანს ხარები  
და მივაშველოთ ბანი ტოროლას...  
ქვევრებში ისევ დუღდეს მაჭარი,  
ბელლები იყოს თავამდე სავსე,  
ალაზნის პირას კენჭებს ისროდნენ  
შავი გოგია და ბიჭი სესე...  
თონეში ისევ პური ცხვებოდეს,  
მხოლოდ ქართული... მამაპაპური...  
სმენას მიტკობდეს, სისხლს მიჩქროლებდეს  
ჩემი ჩონგური... ჩემი ფანდური...  
ტიტაც არ მინდა უცხო ქვეყნიდან...  
გულს გადავუშლი პატარა ლიახვს..  
მთლად ვანაცვალე ქვეყნიერებას  
გორში დაკრეფილ „ბინდისფერ ქლიავს...“  
ისევ ის ჩემი მჭადი სჯობია,  
არც შევეხები არავის სინდისს...  
რა შეედრება სამეგრელოში  
ბაბუაჩემის მოყვანილ სიმინდს?  
მზეო, ამოდი, მანათებლო...  
ჯერ კიდევ მღერის სანათა ბებო...  
ჩაძირულია მთებში ომალო...  
მოდებულია ეზოს ომბალო...  
დასაკრეფია ხეჭეჭური და  
ამოსაღები ღვინო ჭურიდან...  
კალოზე პური გასალენია...  
მინდორში ცხენი გასახედნია...  
ნაქცეულ ღობეს ბიჯგი სჭირდება,  
უნდა ჩამოვდგა თივა ზვინებად,  
მეზობელი თუ არ მოვიკითხე,  
ლამით ისე არ დამეძინება...  
მე იმ მოხუცის ნაშიერი ვარ,  
ულვაშის ღერს რომ ოქროს ფასს ადებს  
და ისლის ქოხი რომ ურჩევნია  
გაბრწყვიალებულ მდიდრულ ფასადებს...

აქ რომ ქარი ქრის, ის სხვა ქარია...  
 „ტყე რომ გუგუნებს ამირანია...“  
 ქაჯეთის ციხეც რომ ვერ აშინებს,  
 მზეთუნახავი დარეჯანია...  
 ნუხელ მესიზმრა ღმერთქალი დალიც,  
 ენგურის პირას მიმომდინარე  
 და მაღალ მთებში დაბადებული  
 ის ორი ფერის ერთი მდინარე...  
 ო, ასეთია ქართული ყოფა,  
 იგი სულისგან არ განიყოფა,  
 არ შეიძლება მისი დაშლა და  
 არ შეიძლება მისი დაყოფა...  
 ჰოდა, ვიმღეროთ ისევ „შავლეგო“,  
 „ხელი ხმაღს იკარ“ და „ოროველა“...  
 ისევ შევაბათ გუთანს ხარები  
 და მივაშველოთ ბანი ტოროლას...

\* \* \*

დიდება შენს მოთმინებას...  
 შენს მოთმინებას „ოსანა!“  
 ვერც გაგაგიჟა ლამაზმა,  
 ვერც გაზაფხულის მოსვლამა..  
 ვერც მე გამოგდე ქამანდი...  
 ვერ მოგიყვანე ჩემამდი...  
 მაინც რა დიდი ცოდვაა,  
 შორი-შორს რომ ვართ აქამდი...



მანანა  
ჯაფარიძე

## აკაუერს ვლადლო

რა უცნაურად გათენდა დილა: ნატვრა ღრუბლებში გადაიმალა...  
მე კი არ ვდარდობ...

ჰო, აღარ ვდარდობ ჩემს ბილიკებს,  
ეკალბარდიანს, თუმც მზით სავსეს,

დღეს აღარ ვდარდობ...

არც დაკარგულ გზას, შენსკენ სავალს და არც სიჩუმეს  
მე აღარ ვდარდობ...

დაკარგულ რითმას, დაკარგულ წამებს,  
წუთებს, საათებს, დღეებს, სიყვარულს

სულ აღარ ვდარდობ...

თეთრი ლექსებით შევქმნი ქაოსს ჩემს სამყაროში,  
სიგიჟე მართობს...

გრძნობაარეულს სწორი რითმა აღარ მიხდება...

არც ამას ვდარდობ!

დავარცხნილი თმა, ბრძნული მზერაც არ მომიხდება –  
სხვებმა იდარდონ...

ცელქი ქარებით აივსება ჩემი ცხოვრება, გული გათბება  
და მეც გამათბობს...

ტკივილის ბილიკს დავინწყების ხავსი დაფარავს,  
რომ არ ვინაღვლო!

დიდი ხნის მერე სინანული გულს თუ გაკანრავს,  
არც შენ იდარდო.

მზე მდინარეში ჩავარდება და მთებს გადაწვავს...  
მთებმა იდარდონ!..

## შენ...

ამოუთქმელი სიტყვა ხარ,  
 ჯერ არმოსმული ფუნჯი,  
 სულში ფარფატებ პეპელად,  
 თან რითმას მპარავ – ქურდი.  
 ღრუბლების თეთრი ჯარი ხარ,  
 ფიქრი რომ მოაქვს ურჩი,  
 დილას მზეს სარტყელად ეხვევი,  
 ღამე მთვარეს რთავ ქურქით.  
 ლექსი რომ მომენატრება,  
 ქარს შორს გავატან წუხილს.  
 შენს თვალებს შემოვფარებ  
 ამ ჩემს დაჩეხილ სურვილს.  
 ოცნებებს შენთან მოვყავარ,  
 ღიმილი მირთავს დუმილს,  
 ჯიუტი, მონატრებული,  
 ვიცი, შენც გყავარ გულში...

## მომენატრე...

მომენატრა ის ზაფხული, მომენატრე შენც,  
 თუმცა ისევ მებუტები, გებუტები მეც...  
 ჩიტუნების ჟღერტულს ტყეში ვერ მოვუსმენთ დღეს,  
 ნაცრისფერი ქალაქის ტყვედ დავრჩენილვარ ჯერ,  
 მთების, ზღვების გადაფრენა მომანდომე შენ,  
 იმის მერე ნიავს დავდევი, დავფარფატებ... გწერ!  
 მერე რა, რომ მისამართი დამეკარგა მეც...  
 ყვავილები სტრიქონებად მინდორ-ველებს ფენს,  
 პეპლის ფრთების ხატულებში შენც ჩემს სახელს წერ,  
 შენზე ლექსით ამოვავსებ სიყვარულის ქვევრს...  
 მერამდენე გაზაფხული დამთავრდება დღეს,  
 უშენობას მიჩვეული წლებს არ ვუხრი ქედს,  
 სადღაც ისევ გაიელვე, ბვშვობის დღე მდევს,  
 ვეცადე და სხვის თვალბში ვერ ვიპოვნე მზე...  
 მომენატრე, ისე, ჩუმად... დავჯექი და გწერ...



თაპარ  
ლოშია

## ოსწავა

მე რომ შემეძლოს, ავფრინდებოდი მაღლა და  
მაღლა,  
ზემოდან დავხედავდი ყველას ცხოვრებას,  
ყველას სატკივარს:  
ობოლს გავუჩინდი დედას ან მამას,  
ლარიბს მივცემდი ლუკმას სანუკვარს,  
მოვრწყავდი ხეებს გამხმარს, გაჩეხილს,  
სულს ჩავბერავდი დამჭკნარ ყვავილებს,  
სახლს გავუჩინდი უსახლკაროს და  
გადავარჩინდი სენით პყრობილებს.  
მაგრამ ყველაზე, ყველაზე მეტად  
გავახარებდი ქალებს უფროთოებს,  
უფალს შევთხოვდი, თუნდ ცოტა ხანი  
ჩახუტებოდნენ თავის სატრფოებს...  
მიფერებოდნენ, ეთქვათ სათქმელი,  
რაც დაუგროვდათ დაკარგვის შემდეგ...  
მერე კი ისევ ზეცას ავიყვან,  
ღმერთს შევავედრებ ქალებს უფროთოებს...

## პე რომ მინდა?

შენ თუ გინდა, დამივიწყე,  
 შენ თუ გინდა, სულ ნუ მოხვალ,  
 შენ თუ გინდა, დაგივიწყებ,  
 შენ თუ გინდა, მეც არ მოვალ.  
 შენ თუ გინდა, არ შემხედო,  
 შე თუ გინდა, არც მაკოცო,  
 შენ თუ გინდა, არ შეგხედავ,  
 შენ თუ გინდა, არც გაკოცებ.  
 შენ თუ გინდა, გამიბრაზდი,  
 შენ თუ გინდა, ხმაც არ გამცე,  
 შენ თუ გინდა, გამებუტე,  
 შენ თუ გინდა, ხმას არ გაგცემ.  
 შენ თუ გინდა, მომეფერე,  
 შენ თუ გინდა, არც შემეხო,  
 მე რომ მინდა მოფერება  
 და მაგ თვალებს რომ შევეხო?!

## სუკვილი

ხანდახან მინდა, თოლია ვიყო,  
 გადავიფრინო ლივლივა ზღვაზე,  
 ხანდახან მინდა, ქორიც კი ვიყო  
 და გავიტაცო ოცნება ცაზე...  
 ხანდახან მინდა, არწივიც ვიყო,  
 აჟრიალებდეთ ჩემს დანახვაზე...  
 უფრო ხშირად კი იმის ფიქრი მაქვს,  
 მწყერი ვიყო დ აფრენილს  
 მკლავდენენ!..

## ქმარი

ჰო, მიყვარს, რით ვერ გაიგეთ,  
ამდენი წელი, ამდენი ხანი...  
ჰო, მიყვარს, როგორც არავის  
არ ჰყვარებია ამქვეყნად არვინ!  
ჰო, მინდა, გადამავიწყდეს,  
ალარ მსურს ამდენი დარდი...  
ჰო, ამოვიგლეჯ, სადმე გავუშვებ,  
რომ დამანებოს თავი!  
ჰო, მსურდა მისი სხვით შეცვლა,  
მეც ხომ ქალი ვარ, ქალიიიიი!  
ჰო, დავაპირე სხვაზე მეფიქრა...  
არ დამანება თავი!  
ჰო, მიყვარს, რით ვერ გაიგეთ,  
სულ ეს მაჩერებს წამით...  
ჰო, ქმარი იყავ ჩემი და  
დღესაც ხარ ჩემი ქმარი!



გულნაზი  
საკაიუშვილი

## ფუბკარი

ყველა მწერებში გამოგარჩევდი  
 ფუტკარო, შენი სარჩო-საგზალით.  
 სიტყბო რომ იყოს დედამინაზე,  
 თაფლს, შენგან შექმნილს, ყველგან ვაგზავნი.  
 შენი მტვერიც ხომ სამკურნალოა,  
 ნექტარს გთავაზობს ყველა ყვავილი.  
 სკა, შენი სახლი, თაფლის კალოა,  
 შრომობ და შრომით არ ხარ დაღლილი...



## კახას შევუსვალე ფერი

კახას შევუსვალე ფერი,  
ლურჯი შევუხამე სევდას,  
ობოლს გამომიცხვეს კვერი,  
რადგან აღარ მყავდა დედა.  
ძმების იმედებად დავრჩი,  
ქმარიც გამიფრინდა ცაში,  
ბედი შავ სამოსელს მაჩრის,  
ჰოდა, გადავყარე მტკვარში.  
სკივრი გადავხსენი ძველი,  
ჭრელი მოსაცმელი ვნახე,  
ისევ ცრემლით იყო სველი,  
ბედმა სხვაც დამიგო მახე,  
მახე, სეტყვის კაკლით სავსე,  
ყველა ტკივილებზე მწარე...  
ნეტავ, მოვეკალი ბარემ!  
ვივლი თოვლიანი იღბლით,  
ბედს კი გამოვგუდავ ცრემლში...  
მიტომ მოვიშორე სევდა,  
შავი რაც კი მქონდა სახლში,  
გავხდი ყველას დიდი დედა,  
ბედთან აღარა ვარ ვალში!..



ეკა  
ხვანავაძე

## დღე ხვალინდელი

ქვეყანავ ჩემო, სადაცა ვარ, დღეა თუ ღამე,  
მიჭირს თუ მიღბინს, სად მატარებს დღე და წუთები,  
მანვალეებს ფიქრი – ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს  
და არ მშორდება, არ მასვენებს შენზე ფიქრები.

ყოველი გოჯი მინა მტკივა ჩემი წინაპრის  
სისხლით მორწყული და უღმერთოდ გასხვისებული,  
აბა, ახალი როგორ შევქმნათ? – მითხარ, უფალო,  
წარსული ჩვენი თუ იქნება დავინყებულები?!

მე ხვალინდელ დღეს, მსურს, იმედით რომ ვუყურებდე  
და აღარ მინდა გულზე მქონდეს კვლავ შიშის ბზარი,  
ეს საქართველო საქართველოდ მინდა რომ დარჩეს,  
ჩვენს შვილებს ჰქონდეთ ღირსეული წინ მომავალი.

## ქუშპარიზება

ამქვეყნად მოვედი განგების ნებართვით,  
მივყვები ცხოვრების შეუცნობ მართონს,  
გზაზე მელობება მღელვარე კითხვები,  
პასუხად ფიქრები ფიფქივით დამათოვს.

არ მიყვარს მიბაძვა, რას იზამ, ასეა,  
სხვა ფიქრობს სხვაგვარად, რაც მე არ მჩვევია,  
უფალო, მაღლობა, ჩემს აზრს რომ არ ვიცვლი,  
მე მხოლოდ ის მიყვარს, რაც მართლა ჩემია.

მე აქ დავიბადე... აქ ვსახლობ მიწაზე,  
ზოგს კი ეჩვენება – მოფრინდა მთვარიდან,  
უფრთხილდი იმ ფესვებს, ეკლისაც რომ იყოს,  
ვარდი არ იქნები, იწყები გვარიდან.

## ქეთევან დედოფალი

უფალი კვლავ მოგვივლენდეს  
ქეთევანისებურს,  
ღვთისმოსავს და უფლის მორჩილს,  
ამაყს, თავდადებულს.  
მკერდს შანთავდნენ, ანამებდნენ,  
მტერს უსწორა მზერა,  
არ მტკივაო არაფერი, სული  
დააჯერა.  
იდგა, როგორც მაღალი კლდე,  
დედოფალი ქალი,  
ვინაც უფლის სიყვარულში  
სული გააჯერა,  
ვერ გატეხეს, ვერ დათრგუნეს,  
მტერს უსწორა თვალი,  
ყაყაჩოს ველს მიუგავდა  
ნასისხლარი ტანი...





სიკა  
გულაშვილი

## ჩუსთავს

მინდა გიმღერო, ჩემო რუსთავო,  
საუკუნეთა თანაზიარო,  
მითიურია შენი ფესვები  
და ამ წარსულით ენამზიანობ.  
ჩემი მთვარე ხარ, ფიქრის სავანე,  
მადლით მოსილო ტკბილო საუნჯევე,  
ქართული სულის გამოძახილო,  
ყველა სათქმელს რომ შენთან აუნჯებს...  
მრავალ ქარტეხილს შემოუნახავს  
ძველი ციხე და ნაქალაქარი.  
როს მონატრება თვალებზე მანვიმს,  
შვება სულისა მხოლოდ აქ არი.  
შემოუქროლებს ნიავი ტაძრებს,  
გარდასულ დღეებს თვალწინ გაუშლის...  
გულში ანთიხარ, ჩემო რუსთავო,  
ამ დიდ სიყვარულს ვერავინ წაშლის!

## ჩემო ანბანო

შენთვის ვლოცულობ, ჩემო ანბანო!  
 ზე ამინვდია ცისკენ ხელები.  
 გულში ამინთე კელაპტარი და  
 ვარ სიყვარულით განახელები.  
 შენს სასთუმალთან სძინავს სალამოს,  
 უფლისა სიტყვით ენამზიანობ.  
 გახსენ წარსული იბერიელთა,  
 ჭეშმარიტებას რომ გვაზიარო.  
 დაუშრეტელო მირონდინებავ,  
 გარს ანგელოსთა ნათელი გმოსავს.  
 სამეგობის ძალით წუთისოფელი  
 შენით მოელის მეორედ მოსვლას.  
 ქართული სიბრძნის ნეტარება ხარ,  
 სულიწმიდისა ფერთა მშვენება,  
 ღვთივკურთხეულო, ამა სოფლიდან  
 არ გიწერია გ ა დ ა შ ე ნ ე ბ ა !



ნიელი  
გვინაჟილი

## ჭოჩოგა

დარდიანიაო, ნაღვლიანიაო...  
მცინარი თვალები კი აქვს...  
მაგას გვირილები შეჰყვარებიაო,  
რამ გადარიაო, უთქვამთ.  
ნაიჭორავებენ ცელქი ჩიტუნები,  
ბუმბულს აიშლიან ურჩად...  
ლექსები თუ უყვარს,  
გვირილებს თუ უცინის,  
დარდიანიაო, ვინ თქვა?!

---

മുഹമ്മദീയ നവോദയം





## ია სულაბერიძე

ალექსანდრ პუშკინი

### მე თქვენ მიყვარდით

მე თქვენ მიყვარდით... ტრფიალი იგი  
მთლად არ მიმქრალა სულში, ეგების,  
თუმცა, თქვენ ამის არ გქონდეთ ფიქრი, –  
მე თქვენს სიმშვიდეს არ შევეხები.

უსასოოდ და სიტყვის უთქმელად  
მიყვარდით – კრძალვით თუ იჭვით სავსეს,  
მიყვარდით ისე ნაზად, გულწრფელად,  
რომ ღმერთს ვთხოვ, სხვასაც უყვარდეთ ასე...

## ანა კერისაღვი

ჩემ თვალნინ იდგა შენი მშვენება! –  
 იმ წამის ხსოვნა მარად ჩემია,  
 გჭვრეტდი, ვით შორად გამკრთალ ჩვენებას,  
 ვით სილამაზის უქრობ გენიას...

ქანცის გამწყვეტი ნაღველიც მერგო,  
 – ამაოების შფოთით ნამებაც,  
 და მდევდა დიდხანს ნაზი ხმის ექო,  
 და მდევდა ნატიფ ნაკვთთა ზმანება...

გამოხდნენ წლები... ძალუმ ქარიშხალს  
 გადაურეკავს ჩემი ნატვრები,  
 მე მიმავიწყდა შენი ნაზი ხმა  
 და ზეციური შენი ნაკვთები...

და ვით დილეგში, უმზეოდ, უხმოდ,  
 დღეები ერთურთს ებმოდნენ მხოლოდ, –  
 უშთაგონებოდ, უცრემლოდ, უღვთოდ,  
 უსიყვარულოდ და უსიცოცხლოდ...

და, ჰა! – დაბრუნდა შენი მშვენება! –  
 სულს ჯერ სიფხიზლე შემორჩენია!  
 და გჭვრეტ, ვით შორად გამკრთალ ჩვენებას,  
 ვით სილამაზის უჭკნობ გენიას!

კვლავ ნეტარებით აძგერდა გული,  
 ერთად შეირხა და აღდგა მკვდრეთით:  
 სიცოცხლეც, ცრემლიც და სიყვარულიც,  
 ზეშთაგონებაც და – თვითონ ღმერთიც!

## სერბი ესენი

\* \* \*

რა მოხდა, თუკი სულ სხვამ დაგლია,  
მე მაინც დამრჩა ქალი, რომლისაც  
დალალთა ბზინვა მინის კვამლია  
და თვალნი – დაღლა შემოდგომისა.

ო, შემოდგომის ასაკო, ახლა  
ზაფხულზე მეტად გაფასებ, ვგონებ,  
შენ უყენიხარ სიყრმეზეც მალლა  
წარმოსახვების და ფიქრის პოეტს.

გული არასდროს იცრუებს ჩემი,  
და ვამბობ ტრაბახნარევ გრძნობებით  
და შეუვალი, ვით განაჩენი,  
რომ ხულიგნობას ვემშვიდობები!

გავშორდე, დროა, სიგიჟეს ჩემსას,  
და – სიმამაცის თავნება განცდას,  
დღეს სხვა სასმელი ამ გულმა შესვა –  
მაფხიზლებელი სისხლის და აზრთა.

ვუსმენ სექტემბერს, როგორც სარკმელთან  
კაკუნს ტირიფის მენამულ ტოტის,  
რომ მოვემზადო მის შესახვედრად,  
რომ მოსასვლელი არის და მოდის.

უკვე რაოდენს გული კარს უღებს,  
დაუძალებლად ვიტან რაოდენს,  
სულ სხვაგვარად ვჭვრეტ მე ჩემსას, რუსეთს,  
ჩემს ქოხებსა და სასაფლაოებს...

მიდამოს მზერას ვარ მინდობილი,  
აქაც, იქაც და ყველგან! – ვხვდებოდი,  
რომ მხოლოდ ერთი, დაც და დობილიც  
პოეტისათვის შენ გახდებოდი,

რომ მხოლოდ შენთვის შემეძლო მღერა  
მარად წინმავალს, გულთა ნდობაზე,  
მასზე, რომ გზებზე ბინდია ჯერაც  
და – ჩემგან წასულ ხულიგნობაზე...

## ანა ახმატოვა

\* \* \*

ოცდაერთი. ორშაბათი. შელამება.  
დედაქალაქს გავცქერ, ბინდში გამოსხვეულს.  
რომ არსებობს ქვეყანაზე შეყვარება, –  
მოაფიქრდა ვილაც საქმეგამოლეულს.

ჰოდა, სხვებმაც, მოწყენით თუ სიზარმაცით,  
სიყვარულის არსებობა დაიჯერეს,  
იჩქარიან პაემნებზე, აკრთობთ მარცხი,  
სატრფიალო სიმღერები აიჩემეს.

მაგრამ იწყებს საიდუმლოც ახდას ფარდის  
და რჩებიან მდუმარების ანაბარა,  
ამას ერთხელ უნებლიეთ გადავანწყდი  
და მას შემდეგ თითქოს მუდამ ავადა ვარ...

## ნიკოლაი გუმილიოვი

### ექვი

ამ მარტოსულად გატრუნულ და ეულ საღამოს  
მე უნდა თქვენზე, დიახ, თქვენზე ფიქრმა დამღალოს.

მიპყრია წიგნი, თუმც, თქვენს სახელს ვკითხულობ აქაც  
და ჩემი სული, გაბანგული, ბობოქრობს კვლავაც...

მივწვები, მაგრამ ჭრიალებს და კენესის ლოგინი,  
ბალიში – მწველი, შორად – ძილი, ახლოს – ლოდინი.

და ფეხაკრეფით მივადგები ღამეში სარკმელს,  
ავხედავ მთვარეს, ველს გავხედავ, აღმურს რომ აფრქვევს.

იმ ყვავილნართან თქმული „დიახ“ მომაგონდება,  
ის ერთი „დიახ“ არასოდეს რომ არ მშორდება...

მაგრამ გონებამ მომახალა უცებ ფიქრები, –  
ასე დამყოლი არც ყოფილხართ, აღარც იქნებით.

ის თქვენი „დიახ“, კოცნა ფიჭვთან, კრთომა და თრთოლვა  
ყოფილა ოდენ გაზაფხულის და სიზმრის ბოდევა...

## კონკვისტადორი

სონეტი

როგორც კონკვისტადორი, რკინის მტკიცე აბჯარში,  
გზას ვადგავარ, მივდივარ მხიარულად, მარდად,  
ხან თუ ლხინის ბაღში ვარ, შევისვენო რათა,  
ხან უფსკრულზე ვკიდივარ დარშიცა და ავდარშიც...

ცას, ისედაც ბუნდოვანს, უვარსკვლავოდ გადაშლილს,  
ნისლი ფარავს, ხოლო მე ვიცინი და ვიცდი,  
მჯერა ჩემი ვარსკვლავის, არ დამტოვებს, ვიცი,  
მე ვარ კონკვისტადორი რკინის მტკიცე ჯავშანში...

და თუ ქვეყნად არავის შესძლება, მგონი,  
გაენწყვიტა, გაეხსნა ჯაჭვის ბოლო რგოლი,  
დე, მოვიდეს სიკვდილი ნებისმიერ იერით!

მასთან უნდა ვიომო ბრძოლის ჟინით სავსემ,  
ეგებ, ლურჯი შროშანი, სასურველი ასე,  
მომაკვდავის ხელებით მოვწყვიტო, მშვენიერი...



მალხაზ  
კვინიკაძე

ფრანგი პოეტები

ფრანგულიდან თარგმნა მალხაზ კვინიკაძემ  
პოლ კლოდელი

\* \* \*

დრო გაპარულა სადღაც...

აი, ჩათავდა მარტიც.

ჭაბუკი უკვე არ ხარ, ასეა დროის წესი.

– მით უარესი, თქვა მან, და თან – მით უკეთესი!

აი, ჩათავდა მარტიც

და ნოემბერიც ცივი.

სად არის შენი მგლის მუხლი, შენი თვალების კვესი?

– მით უარესი, თქვა მან, და თან – მით უკეთესი!

და სიყვარულიც გაქრა!

და ყრუ მოხუცი გახდი!

დამთავრდა დღესასწაული, ყველგან იმედის მთესი!

– მით უარესი, თქვა მან, და თან – მით უკეთესი!

იქით გზებია მკაცრი

და სიკვდილია ნალდი.

და ახლა ყველა ნაბიჯი სახიფათოა შენთვის.

– მით უარესი, თქვა მან, და თან – მით უკეთესი!

დრო გაპარულა სადღაც

და ყველაფერი მორჩა –

და დაგვრჩა რწმენა ღმერთის!

– მით უარესი, თქვა მან, და თან – მით უკეთესი!

ალფრიდ დე მიუსე

სევლა

ვკარგავ ძალას და სიცოცხლე მიჭირს,  
 ვკარგავ მეგობრებს და დროსტარებას;  
 უკვე დავკარგე ამპარტავნება, –  
 რომ სწამდა ჩემი უბადლო ნიჭის.  
 როს ჭეშმარიტი შევიცან სიტყვა,  
 ერთგულ მეგობრად მივიღე იგი;  
 როცა ვიგრძენი და როცა მივხვდი,  
 მე მისგან უკვე დაღლილი ვიყავ,  
 და მაინც, იგი არის მარადი,  
 და ყველა, რაც კი მასზე გადადის –  
 უარგვიყვია აქ, დაბლა, ჩვენთან.  
 ამბობს და პასუხს მოითხოვს ღმერთი  
 და რაც მე შემრჩა – ის ერთადერთი,  
 საუბარია საკუთარ ცრემლთან.

პიერ დე რონსარი

\* \* \*

გაზაფხულს ყვავილი არა აქვს იმდენი  
 და არც შემოდგომას იმდენი ყურძენი,  
 არც ზაფხულს სიცხე, მდალავი ყოვლის,  
 არც ზამთრს არა აქვს იმდენი თოვლი,  
 და არც იმდენი თევზია ზღვაში,  
 და არც იმდენი თმის ღერი თმაში,  
 არც ქვიშა იმდენი ბრეტანის მხარეში,  
 არც ომში იმდენი სიკვდილის თარეში,  
 არც ღამეს იმდენი ვარსკვლავი ცაზე,  
 მტვერიც კი არაა იმდენი გზაზე, –  
 რამდენ ტანჯვასაც ატარებს გული,  
 შენდამი ტრფობით გაგიყებული.



გიომ აპოლინერი

\* \* \*

ახალგაზრდობის გახუნდა წლები  
როგორც დამჭკნარი გირლიანდები  
აი დამდგარა უკვე სეზონი  
ექვებისა და არადჩაგდების

მოგონებების პეიზაჟს ვუმზერ  
იმ შეცდომების მტანჯავს ნალველი  
და ჩამომსხდარან ხის ძირას კუნძზე  
კლოუნი კიდე ვილაც გამველელი

ხელმა მოხვეტა თაროს მტვერი და  
რევილვერს მისწვდა დადგა მომენტი  
და ილიმება სადღაც ბნელიდან  
ახალგაზრდობის ძველი პორტრეტი

გატეხილ შუშას ანვალებს ქარი  
შეშლილი სახე ადამის ტომის  
და თავისთავთან ეულად მდგარი  
თავის წარსულს და მომავალს შორის

ახალგაზრდობის გახუნდა წლები  
როგორც დამჭკნარი გირლიანდები  
და ახლა ლოცვა გვმართებს უფლისა  
დროა სიბრძნის და სინანულისა.

პოლ ვერლენი

## ღონ კიხოგს

ო, დონ კიხოტო, ძველო რაინდო,  
გახდი საცინლად მდაბალთა, ბილწთა,  
ცხოვრება შენი სანთლად აინთო  
და მოკვდი ისე, ვით მსხვერპლი წმინდა.


მე შენს ნაკვალევს მოვდევ აქედან,  
დღეს უფრო მეტი ფლიდი გვხვდება.  
ნეტავი ერთი წამოგახედა,  
რამდენი ქარის წისქვილებია.

და პოეტები მოგყვებით ყველა,  
შთაგონებულნი შენით, და გვჯერა, –  
შენი სიმართლე სხვია მზისა.

მიუხედავად ყველა ლალატის, –  
დროშა მაღალი პოეზიისა  
მხოლოდ რჩეულთა ხელში გადადის.

---

ଶିକ୍ଷା



გიორგი  
ჯაშვილი

## სიყვარულს რას გავუგებ...

სტოკჰოლმის უბირველეს სასტუმრო „შერატონის“ ფეშენ-ებელური რესტორანი შტრაუსის ვალსს დაეპყრო. გგონია, მოცეკვავე წყვილები სადაცაა, აფრინდებიან. ბროლის ჭალე-ბის შუქში გახვეული ადამიანები თითქოს სადღაც, მაღლა მიისწრაფვიან. როცა სისხლში სასმელი და მუსიკის რიტმი უხვადაა, თან ლამაზი ქალბატონი გახლავს და მაცდურად გიღიმის, სულში მხოლოდ სიყვარული მეფობს და მაღლა გენ-ევა. მეშვიდე თუ მეცხრე ცაც აქვია, ერთი ხელისგანვდენაზე...

– შეხე, – ოცნებას მომწყვიტა ჩემმა თანამესუფრემ, საფერ-ფლეში სიგარეტი ჩააქრო და თვალებით დარბაზის სიღრმეში მიმანიშნა. ლარისას მზერას თვალი გავაყოლე, მაგრამ განსა-კუთრებული ვერაფერი შევნიშნე.

– მარტოდ რომ ცეკვავს, აი, აგერ, ჭალარა კაცი, იმ მაღალ ქერა წყვილს რომ გამოსცდა...

საუკუნის ტვირთით გვარიანად მხრებდამძიმებული, მაგრამ მხნე, კაფანდარა კაცი ჰყავდა მხედველობაში.

– თითქოს მენწყვილე ოდნავ მოცილებული ჰყავდეს... აი, ახლა კი, ლამის ერთმანეთთან შესისხლხორცდნენ, სუნთქვაც კი ერთი აქვთ, რა მსუბუქად დაჰყავს, რა ფრთხილად. მანდილოსანიც რა ჰაეროვანია, ნარნარი, მერედა, რა ლამაზად ცეკვავს...

რა თქმა უნდა, ლარისას ნათქვამი ოხუნჯობად ჩავთვალე, რამეთუ კაცი მარტო იყო. მაინც რა ფანტაზიით შექმნა ძველი

ყაიდის ბანოვანი, თუმცა, ყველაფერი თითქოს ისე ჩანდა, როგორც ლარისამ აღწერა და მეც დაბნეული მივჩერებოდი შავად შეღებილ, წამწამებს შორის მომწყვდეულ მის მოციმციმე თვალებს.

– შენც ხომ არ ისურვებდი მასთან ცეკვას, ასეთ კავალერს ძნელად იპოვი! – იჭვნეული ღიმილით ვკითხე.

– და გგონია, მოისურვებს? ყოველთვის მარტოა თავის სამყაროში, გარემოსთან მხოლოდ მუსიკა აკავშირებს... თან ასე გატაცებით ცეკვავს. აბა, კარგად დააკვირდი მის დახვეწილ მანერებს. მენწყვილე უხილავი ქალბატონის სინარნარეს... აი, მისი წაბლისფერი თმის სურნელსაც არ გრძნობ განა?!

ლარისა ამ სიტყვებს რალაცნაირი შთაგონებით წარმოსთქვამს. იგი თვითონაც ძალზე მომხიბლავია, ჰაეროვანი. წუთით მოცეკვავეებზე ფიქრს განვერიდე და ქალს წელზე ხელს ვხვევ, ვეთბილები.

– ეტყობა, მის შესახებ ბევრი რამ იცი, – ვეკითხები მოგვიანებით.

– ეს მთელი ბალადაა...

– ალბათ, სევდიანი ამბავი იქნება, შეიძლება ტკივილიანიც, ოცნებებს წუ დაიმძიმებთ, პატარა ქალბატონო! – ჭიქა მივუჭახუნე და შნაპსი მოვსვი.

ლარისამ შეიფერა ჩემი ქათინაური, ან იქნებ საერთოდ ვერც გაიგო, თვითონაც მოსვა სასმისიდან. სახეზე მეოცნების საოცარი ღიმილი და სიკეთის არილი დასთამაშებდა. მის მზერას თვალი მივაყოლე და კვლავ კენტად მოცეკვავეს წავანყდი. მე თუ მკითხავთ, ფრიად უხერხულია ასე ცეკვა, რაც უფრო მეტად ვაკვირდები, მით უფრო კომიკურად, სიგიჟედ მეჩვენება ამ კაცის მარტოდ ბორიალი... არადა, აქ მისთვის არავის ეცალა, ადამიანები მასკარადზე მარტონი ვერ იქნებიან, ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად მაინც. ძნელია ასეთ დროს მარტო დარჩე, განიკვეთო ყველასაგან და შენს სულს ელოლიავო. აქ ხომ ჯადოქარი მუსიკა ბობოქრობს, ხან ქარიშხლის ფრთებით ნავარდობს, ხან ბულბულის ხმასავით მინაზდება. აჰა, კიდევ ერთი აკორდი დასრულდა. სახეაღღვარებული მამაკაცები თავაზიანად მიაცილებენ თავიანთ მანდილოსნებს, თვალებში შესცივინებენ, როგორც იტყვიან, ნიავს არ აკარებენ. იმ მარტოხელამაც, ჭალარა

ასე რომ უბრწყინავს, გამორჩეული სათნოებით, მონინებით მიაცილა წარმოსახვითი ქალბატონი, ოდნავი თავისდაკვრით თითქოს მადლობა გადაუხადა და გვერდით მიუჯდა.

რას არ გადაეყრება ადამიანი! ეტყობა, აფრენს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ლარისას ვერ შევებდე ამის თქმა... მეორე კვირაა, რაც „შერატონის“ ბინადარი ვარ, ეს ამერიკული ფეშენებელური სასტუმრო, სტოკჰოლმის ძველ კვარტალში, ამჯერად მე მეკუთვნის. დიახ, დროებით, მაგრამ ახლა ჩემია ეს ბრდღვიალა რესტორანი, ათასი ჭალით მოლიცლიცე, ჩანჩქერებად ჩამოპირქვავებული ბროლის სტალაქტიდებით. ჩემია ეს მუსიკა, ასე რომ აჯადოებს აქაურობას. ჩემია ლარისა ბერმანი, ეს საოცრად ნაზი ქმნილება, ჩრდილოეთის ნამდვილი ფერია და ეს ღამე, რომლისთვისაც ღირდა ამქვეყნად გაჩენა...

ო, ლარისა ბერმან, შენ რომ შეგხვედროდი, თითქმის ოთხი ათასი კილომეტრი ვიფრინე, ლითონის მძლავრი ხომალდი რამდენიმე საათის განმავლობაში ცის თაღზე ეკიდა და მეც მშვიდად ვიხედებოდი ილუმინატორიდან. თავზე უსაშველოდ მრუმე ცა, შიშისმომგვრელი უძირო ზესკნელი გვეხურა. მნათობები აქედან უფრო პირქუშად გამოიყურებიან, ცივი და მიუკარებელნი ჩანან. განსაკუთრებით ერთი მათგანი ძალიან შორსაა, სადღაც, უკიდურეს ჩრდილოეთში. მე მასში შენ შეგიცან, თითქოს რაღაცით გგავს და რაოდენ გულსატკენია ყოველივე იმის მტკიცება, მუხლმოყრილის ფიცი და ცრემლი საჭირო რომ აღარაა, მაგრამ ცხადზე უცხადესია, ამ წუთებში უღმერთოდ მიყვარხარ. ჩვენ ვგრძნობთ საუკუნის მაჯისცემას და უსიტყვოდ მივყვებით ბუნების კარნახს. ჰოდა, ამ აღსასრულის იისფერ ციალში ღღვებიან ჩვენი სულები.

სტოკჰოლმის ეს საღამო და ის ბედნიერება, რომელსაც ამჟამად ვფლობ, შნაპსის ცეცხლში შეზავებულია. ეს ჯადოსნური ნათურებით მოვარაყებულ დარბაზი, თურმე, ამერიკელ მილიონერს ეკუთვნის. ის ფულიანი, გაბღენძილი ძია, ვისაც ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად არ მიაჩნია, წელს არ ჩამობრძანდა, ჩერნობილმა დააფრთხო, რადიაციას დაემალა. სასაცილო კია, კაცობრიობას ატომური ბომბით ემუქრებოდე, თვითონ კი ქარის თუ ღრუბლის მოტანილ მტვერს უფრთხოდე.

ასე რომ არა, თავდავიწყების ბურუსში და სიგარეტის კვამლში გახვეული ეს ღამე, ალბათ, ჩემი არასდროს იქნებოდა... ამ-

ჯერად ჭიქა განთქმული ფრანგული ღვინით შევავსე. შნაპსს ლარისას ხათრით მივეძალე. რატომღაც ის ამ თეთრ სითხეს არჩევს, რა გაენწყობა... თორემ ეს ფრანგული ქინძმარაულივით შავია და ვნების მომგვრელი. სისხლსაც ისე აჯანყებს, ალბათ, სხვა დროს ვერც იმას შევიტყობდი, ქართული ვაზის ნაჟურს რომ ვერაფრით სჯობია.

ფრთხილად მიჭირავს ლარისას მარჯვენა, იგი სანთლისაგან ჩამოსხმულს ჰგავს და მის მკლავებზე ცისფერი ძარღვები თრთიან, თითქოს გზნებით მავსებენ. ერთმანეთს უხმოდ ვუგებთ. ახლა უკვე გულები საუბრობენ, სიფრიფანა სხივების ძაფებს ქსოვენ. მერე ვნებას მიჯაჭვული ჩავინთქმები თავდავინწყების უფსკრულში.

შენ რაღაც საოცარი მასალისაგან შეუქმნიხარ შემოქმედს, მზის ფცქიალით აუფსია შენი ცისფერი თვალები, სახესაც ყვავილის ღიმილი გიკასკასებს... ვხედავ, შურით მომჩერებიან შენი თანამოქალაქენი, კავკასიელი რად ეპატრონებაო ჩვენს საუნჯეს. შედეგები ცივი ხალხიაო. არიან კი? შენში იმდენი ცეცხლია, მიკვირს, რად არ ლღვებიან შენი ქვეყნის ყინულოვანი მთები!

სამოთხე... მერედა, სად არ ეძებდნენ მას? იგი ხომ აქვეა, შენს გვერდით, შენს ირგვლივ. ო, ლარისა ბერმან, მეჩვენება, რომ დრო შეჩერდა. მარადისობის უკიდევანო სივრცეში ხომ არ გავირინდებით? მაგრამ არა, შენს პანია მაჯაზე დროის ციციქნა ელექტრომრიცხველი ციმციმებს და ჩქარობს. ჟამის სრბოლავის შეუჩერებია, რომ ჩვენ მოვთოკოთ ნუთები. ჭიანჭველებმა რომ იციან, იმგვარად, ერთმანეთს გამოკიდებულნი მიიჩქარიან ჩვენი საუკუნის საოცრებებით დატვირთულნი, თავიანთი უსახური ზურგით მიაქვთ ლხინი და ვარამი, სიხარული და დარდი.

თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, ლარისამ საათს დახედა. მერე წამით შეშფოთდა, იქნებ ქმარი გაახსენდა, იქნებ შვილი... არა უშავთ, ისინი ერთმანეთს მიხედავენ. იციან, რომ დროს უქმად არ დაჰკარგავს... უმალ მშვიდდება. მერე საცეკვაოდ ვინვევ. ლარისა მორიგ სიგარეტს აქრობს, სწრაფად დგება, ტანზე შემოტყევილ ცისფერ კაბას იხალვათებს და ჩვენც უკვე საერთო ფერხულში ვითქვიფებით. ზღვის აქაფებულ ტალღებს მივყვებით, მუსიკის ქარიშხალს რომ აუგორებია, მერე თავის ნებაზე გრავნის და უნაპირო სივრცეში შხეფებად ამსხვრევს...

მუსიკამ კვლავ მთელი ძალით იფეთქა, ერთბაშად ამოზღვავდა. ვეებერთელა დარბაზის ყველა კუთხე-კუნჭული დაიპყრო და აახმაურა. კვლავ დაწყვილდნენ სუფრებიდან წამოშლილნი. მე კი, ჩემდა უნებლიეთ, დავეძებ იმ მარტოხელას, ჩემს ფიქრებში მარტოსულს. აი, ისიც, მუსიკის ტაქტს ნარნარი მოძრაობით გამოჰყვა, თითქოს ხელისგულზე პეპელა უზის და ეშინია, სუნთქვამ ფრთები არ დაუზიანოს. თითქოს ყვავილების წალკოტში მიიჩნევა, მლოცველის მოკრძალებით ესათუება თავის მენყვილეს. მერე მუსიკა მძაფრდება, მაღალ ბგერებზე გადადის და აღმაფრენაც უმაღლეს წერტილს აღწევს. ტანის მოქნილობა, ელეგანტურობა, რაინდული შემართებაც კი გამოსჭვივის ამ მოძრაობაში, სადღაც, შორს, მეტოქისაკენ მიმართული მახვილი რომ აარიდოს მის სათაყვანოს. ახლა მას გულში იკრავს, უსიტყვოდ, უხმოდ ამშვიდება: ნუ, ნუ, ჩემო ძვირფასო, შენ ნურას იდარდებ, იცეკვე, ინარნარე ნებივრად, სიზმრების იისფერ უსასრულობაში იცურავე გედის სილაღით.

ღმერთო დიდებულო, მაინც რას ნიშნავს ყოველივე ეს. მართლაც და, ჭკუაზე თუა?! ნუთუ ამდენ ხალხში ვერავინ იპოვა, ეცეკვოს, გაიყოლოს, გულის ხვაშიადიც გაუზიაროს?! აგერ, ჩემს პირდაპირ, მაგიდას სამნი უსხედან, განსხვავებული ასაკის, სილამაზის, აღნაგობის... მარტოხელა მოცეკვავეს ისე შეჰყურებენ, შორიდან ელაციციებიან, ლამის წამოფრინდნენ სკამებიდან. ოღონდ ინებოს და გაჰყვებიან კი არადა! მაგრამ კაცი თავის მენყვილეს, ჩემთვის არარსებულს, სადღაც შორეულს, ისე შესციცინებს თვალებში, ალერსით, სათუთად... აი, ახლაც საოცარი სიფრთხილით მოუნაცვლა წელზე ხელი, მერე წამით ისევ ერთმანეთს ჩაეხუტნენ... რომ არა მამაკაცის მარცხენა ლოყის ალისფერ ნაიარევი შეფუთული უსაზღვრო სევდა, ალბათ, ავხარხარდებოდი.

ლარისა მშვიდად იღიმება, სიამოვნებით ვეცეკვებოდი, ცეკვის ჯადოქარი... მე ვეჭვიანობ, აზიელის სისხლი ჯანყდება, ვემუქრები. მერე მორევში ვბრუნავთ, ტალღები გვარწევენ, ხან ქოჩორზე მოგვიქცევენ, ხან მის უბეში ვიძირებით. მარტოხელა კაცი თვალსაწიერიდან მეკარგება, თუმცა, უეცრად ისევ ჩემს თვალწინ ამოტივტივდა. ასაკისათვის შეუფერებელი, დაუჯერებელი სიმკვირცხლით, მარდად დატრიალდა, რამდენიმე



ბრუნი გააკეთა, მერე წამით დასცილდა მენწყილეს... მხოლოდ მარჯვენა ხელის თითებით ეხებიან ერთმანეთს. ქალს ხელი თავს ზემოთ სათუთად გადაუტარა და ისევ შეერთდნენ...

– ღმერთმანი, ეს კაცი გადმრევს, უკვე ნერვებს მიშლის, – მეგონა გავიფიქრე, ხმამაღლა ამის თქმა არ მინდოდა.

– ნუ განსჯი ეგრე. რა იცი, საიდან მოდის, ქარიშხალგამოვლილია, ნამეხარსა ჰგავს, ხორცისა და სულის ნგრევაგადატანილის, ომის კვამლისა და დენტის სუნი ისევ რომ ასდის...

შვეციამ, რისი გაღებაც შეძლო, ყველაფერი უხვად გვიფეშქაშა – უშურველად დაგვატკბო თავისი სილამაზით, სიმდიდრით, სიცივიტით, დიადი წარსულითა და ტრადიციით... დიდი კონტრასტების ქვეყანააო, უკიდურეს ჩრდილოეთამდე გადაფენილი, ტბებითა და მდინარეებით უბესავსე, საზღვარშემოურაგვავი.. ჩვენთან გლეხი არ არის, საკუთარი ეზო მესერიტ, ქვაყორით, მავთულბადით არ ჰქონდეს შემოლობილი, დარაჯად ქოფაკი ძაღლიც თუ არ ჰყავს, ვერ მოისვენებს. აქ კი, სახელმწიფოს საზღვარზე, სიფრიფანა ძაფიც არ აქვთ გაბმული, ჩიბუხიანი დარაჯიც არ უდგას. ორი საუკუნეა, ომი არ უნახავთ.

რესტორანში კი ათასი ჯურის ხალხია, ზოგი მეზობელი ქვეყნიდან, ზოგიც ძალზე შორეული, თანაც ურიცხვ-უთვალავი, მაგრამ მასპინძლებს ფეხებზე ჰკიდიათ მათი აქ ყოფნა. ვინ ხარ, რა ხარ, რისთვის და საიდან მოსულხარ, კაცი არ გკითხავს და არც არავის ანალვლებს. იქნებ ეს კარგიცაა, მაგრამ მე მალიზიანებს. ჩემი სისხლი შეურაცხყოფილია და ჯანყდება. როგორ თუ არ მამჩნევენ, მე ხომ კოლხი ვარ, ლაზი ვარ, იბერი ვარ, მარტო ჩემი სადღეგრძელო! ჩემი ტრადიცია!..

– თქვენი ხალხი სულ სხვაა, განსაკუთრებული, სხვა სამყაროდან მოსულები მგონიხართ. მიყვარს თქვენი ქვეყანა!

ლარისას იჭვით ვუყურებ, გულთამხილველი ხომ არ ბრძანდები, ჩემო მშვენიერო, ან იქნებ ჯადოქარი ხარ, მაშ ჩემს ფიქრებს საიდან ხვდები, ნუთუ მათი გამოცნობაც შეგიძლია?..

– მე ბევრჯერ ვყოფილვარ თქვენთან, კიდეც ჩამოვალ!

აი, თურმე რა... ახლა უფრო მშვიდად ვცეკვავ, დარბაზში ნელი ტანგო ლივლივებს. ნყვილებიც ზანტად მიმოირხვეიან, მშვიდად, ნარნარით. ის წელანდელი ცეცხლი სადღაა, ან

მოდგაფუნე ტალღები? გრიგალი თუ ქარიშხალი მყისიერად ჩადგა: ბევრი ადგილზე ტოკავს, მხოლოდ ტოკავს და... ის ჭალარა, ეს საიმქვეყნიოდ ბარგჩალაგებული კაცი კი... ერთი ნახეთ, რა ნეტარება უნათებს სათუთად მოვლილ პირისახეს, თვალეში ნეტარების ბურუსი ჩაფენია, ნებივრად ეთაყვანება თავის მენყვილეს... ოჰ, როგორ ტკბება იმ მანდილოსნის სიახლოვით, მისი სხეულის სითბოთი. ის არად აგდებს უამრავ წყვილს, მის ირგვლივ რომ ცეკვავს... მაინც ვინ ბრძანდება მისი ოცნების ქალბატონი?..

– ხვალ დილით ოსლოში მივფრინავ, – მეუბნება ლარისა და მკერდზე მეკვრის.

– არ გაგიშვებ! – თავდაჯერებით ვეუბნები, – ვერსად ვერ ნახვალ, ასე მსურს, ასეც იქნება! თუ კი მოვისურვე, ვიცი, ასეც იქნება! რა თქმა უნდა, იქნება...

– თქვენ ნამდვილი რაინდები ხართ!

– ვინ ჩვენ?

– ქართველები, გამორჩეული ხალხი ხართ-მეთქი.

– მე რომ შენთან დავრჩე, უკან აღარ დავბრუნდე, ხვალ მაინც ნახვალ ოსლოში?

– წასვლით წავალ, მაგრამ მალე დავბრუნდები, – რაღაც სხვა ცეცხლი უკიაფებს თვალეში. მომწონს მისი გულახდილობა, საკუთარ თავისუფლებას აღმერთებს, აკეთებს იმას, რაც სურს, ცხოვრობს ისე, როგორც ნებავს. მისთვის ეს დედამიწა მართლაც პატარაა და სამყაროც თავის საკუთრებად მიაჩნია. მაგრამ მე ჩემი მცირე მამული მეძახის, მიყვივს, მიყიჟინებს, ჩქარა წამოდით. მე მისი მონა ვარ, მისი უღელი მადგას ახლაც, აქ, შორეთში, მისი კერიის ნალვერდალი ვარ, წინაპართა დანთებული ცეცხლის ნაპერწკალი... მე ვცრუობ, ლარისა, არც ეგეთი ვინმე ვარ, ყველა ცდუნებასა და სურვილს აყვავ.

ბოლო აკორდი... ისევ ბობოქრობს მუსიკა და უცნაური სურვილი მეზადება.

– მიდი, ეცეკვე, – ვეჩურჩულები ლარისას. სანამ მოხუცი წამოდგება, მიწადა, მივიდეს, ერთი ვნახო, როგორ შეხვდება ახალ პარტნიორს, ქვეყნად განა გაჩენილა მამაკაცი, თუნდაც ერთხელ ცდუნებას არ აჰყოლოდეს?!

– არ მინდა გავანანყენო, ვიცი, არ სიამოვნებს, სხვა დროსაც შევხვედრივარ, – ჯიუტად იმეორებს ლარისა.

– ოჰო, ვითომ? დავიჯერო, შენისთანა მშვენიერს უარს ეტყვის?

– შეიძლება უარი არ მითხრას, მაგრამ ცეკვისას ისე შეიცვლება, ცივი, ოფიციალური გახდება. დარბაზის რომელიღაც კუთხეს დამნაშავეს ღიმილით დაუნყებს ძებნას. თითქოს იმ ვილაცას ბოდიშს მოუხდის, აქაოდა, რომ დაგტოვე, მაპატიეო...

– მეტი აღარ შეიძლება, – მოთმინების ძარღვი მიწყდება, სათქმელი უნდა ითქვას და ლარისაც საიდუმლოს ფარდას ხსნის.

– განსაკუთრებული არაფერია. მას ჰყავდა თავისი ოცნების ქალბატონი. მერე ომი დაიწყო, ბედისწერამ სატრფო წაართვა, შეუბღალეს სინდისი, პატიოსნება. კაცმაც დატოვა თავისი სამშობლო, ომის შემდეგ სტოკჰოლმს, ჩვენს უმშვენიერეს ქვეყანას შეეხიზნა და ცხოვრობს ასე. როცა რესტორნისათვის საჭირო ფული მოუგროვდება, დიდებულ მასკარადს გაუმართავს თავის სატრფოს... ეგაა და ეგ.

– თითქოს ყველაფერი მარტივადაა, ზღაპარს ჰგავს, ძველებურ ზღაპარს... კოსმოსის ეპოქა ძალიან ჩქარა აჩლუნგებს ადამიანის გრძნობებსა და მეხსიერებას. ოთხი ათეული წელი, იქნება ცოტა მეტიც, ეჰე-ჰე-ჰეი, ესუბრები?! დიდი დროა, ჩემო მარგალიტო. შენ ხვალ იქაურ ჰაერს რომ შეისუნთქავ, ამქვეყნად ჩემი არსებობა მაინც მოგაგონდება?! დღეს ორმოცი წელი მრავალ საუკუნეს იწონის.

– და მაინც, ეს ყველაფერი სიმართლეა. მას ოცნებაშიც უყვარს ის და... – ჯიუტად მპასუხობს ჩემი მშვენიერი ქალბატონი.

შეცვბი, ლარისას მზერა მოვარიდე, სავსე ჭიქა ერთი ამოსუნთქვით დავცალე, მერე ქალის ხელი მოვძებნე და ნაზად მოვეფერე.

მუსიკა ისევ გრიალებდა, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო კლასიკა, ძველებური ვალსი და ტანგო. ამჯერად დარბაზს გრიგალისებური ხმები დაეუფლა. ცეკვა როკვასა და თავბრუდამხვევ ტრიალში გადაიზარდა, გიჟურ ხმებს მიჰყვა ყველა, მოხუცი და

ახალგაზრდა... ცეკვავენ გზნებითა და გაშმაგებით, საკუთარ ვნებაში აალებულნი ერთმანეთს უკვე აღარ ეკუთვნოდნენ. საზოგადოება დაირღვა, დაიშალა, დანანწევრდა. შიგადაშიგ ამწნევენ ერთმანეთს, ისე, როგორც სარკეში საკუთარი ორეული ირეკლება... ეგ იყო და ეგ. დარბაზი გრიალებდა და ზანზარებდა. მათ შორის არ იყო მხოლოდ ერთი. ის მარტოხელა მოცეკვავე აღარ ჩანდა...

არადა, კუპიდონისგან დაისრულებზე რა არ მსმენია, რა არ წამიკითხავს, მისი ისრისგან ნაიარევი მოაქჟამობამდე მეც არ გამმრთელებია, მაგრამ „შერატონელი“ მარტოხელას ამბავი თითქმის დაუჯერებელ ზღაპარსა ჰგავდა...

და მაინც, მარტოხელა კაცის სიყვარული ღვთისგან ბოძებული სასწაული რომ იყო, გვიან, ძალიან გვიან მივხვდი...



თინათინ  
სიყაუჭილი

## პარპონელა უინაგუას ნაჩილაგი დედას...

მე მას ვიცნობდი. თუ ეს ნაცნობობა იყო. ჩემი ბინის ფანჯრიდან ვხედავდი ქუჩაზე ავლილს და ჩავლილს. მალალი, ტანხმელი ქალი იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი. წლებს თავისი კვალი დაემჩნია სახეზე, მაგრამ ეტყობოდა, გოგოობასა და ყმანვილქალობაში საკმაოდ ლამაზი და მოხდენილი იქნებოდა...

ქუჩაშიც ხშირად შემხვედრია. ისე ხშირად, ერთხელაც, რომ მომიახლოვდა, თავი ავიღე, თვალებში შევხედე და ძველი ნაცნობივით მივესალმე. კიდევაც გავუღიმე. იმასაც თუ ვეცნაურე, სალამი დამიბრუნა და ოდნავშესამჩნევადაც გამიღიმა. სევდიან თვალებში რაღაც მოულოდნელი სიხარულივითაც გაუკრთა. ალბათ, ადამიანურ სითბოს არავისგან ელოდა... ჩაიარა, წავიდა. უნებურად შევბრუნდი, მზერა მივაყოლე. მომეჩვენა, რომ რაღაც ტკივილს დაატარებდა მძიმე ტვირთივით...

მეორედ შეხვედრისას ორივემ ერთდროულად შევხედეთ ერთმანეთს. გამარჯობათ-მეთქი... გაგიმარჯოთო, უმაღ მიპასუხა. ხმაც საოცრად სევდიანი ჰქონდა. რაკი მისი ხმა გავიგონე, აღარ დავაყოვნე, როგორ ბრძანდებოდა-მეთქი... გმადლობოთ, თქვენაო? წამით შეჩერდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა... მაგრამ თავი გააქნია, აიარა, წავიდა. ნეტავ რის თქმა უნდოდა ჩემთვის?

ეს იყო და ეს. მეტად აღარ მომიკრავს მისთვის თვალი. ზოგჯერ მომაკლდებოდა მისი დანახვა. ვფიქრობდი, ნეტავ რა იქნა, სხვა ქუჩაზე ხომ არ დაიარება, ან, სულაც, სხვა ქალაქში ხომ არ გადავიდა საცხოვრებლად, ანდა, საერთოდ, ვინ არის,

რა საზრუნავს დაუთრგუნავს-მეთქი. უარესს არ ვფიქრობდი და ვერც წარმოვიდგენდი. მაგრამ როგორ გამეგო მისი ამბავი, ვისთვის მეკითხა, როცა ვინაობა კი არა, სახელიც არ ვიცოდი...

და აი, ერთ დღეს, ღმერთო, რა დღე იყო ის დღე, ახლობელმა მითხრა, ერთი მარტოხელა, უპატრონო ქალი გარდაიცვალა, ადრე ერთად ვმუშაობდით, ჩემს მეტს აღარავის ახსოვს, დღეს იმის გასვენებაში მარტო არ მინდა წასვლა და იქნებ წამოხვიდეო. უარს როგორ ვეტყოდი...

ჩიტის ბუდესავით პატარა ბინაში უცხოვრია საწყალს. ბოლო დროს კარის მეზობელი აკითხავდა თურმე, სანაცვლოდ იმისი ბინაც დაესაკუთრებინა და გასვენებაც თავის თავზე აეღო...

მიცვალეხელის თავთან, მაგიდაზე დადგმული სურათით ვიცანი... ჩემი ძველი ნაცნობი და მაინც უცნობი... სულ რამდენიმე ადამიანმა გავაცვილეთ უკანასკნელ გზაზე... საბრალო უცრემლოდ, დაუტირებელი წავიდა ამქვეყნიდან. ან აბა, ვის აუდუღდებოდა გული იმისი ცოდვით... ან ვინ დააღტობდა ცრემლებით იმის საფლავზე დაყრილ კორახებს.

მაშინ გავიგე მისი სახელი, მანია რქმევია, ისე, მაღალადაც უხმობდნენ. რუსთავის ერთ-ერთ ქიმიურ საწარმოში უმსახურია, წამყვანი სპეციალისტი ყოფილა, ერთ დროს საკმაოდ დაფასებულციც... მაგრამ მერე... რა მერე? როგორც ხდება ხოლმე. აღარავის სჭირდებოდა, ეგულისჭირებოდათ კი არა, აღარც ახსოვდათ... დაავიწყდათ... ისე დაავიწყდათ, თითქოს... მაგრამ ეჭ!.. ის ხომ არც პირველი იყო და არც უკანასკნელი...

დასატირებელი და საფლავზე ცრემლებდასაყრელი კი იყო, ბედკრული.

სასაფლაოდან უკან მობრუნებისას ერთმა გულწრფელად დაინანა სულეთში გადასახლებული: – ეეჭ, რა ქალი იყო ახალგაზრდობაში?! გვერდით ისე ვერავინ ჩაუვლიდა, თვალი რო არ გაეყოლებინა... მერე როგორი კდემამოსილი, ნათელი ქალი იყო... პატიოსნად, სახელმეუბლავად იცხოვრა ამქვეყნად და იმქვეყნადაც ნათელი დაადგება... იმისი სული სასუფეველში მოხვედება...

– მაშა, მაშა?! სასუფეველში... ეგა, იგეთი ჩუმჩუმელა იყო... ვითომ ბუზს არ აიფრენდა თავზე... დავიჯერო ისე გალია თავისი დღენი, რო... – ჩაისისინა ერთმა, კარგა გადაყვავილებულმა ბერქალამ. პირი მრავალმნიშვნელოვნად მოკუმა, ვითომ, სათქმელი ბევრი მააქ, მაგრამაო... და ჯოხის კაკუნით იქაურობას გაეცალა...

თითქოს ეკალმა გამკენწლა. არა, ეკალმა კი არა, უნასმა დამგესლა და ბალახებში გასრიალდა.

– აბა, რას ამბობ, შე ქალო, – შემოუბრუნდა რომელიღაცა, წინ წასული და მერე თავისთვის ჩაიტუტუნა, – რას არ იტყვის ზოგიერთის დასაწენკი ენა-პირი...

იმათ სხვებმა აუბეს მხარი. იმან ესა თქვა, იმან ის და ამასობაში გზა გაილია. დავიშალენით. ყველა თავ-თავისი გზით წავიდა...

იმ დღიდან მოსვენება დამეკარგა. მანიას, იგივე მაღალს ამბის გაგების სურვილი ამეკვიატა. შემოსეულ ფიქრებს ველარ გავუძელ, ავყევი და ერთ დღეს მისი კარის მეზობელს მივაკითხე. გაცვებულ მასპინძელს რაღაც-რაღაცები რომ გამოვკითხე, ახლა განსვენებულის ბინაში შესვლა, მის სამყაროში შეღწევა მომინდა. ბინის ახალ მესაკუთრეს იქაურობა მიელაგმოელაგებინა, მიცვალეზულის ნივთები გაეტანა, წიგნები, პირადი ნივთები კუთხეში მიენყო, ზედ სურათებიც და რაღაც ნაწერებიც მიეყოლებინა და გადასაყრელად მოემზადებინა.

იმ ხელნაწერმა ფურცლებმა ჩემი ყურადღება მიიპყრო. მივხვდი, რომ ისინი უფრო მეტს მეტყოდნენ მარტოხელა შინაბერა ქალზე.

დავინტერესდი. ვითხოვე. დამითმეს.

ალარ გავჩერდი. ავჩქარდი. ერთი სული მექონდა, როდის წავიკითხავდი. რას მამცნობდა ის ნაწერები? დაუთარიღებელი, ერთმანეთში არეული ფურცლები შეძლებისამებრ თანმიმდევრობით დავალაგე და ლამაზი ხელით ჩაწიკნიკებულ სტრიქონებს ავედევნე...

\* \* \*

*...დღედი,*

*შენ ახლა ძალიან, ძალიან შორს ხარ... ისე შორს, რომ... არადა, რომ იცოდე, როგორ მაკლიხარ, როგორ მენატრები... მიკვირს, როგორ ვძლებ, როგორ ვცოცხლობ უდედოდ... ძალიან მიჭირს უშენობა. როგორ მინდა შენი ჩახუტება, შენი მოფერება, ჩემს პატარაობისას რომ იცოდი, ისეთი... შენგან დატუქსვაც კი მეტკბილებოდა, თუმცა, არ მახსოვს, ოდესმე თუ დაგიტუქსივარ...*

*გუშინ ეკლესიაში ვიყავი, სანთელი ავინთე, შენი სულის ნათელში ყოფნა შევთხოვე უფალს. ნუხელ კი სიზმარში გამომეცხაადე. ისევ ისეთი იყავი, როგორიც ადრე: ლამაზი, ალერსიანი,*

ოღონდ ნაღვლიანი. ცოტა შორს კი იდექი, მაგრამ ყველაფერი კარგად გავიგონე, რაც მითხარი. მსაყვედურობდი, რატომ ხარ, შვილო, მარტო... როდემდე უნდა იყო ეგრე ცალადაო, ცოდო ხარო... რა, შენი მოსაწონი არავინ არისო? დედი, დედი, მანდაც სულ ჩემზე ფიქრობ და დარდობ. რამდენჯერმე გამიმეორე, მთხოვე, მარტო ნუ ხარ, შვილო, უმეგობროდა და უპატრონოდაო... მე რალაც მინდოდა მეთქვა შენთვის, დედი, მაგრამ ველარ მოვასწარი. უეცრად გაქრი... თითქოს გაფრინდი... მაშინვე გამომეღვიძა. ოთახში დაგინყე ძებნა... ამაოდ... მეტად აღარ დამსიზმრებინარ, ალბათ, ძალიან მემდური და იმიტომ...

რა ვქნა, დედი, ჩემი თავისთვის, აბა, სად მცალია! ან ფიქრის დრო როდის მაქვს! ჯერ იყო და, ვსწავლობდი, მერე სამსახური... ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლო სამსახური მაქვს... მენდობიან და მეც ხომ უნდა გავამართლო ნდობა. საერთო საქმეს არ ელაღატება. ხშირად მივლინებითაც მგ ზავნიან ჩვენი ქვეყნის ქარხნებში, უცხოეთშიც. მათ გამოცდილებას, მიღწევებს ვეცნობით და ჩვენთან გადმოგვაქვს. საერთო საქმეს ასე სჭირდება და... ხომ იცი... ზოგი ქალი ოჯახსაც უვლის და სამსახურსაც თავს კარგად ართმევს. მე კი, რა ვქნა, ასეთი ბედისა ვყოფილვარ, ჩემი სამსახურის იქით ვერ ვიხედები... ან ვინ დამაცლის... სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც ხომ ასეთი ვიყავი: მარტო სწავლა, გაკვეთილები, წიგნები. თანაკლასელების და თანაკურსელების დაბადების დღეებზეც კი არ დავდიოდი. ახლა კიდე სამსახური...

ახლაც უნდა დაგემშვიდობო. დილაზე ადრე ვარ ასადგომი, სამსახურში არ დამავიანდეს...

შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

არ მასვენებს იმლამინდელი სიზმარი. სულ მესმის შენი წუხილი, შენი სიტყვები, შვილო, როდემდე უნდა იყო მარტოო, ცოდო ხარო. ადრეც, ცხადშიც, სულ ჩამჩიჩინებდი, სწავლაც კარგია, სამსახური და დაფასებაც კარგია, მაგრამ შენს თავზეც უნდა იფიქრო, თორემ წლები ისე გაგიფრინდება, უკან მიხედვასაც ვერ მოასწრებ და სინანულიც ველარ გინამლებსო... ამას როცა მიხვდები, მერე გვიან იქნებაო... როგორ ამიხდა ყველაფერი... მაშინ გისმენდი და ჰოო, დედი-მეთქი, თავს გიქნევდი, მაგრამ როგორც მეცხოვრებოდა, მე მაინც ისე ვცხოვრობდი...



ეჰ, ეს წლები! შენი თქმისა არ იყოს, ისე გამიფრინდა, თვალის ვერ მივაყოლე...

მაგრამ ამას, რასაც ახლა ვწერ, მარტო შენ გიმხელ, დედი, ქვეყანაზე სხვას არავის. ეს ჩემი საიდუმლოა: მე სულაც არ ვარ მარტო. არც არასოდეს ვიყავი... ყოველთვის მყავდა და ახლაც მყავს ჩემი რჩეული, ის, ვინც მომწონს და უფრო მეტიც.... ვისზეც ყოველთვის ვფიქრობ. მარტო ვფიქრობ კი არა, მგონია, სულ ჩემთანაა, ჩემშია... ერთად ვართ, ერთად ვსერირობთ. ვსაუბრობთ. ზოგჯერ რაღაცაზე კიდევაც ვკამათობთ. ჩხუბით არა, არ ვჩხუბობთ, იმიტომ, რომ ერთმანეთის გვესმის. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წარმოსახვაში. ის მე თვითონ შევქმენი... ჩემს გულსა და ცნობიერებაშია... ზოგჯერ ისე ცხადად ვხედავ... ხმაც მესმის მისი... ის კი არა, ქუჩაში ან სადმე თვალთაც ვეძებ და რომ შემხვდეს, უთუოდ ვიცნობ. ვიცნობ რომელია!..

სხვას, ჩემს მოსაწონს, ვერავის ვხედავ, ვერავის ვიცნობ. არავინ ჰგავს მას. ოდნავ, სულ ოდნავ მაინც... ისეთი კი, როგორიც ისაა, ჩემთვის არა და არ ჩანს თვალსაწიერზე და რა ექნა, რა ჩემი ბრალია!

ზოგჯერ ვიღაცას მივამსგავსებ... ხდება ხოლმე... მაგრამ გავიხედავ და სულ სხვა აღმოჩნდება. ისეთ რამეს მოიმოქმედებს, ან ისეთ რამეს გავიგონებ მასზე, რომ... შორს, შორს ჩემი ხატებისაგან და ჩემგანაც!

აბა, ვის ვუთხრა, ვის გავუმხილო, ეგრეა ჩემი საქმე-მეთქი... ვინ გამიგებს... შენს გარდა...

შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

სამსახურიდან ერთთვიანი შვებულება მომცეს, ბევრს მუშაობ, დასვენება მოგიხდებაო. გაგრის საგზურიც მიშოვეს. ხომ იცი, ზღვა როგორ მიყვარს. მახსოვს, ორივენი ზღვისპირას რომ ჩამოვსხდებოდით და ტალღების შრიალს ვუსმენდით. როგორი ბედნიერები ვიყავით ერთადყოფნით, ყველაფრით, რაც ჩვენს ირგვლივ იყო... მაგრამ, ამჯერად საგზურზე უარი ვთქვი. ჩემს თანამშრომელს, მარტოხელა დედას დავუთმე. რომ იცოდე, როგორ გაუხარდა... მე კი სოფელში ჩამოვალ, ჩვენს სახლში გავატარებ შვებულების დღეებს. მანდ ყველაფერი შენს თავს მაგონებს და ძალიან მეძვირფასება. ჩემი უღრუბლო, უდარდელი

ბავშვობაც ხომ მანდ დამრჩა. თითოეულ ნივთს მოვეფერები, ისინი ხომ შენი ხელშენავლებია.

გავიხსენებ ჩემს ბედნიერ ბავშვობას: დილით როგორ მამზადებდი სასკოლედ, ჩანთაში წიგნებსა და რვეულებს შენი ხელით მილაგებდი. თმებს მვარცხნიდი, ლამზად მინწავდი, ბაფთასაც მიმაგრებდი, მერე გულში ჩამიკრავდი, ჩამკოცნიდი და სკოლისაკენ მიმავალს შენი მზერა მიმაცილებდა.

სკოლიდან რომ მოვიდოდი, შენ ჭიშკართან მელოდი. გზას გასცქეროდი, დამინახავდი და ხელებს გაშლიდი... მეც მაშინვე მოგახარებდი, დედი, დღეს ხუთი ფრიადი მივიღე, მასწავლებელმა შემაქო-მეთქი. შენ სიხარულით თვალები გიბრწყინავდა, ჩემით ამაყობდი, მეფერებოდი, ჩემო ჭკვიანო და ლამაზო გოგოო...

ახლა რომ ჩამოვალ, შენ ჭიშკართან აღარ შემეგებები, მაგრამ მე ყველაფერს გავიხსენებ და მეგონება, რომ ისევ ერთად ვიქნებით.

ამას რომ გწერ, დღეებს ვითვლი. შვებულება კი გავაფორმე, მაგრამ აქ ყველაფერი ხომ წესრიგში უნდა დავტოვო, ვიდრე დავბრუნდები, ჩემმა თანამშრომლებმა უჩემობა არ უნდა იგრძნონ...

შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

ვიცი, გეწყინება, მაგრამ მოლოდინი უნდა გაგიცრუო. შვებულება გავაფორმე და ავტობუსის ბილეთიც წინასწარ შევიძინე, მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დღეებში მონათესავე პროფილის საწარმოს წარმომადგენლები გვეწვივნენ. ჩვენს საწარმოში ტექნიკური სიახლე დაინერგა და დანადგარი უნდა გამოსცადონ. აბა, როგორ მივატოვებ აქაურობას. იქნება და როგორ დავჭირდე საქმეს. მთელი ფიქრები მაინც აქეთ მექნება და მანდ გინდა ვყოფილვარ და გინდა არა.

დედი, შენ ყოველთვის გესმოდა ჩემი, შენი ჭკვიანი გოგოსი და ვიცი, ახლაც გამიგებ.

ამ წერილს რომ წაიკითხავ, ჩემს თავს გაფიცებ, არ იდარდო... შენებურად... როგორმე სხვა დროს მოვახერხებ და ჩამოვალ...

შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

აღდგომას ჩვენს სოფელში ვიყავი. ერთი ჩვენებური ოჯახი მიდიოდა და იმათ დამიძგ ზავრეს. შენს საფლავზე ავედი. ბალახი აყოტებულა და გადაუვლია იქაურობისთვის. ტირიფიც გამხმარა. აბა, ვინ მიხედავდა, ვინ მოუვლიდა... რაც შევიძელ, გავაკეთე. გავწმინდე, გავასუფთავე. ცოცხალი ყვავილები დაგიწყე. მერე დიდხანს, დიდხანს ვიჯექი... გეფერებოდი და გესიყვარულეობდი. ზოგ რალაცებსაც შემოგჩიოდი... ნეტავ თუ გესმოდა ჩემი, დედი...

მერე ჩვენს სახლს მივაკითხე. როგორ მიმიხაროდა, მეგონა, ისევ ჭიშკართან შემეგებებოდი. მაგრამ... იქაურობა ძლივს ვიცანი. ჭიშკარი მოყანყალეებულა. ნეტავ რამ მოარყია. ლობეც გადაღრეცილა... ფანჯარა ღია დამხვდა. ალბათ, ქარმა თუ შეაღო. კარი ძლივს გავხსენი. მთელი ჭერი და კედლები ობობებს დაუქსელავს. ლოგინები? შენი ხელით შეკერილი საბნები? თავებს გამოუჭამიათ. წიგნებიც... ჭურჭელზეც ურბენიათ და...

რა მექნა, მეტი დროც აღარ მქონდა. მაგრამ ვიდრე ის ჩვენებურები გამომივლიდნენ, დედი, ერთი კარგი საქმე მაინც მოვასწარი, გავაკეთე. გეხსომება, ხევისპირას ერთი მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობს, გაჭირვებულებს ქვა აღმართში მისწევიათ და იმ საცოდავებს სახლი დაწვიათ. ცის ქვეშ დარჩენილებს სახლის ნარჩენებისაგან რალაც მოუქოხებიათ და თავს ვაინაჩრობით იქ აფარებდნენ თურმე. ზაფხულში კიდეც ჰოო, მაგრამ ზამთარში რა ეშველებოდათ!

როგორც კი გავიგე იმათი ამბავი, იქით გავწიე. ჩვენი სახლი დავუთმე, მიდით, იცხოვრეთ-მეთქი... რომ იცოდე, როგორ გაუხარდათ... დედი, ხომ კარგად მოვიქეცი? ხომ მომიწონებ საქციელს? აბა, შენი გაჩენილი და გაზრდილი სხვარიგად როგორ მოვიქცეოდი... ისეთი კმაყოფილი წამოვედი, ისეთი, რომ...  
შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

ბინა მივიღე. არ ველოდი. არც მითხვია. აბა, როგორ ვითხოვდი, აქ იმდენი უბინაოა, ზოგი ქირით ცხოვრობს, თავის რიგს ელოდება. ზოგიც... დამიბარეს, ბინის ორდერი გადმოძცეს, აქაოდა, უკვე ორმოც წელს გადაცილებული ხარ, თანაც მარტოხელა და გეკუთვნისო... ამ დღეებში უკვე შევსახლდი

ჩემს ბინაში. მართალია, ერთი მოცუტეული ოთახია, მაგიდა, სანოლი და კარადა ძლივს ეტევა, დაბალჭერიანი და უაივნოა, მაგრამ ფანჯარა აქვს, თანაც, საერთო საცხოვრებელს მაინც სჯობია. მე მეყოფა, მეტი რად მინდა... ვიქნები ჩემთვის, ჩემს ფიქრებთან და ოცნებებთან, არავინ შემიშლის ხელს.

ვიცი, როგორ გაგიხარდება... ეჰ, რომ არ მიგეტოვებინე, ხომ ჩამოხვიდოდი ხოლმე ჩემთან, ისევ ერთად ვიქნებოდით... მაგრამ...

ისე, საკუთარმა კუთხემ და ჭერმა გამახარა, მაგრამ ის რა იყო, ორმოც წელს გადაცილებული ხარ და თანაც მარტოხელაო...

არადა, ორმოცს კარგად გადავცილებულვარ და ორმოცდაათისთვისაც მიმიკაკუნებია. ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. აქამდე ჩემი თავი ისევ ის პატარა გოგო მეგონა, შენ რომ მიხუტებდი გულში და მეფერებოდი, ჩემო ჭკვიანო და ლამაზო გოგოო... ისე კი, უნდა მეფიქრა, ალბათ...

ამას წინათ, სამსახურიდან რომ მოვედი, ცოტა დავისვენე და ჩემი ბინისათვის რალაც-რალაცების საყიდლად ქალაქში გავედი. ავტობუსში ერთმა ახალგაზრდამ ადგილი დამითმო, დაბრძანდი, ბებოო... მე, რა თქმა უნდა, შეთავაზება მივიღე, მადლობაც გადავუხადე, მაგრამ ბებოო, რომ მითხრა, არ მომეწონა... გულიც დამწყდა ძალიან... დედაო, არავინ დამიძახა, თორემ აქამდე ზოგი წონიას მეძახდა, ვითომ, დეიდაო... ან მამიდაო... ახლა კიდევ... ბებოო... მაგრამ აბა, რა იმათი ბრალია...

ჰოდა, შინ რომ მოვედი, მაშინვე სარკეს მივაფრინდი. ნეტავ არ ჩამეხედა. ან, სულაც, სარკე ჩამოვარდნილიყო და დამსხვრეულიყო... ვიდექი სარკესთან და მიკვირდა: ნეტავ ეს თმები როდის გამიჭალარავდა... ან ეს ნოჭები თვალების ირგვლივ, ლოყებზე, ყელზე... სახე როგორ დამლარვია... საიდან, როგორ...

მაგრამ რალას ვუშველი... თავს იმით ვინუგეშებ, რომ ეს ჭალარაც და ნოჭებიც ჩემი წლების ნაკვალევია, სწავლასა და შრომაში გატარებული წლების...

შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

ბინა მივიღე-მეთქი, გწერდი. თავიდან ძალიან მიხაროდა, ჩემი გემოვნებით მოვანყე, შენ რომ მოგეწონებოდა, ისე... ახალი ნივთებიც შევიძინე, რაც აუცილებელი იყო. მაგრამ რა,

დედი, იცი? პირველ დღეებში ჩემი რამდენიმე თანამშრომელი მენჯია, ნახეს, როგორ მოვეწყე. მომილოცეს ახალმოსახლეობა, ბინა დამილოცეს და ახალ ჭერქვეშ სიხარული და ბედნიერება მისურვებს.

მერე კიდევ ორი თანამშრომელი მოვიდა. ერთხელაც ერთმა, ჩემსავით მარტოხელამ შემომიარა და შემომნატრა, ეჰ, ნეტავ მეც მელირსებოდეს საკუთარი კუთხეო. ეგ იყო და ეგ, მეტად აღარავის გავხსენებია. ჩემი ბინის ზღურბლზე აღარავის გადმოუბიჯებია. ვარ ჩემთვის... საერთო საცხოვრებელში გოგოები დაუკითხავად შემოდოდნენ ჩემთან, კინოში ან სასეირნოდ მუპატიყებოდნენ... ახლა არავის ვაგონდები. ბინა და სამსახური, სამსახური და ბინა – აი, ჩემი ცხოვრება. და კიდევ, თუმცა, რა ვიცი, კიდევ რა... ვარ ჩემს ფიქრებთან...

დედი, შენს მეტს ვერავის ვესაუბრები, ვერავის ვუხსნი გულს, ვერც სიხარულს ვუზიარებ და ვერც ტკივილებს...

თუმცა... არ ვიცი, უნდა განუხებდე თუ არა ჩემი წერილებით... ეს წერილი მაინც, ვიცი, ძალიან დაგასევდიანებს და ნეტავ არ დამენერა... არა, ვითომ არ მომიწერია...

შენი მაღალო

ეს წერილი გადახაზულია.

\* \* \*

...დედი,

ჩემს წინა წერილებს რომ წაიკითხავ, ვიცი, დანაღვლიანდები. ისიც ვიცი, რასაც იტყვი, მაგრამ... შენთვის კარგი რამეც მაქვს მოსაწერი.

ერთხელაც, როდის იყო, გუშინწინ თუ იმის წინ... ჰოო, როცა იყო... ტროლეიბუსში ასვლას ვაპირებდი. ბავშვიანი ქალი იყო, ცალ ხელში დიდი ჩანთა ეჭირა. ბავშვი ჩირვეულობდა და დედას ტრანსპორტში ასვლა უჭირდა. უცბად ერთი მამაკაცი მიეჭრა, ჩანთის ატანაში მიეხმარა. მერე თავაზიანად სთხოვა სავარძელზე მოკალათებულ ახალგაზრდას და დედა-შვილისათვის ადგილი დაათმობინა. შევხედე და თვალი ველარ მოვაცვილე. ღმერთო, როგორ ჰგავდა ჩემს რჩეულს: ის იყო, ის... მაღალ-მაღალი, ჩვენში რომ იტყვიან, შავგვრემანი და შახიანიო... გრუზა თმაში ვერცხლისფერი მოძალებოდა. მარჯვენა ყვრიმალთან ნიკაპამდე ჭრილობის კვალი ეტყობოდა. ცალი ფეხითაც შესამჩნევად კოჭლობდა, მაგრამ როგორ უხდებოდა ჭალარა, ნიარევიცა და ლანგობაც. ომის მონაწილე... ხეიბარი... ნეტავ

სად იბრძოდა, რომელ ფრონტზე... სტალინგრადთან თუ ძაუგთან... იქნებ ქერჩში... მტერს გადაეღობა, აქეთ არ გამოუშვა... ჰოდა, მაშინ დაიჭრა ვაჟკაცი... ვინ იცის, რამდენი ქალაქი და სოფელი დაიცვა, რამდენი ადამიანი გადაარჩინა... თავი განირა... ისე, პიჯაკზე არცერთი საბრძოლო ორდენი არ მოუჩანდა, ალბათ, თავმდაბალია, მოკრძალებული... ან, საერთოდ, რისთვის ატარებენ ომგამოვლილები ორდენებსა და მედლებს, ვინ ხედავს იმათ დამსახურებას, ან ვინ აფასებს... მე კი მგონია, იმ დღეს ვიპოვე, ვისაც ვეძებდი და ველოდი... ჩემი რჩეული... ჩემი ხატება! გმირი! მას აქეთ იმ გაჩერებას შევეჩვიე. ყოველთვის, მჭირდება თუ არ მჭირდება, ვცდილობ, იმ ტროლეიბუსით ვიმგზავრო... ვდგავარ გაჩერებაზე და ვათვალიერებ მგზავრებს...

დედი, ხომ გესმის ჩემი...

ერთხელაც, როგორც იყო, გამიმართლა. გამოჩნდა. ვილაცას თავისი რიგი დაუთმო. ვილაცას ხელიც შეაშველა, ისე, უბრალოდ... მეორედაც... მესამედაც...

ჩემი თავი დავიჭირე: შინ, თუ სამსახურში, რასაც უნდა ვაკეთებდე, მასზე ვფიქრობ, მარტო ვფიქრობ კი არა, სულ თვალწინ მიდგას... მართალია, თვითონ ვერ მამაჩნევს, არასოდეს შემოუხედავს ჩემთვის, მაგრამ... მე ხომ ვხედავ... ერთხელაც იქნება, ისიც შემამჩნევს, შემომხედავს... ეგეც არ იყოს, მე ხომ, როგორც იყო, ვიპოვნე ჩემი რჩეული, ჩემი ხატების სადარი, ის, ვისაც მთელი ეს წლები ველოდი...

ჩემი გული, მთელი ჩემი არსება სავსეა მისით. ნეტავ აქამდე როგორ ვიყავი... როცა რაიმეს ვაკეთებ, შინ, თუ სამსახურში, მგონია, ის იქვეა, ჩემს ახლოს და მიყურებს. მეც ვცდილობ, ყველაფერი ლამაზად გავაკეთო, ისე, მას რომ მოეწონება... ისიც მეიმედება, იქნებ ერთხელ მანაც შემამჩნიოს, დამინახოს, გამომელაპარაკოს, თუნდაც, ტროლეიბუსში ასვლისას მომეხმაროს, ამატანიოს ჩანთა, რომელსაც ყოველდღე დავათრევ და თვითონაც არ ვიცი, რითაა გატენილი...

რა კარგია ეს მოლოდინი!

დედი, ცოტა აზღაუბდად კი ვწერ... ალბათ, გადაგლალე... მაპატიე... მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი... მე... მგონია... არა, არ გეტყვი, ვერ გეტყვი... სხვა დროს მოგწერ...

შენი მაღალ

\* \* \*

...დედი,

ძალიან მრცხვენია, მაგრამ აბა, შენ თუ არა, სხვას ვის უნდა გავუმხილო ჩემი გულისნადები. აქამდე სარკეს თვალს რომ ვარიდებდი, ახლა ხშირად ვიყურები, ვათვალიერებ და ვამონ-მებ ჩემს სახეს, თითოეულ ნაკვთს...

ლილოში, ბაზრობაზეც წავედი. ახალი კაბები და სხვა რალაცრულაცებიც ვიყიდე. სილამაზის სალონსაც მივაკითხე: თმები შევიღებე, სახის კანსაც მივხედე... თანამშრომლები მეუბნებიან, ყველაფერი გშენის და გიხდებაო... თურმე რა ლამაზი ყოფილხარო... აქამდე სად იყავიო... მიხედე, მოუარე თავსაო... ზოგმა გულწრფელად მირჩია, მაგრამ თვალი შევასწარ, რომელიღაცამ ირონიულად გაიღიმა...

ვინც რა უნდა თქვას... ჩემთვის მთავარია, შენ რას მეტყობდი, დედი, როგორ შემაქებდი, წამახალისებდი და მომეფერებოდი... ალბათ, როგორც ბავშვობაში, ჩემო ჭკვიანო და ლამაზო გოგოო, არა? ჰო, დედი, შენთვის ახლაც ლამაზი გოგო ვიქნებოდი! ნეტავ ის, ის თუ მამჩნევს... ან თუ ოდესმე მაინც...

შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

იმ დღეს, ჩვეულებისამებრ, გაჩერებაზე მივედი. არსად ვაპირებდი წასვლას, ისე... ხომ გესმის ჩემი, დედი! რამდენიმე ტროლეიბუსი მოვიდა და წავიდა. მე კი ვიდექი... ვიდექი და ველოდი მის გამოჩენას... დიდხანს, დიდხანს ველოდი. ის არ მოვიდა. ლოდინით გული გადამელია. ნეტავ რა მოხდა? ბოლოს, იმედი რომ გადამეწურა, შინ წამოვედი. დავითარსე, არაფერი მახარებდა.

ტროლეიბუსის გაჩერება ჩვენი შეხვედრების ერთადერთი ადგილია. თუმცა, რა შეხვედრების... შემთხვევითი შეხვედრების... თანაც, ცალმხრივი... მან ხომ არ იცის, მე როგორ ველი მის გამოჩენას... ნეტავ ვინ არის, სადაურია, სად ცხოვრობს... რომ არაფერი ვიცი მისი?

რა მიკვირს... ბედი სხვა რაში მქონია რო... ბედი რომ მქონოდა... შენ არ მიმატოვებდი... ახლა? აღარც შენ და აღარც... მაგრამ ის?

ვაიმე, რა ფიქრები მანვალებს, რას ვწერ...

არა, დედი, ამ წერილს არ გამოგიგზავნი... მაპატიე...

შენი მალალო

წერილი გადახაზულია.



\* \* \*

...დედი,

რამდენი ხანია, აღარ მომიწერია შენთვის არაფერი. არადა, რამდენი სათქმელი დამიგროვდა...

ამას წინათ, ისევ ისე, როგორც მანამდე, მივედი ტრანსპორტის გაჩერებაზე. მივედი იმ იმედით, რომ... როგორც იყო, ისიც მოვიდა. იცი, ვინც. ავედი ტროლეიბუსში. ისიც ამოვიდა. გვერდით გამიარა და წინ წავიდა. ვილაცას სთხოვა და მოხუცი ქალისთვის სკამი დაათმობინა. კიდევაც მიეხმარა, რომ მოხერხებულად დამჯდარიყო. ჩანთაც ახლოს მიუჩოჩა. და ეს ყველაფერი ისე ლამაზად გააკეთა, რომ... როგორი თავაზიანია, აი, ვისგან უნდა აიღონ მაგალითი, ვის უნდა მიბაძოს ბევრმა მამაკაცმა-მეთქი, გავიფიქრე. სრულიად მოლოდინელად იმ ქალმა, მადლობის მაგიერ, შეუბუზღუნა, ჩანთაზე ხელი გააშვებინა და ეგეც არ იკმარა, წამოხტა სკამიდან, მგ ზავრებს შორის გაიარა სწრაფად და ჩასასვლელს ისე მიაშურა, თითქოს ვილაც მისდევდა. თვალი შევასწარ, გაჩერებაზე, ძირს რომ ჩადიოდა, სიჩქარისგან ფეხი დაუცდა და რომ არ შეშველებოდნენ, ჩავარდებოდა და რა დაემართებოდა, არ ვიცი...

ის ქალი და... შემდეგ გაჩერებაზე ერთი შუახნის მამაკაცის საქციელმა გამაოცა. ჩემს რჩეულს, თავისთვის მშვიდად რომ იდგა ცალი ხელით სავარძლის საზურგეს ჩაჭიდებული და ფანჯარაში იყურებოდა, მხარი მოურიდებლად გაჰკრა, კიდევაც წაუშუჯღლუგუნა და აბა, აბა, ეგეთები არ იყოსო, უყვირა. იმასაც რა უნდა ექნა, ჩასასვლელისკენ გაქანდა და ვიდრე ტროლეიბუსი კარგად გაჩერდებოდა, კისრისტეხვით ჩახტა...

ღმერთო, რამდენი უმადური და უკმეხი ადამიანია ამქვეყნაზე, ნეტავ დედამინა როგორ უძლებს ამნაირების სიმძიმეს...

შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

ჩემო დედი, ყველაფერი თუ არ მოგიყევი, ლამისაა, გული გამისკდეს... ადგილს ვერ ვპოულობ... ისიც არ ვიცი, საიდან, როგორ დაიწყო...

ნეტავ ფეხი მომტეხოდა და დღეს სახლიდან არ გავსულიყავი, ან იმ ტროლეიბუსით არ მემგ ზავრა, ავტობუსს დავლოდებოდი...



დედი, ვიდრე იმას მოგიყვებოდე, რაც დღეს ტროლეიბუსში მოხდა, იცი, რა გამახსენდა? ჩემს ბავშვობაში, ჩვენი სახლის წინ, გზის გადაღმა, მაღალი მსხლის ხეს მეხი რომ დაეცა და ხანძარი გაუჩნდა. როგორ აბრიალდა და ჩვენს თვალწინ დაიწვა და დაინაცრა...

რალა ის მეხი და რალა ის, რაც დღეს ტროლეიბუსში მოხდა. ან რალა ის სანყალი მსხლის ხე და რალა მე...

დღესაც იმ ტროლეიბუსით ვიმგზავრეთ მე და იმან. ხომ იცი, ვინც... ან ის რა მგზავრობა იყო. იქ ისეთი რამ მოხდა, ისეთი ამბავი დატრიალდა, იქიდან ცოცხალმა როგორ გამოვალწიე... ტროლეიბუსში იმდენი მგზავრი იყო, რომ იტყვიან, ნემსი აღარ ჩავარდებოდა.. სუნთქვაც ჭირდა. უცბად ერთმა ქალმა ინივლა, ვაიმე, ჩემი საფულეო და ვილაცას ხელებში წაეტანა, ვინ ოხერი ხარ, ჩემს ჩანთაში რას დაძვრებო. იქვე მდგარმა კაცებმა ის ვილაც ხელებით გაკოჭეს, წინ ჯიკავ-ჯიკავით გაიგდეს, თან უყვიროდნენ, შე ჯიბის ქურდო შენაო, ღირსი ხარ, მილიციაში ამოგაყოფინოთ თავიო, ჩვენგან კი ეს იკმარეო და ტროლეიბუსი როგორც კი გაჩერდა, ძირს კინწისკვრით ჩააგდეს, კიდევაც ამოაპანლურეს... იმდენ ხალხში მოვასწარი, დავინახე, ვილაც კაცი გარბოდა და ცალ ფეხს ძლივს მიათრევდა... ის ვილაც ის იყო... დედი, ის... ის რომ ტროლეიბუსიდან ჩააგდეს, ერთმა, ჩემს გვერდით, პირზე ხელი მიიფარა და მეორეს გადაუჩურჩულა: – ვერ იცანი? მაგისი კბილა ბიჭები ომში მოხალისეებად რო წავიდნენ, მაგან კიდენა, აძრულ ტრამვაის ფეხი დაუდო, თავი დაიინვალიდა, განწვევა აღარ შეეხო და ზურგში დარჩენილი ქურდბაცაცობდა... შენ რა, მართლა ვერ იცანი?

როგორ ვერ ვიცანიო, იმან, მეორემ. იმანაც ჩურჩულით. მაგას ვინ არ იცნობსო... სუმთლად ოტროველა რო იყო, იმ დროიდან დაძვრებოდა ტრანსპორტში და ორთითობდაო... მაგანა, რამდენჯერმე ციხის კედლებიცა ხეხაო... იქაც რალაცა უმამაძალღნია და ვინ შეარჩენდაო... თავისნაირებმა გვერდები კარგად დაულილავეს და სახეც თავიანთებურად დაუმშვენესო... ეგ ნაჭრილობევიც მაშინდელიაო... მაგრამ ეტყობა, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, თავისი ხელობა არ მოუშლიაო...

იმათ ერთმანეთს გადაუჩურჩულეს, მაგრამ მე მაინც გავიგონე ყველაფერი. გავიგონე და თავზარი დამეცა. არა, თავზარი კი არა, მეხი და მდგარი ჩამოვარდა და მე, მე დამეცა. მეგონა, იმ დამეხილ მსხლის ხესავით ჩამოვიჩეხებოდი და დავინაცრებოდი... ნეტავ როგორ გადავრჩი, ან რისთვის გადავრჩი...

აი, თურმე ვინ ყოფილა... მე კი ომგამოვლილი ხეიბარი მეგონა და ლამის გმირად მივიჩნე...

არ ვიცი, როგორ მოვედი შინ. სანოლზე პირქვე დავემხე და ჩემი თავი, ჩემი ყმანვილქალობაც და გადაკრუხებაც ერთად გამოვიტირე. კი არ ვტიროდი, ვნიოდი, ვკიოდი, ის შეღებილი თმები სულ ბუნუნ-ბუნუნ დავიგლიჯე. ყველა ოცნება რამდენიმე წამში დამისამარდა. ცოცხალი როგორღა ვარ, ან ამნაირ სიცოცხლეს რაღა სიცოცხლე ჰქვია...

ესეც ჩემი ხატება! ესეც ჩემი რჩეული!

ახლა, დედი, აღარც შენ მყავხარ და აღარც არავინ... სულ არავინ... ისევ მარტო ვარ... სულ მარტო...

დედი, ამას რომ გწერ, სულს ძლივს ვითქვამ... არ ვიცი, ამ უბედურებას როგორ გავუძლებ... გავუძლებ კი? ეს ღამეც როგორ გაგრძელდა, აღარ თენდება... ნეტავ მალე გათენდებოდეს... სამსახურში წავალ... სამსახური გადამატანინებს ყველაფერს... ესღა დამრჩენია...

შენი მალალო

\* \* \*

...დედი,

როგორც იყო, გათენდა. ისეთი მზიანი დილა გათენდა, ვითომ გუშინ ისეთი არაფერი მომხდარა. ვითომ ცა არ ჩამოინგრა და თავზე არ ჩამომექცა. მთელი დღე ცხრათვალა მზე ჩახჩახებდა. რომ ვუყურებდი, მეჩვენებოდა, მე, მე დამცინოდა... ცაზე ღრუბელი კი არა, ერთი ხელისგულისოდენა ფთილაც არსად ჩანდა. ასალამოვდა და უცბად ისეთი თქეში წამოვიდა, გეგონებოდა, ქვეყანას წაღეკვას უპირებდა. სამსახურიდან მომავალმა სახლში ძლივს შემოვასწარი. იმწამსვე ფანჯარას ავეკარ. გახსოვს, დედი, ჩემს პატრაგოგობაში როგორ მიყვარდა წვიმა. ეზოში გაგეპარებოდი ხოლმე და თმაგანენილი, გალუმპული და ფეხშიშველა დავაჭყაპუნებდი გუბებში. ჩემი სიცილ-კისკისი იქაურობას იკლებდა. შენ მიწყრებოდი, ძალით შეგყავდი შინ და მხარშალით მფუთნიდი, გეშინოდა, შენი დედისერთა კუდრაჭა გოგო არ გაცეიბულიყო და ავად არ გამხდარიყო.

მე ახლა ვუსმენ ფანჯრის მინაზე წვიმის წვეთების წკაპანკუპს და ბუნების ამ ცვლილებას ჩემს ბედს ვადარებ. ჩემი ბავშვობაც ხომ მზიანი და ბედნიერი იყო, სიხარულით და სიყვარულით სავსე... იმიტომ, რომ შენ მყავდი, ამქვეყნად ყვე-

ლაზე ლამაზი და ყველაზე მოსიყვარულე დედა. მაგრამ ჩემი ცხოვრებაც ხომ უცბად შეიცვალა...

ერთ წვიმიან დღეს უკანასკნელად ჩამიხუტე გულში, უკანასკნელად მომეფერე, მერე თვალები დახუჭე და... ნახვედი შორს, შორს... ნუ იქულულები, გოგო, შენი დედიკო ანგელოზივით ქალი იყო და ანგელოზებმა წაიყვანეს თავისთანაო, ის ახლა სხვა ცხოვრებაში განაგრძობს სიცოცხლეს და იქიდან გლოცავსო, მანუგეშებდნენ ნათესავები, ახლობლები. მე კი მეგონა, რომ წვიმამ წაგიყვანა, წვიმამ წამართვა შენი თავი...

მას აქეთ შემძულდა წვიმა. წვიმიან დღეს სევდა მიპყრობს და ძალიან, ძალიან უბედური ვარ... არადა, პატარაობისას როგორ მიყვარდა წვიმა... როცა შენ მყავდი...

ახლაც წვიმს. მარტო გარეთ, ეზოსა და ქუჩაში კი არა, ჩემს გულსა და სულშიც წვიმს და ეს წვიმა ჩემი ცრემლები მგონია, ჩემი თვალებიდან მოდის ლაპალუპით... არ ჩერდება, წვიმს და წვიმს... მე კი ვდგავარ ფანჯარასთან და ფიქრებით შენთან ვარ, შენ გესაუბრები.... შენ თუ არა, სხვას ვის შევჩივლო, ვის გავუხილო ჩემი სევდა და ნაღველი... ან შენს მეტი ვინ გამიგებს...  
შენი მალალო

\* \* \*

...დედი, დედი,

ამას წინათ უცხოურ ჟურნალში ძალიან საინტერესო სტატია წავიკითხე. ერთ ევროპელ მეცნიერ-გამომგონებელს სასარგებლო ტექნოლოგიური სიახლე შეუმუშავებია და დაუნერგავს თავის ქვეყანაში. ამ სიახლით საწარმოს წარმადობა იზრდება, პროდუქციის ხარისხი უმჯობესდება და შრომის პირობებიც თვალსაჩინოდ უკეთესია... ერთი სიტყვით, ძალიან საჭირო სიახლეა...

ბევრი ვიფიქრე და შესაძლებლად მივიჩინე იმ სიახლის შესწავლა, ათვისება და ჩვენს საწარმოში განხორციელება. ყველაფერი გავითვალისწინე, ავწონ-დავწონე, ჩემი მოსაზრება ჩამოვაცალიბე და ხელმძღვანელობასთან დავაპირე შესვლა ამ საკითხზე დასალაპარაკებლად. რამდენჯერმე მივედი დირექტორის კაბინეტთან, მაგრამ შესვლა ვერ გავბედე, მომერიდა, ვინმემ არ იფიქროს, პირად საკითხზე, რაიმეს სათხოვნელად უნდა შესვლაო. თუმცა, დედი, შენ იცი, ჩემი სამსახურებრივი და პირადი რამ გაყო ერთმანეთისაგან...

ამ განამანიაში რომ ვიყავი, გავიხედე და უფროსმა თვითონ

არ დამიბარა? გამიხარდა და დანიშნულ დროს მასთან გამოცხადდი. სანარმოს მთელი ხელმძღვანელობა იქ იყო. ვიფიქრე, თათბირია, მეც იმიტომ დამიძახეს და რა კარგია, ჩემს მოსაზრებას გავაცნობ-მეთქი... თათბირი კი არაა?!

კარგად მიმიღეს, როგორც ყოველთვის... მაგიდასთან მიმინვიე, მობრძანდი, დაბრძანდიო... მერე, სულ რომ არ ველოდი, ჩემით დაინყეს. მადლობა გადამიხადეს კარგი მუშაობისთვის, საქმისადმი ერთგულებისათვის, სიგელიც გადმომცეს და მითხრეს, ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ შენით, ვაფასებთ შენს ცოდნას, გამოცდილებასო... მერე ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ვატყობდი, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდათ ჩემთვის და არ იცოდნენ, საიდან, როგორ დაეწყათ... ბოლოს, როგორც იყო, გაბედეს... მაგრამ ასაკით პენსიამ მოგინია და გადავწყვიტეთ, დაისვენოო... ესე იგი... ჰო... მივხვდი ყველაფერს, ან რა დიდი მიხვედრა უნდოდა, აღარავის ვჭირდებოდი... რა უნდა მეთქვა, მადლობის თქმა, როგორც იყო, მოვახერხე, მერე ყველას დავემშვიდობე და წამოვედი შინ...

ეს გუშინ იყო. დღეს დილას, ჩვეულებისამებრ, გაღვიძებისთანავე ავდექი, გავემზადე და სამსახურისკენ გავიწიე... რომ მივედი, ყველას გაუკვირდა, რატომ მოხვედიო... შენ ახლა პენსიაზე ხარ და სამსახურიდან თავისუფალი ხარო... შენს ადგილზე უკვე მუშაობს სხვაო... აქამდე თითქოს ძილბურანში ვიყავი და ყველაფერი ისე მეჩვენებოდა, როგორც მინდოდა და როგორც გამიხარდებოდა და კიდევაც მეკუთვნოდა...

თითქოს მოულოდნელად ყინულიანი წყალი გადამასხეს, გამოვერკვიე, მივხვდი ყველაფერს, გუშინდელი მადლობა და სიგელიც გამახსენდა და... გული ჩამწყდა... ლამის იქვე ჩავიკეცე, მაგრამ თავს მოვერიე... წამოვედი... სახლამდე როგორ მოვალწიე, არ ვიცი... ახლა ამ ოთხ კედელშუა ტუსალივით ვარ გამომწყვდეული... იმ ევროპელი მეცნიერის გამოგონებაც... მაგიდაზე მიყრია ყველაფერი... ეჰ! გარემოსთან ფანჯარალა მაკავშირებს... სულ ესაა... მეტი არაფერი...

აღარც საყვარელი დედა და აღარც სამსახური, სადაც მთელი ჩემი ყმანვილქალობა, ახალგაზრდობა და იმაზე მეტიც გავატარე... ისე, უბრალოდ კი არა, მთელი გულით... აქამდე ის მასულდგმულედა, რომ ადამიანებს, საქმეს ვჭირდებოდი... ახლა... ახლა აღარავის ვჭირდები და არც არავის ვახსოვარ... როგორ უნდა გავძლო...

დედი, ვიცი, გული გეტკინება ჩემს გამო, მაგრამ გთხოვ, გეხვეწები, არ იდარდო... ამ ამბავსაც გავუძლებ როგორმე, ავიტან...

ერთ დროს შენი ჭკვიანი და ლამაზი გოგო მაღალალოლოლო...

\* \* \*

...დედი,

ამ ბოლო დროს ჩემი კარის მეზობელი ხშირად მაკითხავს, ხო არაფერი გჭირდებაო... არ მოგერიდოსო, მეზობლები ვართ, ცხრაუცხოები ხო არაო... ალბათ, გრძნობს, რომ რაღაც მიჭირს... რა ვიცი... რამდენჯერმე ხილი შემომიტანა, გესიამოვნებაო... თავისთანაც მიმიწვია, ფინჯან ყავაზე დამპატიყა. მითხრა, მარტო ცხოვრობ და თუ რამე დაგჭირდეს, ჩემი იმედი გქონდეს ყველაფერშიო... არაფერზე დაგზარდები, შენიანად მიგულვეო... ერთხელ ოთახის დალაგებაში მოხმარებაც შემომთავაზა. მე, რა თქმა უნდა, მადლობა ვუთხარ, დახმარება კი ვიუარე.

ერთ დღესაც მისაყვედურა, რას გამოკეტილხარ ოთახში, წამოდი, გავიაროთ, გავისეირნოთ, გახალისდებიო. ძალით წამიყვანა ბაღში. მერე ქუჩაზეც ავიარ-ჩავიარეთ...

ეს მაშინ იმან და მერე მეც ვაიძულე თავი, ცოტა ხნით ქალაქში გავიდე-მეთქი. ერთი ლამაზი ქუჩაა, ავივლი, ჩავივლი და რომ მოსალამოვდება, შინისკენ ვეშურები... ვითომ ვინმე მელოდებოდეს აქა...

იმ ქუჩაზე ამას წინათ ერთი ქალი შემხვდა, ჩემი ხნისა იქნება, ან ჩემზე ცოტა ახალგაზრდა. რომ შემომხედა, ძველი ნაცნობივით გამიღიმა. ალბათ, ვინმეში შევეშალე, ვილაცას მიმამსგავსა, ან ხშირად მხედავს იმ ქუჩაზე და... მეორედ რომ შემომხვდა, გამარჯობათო... როგორ ბრძანდებითო... მეც სალამი დავუბრუნე, გაგიმარჯოთ-მეთქი, მადლობაც ვუთხარ და იქითაც მოვიკითხე, თქვენა-მეთქი? რომ შევხედე, შევამჩნიე, ძალიან სევდიანი თვალები ჰქონდა, რომ მიღიმოდა, მაშინაც... ალბათ, ისიც ჩემსავით მარტოა, ისიც ჩემსავით რაღაც ტკივილებს ატარებს გულით...

მინდოდა, შემეჩერებინა, მეკითხა, დაო, ხომ არაფერი გიჭირს, იქნებ რაიმეთი შემიძლია მოგეხმარო-მეთქი... მაგრამ გადავიფიქრე, არ მიუცხოვოს და არ ეწყინოს-მეთქი... უბრადა ჩავუარე... აი, კიდევ რომ შევხვდები, უსათუოდ გამოველაპარაკები, ვინძლო გავიგო იმისი სევდის მიზეზი და როგორმე რაიმეთი მივესალბუნო მის ტკივილებს...

მაგრამ... თუ შევძელი კიდევ ქუჩაში სასეირნოდ გასვლა... ეს დღეები როგორღაც სიარული მეძნელება, მარტო ქუჩაში კი არა, ოთახშიც. არ ვიცი, რა მემართება, ჩაის ჭიქას რომ ვრეცხავ, მაშინაც ვიღლები და სანოლამდე ძლივს ვაღწევ... წერაც მიჭირს, ხელი აღარ მემორჩილება, კალამიც მივარდება... როგორც კი შევძლებ, მოგწერ, როგორ ვიქნები... ნეტავ მეზობელმა შემომაკითხოს...

დეედი, რომ იცოდე, როგორ მიჭირს უშენოდ, როგორ მენატრები... დედიიი...

შენი მალ აღ ლო ლოოო

\* \* \*

აქ წყდება მარტოხელა შინაბერას წერილები, გარდაცვლილი დედისადმი მიწერილი... წერილები თუ საუბრები, გულის გადაშლა, ჩივილიც, ქალაღდის ფურცლებზე გადატანილი... სხვადასხვა დროს დაწერილი.

იმ წერილებმა დამაინტერესა-მეთქი...

ის ღამე კითხვაში გავათენე. რამდენჯერმე თავიდან ბოლომდე წავიკითხე, გადავიკითხე. ვეღარ ველეოდი... თითოეული ფურცლის, სტრიქონის იქით მარტოობაში დღე და წლებშემოდარცვული, ტანჯული ქალის სახეს ვხედავდი. მისი ტკივილების უნებური მოწმე და მონაწილე გავხდი.

ასე დაიწყო ჩემი და ჩემთვის უცნობი ნაცნობი მანიას ნამდვილი ნაცნობობა. შემძრა ქალაღდისადმი განდობილი მისი ტკივილიანი სულის თრთოლვამ. მისმა ტკივილებმა ჩემს გულსა და სულშიც ჩამახედა, რაღაც-რაღაცები დამანახვა... ბევრი რამ მეცნო... როგორ არა... მეცნო... ისე მეცნო და მეცნაურა, რომ... ზოგჯერ კიდევაც მეგონა, ჩემს ტკივილებსა და სათქმელსაც ამხელდა...

ბევრი ვიფიქრე, დამეტოვებინა თუ არა მანია-მაღალს ტკივილები მარტო ჩემად... მქონდა თუ არა უფლება მათი გამზეურებისა. ბოლოს, დიდი ფიქრისა და საკუთარ თავთან კამათის მერმე, გადავწყვიტე, სხვებისთვისაც გამეზიარებინა...

თავს იმით ვიმართლებ, ვინძლო ვინმეს რამეში წაადგეს...



გია  
ოპანაჟე

### ნაუზგაკეი

ვუძღვნი აფხაზეთზე უანგაროდ შეყვარებული მეგობრების – რეზო მუშკუდიანისა და მურთაზ ჭაფოძის („პაპაჩიას“) ნათელ ხსოვნას

„მორჩა!.. დღეს, დღეს უნდა დამთავრდეს... დღეს უნდა დამთავრდეს ყველაფერი!“

ნაბახუსევზე შეშუპებული ქუთუთოები ძლივს დააცილა თვალის გუგებს. იდაყვზე წამოინია, ადვილად დაემორჩილა ნავაჯიშები სხეული. სანოლის კიდეზე ჩამოჯდა და გაბრუნებული თავი უშველებელ ხელის მტევნებში ჩარგო. კვლავ დახუჭა ძლივს გახელილი თვალები, რადგან არ შეეძლო იატაკის ცქერა, მას ხომ რინგზე დაცემული, დამარცხებული მოკრივის ფსიქოლოგიით აღიქვამდა! ველარც ამ საძინებელი ოთახის ჭერს იტანდა... „ოჯახის ჭერი დავლოცოთ!“, „ჭერს გაუმარჯოს“, „ჭერის გახსნა?!“ – ვერ იტანდა, რადგან ის სახლი და იმ სახლის ჭერი, რომელიც ასე უყვარდა და მზე და მთვარე ამოსდიოდა, იქ, აღმოდებულ სოხუმში დარჩა... დარჩა გარენარს!

ჰო, როგორ იყო? უზომოდ მიეძალა ტანიანიან კახურს, სიმთვრალით სურდა გადაეკეტა მოზღვავებული ფიქრები და ქვენა გრძნობები, რომ ეს ღამე მაინც, ეს განსაკუთრებული ღამე, მწველი აზრების და განცდების გარეშე გათენებულიყო...

„მე ვარ სიცოცხლე,  
თქვენ კი არ მეძებთ!“

„ნუთუ მაცხოვარი, ნუთუ ძე ღვთისა? ხომ ვილოცე, ხომ შევევედრე და შევთხოვე პატიება, რომ გადანყვეტილია, დღეს უნდა დამთავრდეს ყველაფერი, დღეს უნდა დაესვას ნერტილი,



რომ დღეს უნდა შევძლო ის, რაც ვერ შეძლო“...

ორიოდე პეშვი შეისხა სახეზე. ესიამოვნა წყლის სიგრილე. წელში გაიმართა და... საკუთარ ორეულს შეეჩეხა სარკეში, ერთხანს თვალი თვალშიც გაუყარა, თითქოს გასაუბრება მოუნდა... არა, არ ითხოვდა მისგან არც შეწყალებას, არც ნუგეშს და არც თანაგრძნობას! უბრალოდ, ძალიან მოუნდა, რომ ვინმეს, თუნდაც სრულიად უცნობს გინდაც ჩურჩულით, გინდაც ხმამაღლა შეეძახა, რომ „შენ ხარ – შენ!“.

სწრაფად, გრძელი ნაბიჯებით გაემართა ტანსაცმლის კარადისაკენ, უხმაუროდ გამოალო კარი, უხეშად მისწი-მოსწია საკიდრები და მზერა საყვარელ კოსტუმზე შეაჩერა: „ჰო, ამას ჩავიცვამ, ამას... ის, ის სადღა არის? რამდენჯერ დამიმალა, არც მიგრძნობინებია, რომ ვიცოდი, მიმალავდა“. – უცნაურად ცივი და მიუკარება ეჩვენა მრავალგანსაცდელს გამოვლილი, პატარა, ერთგული „მეგობარი“.

\* \* \*

– ჩაი მზადაა, დავასხა? – შემოესმა სამზარეულოდან.

„ჰო, ჩაი, ჩაი და ჩემი კიდეჩატეხილი ჭიქა! ბიჭუნას კი ალბათ ისევ სძინავს, არ ღირს შენ უხეხა!“ ჩუმად, უხმაუროდ გამოიხურა ბინის კარი. სხვა დროს ასეთი საქციელისთვის საკუთარ თავს შეუძახებდა, დატუქსავდა, ახლა კი... „მიზანი ამართლებს საშუალებას“ – მწარედ გაელიმა. არასდროს მოსწონდა ეს გამოთქმა – არაკაცების მოგონილიაო.

ქურთუკის საყელო ოდნავ აიწია, რამდენიმე სართული კიბეზე თითქმის ჩაირბინა, უცბათ შეჩერდა და ლიფტის ლილავს აღელვებულმა თითი დააჭირა.

თითქოს გაუხარდა კიდევ, ლიფტი რომ ცარიელი დახვდა, ანდა, რა საჭირო იყო ნაცნობ-მეზობლებთან შეხვედრა? ეს მაინც არაფერს შეცვლიდა!

ეზოშიც არავინ დახვედრია. ეტყობა, ნაახალწლევ-ნაქეიფარ ბიჭებს უჭირდათ თბილი საწოლების მიტოვება. დაღმართზე დაეშვა და ისე, ნაბიჯი რომ არ შეუნელებია, უნებლიეთ ახედა მეთერთმეტე სართულს. თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, სწრაფად მოსწყვიტა მზერა და თავჩალუნულმა განაგრძო გზა.

„მე ვარ გზა, თქვენ კი არ მომყვებით!“

მე ვარ ნათელი, თქვენ კი ვერ მხედავთ!“

„მარშრუტკაში“ ხალხი კანტიკუნტად იჯდა, არც ნაცნობი ამოსულა ვინმე.



„ახლა ჩვენი დროა“... – ისმოდა ხმაანეული მათნიტაფონიდან ახალგაზრდული ხმები.

„ჰო, ახლა თქვენი დროა, გენაცვალეთ, თქვენი და კიდევ ამ დამპლებს, არაკაცების... დახლიჩეს და დაანანევრეს ქვეყანა, რაც თვითონ ვერ შეჭამეს, უცხოტომელს მიუგდეს საჯიჯგნად და იქაც წილებში ჩაუჯდნენ. ჯიშიანი ბიჭები და გოგოები ქვეყნიდან გააქციეს და მანქურთების მონებად აქციეს. ვინც ვერ გააღწია, გააპრასტიტუტკეს და გაანარკომანეს, ერს ღირსება აჰყარეს, სადღაც ჯურღმულში მოისროლეს და მხოლოდ უფალმა ღმერთმა თუ იცის, როდის, რომელი თაობა მიაგნებს და დაუბრუნებს პატივყრილ ადამიანებს... ფუნქციადაკარგულ კაცებს ერთი საზრუნავილა დაუტოვეს – როგორ ჩაიხრჩონ თავი ღვინო-არაყში, თვითონ კი, გავაგასიებულნი, ვილებში და გამთბარ კაბინეტებში გამოკეტილნი, ფაშვებდაბერილები, დანყებული „საქმის“ ბოლომდე მიყვანის ყალბი ლოზუნგებით მოძღვრავენ გაბრიყვებულ ხალხს! ფუი, თქვენი... ვითომ დემოკრატები... თქვენი დედაც... დედაც ავატირე თქვენი!”

\* \* \*

მალღივი კორპუსის გადასახვევთან მძლოლს მანქანა შეაჩერებინა, ლარიანი გაუწოდა, ხურდას არ დალოდებია, ისე მიუჯახუნა კარი. იქვე, გზის პირას, ხის ყუთზე ჩამომჯდარ სანდომიან ქალბატონს, სიგარეტებს რომ ყიდდა, ათლარიანი მიანოდა – რამე მომანევინეთო.

„ვაისროის“ კოლოფი ჯიბეში ჩაიდო, შეტრიალდა და... – ხურდა ინებეთ, ბატონო ჩემო!

„რა ნაცნობი ხმაა, კილო, თითქოს სადღაც მინახავს კიდევ... ალბათ იქ, აფხაზეთში, სოხუმში“...

– არ არის საჭირო, ქალბატონო, ახალ წელს გილოცავთ!

კიდევ უფრო აქაჩა ქურთუკის საყელო, ზამთრის ძალადაკარგულ მზის სხივებს სახე შეაგება, თვალეები მილულა; ცოტა ხანს ასე იდგა, გარინდებული. შემდეგ სწრაფად შემოტრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, თვალეები გაახილა და მიწაზე განოლილ საკუთარ ჩრდილს დახედა. „ჩრდილიც კი მიმანიშნებს – ამ გზას გაჰყევით“ – გაურბინა ფიქრებმა.

...თბილისის შემოგარენი თითქმის ფეხით ჰქონდა შემოვლილი. აქ კი პირველად შარშან, გაზაფხულზე ამოვიდა. შხაპუნა წვიმაში ერთიანად გალუმპულს ბავშვივით უხაროდა აჯეჯილებულ, ხასხასა ბალახზე სიარული. აღარც კი ახსოვს, რამ-

დენი იარა. მოგუგუნე ქალაქი კარგად შორს დარჩენილიყო და ჰორიზონტზე მისი კონტურებილა იკითხებოდა.

ძაღლების ყეფამ გამოარკვია. მოშორებით პატარა ფარაც შენიშნა. სადგომიდან ჭარმაგი, მასავით ახოვანი კაცი გამოეგება. გაუკვირდა, ნეტავ საიდან მოდის ამ თავსხმაში ასე ეულიო.

– აქეთ მობრძანდი, შვილო! ცეცხლთან გაგათბობ, რაც შეიმიძლია, გიმასპინძლებ კიდევ!

სადგომში, შუაცეცხლზე, მოზრდილი კუნძი უხმაუროდ ინვოდა. ცოტა არაყი, ცოტ-ცოტა ყველი, მჟავე, ლორის ნაჭერი და ნაკვერჩხალზე გაფიცებული ქალაქური ლავაშის ნაჭერი...

„ეს იმ კაცებს გაუმარჯოს, ვინც ამ ღვთიური ზეცის და მიწის მაღლი იციან და ამ მაღლით აღსავსენი დაიარებიან დედამიწაზეო“, მარჯვედ გადაჰკრა მომცრო ჭიქა და გამეცნო: – ოთხმოცს მივუკაკუნე, თითქმის ნახევარი საუკუნე მიშა მასწავლებელს მეძახდნენ. საქართველოს ისტორიას ვასწავლიდი. ჩემი მოსწავლეებიდან ზოგი პროფესორ-აკადემიკოსი გამოვიდა, ზოგიც ექიმი და ინჟინერი, ერთი-ორი ხელმრუდეც გამოერია, მაგრამ მშობლიური ქვეყნის ისტორიას თითქმის ყველა პატივს სცემდა და როგორც შეეძლო, სწავლობდნენ. წლებმა მიწია, შემდეგ განათლების „რეფორმაც“ დამეხმარა და სკოლიდან წამოვედი. ქვრივი კაცი ვარ, სამი ზორბა ვაჟკაცი გავზარდეთ მე და ცხოვრებულმა ჩემმა მეუღლემ. სამივე ცოლშვილიანია, სამივე უმუშევარი. მაგათ შემყურეს მოხუცი გული მეთუთქება, რადგან ვიცი, რა ცეცხლი და ქარბორბალა უტრიალებთ სულში; ვერ აუწყეს ფეხი უზნეო და გამგელებულ ცხოვრებას. ვერც რომელიმე, ქვეყანის დამქცევარი კაცის კაცები გახდნენ, რადგან იციან, რომ კაცის კაცი ვერასოდეს იქნება სრულფასოვანი კაცი. რა ჰქნან? ასე დავზარდეთ და რა მაგათი ბრალია? ამ ორიოდ წლის წინ კი, თუ რამე გამაჩნდა, მივყიდ-მოვყიდე, ცხვარ-ძროხა შევიძინე, ეს პატარა სადგომი ჩავდგი და რაც შემიძლია, ვეხმარები შვილებს და შვილიშვილებს. ორ-სამ დღეში რიგ-რიგობით ამომაკითხავენ ხოლმე. ძაღლებმა ყეფა ატეხეს, გამოვიხედე და რომ დაგინახე, ჩემი ნაბოლარა მეგონე, ჰგავხართ ერთმანეთს ტანში და სიარულში... ჰო, ვინ ხარ, შვილო, საიდან გივლია ამ შორ გზაზე?

– აფხაზეთიდან, სოხუმიდან, ძია მიშა!

სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ წვიმის ხმაური ისმოდა სახურავიდან.

– გასაგებია, მაპატიე, შვილო, თუმცა, ამ უფიგროების ხელში ყველა ლტოლვილი და გარიყული ვართ...

ველარ უსმენდა მოხუცს. ფიქრებმა გაიტაცა და არყით შემთბარი ნალალატარ, კვამლში გახვეულ სოხუმის ქუჩებში დააბიჯებდა. აგერ ეზო, სახლ-კარი, საყვარელი საგნები და... სარკე! ნეტავ რას ფიქრობს მასში ჩამხედავი ის არაკაცი?! ძმასავით ვზრდიდი, ლუკმაპურს ვუყოფდი, მაგის... და ისევ გზა, გზა ჭუბერისაკენ, თოვლჭყაპიანი, ტანჯვა-გოდების, ძარცვა-გლეჯის, გზა დამარცხებულ-დაჩიავებული, უაფხაზეთო საქართველო-საკენ!

ისიც გაახსენდა, როგორ შემოუერთდნენ ცეცხლთან მჯდომთ დაყაჩაღებული ბავშვიანი ქალები, როგორ წამოცვივდნენ ფეხზე სვანი ბიჭები – „არიქა, ძმებო! დალის ხეობაში სვანი კაცის სახელი იბღალეზაო“.

„მთას კიდევ შემორჩა ვაჟკაცის სული“ – გაიფიქრა მაშინ. თავი ასწია და მოხუცი მასპინძლის თანაგრძნობით სავსე წყლიან თვალებს გადააწყდა; მძიმედ წამოინია, ხელები მხრებზე მოხვია და შუბლზე ეამბორა მამაშვილურად.

წვიმას გადაელო, ჰაერი საოცარი, ოზონის არომატით გაჯერებულიყო. მადლობა გადაუხადა ძია მიშას, დაემშვიდობა და ის იყო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რომ...

– შვილო, წელან მკითხე, რა ჰქვიაო ამ არემარეს; რაც თავი მახსოვს, „ნაფეტვრებს“ ეძახის ხალხი, „ნაფეტვრებს“.

– „ნაფეტვრებს!“

ნახევრად შემობრუნებულმა ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ზედაზენის თავზე გადაჭიმული ცისარტყელის ფონზე წმინდანივით მდგარ ახოვან მოხუცს.

– ღმერთო ჩემო! – წამოსცდა უნებლიეთ, პირჯვარი გადაისახა და თავჩალუნულმა განაგრძო გზა.

ჰო... ეს იყო მაშინ, გაზაფხულის ერთ მშვენიერ, წვიმიან დღეს, იმ საუკუნეში... დღეს კი...

„მე ვარ მოძღვარი, თქვენ კი არ მისმენთ,  
მე ვარ ერთგული მეგობარი,  
თქვენ კი არ გიყვარვართ“...

„მეგობარი... მეგობრები!“ – ინსტინქტურად ადგამდა ფიქრებმოძალებული ნაბიჯებს – „მაგათ შემქმნეს და მაგათ გამზარდეს... ჩემს ასაკში თუ მეგობარს კიდევ შეიძენდა კაცი... ნეტავ სად არიან ის მოსკოველი ბიჭები, სიტყვა რომ მომცეს

– საქართველოში დავბრუნდებით, ერსა და ბერს დავუდგებთ გვერდშიო... თუ შეასრულეს სიტყვა ბიჭებმა?! ან ეს კახელი, შილდელი ბიჭები... ვაჟკაცები, პირდაპირები, უღალატონი და საოცრად ალალები... ნეტავ რას იტყვიან რუსთაველი ძმაკაცები? თუ გამიგებენ?.. ალბათ, გამიგებენ, ჩვენ ხომ ხშირად უსიტყვოდაც გვესმოდა ერთმანეთის... ეჰ, რამდენის სული უდროოდ ამალლდა ზეციურ საქართველოში... ნავიდნენ და ამ ნასვლით... სიკვდილი გაგვიადვილეს!“

„მე ვარ უფალი, თქვენ კი არ მემორჩილებით! მე ვარ ღმერთი თქვენი, თქვენ კი არ ლოცულობთ ჩემდამი... და თუ თქვენ არა ხართ ბედნიერნი, ნუ დამადანაშაულებთ მე!“

„ნუ დამადანაშაულებთ მე... არ ლოცულობთ!“ – აკი ვილოცე? აკი შეგევედრე და გთხოვე პატიება?“

მინდორი გათავდა. „აქ სადღაც ბილიკია, კლდოვანი ბილიკი... შემდეგ პატარა მდელი... უსაზღვროდ ლამაზი იყო ღელისპირას მწვანედ აბიბინებული მდელი... სამოთხის მდელი!“

ისე ჩაათავა კლდოვანი ბილიკი, არცკი უგრძენია დამსხვრეული ლოდების ყინულოვანი სიცივე...

პატარა ბუჩქნარს ბელურების გუნდი შესეოდა და მათი ყრიამული იქაურობას აყრუებდა.

„ერთგულნი, უღალატონი, ზამთარშიც არ სტოვებენ სამშობლოს!“ – მწარედ ჩაელიმა და ღელისპირას დაგდებულ უზარმაზარ ლოდთან წამოწვა...

„უფალმა შეგქმნა ადამიანად, არა – მცოხნავად – თივის, სულის, კაცობის, რწმენის მზიდავად – და არა კურტნის, ვირის!“

გარჯის, ღმერთისთვის ტაძრის ამგებად, დამნთებლად – სანთლის, მტრის შემმუსვრელად, მოყვასის მონად – გამზიარებლად ჭირის!

სამშობლოს, მშობლის ერთგულ იმედად – შვილის აღმზრდელად, ზრდილის!“ წაილიღინა გონებაში და ფრთხილად მოსინჯა გულის ჯიბეში მიმალული „ერთგული მეგობარი“.

ერთსაც მოვწევ... უცნაურმა, არაბუნებრივმა ხმამ ბუჩქნარსშესეულ ბელურებს ჟრიაამული შეაწყვეტინა, ხეობას აჰყვა და სადღაც, გადასაკარგავში გაუჩინარდა...

უშუქობით განანამები, კვამლში გახვეული, ზამთრის სუსხიანი თბილისი ოცდამეერთე საუკუნის პირველ საათებს ითვლიდა.



ეზარ  
გოგოლაძე

## იბავეზი

### ერთი აგურის აგავი

ერთ პატარა სოფელში ტაძრის აშენება გადაწყვიტეს. ვისაც რით შეეძლო, იმით ეხმარებოდა მშენებლებს: ზოგს ქვა მოჰქონდა, ზოგს – ღორღი, ზოგს – სილა, ზოგს – აგური, ვის რა და ვის – რა.

ერთ უღონო და უქონელ სანყალ კაცს ნაპირჩამოტეხილი აგური დაეჭირა და ნელ-ნელა მიჰყვებოდა გზას. გზად მიმავალს მდიდარი და ჯან-ღონით სავსე ბობოლა კაცი წამოენია, რომელსაც კარგა ბლომად ენყო ახალთახალი აგურები ურემზე და მშენებარე ტაძრისკენ მიიჩქაროდა. ურმის პატრონმა ცალი აგურის პატრონს ირონიულად გადახედა და იმის მაგივრად, რომ ურემზე შემოესვა, ქილიკით უთხრა: – მაგით გინდა ააშენო ტაძარი?

– რაც შემიძლია, იმას ვაკეთებ! – მიუგო უღონო კაცმა და გულნატკენმა გააგრძელა გზა.

ტაძრის მშენებლებს ბალავარი უკვე ამოევსოთ, სარტყელი შემოევლოთ და ბოლო აგურსლა არჩევდნენ სარტყელის ჩასაკეთად. ღრიჭოში მთლიანი აგური არ ეტეოდა, ისეთი ნატეხიკ ვერაფერი მოეძებნათ, რომ იმ ადგილს ზუსტად მორგებოდა და ამიტომ ცხენურმის პატრონის აგურებიდან აიღეს ერთი მთლიანი აგური და დააპირეს ნაპირის ჩამოტეხვა. ის იყო, აგურისათვის ჩაქუჩი უნდა დაერთყათ, რომ ურმის პატრონმა

იყვრის: – ახლავე გაჩერდით! განა დასამტკვრევად მოგიტანეთ ასეთი მშვენიერი აგურები, მაგ ღრიჭოში სხვა რამე ჩაჩურთეთ, ჩემი აგურები კი მალლა, გამოსაჩენ ადგილას დააშენეთ, რომ ჩემი ღვანლი ღირსეულად დაფასდეს და მეც დამედოს პატივი!

კალატოზმა ჩაქუჩი ჰაერში გააჩერა და ბობოლას წყენით გამოხედა: – შე კაი კაცო, შენობის აკვარგიანობას მისი კოხტა და მტკიცე ბალავარ-სარტყელი განაპირობებს, განა ფასადური სილამაზე!

სწორედ ამ დროს, ეზოში ის უღონო კაცი შემოხანხალდა, ნაპირჩამოტეხილი აგური რომ მოჰქონდა.

– აბა, ეგ აგური მაჩვენე! – უთხრა კალატოზმა ახლადმოსულს და აგური ჩამოართვა. აგური ზუსტად მოერგო ღრიჭოს და ბალავარის სარტყელიც კოხტად გადაიკეტა.

– აგაშენა ღმერთმა! – შეჰლიმა კმაყოფილმა კალატოზმა და აგურის ნაპირებს ქაფჩით ალიზი ფაქიზად გადაუსვა.

ბედნიერი და ვალმოხდილი გამობრუნდა უკან უღონო კაცი. ურმის პატრონმა კი თავჩაღუნულმა დატოვა იქაურობა. ამაზეა ნათქვამი:

საქმე მადლით იზომება,  
მადლი თავმდაბლობითაო,  
კაცი ფასობს სიკეთით და  
არა დიდგულობითაო!

ბედნიერია, ვინც ამ იგავის სიბრძნეს ჩასწვდება, ამით ის ცხოვრების გზა-სავალს გაინათებს...

## ყვავის ანღერა

ხეზე შემომჯდარი ბებერი ყვავი ყველის ნაჭერს შეექცეოდა. გამოიარა ამ დროს მშვიერმა მელიამ, შეხედა ყვავს, იფიქრა, ყველის ნაჭერს გავაგდებინებო და დათაფლული ხმით მიმართა: – ყვანჩალავ, კარგი მაძლარი და შექეიფიანებული მოვდივარ ახლა მეგობრის ქორწილიდან და ერთი კარგი სიმღერა ნამდვილად მეამება. თუ ღმერთი გწამს, შენს გახარებას, შენი ოქროს ნისკარტით ერთი კარგი სიმღერა მიმღერე და პატივისცემა ჩემზე იყოს!

ყვავმა ყველის ნაჭერი გვერდზე გადადო და დაიჩხავლა: ყვავა-ყვავა! – მერე აიღო ისევ ყველის ნაჭერი და გააგრძელა ჭამა.

მელია მიხვდა ყვავის ეშმაკობას და ახლა ახალ ხერხს მიმართა. წავიდა, საიდანღაც ერთი ლავაში მოათრია, ერთი ხელადა ღვინოც მოაყოლა და ყვავს შესძახა: – ყვანჩალ, მეგობარო! ღვინო და პური ჩემი, ეგ ყველის ნაჭერი შენი, მოდი, საერთო სუფრა გავშალოთ და მოვილხინოთ!

– რომ შემჭამო?! – დაეჭვდა ყვავი.

– როგორ გეკადრება, სად გაგონილა, რომ სუფრასთან დამეგობრებულები ერთმანეთს მტრობდნენ? – დაანამუსა მელამ ყვავი.

დაიჯერა ყვავმა მელიას ნათქვამი, ჩამოიტანა ყველის ნაჭერი და მიუჯდა მელიას. მელიამ სტაცა ყვავს კისერში პირი და დაუნყო დახრჩობა.

– მელავ, ერთი ანდერძი მინდა დავიბარო, შენც გამოგადგება ეს ანდერძი, მოდი, მათქმევინე და მერე შემჭამე! – შეეხვეწა ყვავი.

– კარგი, მაგაზე უარს არ გეტყვი! – თქვა მელამ, გაუშვა პირი ყვავს, ხელები გულზე დაიწყო და უთხრა: – აბა ჰე, გისმენ!

ყვავმა ამ მომენტით ისარგებლა, დასტაცა ნისკარტი თავის ყველის ნაჭერს და აფრინდა ხეზე.

– კი, მაგრამ, ანდერძი რომ უნდა გეთქვა?! – გააკრაჭუნა კბილები თავის შეცდომაზე გაბრაზებულმა მელამ.

– აქედან გეტყვი! – უთხრა ყვავმა და ჩამოსძახა:

პურ-მარილის მეგობრობა მაგიდაზე დარჩებაო,

ვაი იმას, ვინც არ იცის მეგობრების შერჩევაო!

– აი, ეს არის ჩემი ანდერძი. წადი ახლა და გაავრცელე ხალხში! – თქვა ყვავმა და ჩვენი იგავიც აქ დამთავრდა. იგავი კი გვმოძღვრავს: შემთხვევით გაცნობილ ადამიანს მაშინვე ნუ ჩაეხუტები, მეგობრობას დრო გამოაჩენს და საერთოდ, ისწავლეთ მეგობრების სწორად არჩევა!

დავუჯეროთ იგავს...



## წუნურაქი და ნატვრისთვალი

ერთი ღარიბი კაცი ჩაფიქრებული მიუყვებოდა ბილიკს. მოულოდნელად ბალახებში მობრჭყვიალე პატარა ბროლის ბურთულა შენიშნა, აიღო ხელში და ინატრა: – ნეტავ ეს ბურთულა ნატვრისთვალი იქნებოდეს!

– დიახ, ნატვრისთვალი ვარ, ოლონდ, მარტო კეთილ სურვილებს ვასრულებ! – შეჰღულუნა ნატვრისთვალმა.

– მაშინ, მე ახლა ვინატრებ იმდენ ოქროს ფულს, რამდენსაც მოვერევი! – თქვა კაცმა და ნატვრისთვალი ჰაერში შეათამაშა. ნატვრა დამთავრებულაც არ ჰქონდა, რომ მის მარჯვნივ და მარცხნივ პატარა ზომის ორი სკივრი გაჩნდა ოქროებით სავსე. კაცმა რამდენიმე ოქროს ფული ყოველი შემთხვევისათვის ჯიბეში შეინახა, რათა საჭიროების შემთხვევაში უფრო მოხერხებულად დაეხარჯა, მერე სკივრებს სახელურებში მოჰკიდა ხელი და სახლისაკენ გაუჩქარა.

პურის საცხობთან რამდენიმე გლახაკი მიმდგარიყო და პურს ითხოვდა.

მეპურე ეუბნებოდა: – თქვე დალოცვილებო, მყიდველებზე მეტნი თქვენა ხართ და ყველას რომ დაგეხმაროთ, ხომ გავკოტრდები მე უბედური. ამიტომ ცოტა მოითმინეთ, ვინმე შეძლებული, ღვთისნიერი კაცი გამოივლის, ფულს გადაიხდის და ყველას დაგანაყრებთ!

ეს სიტყვები კარგად გაიგონა იქვე მიმავალმა, ახლახან გამდიდრებულმა ჩვენმა ნაცნობმა კაცმა, მაგრამ, ამ უბედური ღარიბებისათვის თუნდაც ერთი მონეტის გაღება არც უფიქრია. რამდენი მათხოვარი შემხვდება გზაში, ყველას თუ დავეხმარე, მე რალა დამრჩებაო და გააგრძელა გზა.

შინმისულმა კარი ჩაკეტა, მეუღლეს მოუხმო და უთხრა, ჩვენ ახლა ისეთი მდიდრები ვართ, რასაც ვინატრებთ, ყველა სურვილს შევისრულებთო და სკივრებს თავი ახადა. მაგრამ, ჰოი საკვირველებავ! სკივრებში ოქროს მონეტების ნაცვლად ქვის ნატვრები ეყარა. გაბრაზებულმა კაცმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, რათა ნატვრისთვალი შეეჩვენებინა, მაგრამ ის იქ აღარ დახვდა. სამაგიეროდ დახვდა წერილი:

გულკეთილი ყველას უყვარს, წუნურაქი არავისო,  
თუ ინუნკებ, რასაც გაძლევს, ღმერთი უკან წაგართმევსო...

ამიტომაც ეს ანდაზა ყველას უნდა ახსოვდესო!

აი, აქ მთავრდება ჩვენი იგავი, რომელიც გვასწავლის, შენი წუნურაქობა შენვე დაგლუპავსო!

კარგად მეყოლეთ!





სიალა  
გორჯენიანი

## ყვავილეტი ჩემი პასნავლეულისათვის

ის გაზაფხული სულ არ ჰგავდა სხვა გაზაფხულებს. მაშინ სხვაგვარად ჰყვოდა ნუში, სხვაგვარად თოვდა ვაშლის ყვავილი, სხვაგვარად იწონებდა თავს ვარდისფრად აფეთქებული ატმის რტო...

ჩვენც გვიხაროდა გაზაფხული, სიცოცხლე გვიხაროდა, ერთადყოფნა გვიხაროდა.

ეს მაშინ...

ახლა შემოდგომის ცრიატი ამინდია. ქარვისფერი ფოთლები ეფინება დანამულ მიწას. ნელა მივაბიჯებ. არ ვიცი, საით, რატომ... მივდივარ კი. ქუჩაში არავინაა. მერე ვილაცის ხელის შეხებას ვგრძნობ, ნაზი ხელის შეხებას. თითქოს მეცნობა ხელის ნაზად შეხება და მისგან გადმოსული სითბოც. საშუალო სიმაღლის, სანდომიანი სახის მანდილოსანი მილიმის... თითქოს ეს ღიმილიც მეცნობა. მოხდენილად აცვია, ხელში წიგნებით სავსე ჩანთა უჭირავს... თითებით ისწორებს თმას და მილიმის... რალაცას მეუბნება, მაგრამ მისი ხმა არ მესმის... არ ვიცი, დახმარებას თუ მთხოვს...

ვდგავარ. არ ვიცი, რა ვქნა. უცბათ ქარმა დაუბერა. წვიმაც წამოვიდა. მანდილოსანი გაქრა. არ ვიცი, საით წავიდა... მეც საიდანღაც ცბრუნდები ჩემს ოთახში. თვალწინ მიდგას მომღიმარი მანდილოსანი. ღმერთო, სიზმარი იყო თუ ცხადი? ის მანდილოსანი... როგორ ვერ ვიცანი, ის ხომ ჩემი კლასის დამრიგებელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო...

როგორ შეგვაყვარა თავი მეხუთეკლასელებს. წყნარი საუბარი იცოდა, ონავარი მოსწავლეებიც კი სულგანაბულნი უსმენდნენ. მარტო ეს? არა, დედასავით ყურადღებიანი, მზრუნველი იყო. ერთნაირად უყვარდა ნიჭით გამორჩეული და სუსტი მოსწავლე. ისეთი გულისხმიერი იყო, ვერაფერს გამოაპარებდით, ლამის ყველას საიდუმლო იცოდა: ვის ვინ მოსწონდა, ვის ვინ უყვარდა, ვინ იყო გაბუტული...

შვიდი წელი გვასწავლიდა ქართულ ენასა და ლტერატურას ნატო მასწავლებელი, მარტო საგანს კი არა, სამშობლოს ერთგულებას, ერთმანეთის სიყვარულს, სიმართლისთვის ბრძოლას გვასწავლიდა.

მერე დადგა სკოლასთან გამოთხოვების დრო.

მას შემდეგ ბუნებამ მეოცედ იცვალა ფერი. მეოცედ დადგა ღვინობისთვე. ყოფილი თანაკლასელები მეოცედ შევიკრიბეთ, ოღონდ ახლა ნატო მასწავლებელი აღარ იყო ჩვენთან...

ჩემს სანერ მაგიდაზე ჩემი დაუმთავრებელი მოთხრობის ფურცლები ყრია. საფერფლე სიგარეტის ნამწვითაა სავსე... ჩემი წუხანდელი უძილო, სიზმრიანი ლამის მოწმე...

\* \* \*

სასტუმრო ოთახში მოზრდილ, ოვალურ მაგიდას ორმოც წელს მიტანებული ბანოვანები და მამაკაცები შემოსხდომიან. საუბრობენ... იხსენებენ მშობლიურ სკოლას, რომლის ერთ საკლასო ოთახში დარჩათ ბედნიერი, უდარდელი ბავშვობა და საყვარელი ნატო მასწავლებელი, რომელმაც ყველას სათითაოდ შეგვარქვა ლიტერატურული ნაწარმოების გმირის სახელი. გაიხსენეს, ერთ ნავსიან დღეს როგორ ნაადრევად გამოეთხოვა წუთისოფელს და სულეთში გადასახლდა. ჩვენ კი ცხოვრების საგზაოდ სამშობლოს სამსახური და ურთიერთსიყვარული დაგვიტოვა...

მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს გასახსენებელი და სათქმელი შემოელიათ. ეს მხოლოდ რამდენიმე წუთით. მერე ისევ აშრიალდა წარსულის მოგონებათა წიგნის ფურცლები.

– ნესტან, როგორ იყო, მეხუთე კლასში ქართულის გაკვეთილი რომ ჩაგვიტარე და ორიანებით დაგვამშვენე ყველა? – ეს ლევანი იყო.

– აბა, რას ვიზამდი... ჯავრი ხომ უნდა მეყარა თქვენზე, რაინდებად რომ მოგქონდათ თავი და ჩანთებს კი გვიმალავდით... იმ ორიანების გახსენებას გირჩევნია, სამზარეულოში გახვიდე და

ყავა მოადულო, ისე, ცნობისათვის, ერთ-ერთი რაინდი ჯერაც დაუოჯახებელი გვყავს... – თქვა ნესტანმა და თვალი ჩემკენ გამოაპარა...

– მარიამს დაავალეთ... დროა მისი დაოჯახებისა. – მიუბრუნდა ლევანი ნესტანს და მომეჩვენა, რომ იმანაც, შეთქმულივით, თვალი ჩემკენ გამოაპარა.

მერე საუბარი სკოლასა და განათლების საკითხებზე ჩამოვარდა:

– სკოლა, მასწავლებლობა ნატო მასწავლებელმა შემაყვარა. ძალიან მიყვარს ჩემი მოსწავლეები, სულ ვცდილობ, ნატო მასწავლებელს დავემგვანო. მასავით ტანსაცმელი მეცვას, მასავით ვილიმებოდე, მასავით მიყვარდეს მოსწავლეები და მოსწავლეებსაც მასავით ვუყვარდე. ამას ხომ შრომა, დამსახურება უნდა. მერნმუნეთ, ჩვენი ნატო მასწავლებლის სიყვარულით ავირჩიე პედაგოგობა. როცა გაკვეთილს ვატარებ, ასე მგონია, ნატო მასწავლებელი მიყურებს და მისმენს... – ნესტანს ნატო მასწავლებლის გახსენებაზე თვალები დაენამა.

ნესტანს გვანცამ აუბა მხარი: – რამხელა სიხარული და ბედნიერებაა, როცა მასწავლებელი უყვართ მოსწავლეებს. ეს ადვილად ხომ არ მიიღწევა. ნატო მასწავლებელი მასწავლებლად იყო დაბადებული... მას შემდეგ რამდენი რამ შეიცვალა, განათლების პროგრამებიც... ნეტავ, როგორი იქნებოდა დღეს ნატო მასწავლებელი, როგორ შეეგუებოდა ამ ცვლილებებს? – ეჭვი გამოთქვა ნიამ და სხვებს გადახედა, თქვენ რას ფიქრობთ, რას იტყვით ამაზეო.

სტუმართაგან უცხო არავინ იყო. ღვინობისთვეში ტრადიციულად, მხოლოდ ყოფილი თანაკლასელები ვიკრიბებით ჩემთან მასწავლებლის დღის აღსანიშნავად... მე, როგორც მასპინძელი, მორჩილად ვასრულებ სტუმრების სურვილს და სამზარეულოში შევდივარ... მარიამიც სამზარეულოშია. ყავის ფინჯნებს აღაგებს ლანგარზე. დროდადრო ფანჯარაში იყურება და უხმოდ გასცქერის ჭადარს, რომელიც დღემდე ინახავს ჩვენი პირველი კოცნის საიდუმლოს.

ჩვენ შორის სიჩუმე მესამე ადამიანივით ჩამომდგარა.

მე პირველი ვარღვევ სიჩუმეს: – სხვისი იყავი და მაინც მუდამ შენზე ვფიქრობდი. ვერა და ვერ გივიწყებდი. ჩემს ძმაბიჭებთან ერთად დიდხანს გეძებე ძალით გატაცებული. ვერსად მოგაგენით. თავის მოკვლა მინდოდა. ის დღეები ნატო მასწავლებელ-

მა, მისმა დედობრივმა საუბრებმა და რჩევამ გადამატანინა. მარიამ, ვიცოდი, ვერ შეიყვარებდი კაცს, ვინც ამდენი ტკივილი მოგაყენა. ალბათ, ღმერთმა დასაჯა უგულობისათვის... არ შერჩა ჩემი და შენი ცხოვრების გზის გამრუდება... ახლა? მე ისევ მიყვარხარ, როგორც მაშინ... არა, უფრო მეტადაც... შენ მე მჭირდები, შენი სიყვარული... ჩვენ ერთი ბედი გვაქვს... დაივიწყე ყველაფერი... ჩემზეც იფიქრე... ჩვენზე იფიქრე... ჩვენს სიყვარულზე...

პასუხის მოლოდინში ისე მაგრად მოვუჭირე ხელი ხელზე, მარიამმა ლამის შეჰკვივლა და მომაჩერდა. მე არც მინდოდა მისი სიტყვიერი პასუხი, ჰო ან არა. არ მომეჩვენა, მის თვალეში წავიკითხე ის, რაც ასე მინდოდა: მარიამს ვუყვარდი...

– რით ვერ მოადულეთ ყავა აქამდე, მარიამ, ნიკა! – გამოგვძახეს სასტუმრო ოთახიდან.

– ახლავე, ახლავე... ნამცხვარსაც დავჭრით და მოგართმევთ! – გასძახა მარიამმა და ნამცხვრის დაჭრა დაიწყო. ხმა შესამჩნევად უთრთოდა. ხელიც უკანკალებდა. ამის მიზეზი კი მე ვიყავი და ჩვენი სიყვარული და მეც სხვა რალა უნდა მდომოდა!..

როცა მარიამი და მე ოთახში შევედით, ყველა ღიმილით, გახარებული მოგვაჩერდა, ალბათ, მიხვდნენ, რომ ორივეს გული ისევ ერთმანეთისთვის ძგერდა.

ვაჟას ვითომ არ დავუნახივართ, დანყებულ საუბარს განაგრძობდა: ძალიან გადატვირთული სამუშაო დღეები მაქვს. მარტო სამუშაო, სხვა ვერაფრისთვის ვერ ვიცლი. ვერც თქვენ განახულობთ ხშირად, მაგრამ მთელი გულით და სულით თქვენთან ვარ. ზოგჯერ გესაუბრებით, კიდევაც გეკამათებით. როგორ ადამიანს არ შევხვედრივარ... ზოგჯერ ისეთსაც, სხვისთვის კარგი რომ არ ემეტება, მარტო საკუთარ თავზე ზრუნვა მიაჩნია ადამიანის დანიშნულებად. დარწმუნებული ვარ, იმათ ჩვენი ნატო მასწავლებლისთანა მასწავლებელი რომ ჰყოლოდათ სკოლაში, უკეთესები იქნებოდნენ. არასოდეს დამავინყდება მისი შეგონება: ქვეყნის გაჭირვებას, სიღატაკეს, ასე თუ ისე, აიტანს კაცი, როცა იქნება, გონს მოეგება ერი, მდგომარეობაც გამოსწორდება, მაგრამ სულის სიღატაკეს კი ძნელად ეშველებო... ღირსების გადარჩენისათვის ბრძოლაც ნატო მასწავლებლისგან ვისწავლე.

დარიამაც სიყვარულით გაიხსენა ნატო მასწავლებელი და მისი გაკვეთილები.

ყველას ჰქონდა სათქმელი, კეთილად მოსაგონარი საყვარელ მასწავლებელზე.

სიგარეტს მოვუკიდე და ცოტნესთან ერთად აივანზე გავედი. მეც მქონდა სათქმელი: – ცოტნე, ნატო მასწავლებელმა იცოდა, რომ მოთხრობებს ვწერდი... ისე, ჩემთვის... ერთხელ, შეუძლოდ რომ გახდა და სკოლაში ვერ მოვიდა, თავის სახლში დამიბარა. არასოდეს დამავიწყდება ის დღე. მითხრა, ჩემო ნიკა, წერიტ ბევრი წერს, თუ გინდა, რომ კარგი მწერალი გამოხვიდე, ბევრი უნდა იმუშაო შენ თავზე. გაუნათლებელი მწერალი არ იქნებაო. ეცადე, მკითხველის გულამდე გადებულ ხიდზე ფეხი არ აგიცდესო, მწერალი თავის ქვეყანას, თავის ერს და სიმართლეს უნდა ემსახურებოდესო... ვგრძნობდი, საუბარი უჭირდა, თავს ძალას ატანდა...

– შენ გამორჩევით უყვარდი, ნიკა, ჩვენ დამრიგებელს. – მითხრა ცოტნემ.

– არა, მას ყველა უყვარდა... მაგრამ იცოდა, რომ მე ყველაზე მეტად მჭირდებოდა მისი სიყვარული, რჩევა-დარიგებები და არც იშურებდა, ყოველთვის პოულობდა დროს ჩემთვის.

მაგიდასთან მყოფნი წამოიშალნენ. მე და ცოტნეს საუბარი შეგვანწყვეტინეს.

– მეგობრებო! ჩვენ საყვარელ მასწავლებელზე საუბარი არასოდეს მოგვწყინდება. ზოგი რამ მის საფლავთან გავიხსენოთ. წავიდეთ, სანამ წავკისელ პაპას ყველა თაიგული არ გაუყიდა... – გვითხრა ლევანმა.

ჩვენც დავეთანხმეთ. წავედით.

\* \* \*

– აბა, ყვავილები, ფერად-ფერადი, ნაირ-ნაირი ყვავილები-იი... იყიდეთ, საქართველოს ლამაზებო, გიგო პაპას ყვავილებიი... – რიხითა და იუმორით იზიდავდა მყიდველებს მოხუცი.

– რა ღირს, პაპა, თქვენი ყვავილები?

– რომელი გინდა, შვილო, შენ მარტო ხელი დაადე. იები? ვარდები? გვირილები?

– არა, არცერთი, პიონები გვინდა.

– ოო... პიონებიც მაქვს. ყველანაირი: თეთრი, ძონისფერი, ვარდისფერი, რომელს აირჩევთ?

– ყველას! ნატო მასწავლებელს ძალიან უყვარდა ყვავილები... ყველანაირი – მინდვრის, ბალის, ოთახის, მაგრამ პიონებს

თეთრ ვარდსაც კი ამჯობინებდა, ქალწულებრივი სინმინდის ფერი დაჰკრავთო, იტყოდა ხოლმე. წელიწადის დროთაგან გაზაფხულს გამოარჩევდა, ახალი სიცოცხლის დასაწყისსა ვგრძნობო, ამბობდა.

– რას ამბობთ, შვილო, ამდენს როგორ გასწვდებით. მაინც ვისთვის გინდათ ამდენი პიონი? – ცნობისმოყვარეობამ სძლია ბერიკაცს.

– გარდაცვლილი მასწავლებლისათვის... მეოცე წელია, მხოლოდ მისი საყვარელი პიონები აგვაქვს საფლავეზე.

– გაიხარეთ, შვილებო! – დაგვლოცა პაპამ. რაცკი პიონი ჰქონდა, რამდენიმე წუთში ერთ დიდ კონად შეკრა და თვალცრემლიანმა გამოგვინოდა. – პატივსაცემი მასწავლებელი გყოლიათ, ღმერთმა გიშველოთ, დღემდე რომ არ ივინყებთ, ღირსეული მასწავლებლისათვის ეს ყვავილები უსასყიდლოა!.. უარი არ მითხრათ, გული არ დამწყვიტოთ...

– რამდენი წლის იყო თქვენი მასწავლებელი? – იკითხა ვილაცამ, გულდაგულ რომ არჩევდა ყვავილებს.

– მასწავლებელი იყო ჩვენი მეორე დედა, დედას ასაკი როდი აქვს! – წყნარად უპასუხა რუსუდანმა.

– რა კარგად ვიქნებოდით, მასწავლებლის ღვაწლის ფასი ყველამ წყნეთელ გიგო პაპასავით რომ იცოდეს! – თქვა რომელიღაცამ, არ ვიცი კი ვინ, მგონი მე.

\* \* \*

თეთრი მარმარილოდან მასწავლებლის კეთილი სახე გვიმზერდა. თვალს თითქოს ჩემი და მარიამის გადაჭდობილი თითებისაკენ აპარებდა და მოწონების ნიშნად გვიღიმოდა...

საფლავიდან მოშორებით ვდგები, სიგარეტს ვუკიდებ და ვფიქრობ, რა მძიმე ჯვარს ეზიდება მასწავლებელიცა და მწერალიც. რა რთული, საპატიო და საპასუხისმგებლოა მათი საქმე. შევძლებ კი, ამ მისიის შესრულებას ისე, როგორც ჩემ საყვარელ მასწავლებელს სურდა? შევძლებ კი, მისი მოკრძალებული თხოვნის ნაწილობრივ მაინც შესრულებას? ვინ იცის...

\* \* \*

მწუხრის ჟამს დავემშვიდობეთ სულიერ მოძღვარს...

გავიდა კიდევ ექვსი ოქროსფერი შემოდგომა, გაზაფხულმა ექვსჯერ მიიკრა გულთან თავისი პირმცინარი ყვავილები,

ზაფხულის ცხელ დღეებში ექვსჯერ დაინვა თონეში ჩაკიდებული მზე...

მღელვარებისგან არც მე და არც მარიამს მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. ჩვენს პირმშო გოგონას პირველად უნდა შეეღო იმ სკოლის კარი, სადაც ჩვენ ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ.

ნეტა ვინ ჩაჰკიდებს ხელს ჩემს პატარას? ვფიქრობ ჩემთვის და თან სკოლის შესასვლელი კარისაკენ ვიყურები.

\* \* \*

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო! გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! – გვესალმება სკოლის დირექტორი და პირველი კლასის მასწავლებელს უხმობს. ცნობისმოყვარე მშობლები პატარებზე მეტად ღელავენ. ყველას აინტერესებს, ვინ გაუძღვება ცოდნის ტაძრისკენ მათ შვილებს.

მადალი, სუსტი, მომხიზვლელი ქალბატონი გამოდის... ჩემს ანას ხელს ჰკიდებს და საკლასო ოთახისკენ მიჰყავს... ზუსტად ისეთი ღიმილი აქვს, მისნაირი სიარული. მოულოდნელობისაგან გული მეკუმშება, სუთქვა მეკვრის... ჩემ წინ თითქოს ნატო მასწავლებელი დგას...

ყველაფერი თავიდან იწყება.



**გიორგი  
ვაშაკიძე**

## ჭინკები

მატარებელი გაჩერდა. ჩამოვედით. სახლამდე სამი კილომეტრი გვრჩებოდა ფეხით გასავლელი. გამახსენდა, თითქმის წელიწადია, სოფელში აღარ ვყოფილვარ. ხალისით მივუყვებოდი პატარა მდინარის პირს, ორ ციცაბო მთას შორის გამავალ, ტყეში ჩაკარგულ გზას, რომელსაც სავსე მთვარე ხელისგულივით ანათებდა. ერთ კილომეტრში ორი მგზავრი უსიტყვოდ გამოგვეყო და ხიდზე გადავიდა. აქედან, ხუთასიოდ მეტრში, ორი პატარა ტბის ნარჩენია, რომლის ბოლოშიც, ასე, სამას მეტრში, უზარმაზარი კაკლის ხე იდგა. მას ყველა სასვენებელა კაკალს ეძახდა და გადაღლილი მის ქვეშ ჩამოჯდებოდა ხოლმე.

– არ მიყვარს ეს ადგილი. – თქვა მამამ და ხის ქვეშ ჩამოჯდა. მაშინლა მივხვდი, რა სიჩუმეს დაესადგურებინა ირგვლივ, თითქოს მდინარესაც ეძინა.

– რატომ? – ვკითხე.

– ჭინკებიაო, ამბობდნენ.

– კარგი რა, არასოდეს არ გითქვია, აქ არ გაიზარდე?!.. შენ რა, გინახავს?

– არა, მე არა. მაგრამ, იმას ხომ იცნობ (აღარ მახსოვს, რა სახელი მითხრა), თმები სულ ჭალარა რომ აქვს?! – გამახსენდა ლამაზი, არც ისე ახალგაზრდა ქალი და თავი დავეუქნიე.

– მაშინ შენი ტოლი იქნებოდა, ქარხანაში მუშაობდა და დილაობით ამ გზის ფეხით გავლა უწევდა. ერთხელ, ისეთი სავსე მთვარე ყოფილა, ჰგონებია, გათენდა და დამაგვიანდაო და



თითქმის სირბილით წარმოსულა სახლიდან. აქ რომ ამოივაკა, დოლ-გარმონის ხმა გაუგონია გაღმიდან. ჯერ გაკვირვებია, მერე უფიქრია, ალბათ, სოფლის ბიჭები ქეიფობენო. ტბების შუანელთან იყო, რომ უცბად გოჭის საშინელი ყყვიტინი მოესმა. უკან თითქოს ღორღი ჩამოიშალაო. მოიხედა და რას ხედავს? პატარა ჭინკები მისდევენ. წყალგაღმიდანაც ყვირიან, დაიჭირეთო და ქვებს უშენენ. ქვემოთ, ხიდამდე მისდევდნენ და მერე წყალში ჩაცვივდნენ. იმის მერე გაჭალარავდა. ადექი, წავიდეთ! – მითხრა და დაიძრა.

– სხვას თუ უნახავს? – ვკითხე და პატარა წისქვილი შევათვალიერე, თავისთვის რომ ხრიალებდა.

– არ გამიგია. ერთი ორმაც თქვა, მაგრამ მაგათი არ მჯერა, ეს გოგო კი... არ მიყვარს, ეგ ადგილი...

\* \* \*

სოფელში რამდენიმე დღე დავრჩი. მამას მივეხმარე, დავისვენე და მერე მოვიწყინე.

– ნადი, დანარჩენს მე მოვუვლი, ან ი ალარაფერია. – როგორც ყოველთვის, თითქოს გულში გიზისო.

– ხო, წავალ, დილას გავყვები „მასტერაოს“.

– არ გინდა, თორე, დღესვე წახვიდოდი. – თბილად იღიმებოდა და სპორტულ ჩანთაში რალაცას ალაგებდა.

– შარშან ორმოცი კილომეტრი იარე, ღამე, ზამთარში...

– თითქმის... ნელს ნუ მომწყვეტ, ბევრი არ ჩაალაგო...

– ამხელა კაცი ხელცარიელი ხომ არ ივლი?!

ოცდახუთ წლამდე ბავშვივით მექცეოდა, ბოლო დროს ვიგრძენი, უფრო მენდობოდა, ძნელ საქმეებს მავალებდა და ეს მსიამოვნებდა...

დილას ადრიანად გამაღვიძა. ჩვეულებისამებრ, ლორიანი ერბო-კვერცხი დამახვედრა და სამი პატარა ჭიქა არაყიც მახუხინა. ჭიშკართან დავემშვიდობე და სავსე მთვარით განათებულ ორღობეს გავუყევი.

დაღმართი თითქმის სირბილით ჩავიარე. სანამ სოფელს გავცდი, ჭალიდან ხელი დავუქნიე, ჩვეულებრივ, როგორც დღისით ვუქნევდი ხოლმე. ვერ ვხედავდი, ალბათ, ისიც მიყურებდა და ხელს მიქნევდა...

სოფელი თვალს მიეფარა და გამოჩნდა პატარა წისქვილი, რომელიც ისევ თავისთვის ხრიალებდა. პირველად ცხოვრე-

ბაში არ მესიამოვნა ეს ხმა, ვერ გავიგე რატომ, მაგრამ ასეა... ნისქვილს გაცვდი, სასვენებელა კაკლის კენწერო გამოჩნდა და მივხვდი... ჭინკები?! არა, ჭინკები არ ჩანდნენ, ჯერ კაკლამდეც არ ამივაკებია, თუმცა... „დიმპიტაური, დამპიტაური“ – ეს ხმა აშკარაა. წამით გავჩერდი, ფუი ეშმაკს, ისაა... მიბრუნება გადავწყვიტე და მამაჩემის სახე წარმომიდგა თვალწინ... ილიმება...

დიახ, რა თქმა უნდა, მიბრუნებას ყველაფერი ჯობდა... გზა გავაგრძელე... „დიმპიტაური, დამპიტაური“... მესმის ცხადად. – ღმერთო მიშველე, ღმერთო, მამაჩემის ყბაში ნუ ჩამაგდებ! მივყურადე, მდინარის ჩხრიალია, მადლობა, ღმერთო!..

სასვენებელა კაკალთან რა გამაჩერებს, თუმცა, ფეხის აჩქარება არ იქნება, მაგრამ... „დიმპიტაური, დამპიტაური“ – ღმერთო მიშველე, ღმერთო, უკან ვერ მივბრუნდები!..

მამა, ბრძენი და ყველა ტვირთის მიუხედავად, ხალისიანი და მხიარული კაცი იყო. შეიძლება, რომ დავბრუნებულყავი, ეს ამბავი არავისთვისაც არ ეთქვა. მაგრამ, მისი ყოველი ღიმილი, ნათესავების ან მეგობრების წრეში?!

– ღმერთო მიშველე! – პირჯვარი გადავინერე...

მდინარის ჩხრიალი... ტყუილია ყველაფერი. არც გოჭის ჭყვიტინია... არემარე ხელისგულივით ჩანს. კარგია, რომ მათვარეა...

ისე, მაშინაც მთვარე იყო!.. „დიმპიტაური, დამპიტაური“, „დიმპიტაური, დამპიტაური“ – უხ, შენი... ღმერთო მიშველე! მდინარის ჩხრიალი...

ერთ ტბას გაცვდი. ტყუილია ყველაფერი... ცოტაც და ხიდიც გამოჩნდა... უკან თითქოს ღორღი ჩამოიშალაო, მოვიხედე...

დაიწყო... პატარა სილუეტი სამოცდაათიოდე ნაბიჯში აჩქარებული მოემართებოდა ჩემკენ... „დიმპიტაური, დამპიტაური“... ღმერთო მიშველე! რაღაც უცნაური ხმა, გოჭის ჭყვიტინი... მაგრამ რატომ ასეთი ჩუმი?! იქნებ?! ღმერთო მიშველე! გავიქცე?! არა, არ შეიძლება... ხიდიც არ ჩანს...

უკან თვალს ვაპარებ. პატარა ჭინკას ერთი მხრიდან მეორეზე რაღაც გადააქვს. უცნაური ხმა, თითქოს, ვიღაცას ყვირილი უნდა და ყელიდან ხავილი ამოსდისო, თუ გოჭის ჭყვიტინი?! ღმერთო მიშველე! ღმერთო მიშველე! „დიმპიტაური, დამპიტაური“... რაც არი, არი, გავიქცე?! უარესია, თან ფეხიც მებმება მგონი...

ღმერთო მიშველე! „დიმპიტაური, დამპიტაური“... ორმოცი-  
ოდე ნაბიჯი... ეს გზა არ გამოიღია, თითქოს ჩემი ნაბიჯები და-  
პატარავდაო... რალაც უცნაური ხმა... გოჭის?! კაცის?!

ღმერთო მიშველე! ოციოდე ნაბიჯი... „დიმპიტაური“... უც-  
ნაური ხმა გოჭის, კაცის, მამაჩემის სახე... ღმერთო მიშველე!  
ძალღონე მოვიკრიბე და მოვბრუნდი...

– დამენიეთ? – არ ვიცი, რატომ აღმომხდა.

– ვერ დაგენიე და გაჩერდი, ბაბუა! – არ მეგონა, ამ ავადმყო-  
ფურად ჩახლენილი ხმის გაგონება თუ ასე გამიხარდებოდა.

– მამაშენმა მითხრა, წამით გაგასწროო, გაციებულმა გეძახე  
და ვერც გაგაგონე, სიბერეს მოუკვდა მომგონი. – დაინუნუ-  
ნა ზემო მეზობელმა და ჯვალოს ტომარაში ჩასმული გოჭი,  
რომელმაც დაიჭყვიტინა, ზურგზე შეისწორა. – აქაც არ მიყვარს  
მარტო სიარული...

– ჭინკების ხომ არ გეშინია, ბაბუ? – ჩემ თავზე გამეცინა...

– ფუი, რა ვიცი ეშმაკის... ერთად ვიაროთ, ჯობია...

P.S. მგონი ზუსტად ერთი წლის მერე მოვხვდი მოხრიალე  
წისქვილთან. ისევ სავსე მთვარე და დღესავით ღამე იყო. ის  
იყო, გამელიმა და დოლ-გარმონმაც იგრიალა. არა, ეს უკვე მდი-  
ნარე არ იყო. ხმა აშკარად ისმოდა და არა გაღმიდან, არამედ  
სასვენებელა კაკლიდან...

სამი, ოთხი სილუეტიც გარკვევით დავინახე. ალბათ, იმათაც  
დამინახეს და გაჩერდნენ.

– აბა, ერთი აქეთ მოინიე! – ისეთი საშინელი ჩახლენილი-ჩახ-  
ლენილი ხმით დამიძახა წელსზემოთშიშველმა საშინელმა ახ-  
მახმა, მამაჩემის სახე რომ არა, შეიძლება უკან გავქცეულიყავი.

ღმერთო მიშველე! ცივი ოფლი მოვინმინდე და...

– დამენევით?! – არ ვიცი, ეს ხმა რატომ და როგორ აღმომხ-  
და...

– „ვა, ხა, ხა“ – ო“, ერთხმად გადაიხარხარეს და...

– რაც ჩვენ ქორნილში და გზაში დავლიეთ, თუ კიდევ ჩვენ  
უნდა დაგენიოთ, ძამია, შენც კარგად მოგისწრიაო, მითხრეს და  
თავის ზომაზე მეტად გაბერილი ჭინჭილა სამჯერ დამაცლე-  
ვინეს რაიონიდან ფეხით მომავალმა სოფლის დამკვრელებმა...

## ზღვის კნეჭები

წვიმდა. ზღვა და წვიმა რაღაც შეუთავსებლობაა. კოტეჯის აივნზე ვიჯექი სავარძელში და ზღვას გავცქეროდი. გვერდითა აივანზე ორი ბიჭი თამაშობდა, ასე, 10 წლამდე. როგორც კი წვიმამ გადაიღო, ნაპირზე გავარდნენ და თამაში ქვიშაში გააგრძელეს. სალამოს უკან ბრუნდებოდნენ. ხელი დავუქნიე. სირბილით ამოვიდნენ აივანზე.

– აბა, მომეხმარეთ! – ვუთხარი პატარებს – მე ავდგები და თქვენ სავარძელი მეორე მხარეს გადამიტანეთ, კარგი?

– კი, ახლავე. – მიპასუხეს ბავშვებმა. ძლივს წამოვდექი და ყავარჯნებს დავეყრდენი. ბიჭებმა სავარძელი ხელში აიტაცეს და სადაც ვუთხარი, იქ დადეს. ნელ-ნელა მივედი და დავჯექი.

– შენ რა გქვია? – ვუთხარი პატარა შავტუხა ბიჭუნას.

– ნიკოლოზი!

– გამოალე, ნიკოლოზ, საყინულე და ნაყინი გამოილე. შენ რა გქვია? – მივმართე მეორეს.

– ზაზა! – მიპასუხა.

ცოტა კი ეტყობოდათ, რომ მოერიდათ, მაგრამ ამ დროს აქ ნაყინი დიდი ცდუნება იყო. ბავშვებმა მადლობა გადამიხადეს და გაიქცნენ.

ორი კვირა იყო გასული მას მერე, რაც ბიჭები ჩემთან პირველად იყვნენ. იმ დღის მერე რამდენიმეჯერ შემომირბენდნენ, მომიკითხავდნენ, თუ რამე მჭირდებოდა, დამეხმარებოდნენ და გაიქცეოდნენ ქვიშაში სათამაშოდ. ამ ადგილას სხვა თითქმის არავინ მოდიოდა, მხოლოდ ბიჭები თამაშობდნენ, ხელს არავინ უშლიდათ, ითამაშებდნენ და უკან გზაზე ისევ შემომივლიდნენ.

– ეს რაა, ნიკოლოზ?

– ლამაზი ზღვის კნეჭებია. – მიპასუხა და თან მომიტანა რამდენიმე კნეჭი. მართლა ლამაზი ფორმის და ფერის კნეჭები შეერჩიათ.

– მაგარია, მომე ერთი. – ბიჭი ცოტა შეიმშუშნა.

– დედამისისთვის აგროვებს, – ზაზამ დაასწრო პასუხი. – მე მოგიძებნით ხვალ.

– კარგი, მასე იყოს. აბა, ახლა კი ნაყინი ვჭამოთ.

ნაყინი ჩუმად შევჭამეთ და ბიჭები გაიქცნენ.

მეორე დღეს ბიჭების დასაძახებლად მოსულ გოგონას გამოველაპარაკე, ნიკოლოზის დეიდას. ნიკოლოზის დედა ავად

გამხდარა და ბიჭი დეიდას წამოუყვანია ზღვაზე. ნიკას და ზაზას კი აქ გაუცვნიათ ერთმანეთი და კიდევ დამეგობრებულან. სულ ერთად იყვნენ, თამაშობდნენ და ნიკოლოზის დედიკოსათვის აგროვებდნენ ლამაზ კენჭებს.

მესამე კვირა გავიდა, რაც ბავშვებს ვუყურებდი. მიხაროდა, რომ ასე მეგობრულად იყვნენ. წინა დღეს ზაზამ მოირბინა და ლამაზი კენჭი მომიტანა. ლამაზი იყო, თუმცა არაფერი განსაკუთრებული.

– სხვა ვერაფერი გამოვტყუე. – გაიღიმა ბავშურად.

– ესეც ნიკოლოზს მიეცი. – ვუთხარი.

– არა, ეს თქვენია. ნიკას ბევრი მოვუგროვე. – მითხრა და გაიქცა.

უკვე შუადღე ახლოვდებოდა, რომ მარცხნივ, საერთო პლაჟის ცენტრში, საერთო ჩოჩქოლი შევნიშნე. გასვლით მე ვერ გავიდოდი და ბიჭებს ველოდებოდი სულმოუთქმელად. მხოლოდ რამდენიმე საათის მერე მოვიდა ნიკოლოზი, თვალები დასიებული ჰქონდა.

– რა მოხდა, ბიჭო? – არ მესიამოვნა მისი მარტო დანახვა.

– ზაზა ზღვამ წაიყვანა. – თავი ჩალუნა და ტირილი დაიწყო.

– როგორ მოხდა? – ცოტა ხანში მეც შევიმშალე ცრემლები.

– არ ვიცი, წუხელ მამამისი ჩამოვიდა და დილით მე არ დამიძახა, ისე გასულან საბანაოდ...

– მაშველები? – ვკითხე.

– ეძებენ და ვერ იპოვეს. ზღვამ წაიყვანა...

კარგა ხანს ვიჯექით ჩუმად და ზღვას გავცქეროდით.

– ხომ არაფერი გინდა? – მკითხა თავჩალუნულმა. თავი გავუქნიე უარის ნიშნად.

– ნაყინი მაცივარშია!

არაო, თავი გააქნია, ადგა და წავიდა.

ადრე დაცარიელდა პლაჟი. არც მუსიკის ხმა ისმოდა ბარების მხრიდან. მზე უკვე ზღვაში ჩავიდა და დაბნელებას აღარაფერი უკლდა, რომ დავინახე, ნიკოლოზი ზღვისპირას მოდიოდა. ეტყობოდა, რაღაც მძიმე მოჰქონდა. ისე იყო წელში მოხრილი. იქ, სადაც თამაშობდნენ ხოლმე, გაჩერდა. ეტყობა, ტვირთისაგან გათავისუფლდა, მერე ზღვისკენ რაღაც მოიქნია და თავისი კოტეჯისკენ გაიქცა. ლამპიონების შუქისაგან ზღვის ტალღებზე რაღაც აციმციმდა. ყავარჯნებს დავეყრდენი და

ნელ-ნელა წამოვდექი. ნახევარი გზა ნაპირამდე ძლივძლიობით გავიარე. დაღამდა. მინაზე დავეშვი და გავხობდი. ზედ წყლის ნაპირას, სადაც ნიკოლოზი გაჩერდა, კენჭების პატარა გროვა იყო.

ბოლმა ყელში გამეჩხირა. წყალთან მივხობდი, იქ, სადაც ზღვას ბოთლი გამოეტანა. ავიღე, თავი მოვხსენი. ფურცელი ამოვაძვრინე და ძლივს გავარჩიე: „ზღვაო, გიბრუნებ შენს კენჭებს, გთხოვ, გთხოვ, დამიბრუნე ზაზა!“ ...

ჯიბიდან ქრელი კენჭი ამოვიღე და გამწარებულმა ზღვაში მოვისროლე.

## ვარსკვლავების მხაზვარი გოგონას ზღაპარი

იყო და არა იყო რა... ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?

იყო ერთი პატარა გოგონა, რომელიც ლამაზი მთის მწვერვალზე ცხოვრობდა და საღამომობით ჯადოსნური ცარციით ცაზე ვარსკვლავებს ხატავდა. ყოველ საღამოს, მთვარის შუქზე გამოვიდოდა და ათასობით პატარა თუ დიდ ვარსკვლავებს მატებდა ცას. თუ მთვარე სავსე იყო, პატარებს ხატავდა ხოლმე, თუ არა, მაშინ უფრო მსხვილ ვარსკვლავებს. ვარსკვლავები დღისით უფერულდებოდნენ, საღამოს კი პატარა გოგონა ისევ იღებდა ცარცს და კვლავ იწყებდა ხატვას.

ერთ დღეს გოგონა მიხვდა, რომ ბოლო დღეებში სულ დიდ ვარსკვლავებს ხატავდა და ცარცი უთავდებოდა. დილით, როდესაც ცხრათვალა მზე ამოიწვერა, ცარცი შინახა და დასაძინებლად წავიდა. საღამოს ისევ ხალისით ადგა და... პატარა ცარცი ველარ იპოვა. ბევრი ეძება, მაგრამ სიბნელეში ვერ მიაგნო. დილით ადგა, მინდორში გავიდა, ჭიამაია იპოვა და როგორც ყველა პატარა ბავშვმა, სთხოვა:

– ჭია, ჭია, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ!

პატარა ჭიამაია დატრიალდა, აფრინდა და მთელი მინდორი მოიფრინა. დიდხანს იფრინა, მერე გოგონას ხელისგულზე დაფრინდა და ტირილი დაიწყო:

– მე პატარა ვარ და ვერ ვიპოვნე. აი, დედიკო რომ ყოფილიყო, ის აუცილებლად იპოვნდა.

– შენი დედიკო სადაა? – ჰკითხა გოგონამ.

– ჭრელა ძროხების დედოფალმა წაიყვანა ყველა ჭიამაია, ვისაც კობლები აქვს, ყველა მე უნდა მემსახუროსო.

– წამოდი, მოვძებნოთ შენი დედიკო. – უთხრა გოგონამ. ჩაიცივა, ჩანთა აიღო და ჭიამაიასთან ერთად გზას გაუდგა.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გზაჯვარედინთან მივიდნენ. გზაჯვარედინზე ბიჭი დახვდათ, რომელიც ჩაფიქრებული იჯდა. გოგონა მიესალმა და ჰკითხა:

– რაზე მოგინწყენია?

– მე მთვარეს ვრეცხავდი ხოლმე. წვიმის ღრუბელი მოფრინდებოდა, წვიმას ჩამოვწურავდი, გავრეცხავდი და ღრუბელიც გაფრინდებოდა. ხანდახან კი იცოდა რამდენიმე დღით დაკარგვა, მაგრამ სულ ბრუნდებოდა. ახლა კარგა ხანია, არ გამოჩენილა და არ ვიცი, სად ვიპოვნო... თქვენ ვინ ხართ?

გოგონა მოუყვა თავის გასაჭირს.

– მოდი, ერთად ვიაროთ და ერთმანეთს დავეხმაროთ, უფრო ადვილად გავათავისუფლებთ დედა ჭიამაიას და ის მერე ჩვენ დაგვეხმარება. – თქვა ბიჭმა.

გაუყვინნა გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ ვეებერთელა მინდორს. მინდორში მწვანე, ხასხასა ბალახი ბიბინებდა. ჭრელი ძროხები იდგნენ, მაგრამ ბალახს არ ჭამდნენ. გოგონა მივიდა და ჰკითხა:

– რატომ დგახართ და არ ჭამთ მშვენიერ ბალახს?

– ჩვენ შავი დედოფალი გვყავს და არ გვაჭმევს, დღისით თვითონ მიირთმევს, ჩვენ კი ღამით ვარსკვლავების შუქზე ვჭამთ ხოლმე, რასაც ვიპოვნით. ახლა დაღამებას ველით, რომ ვჭამოთ.

– ვაიმე, – უთხრა გოგონამ, – ამ საღამოს ვარსკვლავებს ვერ დავხატავ და დარჩებით საწყლები მშივრები. რა ვქნა, რით გიშველოთ?

ნეტავ წყალი მქონდეს, გავრეცხავდი თქვენს დედოფალს და თქვენნაირი გახდებოდა, – თქვა მთვარის მრეცხავმა ბიჭმა.

ჩვენ მოგცემთ რძეს და იმით გარეცხეო, მიუგეს ძროხებმა.

გოგონამ სახელოები აიწია, ძროხები მოწველა და რძე თავის ლამაზ ქუდში მოაგროვა. როგორც კი დაღამდა, ჭრელი ძროხების დედოფალმა დაიძინა. მთვარის მრეცხავი ბიჭი მიეპარა, ჩუმად გარეცხა და დედოფალსაც ისეთივე კობლები დაუტოვა, როგორიც სხვებს ჰქონდა. დღით დედოფალმა გაიღვიძა, დაინახა, რომ ისიც ისეთი იყო, როგორც სხვები და ყურადღებას არა-

ვინ აქცევდა. ყველა ჭრელი ძროხა იდგა, ნოყიერ ბალახს შეექცეოდა და მასთან არავის მოჰქონდა ბალახი. რა ექნა? შიოდა. სხვა რალა გზა ჰქონდა, ადგა და სხვებთან ერთად დაინყო ძოვა. ჭიამაიები გოგონასთან მოგროვდნენ. გაუხარდათ, რომ ძროხებს ლამლამობით დახმარება აღარ დაჭირდებოდათ და მშვიდად გაფრინდნენ თავიანთი სახლებისკენ.

ვარსკვლავების მხატვარი გოგონა, მთვარის მრეცხავი ბიჭი და დედა-შვილი ჭიამაიები გაუდგნენ გზას. მალე ისევ გზა-ჯვარედინს მიადგნენ.

– აბა, დედა ჭიამაია, გვაპოვნინე ღრუბელი, რომ ბიჭმა მთვარე გარეცხოს. – უთხრა გოგონამ.

ჭიამაიამ ფრთები გაშალა და მალლა აფრინდა. ნელ-ნელა მალლა, მალლა მიიწვედა და სულ დაიკარგა მხედველობიდან. ბიჭი და გოგო მინდორში იდგნენ და ცას გასცქეროდნენ. მალე გამოჩნდა ჭიამაია.

– აქ ახლომახლო არსადაა. მაგრამ ზემოთ რომ ვიყავი, წეროები დავინახე, ჩვენკენ მოფრინავენ. ისინი სულ ცისკიდემდე ადიან და იქიდან შეიძლება უფრო დაინახონ.

ცოტა ხანში მართლა გამოჩნდა წეროების გუნდი. გოგონამ და ბიჭმა ხელების ქნევა დაიწყეს, რომ წეროების ყურადღება მიექციათ.

– ჰეი, წეროებო, წეროებო, დაგვეხმარეთ! – გასძახა გოგონამ.

ყველაზე დიდმა წერომ, რომელიც გუნდის სათავეში მიფრინავდა, ჩამოიხედა, მაგრამ თავი გაასწორა და ფრენა განაგრძო. გოგონა დაჯდა და ტირილი დაიწყო. უცბად გუნდს ერთი პატარა, ახალგაზრდა წერო ჩამოშორდა და გოგონასაკენ გამოფრინდა.

– რატომ ტირიხარ, პატარა გოგონა? – ჰკითხა წერომ.

– დახმარება გვჭირდებოდა, თქვენი გუნდი კი გაფრინდა. – მიუგო გოგონამ, თან ცრემლი შეინწმინდა.

– რა ექნათ, ჩვენ ღამე დავფრინავთ ხოლმე, გზას ვარსკვლავები გვასწავლიან, მაგრამ გუშინ აღარ გამოჩნდნენ და დღისით გვინდა, რაც შეიძლება ჩქარა გავფრინდეთ სახლისაკენ. კიდევ ბევრი დღე გვაქვს წინ... არადა, დღისით ფრენა ძალიან გვიჭირს. მზესთან ახლოს ფრთები გვეწვება. ამიტომ ჩქარობდა ჩვენი გუნდი.. მე დაგეხმარებით და მერე გუნდს დავენევი, მითხარით, რა შემიძლია თქვენთვის გავაკეთო.



გოგონამ წეროს ხელი გადაუსვა შეტრუსულ ფრთებზე და თავისი გასაჭირი მოუყვა. წერო მინდორში გავიდა, ფრთები დაიქნია და მალლა ცაში აიჭრა. მალლა და მალლა მიიწევდა, სულ მალლა, მზისკენ.

– ვაი, საწყალს ხომ მზე ფრთებს დაწვავს, – ხმამალლა თქვა გოგონამ. მინდორში გავიდა და წეროს ხელის ქნევა დაუწყო: – ჩამოდი, ჩამოდი, ფრთები დაგეწვება, ჩამოდი...

მაგრამ წეროს ფრთის ბოლოებზე უკვე მოკიდებოდა ცეცხლი. ის მოწყვეტით წამოვიდა ციდან, ფრენა აღარ შეეძლო და მიწაზე ცხვირით დაეცა. ბიჭი მივარდა და ცეცხლმოკიდებულ ტანზე დარჩენილი რძე გადაასხა. ცეცხლი ჩაქრა და თეთრი წერო ცხვირგაშავებულ ვარდისფერ ფლამინგოდ გადაქცეულიყო...

გოგონა მოეფერა. ფლამინგომ ცოტა ხანს დაისვენა და მერე გოგონას უთხრა:

– შორს, მაღალი მთების ქვეყანაში დავინახე წვიმის ღრუბელი, ყველაზე დიდი მთის მწვერვალს გამოდებია და ველარ მოფრინავს.

– წავიდეთ, – თქვა გოგონამ და ადგა. მთვარის მრეცხავმა ბიჭმა ფლამინგო ხელში აიყვანა და გზას გაუდგინა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ლამაზ ტბას მიადგინა.

– აქ როგორ გადავიდეთ? – იკითხა გოგონამ.

– ნავი უნდა მოვძებნოთ. – თქვა ბიჭმა.

– ამ ტბაში ნავეები არ დაცურავენ. აქ მხოლოდ წეროები ვცურავდით. წეროების გუნდს ვთხოვ დახმარებას, ვეტყვი, რომ ვარსკვლავებს ველარ ხატავ და დახმარება გჭირდება. – თქვა ფლამინგომ და ტბაში შეცურდა. ცოტა ხნის მერე წეროების დიდი გუნდი გამოჩნდა. მოვიდნენ და ტბის ნაპირას დაიწყეს ფრთების ქნევა. წყალი გაიპო. გოგონამ ჭიამაიები გულში ჩაიხუტა და ტბაში შევიდა, ბიჭიც მიჰყვა. იქნევდნენ წეროები ფრთებს და გოგო და ბიჭიც მირბოდნენ გაპობილი ტბის ძირზე. დიდხანს ირბინეს და როგორც იქნა, მივიდნენ მეორე ნაპირზე.

– გმადლობთ, წეროებო! – გოგონამ ხელი დაუქნია გაფრენილ წეროებს. ლამაზმა წეროებმა ჰაერში წრე გააკეთეს და შორს, ტბის შუაგულისაკენ დაეშვენენ.

– აი, ჩემი ბუმბული. – უთხრა ფლამინგომ და ერთი ლამაზი ბუმბული გამოიძრო ფრთიდან. – თუ დაგჭირდეთ, ცაში აისროლეთ და უმალვე თქვენთან გავჩნდები.

– გმადლობ ფლამინგო, ჩვენ წავალთ შორი გზა გვაქვს. – უთხრა გოგონამ და ბუმბული შეინახა.

ისევ გაუდგნენ გზას გოგონა, ბიჭი და ჭიამაიები. ისევ ბევრი იარეს და მივიდნენ მაღალი მთების სამეფოში. მოძებნეს ყველაზე მაღალი მთა და დაინახეს წვიმის ღრუბელი, რომელიც მის წვერს წამოდებოდა და ვერაფრით დაელწია თავი.

– მაღალო მთაო, გამოუშვი წვიმის ღრუბელი. – შესძახა მთვარის მრეცხავმა ბიჭმა.

– არ შემიძლია, ხელები მე არ მაქვს და თავსაც ვერ ვხრი. – მიუგო გაყინულმა მთამ – მე თვითონ მინდა, რომ ცოტა მზე მომადგეს, სულ გავითოშე, მაგრამ არაფერი გამომდის.

– ადრე როგორ გივლიდნენ ღრუბლები გვერდს? – ჰკითხა ბიჭმა.

– ადრეც წამომედებოდნენ, მაგრამ ქარი მეხმარებოდა, დაუბერავდა და ღრუბელსაც მიაქროლებდა. ახლა კი ტყეების მეფეს დაუჭერია ქარი, თავის ფესვზე გამოუბია, აგერ იქით, ხევს გადაღმა. – მიანიშნა მაღალმა მთამ.

წავიდნენ ბიჭი და გოგო, იარეს, იარეს და მიადგნენ ხევს, რომელსაც ძირი არ უჩანდა.

– აქ როგორ უნდა გადავიდეთ? – იკითხა გოგონამ, დაჯდა ხევის ნაპირზე და ტირილი დაიწყო.

– ნუ ტირი. – უთხრა დედა ჭიამაიამ. – დაგველოდე, მალე მოვალთ. – ჩაჰკიდა თავის შვილს ფრთა და გაფრინდნენ.

ბიჭმა ცეცხლი დაანთო და ლამის გასათევად მოემზადნენ. გოგონა ცას უყურებდა, უნდოდა დაენახა, რამდენიმე ვარსკვლავი მაინც ხომ არ შემორჩენოდა ცას. მაგრამ არც ვარსკვლავები ჩანდა და არც მთვარე ანათებდა. მიწვინეც ცეცხლის პირას და მიიძინეს. დილით, მზე რომ ამოიწვერა, გაელვიძათ. გახედეს არემარეს და გაკვირვებულები დარჩნენ. ყველაფერი წითლად ჩანდა. დედა ჭიამაია კი გოგონას ქუდზე იჯდა და ელოდა მათ გაღვიძებას.

– დილა მშვიდობისა, ჭიამაია. – მიესალმნენ გოგონა და ბიჭი.

– დილა მშვიდობისა, პატარებო. – მიესალმა ჭიამაია. – აი, ჩემი მეგობრები მოვიყვანე. ახლა ჩვენ ავფრინდებით და ვინრო ზოლად საცალფეხო ხიდად გავედებით ხევს, ჩვენს ფრთებზე გადაირბენთ და გადახვალთ.

ავრინდა ჭიამაია. აიშალენ მისი მეგობრები და ათასობით ჭიამაიამ გაშლილი ფრთებით საცალფეხო ხიდი გადო ხევზე. გოგონამ და ბიჭმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და სირბილით გადავიდნენ მეორე მხარეს.

– მადლობა, ჭიამაიებო! – გოგონამ და ბიჭმა ჭიამაიებს ხელი დაუქნიეს და ტყეში შევიდნენ.

დიდ ხეებს შორის ბილიკი იპოვნეს და გზა გააგრძელეს. კარგა ხნის სიარულის მერე მიადგნენ ვეებერთელა ხმელ ნაძვს, რომლის ფესვზე ქარი იყო გამობმული. აქეთ-იქით ეხეთქებოდა, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა.

– გამარჯობა, ხეების მეფე. – მიესალმენ გოგონა და ბიჭი.

– გამარჯობათ! – ამოიჭრიალა გამხმარმა ნაძვმა. – ვინ ხართ, აქ რამ მოგიყვანათ?

– მე მთვარის მრეცხავი ბიჭი ვარ. ჩემი ღრუბელი გამოფრინდა და ყველაზე მაღალი მთის წვერს წამოედო. ვერაფერი მოუხერხა მთამ, მხოლოდ ქარს შეუძლია დახმარება და გთხოვ, გამოუშვა.

– ვერ გამოვუშვებ, ეს აბეზარი დადის და ჩემს ხეებს ფოთლებს აცლის.

– ფოთლებს რომ არ უბერავდეს, ხომ მტვრით დაიფარებიან და ისეთი ლამაზები და მწვანეები აღარ გამოჩნდებიან, როგორებიც სინამდვილეში არიან?

– და შემოდგომით სულ რომ დააცლის ფოთლებს, ეგეც კარგია?

– რო არ დააცალოს, ახალი, მწვანე ფოთლები ამოვლენ ხეებზე?!

– მართალია. – დაფიქრდა ხეების მეფე. – მაგრამ ჩემ წინვებს რატომ ვერაფერს შველის, სულ გამხმარი და ყავისფერი რომაა?

– ეტყობა, წვერები ესობა და მაგიტომ, გამოუშვი, ჩემს ღრუბელს მთის წვერიდან დაიხსნის და შენს წინვებს მე გავრეცხავ.

– კარგი. – დაიჭრიალა ხეების მეფემ. ფესვი მიწიდან ამოაძრო და ქარი გაათავისუფლა.

გაინავარდა ქარმა და ყველაზე დიდი მთის წვერისაკენ გაფრინდა. დაუბერა, დაუბერა და ღრუბელი გადააძრო მთის წვერს... ბიჭმა ღრუბელი ჩამოწურა. ნაძვის ხე დაასველა და ჩამორეცხა მტვერი. ნაძვმა მწვანედ ხასხასა დაიწყო.

– ეს რა ლამაზი ფერი მქონია. აღარც კი მახსოვდა. – გაიჭრიალა ხეების მეფემ. – თუ შემომივლი ხოლმე შენ ღრუბელთან ერთად, სულ ასეთი მწვანე ვიქნები ზამთარშიც და ზაფხულშიც.

– აუცილებლად შემოგივლი და მტვერს ჩამოგრეცხავ ხოლმე წვიმის წყლით.

– სახლში როგორ უნდა დაბრუნდეთ?

– ღრუბელს ქარი წაიყვანს. – თქვა ბიჭმა.

– ჩვენ კი მეგობრები მოგვაკითხავენ. – თქვა გოგონამ და ვარდისფერი ფრთა ცაში აისროლა. უცებ ხეებს ზემოდან ვარდისფერი ფლამინგოების გუნდი მოფრინდა. გოგონა და ბიჭი ზურგზე შეისვეს და გაფრინდნენ.

– კარგად, პატარებო! – გაიჭრიალა ხეების მეფემ და მწვანე ტოტები შეარხია.

ფლამინგოებმა ფრთები ძლიერ დაიქნიეს და მალე ცაში აფრინდნენ. გადაუფრინეს ხევს, მთებს, ტბებსა და მინდვრებს და გოგონას ეზოში დაფრინდნენ. გოგონამ უბიდან დედა-შვილი ჭიამაია ამოიყვანა და ხელის გულზე დაისვა. გაშალეს ფრთები ჭიამაიებმა და გაფრინდნენ ჯადოსნური ცარცის საძებნელად.

– ვიპოვეთ, ვიპოვეთ! – ფრთების ფარფატიტ მოფრინდა პატარა ჭიამაია. გოგონაც გაჰყვა და ჭრელ ქვებში შერეული ჯადოსნური ცარცი ნახა. აიღო და ხტუნაობით წამოვიდა მდელისკენ.

– რა კარგია, დღეს ვარსკვლავებს დავხატავ! – თქვა გოგონამ.

– ჩვენ კი ვარსკვლავებით გზას გავიგნებთ და თბილი ქვეყნებისკენ გავფრინდებით. – თქვა ვარდისფერმა ფლამინგომ. – ახლა კი, სანამ დალამდება, გავფრინდეთ, ბიჭუნა, მთვარემდე რომ მიგიყვანოთ, მზის შუქს გავყვეთ.

– კარგად, ვარსკვლავების მხატვარო გოგონა!

– კარგად, მთვარის მრეცხავო ბიჭო! კარგად, ვარდისფერო ფლამინგო! – ერთმანეთს დაემშვიდობნენ და გაფრინდნენ

გოგონა დიდხანს უცქერდა, როგორ მიფრინავდნენ ფლამინგოები და როგორ გავარდისფერდა ცა მზის მიმართულებით.

– აი, თურმე რატომ ვარდისფერდება ხოლმე ცა მზის ჩასვლისას. – თქვა გოგონამ და მსხვილი ვარსკვლავების ხატვას შეუდგა სიბნელეში.

ცოტა ხანს ხატავდა, მერე მოიხედა, ახალი მთვარე დაინახა და წვრილი ვარსკვლავების ხატვაზე გადავიდა...

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.



ვასბანგ  
გოგოლაძე

გაგუას ოგლიგაშიანი

– დედა, გაგვატაროს მამამ ბაბუასთან სოფელში. – ჩავჩურჩულე ყურში მანქანის უკანა სავარძელზე მჯდომმა ჩვენი სოფლის გადასახვევთან მიახლოებისას დედაჩემს.

– აბა, სეპარატიზმს არ ჰქონდეს ჩემს მანქანაში ადგილი! – გაგვეხუმრა საჭესთან მჯდომი მამა.

– სეპარატიზმის საფუძველი ხალხის უკმაყოფილებაა, ბატონო მეუღლე! – ხუმრობაზე ხუმრობითვე უპასუხა დედამ.

– მერე და, რითი ხარტ უკმაყოფილო, ქალბატონი ნანი და ბატონო კოსტანსტინ ნოდარიძე?

– მამა, გაგვატარე ბაბუასთან, სულ ათიოდე კილომეტრით თუ გაგვიგრძელებდა გზა, – ჩავერთე საუბარში.

– ბოდიში, შვილო, მაგრამ სურვილს ვერ აგვისრულებთ!

– რატომ ვერ აგვისრულებ სურვილს? ვერ ხედავ, ბავშვს როგორ სურს მამაშენის ნახვა? იცოდე, მოხუციც სიხარულით ცას ეწევა.

– ახლა არ შემიძლია, უხერხულია.

– რატომ არის უხერხული? – თითქმის ერთდროულად დავუსვით კითხვა მამას დედა-შვილმა.

– აბა, ერთმანეთს შეხედეთ, რას ჰგაგვხართ!

– რას ვგავართ, მამა?

– რას და, ნუბიელ მწყემსებს.

– სად ნუბია, სად მწყემსი და სად მამაშენთან გავლა? – ჰკითხა დედამ.

– შენს შვილს შეხედე, ქალბატონო, თუ ნუბიელ მწყემს ბიჭს არ ჰგავს. რომ აიტეხეთ, არიქა, სარფიდან საზღვრამდე შავი ზღვის სანაპიროზე გვამოგზაურეო, როგორ გეგონათ, არ გაირუჯებოდით? ახლა კი მთხოვთ, რომ ასეთი გარუჯულები მამამთილთან და ბაბუასთან გაგატაროთ. რომ იცოდეთ, ამ ზაფხულს მამაჩემმა ერთი ჰექტარი მიწა პაპანაქება სიცხეში მარტომ გათოხნა. ამის გამო მიჭირს მასთან მისვლა, თორემ ვის ენატრება ჩემი მოხუცი ისე, როგორც მე?

მე და დედას აღარაფერი გვითქვამს მამაჩემისათვის და ჭიათურის გადასახვევამდე კრინტიც არავის დაგვიძრავს. გადასახვევთან მამამ ჩვენდამოულოდნელად საჭე მარცხნივ გადასწია და მანქანა საქარის აღმართს აუყვა. მე და დედამ ერთმანეთს გადავხედეთ.

რადგან ბაბუას უბანში შესასვლელი გზა წვიმისგან ჩამორეცხილი დაგვხვდა, იძულებული გავხდით, მანქანა უბნის გარეთ, სოფლის კალო-საბძელთან დაგვეტოვებინა და ფეხით მივსულიყავით სახლამდე. შინმისულებს ბაბუა კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი დაგვხვდა. ფიქრებში წასულს თავს მოულოდნელად დავადექით. სიხარულისაგან მოხუცი კი არ წამოდგა, უფრო წამოფრინდა და სათითაოდ ჩაგვიკრა გულში. პირველი, რაც გვკითხა, იყო, ამაღამ ხომ დარჩებითო? რაზედაც მამას პასუხი დაუგვიანდა და ისევ ბაბუამ გააგრძელა:

– დარჩით, შვილო, თუ ოდნავ მაინც გაქვთ ამის შესაძლებლობა, დროულს ერთი ბედნიერი ღამე მაჩუქეთ.

– არც ვფიქრობდი წასვლას, – იცრუა მამაჩემმა.

– თქვენ გაგახარათ ღმერთმა ისე, როგორც მოსვლით მე გამახარეთ. – გამოცოცხლდა და გახალისდა მოხუცი.

მე გალალებულმა მთელი უბანი შემოვირბინე, მერე ბაბუას ბოსტანში გავიქეცი და ერთი კალათა ქორფა კიტრები დავკრიფე. ის ერთი დღე მერჩია შავი ზღვის პირას გატარებულ ორ კვირას.

სალამოს სუფრას შემოვუსხედით სავახშმოდ. ჩვენ შორის თბილ ურთიერთობას ბაბუასაგან მოწეული ადესის ღვინო კიდევ უფრო ათბობდა. ვახშმის დამთავრებას არ ვჩქარობდით, ცოტა წავუღიღინეთ კიდევ.

დილით მზის სხივებისაგან გაცოცხლებულ მთასა და ბარს ჩიტების გალობა კიდევ უფრო მეტად სძენდა სიცოცხლეს. ჩვენ კი ქალაქში წასასვლელად ვემზადებოდით.

– ნოდარ, შვილო, ეს შენია, წაილე. – თქვა ბაბუამ და მამაჩემს კონვერტი მიაწოდა.

– ეს რა არის, მამა?

– ობლიგაციებია, სტალინისდროინდელი.

– რად მინდა სტალინისდროინდელი ობლიგაციები?

– წაილე, შვილო, ამბობენ, ანალდებენო.

– შენ გქონდეს, მამა, ან ჩემ ძმებს მიეცი. იცი შენ, მე რომ ფულის დეფიციტს მაინცდამაინც ძალიან არ განვიცდი.

– ვიცი!

– ჰოდა, მოიხმარე!

– ნუ მეტყვი, შვილო, უარს, აილე. ვიცი, რომ ფული არ გაკლია და ვერც ჩემი ობლიგაციების განაღდებათ ნაშოვნი ფული ვერ შეცვლის შენს ეკონომიკურ მდგომარეობას.

– მამა, მე მაგას არ ავიღებ, არ მჭირდება!

– მე მჭირდება, შვილო, რომ ეს ობლიგაციები აიღო.

– რას გადამეკიდე, მამა? – გაეხუმრა მამა მოხუცს.

– მე შენთვის არასოდეს ფული არ მომიცია, შვილო. ყოველთვის მწამდა, რომ ჩემს დაუხმარებლად გაიტანდი თავს, მაგრამ ისიც ვიცოდი, სოფლიდან ქალაქად ჩასული ახალგაზრდისათვის რა ძნელი იქნებოდა ეს. ვიცოდი, მაგრამ ამაზე ფიქრს ვერ იდებოდი. აბა, შვილო, ფიქრით რას გიშველიდი. ახლა გთხოვ, სიბერეში მომეცი უფლება, თავი ერთი წუთით მზრუნველ მამად წარმოვიდგინო. აილე ეს ობლიგაციები, გთხოვ. ნუ მეტყვი უარს! – მუდარის კილოთი უთხრა მშობელმა შვილს.

დედამ მამაჩემისაკენ მზერა გააპარა და თვალით ანიშნა, კონვერტი აილეო. მამამ კონვერტი გამოართვა.

გავიდა წლები. აღარც ბაბუა მყავს და აღარც მამა, მაგრამ მყავს პატარა შვილი და მაქვს ბაბუას ობლიგაციები, რომლის დანახვა ყოველთვის მახსენებს, რომ მე მშობელი ვარ!..



**გარი  
ჩაუიკი**

## ნებაჰ მას, ვინც სვალ ღაიგაღეჟა!

...და მაინც, რა პატარაა ეს სამყარო... რაც თავი მახსოვს, ჯერ ჩემს დედ-მამას დაყვავდი ყოველ აღდგომას თავიანთი მშობლების, ჩემი ბებია-ბაბუასა და მათი წინაპრების საფლავებზე, ახლა კი... ჩემი მშობლების და წინაპრების საფლავებს ვსტუმრობ... ჰო, მოდიან თაობები და კაცმა არ იცის, აქაა უკეთესი თუ იქ, სადაც უამრავი ნაცნობ-მეგობარი, ნათესავ-მოკეთე, მშობლები და სატრფო-თაყვანისმცემლები გველოდებიან... ყველაფერთან ერთად მაშინდელი აღდგომის დღეებს რაღაც სხვა ელფერი ჰქონდა. ალბათ, უფრო ბავშვურ-მიამიტურად ვუყურებდი ყოველივეს და მიტომ. ისე, კომუნისტები კრძალავდნენ ამ დღესასწაულს და დღევანდლობასთან შედარებით გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა სააღდგომო წითელი კვერცხი... თუმცა, ახლა ამის სათქმელად არ დამინწყია წერა, უბრალოდ, ხელი გამექცა და...

ჰო, წელსაც არ მილალატია ტრადიციისთვის, რომელიც ესტაფეტად წინაპრებისგან მერგო. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული აპრილის შუა რიცხვებში იყო და მშობლების მარადიულ განსასვენებელთან მიტანილ უამრავ წითელ კვერცხთან ერთად, რამდენიმე საფლავსაც ვეწვიე... ხან ერთნი მეპატიუებოდნენ, ღვინიან ჭიქას თავი ნაუქციე წასულთა მოსახსენებლადო, ხან მეორენი, ბატონო გარი, გვადღეგრძელებე, რომ მიცვალებულებს მომხსენებელი არ მოაკლდეთო... მე კი, სასაფლაოზე მოხვედრისთანავე, უცნაური ფიქრი ამეკვიატა: თითქოს უზარმაზარ ქალაქში ვიმყოფებოდი, სადაც, კაცმა არ



იცის, რამდენი მილიონი „მცხოვრებელია“, რამეთუ სასაფლაო მეხუთე საუკუნეში აშენებული ეკლესიის გალავანშია მოქცეული...

თუმცა, აქ ეკლესიის აშენებამდეც მოჰყავდათ მიცვალებულები და აქვე იმკვიდრებდნენ სამუდამო სასუფეველს სულელები... რალაც უხილავი ძალა დამეუფლა და ნათლად დავინახე, ამ უზარმაზარ ქალაქში თუ როგორ დადიოდნენ, როგორ ცეკვავდნენ, როგორ ზეიმობდნენ ისინიც ჩვენთან ერთად აღდგომის დღესასწაულს...

– ბატონო გარი! – ფიქრებიდან გამომიყვანა და თითქოს უხეში ხელით სულის სიღრმეს შეეხო, ისე შემაჟრჟოლა ჩემი ბიძაშვილის ხმამ.

– ეს ქალბატონი ქებაძის ქალია, ჩვენი დიდი ბებოს ჩამომავალი. – მიმანიშნა მან გვერდით მდგომ წარმოსადეგ მანდილოსანზე, რომელსაც მარცხნივ ოცდახუთიოდე წლის, საოცრად მიმზიდველი გოგონა ედგა. დავიბენი, თავი უხერხულად ვიგრძენი, რომ მხოლოდ ახლა შევამჩნიე მოსულნი. ბიძაშვილი კი განაგრძობდა: – რამდენი ხანია, შენთან შეხვედრა უნდათ, შენ კი, ჩემო ძმაო, ხან უკრაინაში ხარ, ხან ჩეხეთში, ხან ამერიკაში, ხან იტალიაში და... ხან ვინ იცის, სად... ვიცოდი, აღდგომას რომ უსათუოდ ჩამოხვიდოდი და ესენიც ამიტომ დავიბარე...

ქალმა ოდნავ წინ წამოადგა ნაბიჯი და:

– ლამარა! – თქვა წყნარად, როდესაც მის გამონკვიდელ ხელს ხელი შევაგებე. გათავისუფლებული ხელი ახლა გოგონას გავუწოდე.

– ინგა! – მითხრა მან წყნარად და სახეზე სინითლემ გადაჰკრა, თუმცა, შეძლო, სიმორცხვე დაეძლია და განაგრძო: – მეამაყება, რომ ერთი რაიონიდან ვართ. კრაკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობ, პოლონეთში, თითქმის ორი წელია. სოციოლოგიის საგნის ლექტორი, ახალგაზრდა პროფესორი მარტა ტარნოვსკა მხოლოდ თქვენზე გვესაუბრება მთელ კურსს იმ დღიდან, როდესაც გაიგო, რომ ქართველი ვიყავი... მგონია, რომ ძალიან უყვარხართ, ამასვე ამბობენ ჩემი კურსელებიც... ახლა მინდა, მარტას თქვენი წიგნები წავულო საჩუქრად...

მართლაც, რა პატარაა ეს სამყარო!..

ჰოო... მრავალმნიშვნელოვნად შევხედე მოსაუბრეს. აბა, როგორ გავანბილებდი ამ ანგელოზ გოგოს, თანაც, ამ ბრწყინვალე აღდგომის დღეს და ავტომანქანიდან წიგნების ბოლო ტომები

გადმოვიღე, რომელზეც მარტასთვის მიძღვნილი სიტყვები რუსული ასოებით ლამაზად გამოვიყვანე და ფიქრის მორევში ჩავიძირე.

– ...დამთავრდა რეგისტრაცია თვითმფრინავზე, რეისი: რომი – ქუვეითი, რეგისტრაციაგავლილ მგზავრებს გთხოვთ, მობრძანდეთ თვითმფრინავში ჩასასხდომად მეთე გასასვლელთან! – უკვე მეორედ აცხადებდა რეპროდუქტორში მანდილოსნის სასიამოვნო ხმა. არცთუ დიდი ბარგი მქონდა, დიახ, ბარგიც არ ეთქმოდა ჩემს ერთ „დიპლომატს“, რომელშიც ორი პერანგი, ჩემი წიგნები და საჭირო დოკუმენტაცია მედო. მეორე ხელში პიჯაკი მეჭირა. ამიტომ ორივე ხელი დაკავებული მქონდა და მოსაცდელ დარბაზში შესვლისთანავე ცარიელი სკამისკენ გავეშურე. ცოტაც და, გვერდით ლამაზი გოგონა ჩამომიჯდა, კალმით ნახატზე უკეთესი. „ესეც ბედია, რატომ მაინცდამაინც ჩემს გვერდით?!“ – გამიელვა წამიერად და თვალი მოვაავლე მოსაცდელ დარბაზს. შევცდი, ყველა ადგილი შევსებული იყო, ამიტომაც ჩემს გვერდით არსებულ თავისუფალ სკამზე მოკალათდა ეს ლამაზი ასული, რომელმაც ისე ამიშალა საღერღელი, რომ, მიუხედავად ჩემი ძალზე მწირი ინგლისურისა, დარწმუნებული ვიყავი, საუბარი მაინც შედგებოდა. თუმცა, კიდევ ერთი ბედის ირონია:

– რუსი ხართ?! – მომმართა მან ინგლისურად.

– არა, ქართველი! – ინგლისურადვე ვუპასუხე.

– რუსული გეცოდინებათ! – ახლა უკვე რუსულად მითხრა და ღმერთო ჩემო, ისეთი ხავერდოვანი, მოსასმენად სასიამოვნო და მიმზიდველი ხმა ჰქონდა, აუცილებლად სიმპათიით განიმსჭვალებოდათ ამ მართლაც ულამაზესი ასულის მიმართ.

– პედაგოგი ბრძანდებით?! – ანგარიშმიუცემლად მივახალე.

– დიახ, ქუვეითში, ნაციონალურ აკადემიაში მივფრინავ სალექციო კურსის ჩასატარებლად.

– რა სპეციალობით?

– სოციოლოგიას ვასწავლი...

– ერთი გზა გვქონია, მეც მაგ აკადემიაში ვარ მინვეული, პოლიტოლოგიაში სამყაროს გარდაქმნის ახალ მოდელს ვსწავლობ და ვასწავლი, აკადემიკოსი გარი ჩაფიქე. – თავი ოდნავ დავუკარი.

– საოცარია! – გაიღიმა და ღიმილმა კიდევ მეტად გაალამაზა. – ხშირად მიწევს ფრენა, თუმცა, სიმალლის შიში ისეთი მაქვს, რომ... დედამ დამაშინა სიმალლეებით პატარაობაში,

ახლა თვითონ სად არ დაფრინავს და სად არ... მე... ჰო, მართლა, პოლონეთიდან ვარ, კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორი მარტა ტარნოვსკა. ქართველებსა და პოლონელებს ბევრი საერთო გვაქვს, ამიტომაც ძალზე გამიხარდა თქვენთან შეხვედრა! თუ შეიძლება, თქვენს გვერდით დავჯდები, იქნებ შიში უფრო დაეძლიო.

– უკვე ზიხართ!

– არა, თვითმფრინავში! – თქვა და განითლდა.

– თუკი მიკადრებთ!

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ ჩასხდომის ტალონები მოგვთხოვეს და პირდაპირ თვითმფრინავისკენ წავედით, რომელიც შენობასთან სპეციალური გასასვლელი ხიდით იყო დაკავშირებული. ამიტომ ტრაპის გარეშე შევედით ბონგ 737-ის სალონში.

– ჩემი 7-A არის, – ვუთხარი მარტას და კიდევ ერთი ბედის ღიმილი, როდესაც გავიგე, რომ მისი ადგილი 7-B იყო. მოვკალათდით...

– რაო, როგორ უნდა მოგმართოთ, პატივცემულო პროფესორო, – ძალზე გავშინაურდი. – მარტა ხომ საოცარი სახელია, თუ რასაკვირველია, მარტივით ჭირვეული არ იქნებით... არ თქვათ ახლა, რომ მარტში ხართ დაბადებული...

– საიდან მიხვდით? თუმცა, ამას ჩემ სახელთან არავითარი საერთო არ აქვს!

– საოცარია!

– საოცრება მხოლოდ ჩემი თქვენთან შეხვედრაა, ბატონო აკადემიკოსო! – ბოლო ორი სიტყვა განსაკუთრებული სიტბოთი მითხრა. – გაცნობილი ვარ თქვენს ინგლისურენოვან წიგნებს და საკმაოდ აღფრთოვანებულიც გახლავართ, განსაკუთრებით „პოლიტიკურფილოსოფოსთა პანთეონმა“ მომხიბლა...

ასეთ „საქმიან“ საუბარში ვიყავით, რომ თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე დადგა და მიმართულება საუდის არაბეთისაკენ აიღო... მალე ჩვენი ლაინერი ქულა ღრუბლებში გაუჩინარდა. ცოტაც და... ჩვენს ქვემოთ ხმელთაშუა ზღვა ლივლივებდა. ილუმინატორთან მარტა იჯდა, თუმცა, მის გვერდით მოკალათებული, მეც ნათლად ვხედავდი პატარა კუნძულ მალტას საოცრად მიმზიდველ სილამაზეს... ამ კუნძულზე ორჯერ ვიყავი ნამყოფი სამსახურებრივი მივლინებით და ორჯერვე გაცეხებული დავრჩი იქაურთა გულთბილი მიღებით, შრომისმოყვარეობითა და მართლაც გასაოცარი ბუნებით... ლექციების კურსი

მრავალ ქვეყანაში წამიკითხავს, მაგრამ იქ განსაკუთრებულად გამსჭვალულნი იყვნენ სტუდენტები ცოდნის მიღების აუცილებლობით... დიახ, იქ წამდვილად იციან სწავლის ფასი...

თვთმფრინავი უეცრად შეზანზარდა და თითქოს ათასი რეაქტიული ძრავი ერთდროულად ჩაერთოთ, ისეთი გამყინავი სირენის ხმა ფარავდა ბოინგის სალონს... მერე ავიალაინერმა მიმართულემა დაკარგა და თითქოს ფრთა მოწყდაო, მთელი 45 გრადუსით ამოტრიალდა. ჩვენ ქვედა მხარეს მოვექეცით და ილუმინატორიდან მხოლოდ ხმელთაშუა ზღვას ვხედავდით, რომელშიც ბლომად დაცურავდნენ გემები... თვითმფრინავი უსათუოდ ამ ზღვაში ვარდებოდა. ამიტომაც ჩვენი სავარძლების ქვეშ მოთავსებული სპეციალური ყილეტების ჩაცმა გვიბრძანა ეკიპაჟმა და თვითმფრინავის ავარიული კარებები მარჯვენა და მარცხენა მხრიდან ფართოდ გააღეს, საიდანაც ანგარიშიუცემლად ვხტებოდით წყალში მაშველ რგოლთან ერთად... მალე თვითმფრინავი ზღვის ზედაპირს შეეხო. A გასასვლელიდან პირდაპირ წყალში ამოჰყოფდი თავს, B გასასვლელიდან კი ჯერ ავიალაინერის ფრთაზე, ხოლო შემდეგ ზღვის მლაშე წყალში ყურყუმელაობა მაინც გარდაუვალი იყო.

– აი, ჩემი შიშის საფუძველი! – მითხრა მარტამ და ისე მომეკრა, თითქოს ერთი სხეული ვიყავით და ერთი მაშველი რგოლი გაგვანდა.

– ნუ გეშინია! – ვუთხარი და რგოლიანად ჩემკენ მოვაცურე. თვითმფრინავი ჩვენი გადმოხტომიდან ხუთიოდე წუთის შემდეგ შეეხო წყლის ზედაპირს, მაგრამ ჩვენიდან ისე შორს იყო, რომ თითქმის ჰორიზონტზე მოჩანდა ავიალაინერის კუდი, რომელ-იც ზღვაში იძირებოდა...

– ჩემი პენინგები და დაუმთავრებელი რომანი! – ვთქვი დანანებით და ორივეს ხმამალა გაგვეცინა. მივიხედ-მოვიხედე: ჰორიზონტზე მარტო მე და მარტა ვიყავით ხელიხელჩაკიდებულნი და კიდევ უფრო გულიანად გამეცინა. არა, ეს სიცილს კი არა, უფრო გედის სიმღერას ჰგავდა, სასონარკვეთილი ადამიანისას... გადარჩენის ინსტინქტი კი მკარნახობდა, ხელი გამენძრია, რომ მიწის მაგვარი რამ მეხილა და კურსი ცურვით იქით ამელო... არადა, უკუნეთ ღამეში ორიენტირის აღება ძალზე ჭირდა...

– ზურგზე დანექი და ისე იცურე, აღარ დაიღლები! – ვუთხარი მარტას და ვაჩვენე, ეს როგორ უნდა გაეკეთებინა...

მთელი ღამე სამხრეთის მიმართულებით ვიცურეთ და გამთენიისას (ღმერთო ჩემო, რა ლამაზია ზღვიდან დანახული განთიად!) ჰორიზონტზე რალაც წერტილივით გამოჩნდა... გემი!

ზურგზე ცურვიდან მხარულზე გადავედით და თანდათან გემის სილუეტი გამოიკვეთა... ცოტაც და, მეზღვაურებმა გემბანზე აგვიყვანეს. გაოცებულები სპეციალური ხსნარით გვიზელდნენ სხეულს და უამრავ შეკითხვას გვისვამდნენ, მიღებული პასუხის შემდეგ კიდევ უფრო მეტად უფართოვდებოდათ თვალები გაოცებისგან.

– იცით? – გვითხრა კაპიტანმა. – თქვენ ახლა რომის სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემზე იმყოფებით, ავიალანდერის კატასტროფის შესახებ გუშინვე შევიტყვეთ. დასანანია, რომ სტატისტიკის მიხედვით ვერავინ გადარჩა და გასახარია ის, რომ თქვენ ცოცხლები ხართ, რაც იმედს გვაძლევს, კიდევ ვიპოვით ვინმეს...

– ალბათ, უკვე გამოგვიგლოვეს... – მითხრა მარტამ და ისე გაიღიმა, რომელი ღიმილიც საიქიოდან დაბრუნებული ადამიანის თანხვედრია.

მეზღვაურებმა დაგვაპურეს და ბინა კაიუტაში მიგვიჩინეს.

– ცოლ-ქმარი ვგონივართ! – მითხრა მარტამ ჩურჩულით, როდესაც მარტონი დავრჩით.

– შენთან შეხვედრითა და ამ სასწაულებრივი გადარჩენით უზარმაზარი სიმპათიები დამიგროვდა, მომწონხარ და მეშინია, დიდ სიყვარულში არ გადაიზარდოს!

– არადა, არაფრის მეშინიაო?! – გამომაჯავრა.

– სიყვარულის მეშინია! შენი სიყვარულის! რომელსაც შეიძლება გაგრძელება არ ეწეროს...

– მე კი არ მეშინია, მიყვარხარ და მეტი არაფერი მაინტერესებს... – მითხრა.

ჩვენი ტუჩები ერთმანეთს შეეწება და ზღვასგადარჩენილები სიყვარულის მორევში ჩავიძირეთ...

– ძალიან მინდა, ჩვენზე რომ დაწერო... მე შენგან შვილი მინდა, რომელიც ჩვენი, ორი ერის, პოლონელთა და ქართველთა მეგობრობის სიმბოლო იქნება. – მითხრა მარტამ დამშვიდობებისას.

– მართლაც, ამდენ საოცრებათა შემდეგ, ნეტავ მას, ვინც ხვალ დაიბადება, ჩემო მარტა! – ვუთხარი და მკერდში ჩავიკარი.



გიორგი  
კახიანი

## პეეზოვე

ქალაქის ერთ-ერთი ქუჩის ბოლოში „მარშრუტების“ სადგომი, მოასფალტებული პატარა მოედანი მდებარეობდა. ყოველ დილაუთენია შავტუხა, ჩაბისკვიტებული, ალისფერქურთუკიანი მეეზოვე ჰგვიდა ამ მოედნიანად ქუჩას. მზის მოასვლამდე ჩაქრებოდა ლამპიონები. მერე თანდათან მოგროვდებოდა „მარშრუტები“.

მეეზოვე ქალბატონს ცოცხთან ერთად თან დაჰქონდა მოზრდილი ვედრო, რომელსაც მონიშნულ ადგილას დგამდა; მოჰგვიდა ქუჩის ნაპირს და მოგროვებულ ნარჩენებს თავის ცელოფან-ქალღმერთიანად შიგ ჰყრიდა, მერე იქვე, შორიახლოს, დიდ სანაგვე ურნაში ცლიდა.

ქუჩის მეორე ნაპირას, მოზრდილ ბალახებში, ჩაცუცქულიყო ჭრელი ნაგავი და დარაჯივით უმზერდა მეეზოვეს.

მოვიდა პირველი „მარშრუტკა“. მოედანზე გაჩერდა თუ არა, გადმოვიდა მძლოლი, ასწია წინა კაპოტი და შიგნით რალაცას უჩხიკინებდა.

მეეზოვემ ნაგავი ჩაყარა ვედროში, მობრუნდა და ისევ შეუდგა თავის საქმეს. ძალი ადგა, მიიღბინა ვედროსთან, ჩაყო თავი, ამოჰყარა ცელოფანის პარკები და ქალღმერთი და დაუნყო ჩიჩქნა. როცა მეეზოვემ ნაგავს შექუჩება დაუნყო ვედროში ჩასაყრელად, ძალღმა მიატოვა ვედრო, გაიქცა და სადაც მანამდე იმალებოდა, იქ ჩაცუცქადა.

მეეზოვემ ნაგავი ვედროში ჩაყარა, ირგვლივ მიმოყრილი ცელოფანები და ქალღმერთი ხელახლა შეაგროვა და ვედროში

ჩაყარა. მერე მიაჩერდა მისკენ ზურგშექცეულ მძღოლს, უყურა, უყურა, მიბრუნდა და თავისი საქმე განაგრძო.

მეეზოვეს ისევ რამდენიმეჯერ დახვდა ვედროდან ამოყრილი ნაგავი. ბოლოს ვერ მოითმინა, მივარდა მაღლა აშვერილი ცოცხით და შეჰყვირა „მარშრუტკის“ მძღოლს:

– შე მამაძაღლო, შე... შენი ბრუციანი ცოლი ამაიმუნე!.. ვაა... ვინ არი, ეე... კაცო, ეს?...

მძღოლი მიბრუნდა, ის ბაიბურში არ იყო. ცოტა ხანს უმზირა მეეზოვეს, მერე მიაძახა:

– რა გინდა, დედაკაცო, რამ გადაგრია, ხო არ უსტვენ?

– სტვენას დაგანყებინებ, შე... მე ისეთი ქალი არ გეგონო, შე ოხერო... უყურე ამას?! – წელში გამართულმა ადგილიდან მოუღერა ზეანეული ცოცხი.

ამასობაში მეორე, მესამე „მარშრუტკა“ მიადგა სადგომს. ბრაზმორეული მეეზოვე კი ცელივით იქნევდა ცოცხს.

ძაღლმა ისევ ამოყარა ვედროდან ნაგავი, ისევ დაუნყო ჩიჩქნა. მძღოლმა შეუყვირა ძაღლს. ძაღლი გაიქცა, მეეზოვემაც გაქცეულს მიაპყრო მზერა.

– ეეე, ქალო, ნახე, რას გიშვრება ძაღლი?

გაბრაზებული ქალბატონი ჯერ მამაკაცებისკენ გაიქცა, მერე უცებ მიტრიალდა და ძაღლისაკენ გაქანდა. მოიქნია ცოცხი და ესროლა... ძაღლმა გაქცევა მოასწრო, ცოცხი ვედროს მოხვდა. ჯერ გააჩხრიალა, მერე გააბზრიალა ასფალტზე.

„მარშრუტკის“ მძღოლებს ხმამაღალი ხარხარი აუტყდათ. ქალბატონი უცებ მოტრიალდა მათკენ. ადგილზე გაშეშდა. მერე იბრუნა პირი და უშვერი გინებით გაერიდა იქაურობას. ძაღლი არ ჩანდა. ყვირილ-გინებით მირბოდა და იძახდა:

– ამის დედა... როგორ გამაბრიყვა ამ ძაღლმა, ამ უპატრონომ, ამანა!..

ამ ელეთმელეთში ცაზე მზე ამოცურდა და ოქროსფერი სხივები მიმოანათა მიდამოს. მერე დაცრეცილ თეთრ ღრუბლებში გაიბლანდა.

მეეზოვე აქეთ-იქით არ იყურებოდა. ისე გარბოდა, თითქოს ვიღაც მისდევდა.

მისდევდა კი. „მარშრუტკის“ მძღოლების სიცილ-ხარხარი მისდევდა და მიაცილებდა...





სოფო  
გოცვაძე

## ჩემთვის რომ ეთქვამთ...

სახლიდან აჩქარებული ნაბიჯებით გამოვედი... მანამდე კი... ზურგზე ჩანთა მოვიკიდე, ფეხზე თეთრი ფერის კედი ამოვიცვი... თეთრი, ჩემი საყვარელი ფერი... თმები მაღლა ავიკეციე, ყელზე ოქროსფერი შარფი მოვიხვიე და გარდერობიდან შემოდგომის-ფერი პალტო გამოვიღე... ჯიბეში ხელი ჩავიცურე და უამრავი ოცნება აღმოვაჩინე... ჰაერი მწყუროდა, სიცოცხლის სურნელი უნდა შემეგრძნო... კიბეები ჩავირბინე... ფეხის ხმა გულის ხმას უტოლდებოდა...

გზას გავუყევი... რამდენჯერ გამიბრუნებია გულთან მოსული სიტყვები უკან... რამდენჯერ დავდუმებულვარ, რომ გული არ სტკენოდათ... მარტოსულ ადამიანად მაქციეს...

ზურგჩანთა ნელ-ნელა მიძიდებოდა დარდისაგან, ფიქრისაგან...

ნაცნობ ადგილს მივადექი... დავლილვარ... სული დაღლილა, ჩამოვჯექი და გულთან მოსულ დარდს თავისუფლება მივეცი. სიცვიისაგან შეგრილებულ ლოყებზე ორი ბურთი ჩამოგორდა... ჩამოგორდა და შვება ვიგრძენი...

რამდენჯერ უთქვამთ: – „რომელი პლანეტიდან ხარ?“ „მინაზე დაეშვი!“, „უცნაური ხარ!“ „ჩვენ მოგვბაძე!“.

ნუთუ არ იციან? ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ სიტყვა წამალივითაა; კიდევაც კურნავს და ზოგჯერ კიდევაც... ამიტომ ათასჯერ დამიხვეია უკან ამის გამგონეს... მერე? მინანია... მინანია იმიტომ, რომ მივხვდი – ადამიანს არ ძალუძს მისგან განსხვავებულის შეგუება, აღიარება!



კიდევ, კიდევ დავაკვირდი და მივხვდი, ადამიანთა უმეტესობა რიყის ქვებს ჰგავს – ლამაზს, სილიადის გემოგანცდილს... მაგრამ უსიცოცხლოს... მე კი, მდინარესავით ვარ: ზოგჯერ მშვიდი, ზოგჯერ ამღვრეული, ზოგჯერ ნაპირს გადმოსული... მაგრამ ცოცხალი, მოძრავი...

პოეტ ია სულაბერიძის ლექსის სტრიქონები მახსენდება და ვიმეორებ:

„რიყისაა, რაც ნაპირზე ირიყება,  
მდინარე კი მიდის, აღარ დაიცდის!”

ცას ავხედე... წასვლის დრო იყო... სული მოვიბრუნე... ზურგჩანთა მოვიკიდე... ისევ მძიმე იყო, ოღონდ ახლა არა დარდით, არამედ – იმედით...

ჯიბეში ხელები ჩავიწყე: – უჰ! ოცნებებით არის სავსე!

დაბლიდან ყვითელი ფოთლები წამოვკრიფე და ოცნებების ჯიბეს დავუმატიე...

ხურდა ფული არ მაქვს, ფეხით უნდა გავუყვე გზას...

მერე რა?!

ვინც კი გზად შემხვდება, თითო-თითო ოცნებას დავურიგებ და ვეტყვი: – შეხედე! დაინახე! შეიგრძენი სამყარო! შეიყვარე, იმღერე, იოცნებე!

ჩემთვის რომ ვთქვათ... რა მოხდებოდა, რომ ვთქვათ... ვთქვათ, რომ ნორმალურია, როცა ვგრძნობ, რომ განვიცდი, რომ ვტირი, რომ ვმღერი, რომ ვოცნებობ და რომ მწამს...

ჩემთვის რომ ეთქვათ:

– მიყვარხარ შენი ოცნებებით, შენი სამყაროთი, შენი ბავშვობით... რომ ეთქვათ... ჰო, ჩემთვის რომ ეთქვათ...

## ჩემი უემოციონის დასასრული...

იმისათვის, რომ იოცნებო, სულაც არ არის თვალების დახუჭვა აუცილებელი. ადამიანები ყველაზე ბევრს მაშინ ოცნებობენ, როდესაც დრო რჩებათ განმარტოებისთვის.

სალამოს, როდესაც პლედი მაქვს მოხვეული და აივანზე გაზაფხულის ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ვუყურებ, ვფიქრობ... ..ალბათ უკეთესი წარმოსახვა რომ მქონოდა და უფრო გასაოცარი სურვილები მეთხოვა ღმერთისთვის, გულს არ დამწყვეტდა სამყარო და ყველა ნატვრა ამისრულდებოდა. მოვავლე სამყაროს თვალი... ვიცი, სიცოცხლე ღმერთის საჩუქარია. ღმერთმა ხომ ნატვრა ამისრულა. მყავს ორი უსაყვარლესი შვილი...

ვიცი, რას გრძნობენ ადამიანები, როდესაც გულის კარს კეტავენ და არავის უზიარებენ ფიქრებს. შიში, უნდობლობა, გაუგებრობა გაიძულებს საკუთარი სამყარო შექმნა... ოცნება მიყვარს, ისეთ რამეს ამოვიკითხავ მასში, რაც უცხო თვალისთვის მიუნვდომელია... ახლა რას ვშვრები? მე ვწერ!.. მინდა სული ის გადმოვიდეს ფურცელზე, როგორც ვგრძნობ...

ჰოდა, თვალებს ვხუჭავ... ფეხით მივუყვები ყვითელი ფოთლების ქუჩას... და ჩემს სამყაროში ვარ დამალული... არ მინდა ჩემი დარდით დედამინა დავამძიმო. თვალებს ვხუჭავ და საოცარ პეიზაჟებს და აზრებს ჩემს წარმოსახვაში ვაცოცხლებ...

არ მესმის ადამიანების, რომლებსაც სასწაულების არ სჯერათ. რა გულით უნდა იფიქრო, რომ წვიმა, ან თუნდაც შემოდგომა თავისი ფერებით სასწაული არ არის. მე ყვითელი ფოთლების მწამს.

მივდივარ ქუჩაში და ძირს თვალმოუშორებლად ვაკვირდები გამხმარ, შემოდგომისფერ ფოთლებს... „ქარი ქრის, ქუჩაში ფოთლების ჯაზია“... თითოეულ ფოთოლს ვგრძნობ... მათი ფერებით ვუყურებ სამყაროს... ქუჩაში ხალხს ვაკვირდები...

– „ნუთუ არავინაა, ვინც ჩემსავით აღიქვამს ამ სასწაულს?!“... ექოსავით ისმის ჩემი შინაგანი ხმა...

– „რას ეძებ?! ვის ეძებ?!“ – ჩამესმის ყურში...

– ჰო... ალბათ, არავის!..

– მაგრამ... იცი? მე მჯერა, მწამს... არის ამ ქვეყნად ადამიანი, ვინც ჩემსავით გრძნობს... უყვარს... აღიქვამს ამ სამყაროს... ერთ დღეს მე მას ვნახავ... ერთ დღეს მე ის გაყინულ ხელებს და სულს გამითბობს...

\* \* \*

ჩქარი ნაბიჯით გავრბივარ სახლიდან გარეთ... მზე მინდა ვიგრძნო... სურნელი მინდა სიცოცხლის შევისუნთქო... ყელზე ოქროსფერი შარფი მოვიხვიე... გაყინულ ხელებზე ხელთამანი ჩამოვიცვი... მაინც მცივა... გულთან სიმძიმეს ვგრძნობ... სული ისე მძიმე მაქვს, სულ ცოტაც და მუხლში ჩამკეცავს... საყვარელ ადგილს მივალწიე... გარშემო არავინაა და სულს უფლება მივეცი თავისუფლების... შემოდგომის სიგრილისგან შეციებულ ლოყებზე ორი ცხელი ცრემლი ჩამოგორდა... ჩამოგორდა და შვება ვიგრძენი...

რამდენჯერ ჩამიქნევია ხელი და დავდუმებულვარ. ვერ ვთქვი ის სიტყვები, რომელშიც ჩემი გულისნადები ჩანდა... ადამიან(ებ)მა მარტოსულ ადამიანად მაქციეს...

გონება არასდროს ივიწყებს წყენას... სული პირიქით, ყველაფერს პატიობს!

რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის მგონია, რომ ჩემი საქმე მხოლოდ საკუთარი ფიქრების კითხვაა, ამიტომ მიყვარს განმარტოება...

...არ სჯერათ, რომ არ ვარ ყოველდღიური ამბებისათვის გაჩენილი.

მინდა ნისლისფერი სახლი, რომელიც ღრუბელს ჰგავს და შეუძლია, ადამიანის სული შეიფაროს... არ ვიცი, როგორ დავაღწევდი თავს ერთფეროვნებას, ოცნება რომ არ შემეძლოს. განსაკუთრებით ახლა, როცა ყველგან შემოდგომის უკანასკნელი ფოთლები მოჩანს. წელს ნაადრევად მოვიდა შემოდგომა, თუმცა ბუნებისათვის ნაადრევად არაფერი ხდება...

.... ზურგზე ჩანთა მაქვს მოკიდებული... თმები ზემოთ ერთად შევიკარი... ყვავილებით სავსე ზურგჩანთა მხრიდან მოვიხსენი და ჩამოვჯექი. დავლლილვარ! – გავიფიქრე... ცას ავხედე... ღრუბლები დავითვალე... სიცოცხლის სურნელი ჩავისუნთქე... სული მოვიბრუნე და სახლისკენ მიმავალ გზას გაუწყვი...

\* \* \*

დაღამდა... ოთახში შუქი ავანთე და როგორც ყოველთვის, ფანჯარა გამოვალე... დაძინებამდე ჰაერი უნდა შემეგრძნო... შუბლით შუშას მივანექი... გარეთ ულამაზესი ფერები დავინახე... ჩემი ოცნების ფერები...

ტელეფონის ხმამ გამომიყვანა ფიქრებიდან... ეკრანს დავხედე...

მისი ხმა... პირველი, რაც განვიცადა, სიმშვიდის შეგრძნება იყო... რა ხანია, სულის სიმშვიდე არ განმიცდია...

სექტემბერია... შემოდგომაა... შეგრძნება იმისა, რომ განსხვავებული შემოდგომა დგებოდა, არ მტოვებდა...

მოლოდინი გამართლდა...

აკი ვამბობდი, აკი ვიცოდი, რომ „ის“ არსებობდა... მოვიდა... ჩემამდე... ჩემთან მოვიდა... გულთან სითბო მომანვა... შეგუბდა და ნელ-ნელა სხეულის ყველა ნაწილში გადანაწილდა... ხელები გათბა... სული გაფერადდა... თვალები აციმციმდა... ოცნება ჩამოვიდა დედამიწაზე...

დღე-დღეს მისდევდა... მის არსებობას წვიმის სურნელი დაჰყვებოდა... მზის სითბო ჰქონდა წილად... შემოდგომის ფერი იყო... მასავით უბრალო და უნაკლო...

რალაც ერთნაირად ვფიქრობდით... მისი ხმა... მისი ხელები... მაჯაზე საათი... ის სითბო, რაც მისგან მოდიოდა...

ყველაზე ლამაზი, ყველაზე თბილი, ყველაზე „ჩემი“ შემოდგომა დადგა...

ეს ის ბედნიერება იყო, შორეულ ნათებას რომ ჰგავს... სანვიმარივით იყო ჩემთვის... მისი სული ჩემი სულის თავშესაფარი გახდა... ვტკბებოდი მისით... განცდა იმისა, რომ დიდი ხნის დაკარგული ნაწილი ვიპოვე, არ მტოვებდა...

მენატრება...

...დასასრული ყველაფერს აქვს... როგორ მეშინოდა... ამ დღის... ამ წუთების... სიტყვების...

– უნდა წავიდე...

– არ წახვიდე, რა... შენ რომ წახვიდე, შენი ადგილი მუდამ ცარიელი იქნება... ამ სამყაროში მხოლოდ შენ შეძელი კარის შეღება... შენ სასწაული ხარ!

დასრულდა ჩემი ფერადი შემოდგომა... მივდივარ და მიმაქვს ჩანთა, ოღონდ ახლა უკვე არა ყვავილებით სავსე... ყვითელი ფოთლებით სავსე... ჩვენი ფოთლებით... ეზოში მიმავანტულები ფოთლებით...

ვემშვიდობები ჩემ შემოდგომას... მასთან სულის ნაწილს ვტოვებ... მჯერა, ოდესმე სადმე კიდევ გნახავ... არ დაგავიწყდეს, ჩემი სულის მუსიკა ხარ!

---

ഇന്ത്യയിലെ  
മുഖ്യമന്ത്രിമാർ



ლია  
კაკაბაშვილი

## პეორე პე-ს უსასწოგად

პოეტზე უნდა გესაუბროთ, ერთ დროს ახალგაზრდა, დამწყებ და უცნობ პოეტზე, დღეს კი სახელქეებულზე და ცნობილზე, როგორც ხვდებით, გზაგავლილზეც, რომლის შემოქმედების მიმართ აგერ უკვე 30 წელია ყურ და გულმიდარაჯებული ვარ ერთი იმის გამო, რომ ჩემებურია, ჩემი მიწა-წყლიდან, ვგულშემატკივრობ და ძალიან მიყვარს, მეორე იმიტომ, რომ იგი ძალიან ნიჭიერია და ყველას მსგავსად, ნიჭიერი ადამიანები მეც ძალიან მიყვარს, მესამე იმიტომ, რომ მართალი, გულწრფელი და ალალია ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მეოთხე იმიტომ, რომ მისი ნაწერებიდან მისი მრავალრიცხოვანი მკითხველებივით სიკეთესა და სიყვარულს ვსწავლობ.

და მე, მომწონს თუ არ მომწონს ვინმე, საქმე ეხება პოეტს, რომელსაც აქვს მისია...

რა მთავარი მისია აქვს დღეს პოეტს ჩვენს პრობლემებით სავსე დროში კონკრეტულად და ზოგადად? ის, დროსა და სივრცეს შეფარებული პოეტის როლის შემსრულებელია თუ ერის თუნდაც პატარა წინამძღოლი, იმ დროის სისხლხორცეული ნაწილი, რომელსაც, სურს თუ არა სურს, საკუთარ თავზე უნდა გადაჰქონდეს ტანჯვა და წამება ერში არსებული წყლულებისა და ამ წყლულების მოსარჩენად მაღამოდ იყენებდეს სიტყვადქეულ სათქმელს...

პოეტური ცხოვრების გზაზე ნიჭიერი პოეტი გემოვნებიანი მკითხველისათვის ერთი საზომით აითვლება, მან უნდა წეროს

სიკეთითა და სიკეთისათვის და როგორც ყვავილიდან ყვავილზე მფრინავმა ფუტკარმა, თავისი ნაწერებით მოგროვილი ნდობით, იმედით, სიკეთითა და სიყვარულით, ადამიანებს სიხარული და ბედნიერება უნდა მიანიჭოს, სატკივარი გაუყუჩოს.

წლების განმავლობაში მარინე ცხვედიაშვილის ამგვარი რწმენით შექმნილ ძალიან საინტერესო შემოქმედებას უკვე მიეცა შეფასება, იგი მრავალგზის არის დაჯილდოებული ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვებისათვის, მინიჭებული აქვს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გოგლა ლეონიძის და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ლიტერატურული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ის წერს და აქვეყნებს წიგნებს, მას იცნობენ საქართველოში და საზღვარგარეთაც... მოკლედ, ის არის ის, გამორჩეული, ღვთითობოძებული პოეტური ნიჭიერებითა და მაღალი ლიტერატურული გემოვნებით. ის არ წერს მხოლოდ წერისთვის, თვითმიზნითა და ლექსთა რაოდენობისათვის, ის წერს მაშინ, როდესაც უზუნაესი კარნახობს, მაშინ, როდესაც უჭირს და სტკივა, როდესაც ებრალება, არ ემეტება ადამიანი დასაკარგად და სიბოროტისთვის, მაშინ, როდესაც თვალცრემლიანს ხედავს სამშობლოს და ჭირისუფლის როლშია, ის წერს იმისთვის, რომ მკითხველებმა ახლებურად შეიცნონ და გაიაზრონ წუთისოფელი, ადამიანის დანიშნულება, სიყვარულის ამაღლებულობა, ადამიანური სევდა, ასე დაუკითხავად რომ მოსდევს კაცობრიობას და ცალკეულ ინდივიდს... და, დიდი ტკივილებისა და სევდის გარეშეც ხომ არაფერი იქმნება, ვერ იწერება, მითუმეტეს, ლექსი.

ძიების პროცესი და აღმოჩენის სიხარული კი, რაღათქმაუნდა, სიკეთესა, სიყვარულსა და სილამაზეში, მშვენიერების პროცესია, რომელსაც ბედნიერება მოაქვს არა მხოლოდ ავტორისათვის, არამედ ირგვლივმყოფთათვის, მკითხველისათვის.

აკი აღვნიშნე, დღეს უკვე კარგად ცნობილი პოეტის მარინე ცხვედიაშვილის ლექსებს და თვითონ მასაც, გასული საუკუნის არცთუ დაღმინებულ პერიოდში, 90-იან წლებში გავეცანი და სულ ჩქარა დაბეჭდილი კრებულიც ვიხილე, გასაოცარი გარეგნული უბრალოებით შედგენილი თხელყდიანი წიგნი, რომელზეც შავი მკრთალი ასოებით ეწერა: მარინე ცხვედიაშვილი

და, წიგნის სახელწოდება: „სევდა უთქვენოდ გარდასულ ჟამთა“. გადავშალეთ, წავიკითხეთ და აღვფრთოვანდით.

იარეს წლებმა, მარინე ცხვედიაშვილმა მთელი თავისი შემდგომი შემოქმედებითი მოღვაწეობით დაადასტურა, რომ ის მართლაც პოეტად გაუჩინია ბედისწერას, რომელმაც ათასგვარი ქარტეხილით სულიერების გამოსაცდელად არაფერი დააკლო, არც დაათმობინა, რწმენაში განამტკიცა და მკაცრი გამოცდების ჩაბარებით მისაბამ პიროვნებად და პოეტად ჩამოაყალიბა.

ის დღეს ჭირთათმენიდან აღმდგარი ქალია, რომელსაც შეუძლია თქვას ის, რაც პოეტური შემოქმედების პირველ ეტაპზე დაწერა:

„თითქოს ყველაფერი დაინერა,  
თითქოს ყველაფერი ითქვა,  
შენზეც, პანანინა გაიჭერა,  
შენზეც, მშობლიური მინავ.  
თითქოს საჯილდაოდ გაგიმეტა,  
ბედმა, ფრაკივით რომ გაცვდა,  
რაც არ დაძველდა და დაგვიბერდა  
არის სიყვარულის განცდა.“

რატომღაც, იმ პერიოდში მიღებული დაუფინყარი შთაბეჭდილების გამო, ათეული წლის სიშორიდან ისევ აღტაცებული მივდივარ მარინე ცხვედიაშვილის ლექსების პირველ კრებულთან, რათა კიდევ ერთხელ და ათას მეერთედ დავრწმუნდე, რომ მაღალღირებული, აზრიანი, მართალი პოეზია დიდი ქარტეხილების შემდეგ იქმნება მხოლოდ და ცხოვრების ლოგიკაც თუ ლოგიკა ცხოვრებისაც ხომ ესაა: უნდა ენამო, რომ შექმნა ამაღლებული და საინტერესო, ან, პირუკუ, თვით შექმნის პროცესი უნდა აქციო წამებად, ტანჯვად და თავგანწირვად ღირებულისთვის, სხვათათვის გულის გასახარად და აღსაფრთოვანებლად.

მარინე ცხვედიაშვილის ლექსების პირველივე კრებულის ზოგადი მახასიათებელი ღრმა პოეტური, შემოქმედებითი შემეცნებაა, აღქმაა სამყაროსი, რომელიც არა ცხოვრებისეული პრაქტიკით და მარტივი ადამიანური მოთხოვნილებებით არის განპირობებული, არამედ ზეადამიანურია, მიწიერიდან მონყვეტილი გრძნობებით არის ნაკარნახევი, ფიქრებთან, ნატვრებთან,



სურვილებთან არის დაკავშირებული, დაკავშირებულია ადამიანებთან, მოვლენებთან და ფაქტებთან, რომელიც პოეტისათვის შთაგონების მუხტად ქცეულა და ყველაფერი ეს, უჩვეულოდ საინტერესო ფრაზად, პოეტურ სტრიქონად ჩამოყალიბებულა, მერე ამ სტრიქონთა შეერთებით, ძალდაუტანებელი, მშვიდი, გონიერი აზროვნებით დანერილა ლექსები დაშორებასა და მონატრებაზე, პოვნასა და დაკარგვაზე, იმედებსა და იმედების გაცრუებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, გზადშეხვედრილ ადამიანებზე, დაუვინყარ დღეებსა და ეპიზოდებზე, რომელთაც, საბოლოო ჯამში შექმნეს პოეტის დაუვინყარი ბიოგრაფია, ისეთი დასკვნებით, როგორიცაა:

„როცა სიცივე ქარებსაც დაღლის,  
ნუგეშად ვისხამ ხსოვნის ფარაჯას,  
სიმარტოვე კი ბებერი ძალღი  
შენს ერთგულებას უწევს დარაჯად.“

ან:

„და მაგ ჯვრისწერას ერქვა გაქცევა  
სიმარტოვიდან – სიმარტოვეში“.

ან:

„განთიადი კი შფოთიან ღამეს,  
როგორც ქვამარილს, ისე ალოკავს“.

ან:

„ნუ გეშინია, მე არ დაგწყველი  
და არ ავიღებ შიშველ სატევარს,  
შენთან უშენოდ როგორ გავძელი,  
ახლა რა მიჭირს, შენით სავსე ვარ.“

პირველივე ლექსებში მოქცეული თუ ჩაკირული ბედისწერის სევდა მკითხველისთვის აშკარაა და საჩინო, მაგრამ ამავდროულად იმდენად საინტერესო პოეტური რწმენითა და ხედვით გადამწყვეტილი, გაანალიზებული, რომ სიამოვნების ხიბლმიღებული, მკითხველს მალამოდ ედება გულზე. მას სტკივა პოეტი, მაგრამ, მასთან ერთად განიცდის და მალღდება ამ ტკივილებზე პოეტის ნიჭიერებისვე დასტურით.

„შენ გაზაფხული უბით მოგქონდა,  
მზის სარეცელზე იწვა კახეთი,  
და გაბანრული ეგდო გომბორთან  
ღამე, ეშმაკის რჯულზე ნახღდნი.“

„როგორც ხანგრძლივი წვიმების შემდეგ  
მზის სხივს პანია მინდვრის ღილილო,  
მომეცი ნება, რომ კიდევ ერთხელ –  
ჩაგეხვიო და სიზმრად გიხილო“.

მეორე და მთავარი მახასიათებელი იმ პერიოდშივე მისი ლექსებისა, არის უბრალოება და ამ უბრალოების პირველყოფილი სიღრმე, სისადავე, ის, დიახაც განსხვავებულად წერს და აზროვნებს, მაგრამ პოეტური სახეების ისეთი გამოგონებით, ისეთი წყობით და ხელოვნებით, ზოგადად იმგვარი აღწერით, რომ მკითხველსაც, რა გემოვნებისაც არ უნდა იყოს, ასწავლის მწარე ბედისწერასთან არდანებებას, ასწავლის ძლიერებას, გაბედულებას, გამძლეობას, ცხოვრებისეული ტკივილების მშვიდად გადატანას, დამარცხების ტოლფას ტკივილებთან წილნაყოფობას.

„ვერას გიშველო, ჩემო ბერდედავ,  
და ვერც დაგიცლი სავესე ფიალებს,  
მე თუ სიკვდილი შენით მებედა,  
თუ სამსხვერპლოზე შენთვის ვიალე,  
ბედი გვქონია შენცა და მეცა  
ამყოფე მშვიდად ძვლები ხნიერი,  
ვალგადახდილი ვენვევი ზეცას  
შენით მალალი და ბედნიერი.“

ცალსახად, პოეტის მოქალაქეობრივი მზერა იმ პერიოდშივე მიქცეული იყო ქვეყნის ტკივილიანი, აფორიაქებული თანამედროვეობისაკენ და კითხვებით სავესე მომავლისაკენ, რასაც არაერთი ლექსით გამოხატავდა სხვადასხვა განცდით, თან გაფრთხილებით.

„შენ ბედისწერა გამოგცდის ახლა,  
და თუ მზაკვრულად გაგანწავს სილას,  
გთხოვ, ნუ ეცდები დამბაჩის დახლას,  
სამაგიეროდ, იყავ ფრთხილად.  
თუმცა მოსისხლეს მრავალჯერ სურდა,  
რომ შეერისხე მუხთლად და ფლიდად,  
ახლა სიკეთით ამალდე უნდა,  
როგორც არასდროს, იყავი ფხიზლად.“

მამულზე დღენიადაგ ფიქრი გონიერ პოეტში შიშის გრძნობაც იმთავითვე თან სდევს და ჯერ კიდევ როდის, 1996 წელს მისწურად იწერება:

„ჩვენ გვაქვს მარაბდა, ჩვენ გვაქვს არხილო,  
ჩვენ გვაქვს ჯვარი და სვეტიცხოველი,  
მაგრამ სირცხვილით სად გავამხილო,  
რომ ამოდენა განძის მფლობელი,  
გაძარცვული ვარ სულით ხორცამდი,  
ვიდრე ბოგინობს სენი საშიში,  
თემურ-ლენგობას თუ რამ მოვსტაცეთ,  
ნაგვართმევს ახლა ბანგი ჰაშიშის.  
ჩვენ გვაქვს დიდგორი, ჩვენს გვაქვს კრწანისი,  
გრემი, გელათი – ერის მშვენება,  
იქნებ ამიტომ, იქნებ ამისთვის  
არ ღირდეს ჩვენი გადაშენება“.

მარინე ცხვედიაშვილის ლექსების ერთ-ერთი მახასიათებელი სიუჟეტიანობაა, ანუ მისთვის, როგორც პოეტისათვის, რომელიც დიახაც და აუცილებლად, შინაგანი პოეტური ლოგიკის კანონებით უნდა ხელმძღვანელობდეს, ვალდებულია არა ალთაბალთად, არამედ შინაარსით, თემით, რაღაც ღირებულისთვის წერდეს ლექსებს.

სხვათაშორის, შინაარსიანობა, ადამიანის შინაგანი ბუნების განფენილობა სამყაროში, გამოვლენილი ერთ შემთხვევაში პოეზიაში ნიჭიერი კალმოსნის მიერ, სრულიად კანონზომიერად გადაინაცვლებს ხოლმე პროზაში და შემთხვევითი არაა, რომ მარინე ცხვედიაშვილმა სიცოცხლის მეორე ნახევარში პოეტური შემოქმედების გვერდით პროზაული ნაწარმოებების უმაღლესი გამოვნებით წერა დაიწყო და ამ ნაწერების გამოქვეყნებით იმგვარადვე ალაფრთოვანა მკითხველი, როგორადაც თავისი პოეზიით. არცაა გასაკვირი: მარინე ცხვედიაშვილი, ზოგადად, მაღალწიგნიერი ადამიანია, უჩვეულოდ მაღალზნეობრივი თვისებებით, რომლისთვისაც ცხოვრების გზაზე შეხვედრილი უზნეო ადამიანები თუ უზნეოთა მიერ მიყენებული ტკივილები და წყენები, მისივე პირველნიჭიერების სიმალლიდან მცირე ყურადღებადაც არ მიიჩნევა, ასეთების დანაშაულისათვის უფალს სთხოვს მიტევებას:

„სიკვდილის შიში როდი განაღვლებს,  
 გწვავს უნაყოფო დღეთა სიშლეგე,  
 შენი სხეული სევდით დანაღმეს  
 და ეშაფოტზე ისე გიშვებენ.  
 არ შეგამჩნიოს მტერმა დაცემა  
 თუნდაც ყველაფრის ფასად დაგიჯდეს,  
 თორემ ხომ იცი, ეშმაც კაცდება,  
 როცა ჩვენს გვამებს გადააბიჯებს.  
 ნურც მიენდობი ღამეულ ხილვებს,  
 როგორც ბრიყვები – გრძნეულ სიბილას,  
 გნამდეს, შენტანაც შედგება ვინმე  
 და მზის ამოსვლის დარად გიხილავს.“

ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ ლექსი თუ მთელი პოეტური შემოქმედება პიროვნებისა და მისი მსოფლმხედველობის გამოსატყვის ხშირ შემთხვევაში იაფფასიანი ჭრელა-ჭრულა აზრებით და პოეტური სპეკულაციებით მხოლოდ უგემოვნო მკითხველს ართობს, სინამდვილეში კი ისევე იკარგება, როგორც მზიან დღეს მოსული თოვლი.

მარინე ცხვედიაშვილის ლექსების მხატვრული სამყარო კი პოეტური ტროპებით გაჯერებული, ერთდროულად მშვენიერი და საინტერესოა, მეორე მხრივ, მართალი და მიზანმიმართული მკითხველში სიკეთის სულიერების გასაღვიძებლად, სინათლის სხივის შესატანად, დარდებზე გასამარჯვებლად, იმედის მისაცემად.

„სევდა უთქვენოდ გარდასულ ჟამთა“ იმ ადამიანებზეა, რომელთაც კახეთში, მშობლიურ სოფელ არბოშიკში შექმნეს და ჩამოაყალიბეს ეს სულსავე ადამიანი, მის ბიოგრაფიაში ფერუცვლელად დარჩნენ ყველაზე საყვარელი ადამიანები – დედა და მამა და მათზე არანაკლებ ახლობელი ნათესავები და მეზობლები, საოცრად საკუთარი კოლორიტული ფერებით და ისტორიებით, გზებით, რომლებიც არცთუ იშვიათად უერთდება თავად პოეტის ბიოგრაფიასა და გზებს, მისი ცხოვრების დღეებს და დღემდე ყმანვილქალობის პირველყოფილი გაუხუნარი რწმენით ასაზრდოებს, რათა ისევ წეროს ლექსები მკითხველისათვის ემოციების აღმძვრელი და ხშირად ცრემლებამდეც. მას ისევ სტკივა ბევრი რამ, ისევ წუხს და განიცდის ბედკრულ საქართველოს და ქართველობას და პირად პასუხისმგებლობად, ღირსებად, გნებავთ, მოვალეობად მიაჩნია, წეროს

ისევ ისე, როგორც მთელი ცხოვრება წერდა – ხალასად და ამალღებულად, ადამიანთა სულიერების გადასარჩენად.

ის, დრომ დაადასტურა, აღმატებული ადამიანია, ვინც თქვა:


„ო, საცნაურო, რისხვავ და ურვავ,  
ახლა რომ გბურავს ცის ლურჯი რიდე,  
განა მიწაზე არ იყო მუდამ  
სიკეთისათვის თვალებს რომ თხრიდნენ.“

და ვისაც შეუძლია დღეს თქვას:

„რისთვის ამდენი ურვა და ტანჯვა,  
თუკი მიგიხვდი მეუფევე გუმანს,  
ალბათ სიკვდილი არ ნიშნავს დასჯას  
მათთვის, ვინც უნდა ეახლოს უფალს.“

და ბოლოს, მისი შემოქმედებითი გზის აქტიურ მეყურადეს, თვალთა და გულისთვალთ მზირალს, დღემდე, ხმამაღლა მაინც უნდა ვთქვა, განსაკუთრებით მხიბლავს მისი პირველი ლექსები, ამ კრებულში თავმოყრილი, ვითარც ერთ ძვირფას ყელსაბამად ასხმული ძვირფასი მარგალიტები, რომელიც გულზე დღემდე განუშორებლად ჰკიდია ავტორს, ახლა უკვე სახელმომხვეჭილს და მუდმივად ახსენებს თავის მეორე მეს, ასე ლექსებად რომ გადაუშალა დღეები, წლები და აღარასოდეს გამეორდება დროისა და ბიოგრაფიის ობიექტური განზომილებების გამო...

და. გვსურს თუ არა გვსურს, რატომ გვჯერა, რომ დროს სამი განზომილება აქვს, დრო ხომ ერთია ნიჭიერი, ძიებისა და აღმორჩენების ადამიანისათვის, ღვთითბოძებული გამორჩეულებისათვის, ამ დროის კუთვნილებაა მარინე ცხვედიაშვილი, რომლის შემოქმედებას არასოდეს მოაკლდება და შეუმცირდება მკითხველი.



**გიორგი  
ჭიკვაშვილი**

## **ქართული აუჰკინიანას საკითხისათვის პოეტი უცნობი ლექსი**

გენიალური პოეტი ალექსანდრე პუშკინი მტკიცედ იცავდა მდიდარი და ლამაზი რუსული ენის თავისუფლებას. ეს პრინციპი მკაფიოდ ფიქსირდება არამხოლოდ მის შემოქმედებაში, არამედ კერძო საუბრებში ხელისუფლების წარმომადგენლებთან თუ გზაში შემხვედრ ადამიანებთან პაექრობისას.

თუმცა, არამხოლოდ ენის თავისუფლების დაცვა, მას ხომ პირადი უფლების დაცვაც უხდებოდა ცარიზმის მიერ დაწესებული ცენზურის გამო. ცნობილია პუშკინის ურთიერთობა დეკაბრისტებთან. როცა მემამბოხეები დააპატიმრეს, პოეტი იქ არ იმყოფებოდა. ხელისუფალთა კითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებდა სხვა შემთხვევაში, გაბედულად უპასუხა: „რა თქმა უნდა, დეკაბრისტების გვერდით ვიქნებოდი!“

პუშკინის პოემაში „ევგენი ონეგინი“, არცერთი აზრი, გამონათქვამი მოსაწონი არ იყო ხელისუფლებისათვის, ცენზურამ ბევრი რამ დაუწუნა, ამიტომ ავტორმა ზოგი რამ დათმო. პოემის ბოლო ვარიანტში კი დარჩენილია ცარიზმისათვის საჩოთირო სიტყვები: „არ მსურს გართობა ქედმაღალი წრის, მეგობრულ გრძნობას შევტოვდი, შევხარი“. ან კიდევ: „მაგრამ ძლიერ მწყენს მე ჩრდილოეთი“. იგულისხმება იმპერიის დედაქალაქი პეტერბურგი, საიდანაც პოეტი კარგახნით გადაასახლეს.

პოეტი სიცოცხლეშივე შეიყვარა და გააღმერთა მკითხველმა, მთელმა რუსმა ხალხმა. ცნობილია, რომ პუშკინი ხშირად მოგ-

ზაურობდა. შემხვედრი ადამიანები დიდი სიყვარულით ეგებებოდნენ. იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როცა დაპირისპირება უხდებოდა მოსაუბრეებთან.

კარგად არის ცნობილი რუსი პოეტის საქართველოსთან ურთიერთობა. მან ორჯერ იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში, მიუძღვნა ლექსები. ქართველი საზოგადოება სიყვარულით მასპინძლობდა და ინტერესით ეცნობოდა მის შემოქმედებას. საინტერესოა ასეთი ფაქტი: მაშინ, როცა პუშკინს მეფის სასახლეში, ბალზე მიწვეულს, აცხადებდნენ, როგორც მოლექსეს, მთხველს, საქართველოში ჩამოსულს ალექსანდრე ჭავჭავაძემ და მაშინდელმა ქართველობამ, არისტოკრატია, თვითონ პოეტებმა, პუშკინს პირველებმა უწოდეს პოეტი, გენიალური პოეტი! მოუწყეს შეხვედრები, ქართულად თარგმნეს მისი შედეგები.

1892 წელს კი, საიუბილეოდ, ბიუსტიც დაუდგეს თბილისის ცენტრში. მიუხედავად ამისა, ქართველებს გვაქვს შენიშვნა. 1828-30-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, საქართველოდან თურქეთის საზღვრის გადაკვეთისას, პოეტმა განაცხადა, „ჩემი სამშობლოს საზღვარს გადავაბიჯეო“. დიდი რუსეთის ნაწილად საქართველო არ ითვლებოდა და არც ახლა ითვლება.

ან კიდევ, სამხრეთ საქართველოს ერთ სოფელში პუშკინი გამოლაპარაკებია ქართველ გლეხ ქალს, რომელსაც რუსულის არა გაეგებოდა რა. მთარგმნელის დამხარებით გაუგია ქალის აზრი, შემდეგ უთქვამს „განა შეიძლება ასეთი რამ, ხომ უნდა იცოდეს რუსული ენაო“. მაგრამ განა გასაკვირია, მიყრუებულ სოფელში ადამიანს რუსული არ სცოდნოდა? ყველაზე უარესია ის, რომ დიდმა რუსმა პოეტმა ერმოლოვს, საქართველოს სასტიკ მპყრობელს, უსაყვედურა, ქართველებს რბილად ეპყრობიო...

ახლა კონკრეტულად პოეტის უცნობი ლექსის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის გზებზე მოგზაურობისას პოეტი უამრავ ადამიანს ხვდებოდა. ძირითადად საინტერესო და მეგობრული ყოფილა საუბრები. მაგრამ ზოგჯერ საკამათო საკითხებიც წამოჭრილა რუსული ენის შეზღუდვასა და პირადი ღირსების დაცვასთან დაკავშირებით. ამ დროს პოეტის პასუხი აღიქმებოდა რუსი ხალხის შეურაცხყოფად, მით უფრო, უცენზუროდ გამოთქმული.

ამერიკაში ძველი დროიდანვე ცხოვრობს რუსი დიასპორა, მიგრანტები, რომელთაც დააარსეს ჟურნალი „პუტნიკი“ (მეგზური). ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია პუშკინის შეხვედრა ხალხთან. პაექრობისას პუშკინის პასუხი ლექსად:

„Пошли вы к чёрту, какое дело  
 Мирному поэту до вас.  
 Разврате камеете смело,  
 Лира не оживит ваш глаз.  
 Имели Вы до сей поры  
 Темницы, бигии и топор.  
 Довольно с вами, глупов, безумцев”.

მერვე სტრიქონი უარესი ყოფილა, ვიდრე: „იდიტე ნა ტრი ბუკვი“.

რა თქმა უნდა, ლექსი აკრძალა მეფის ცენზურამ. ბოლშევიკებმაც აკრძალეს. მხოლოდ გიორგი პლехანოვს გამოუყენებია თავის ნაწერებში. მაგრამ მას პასუხი არავინ მოსთხოვა იმიტომ, რომ პლехანოვი პარტიის მეორე ყრილობამდე ლენინის მეგობრად ითვლებოდა. მან ხომ რუსულ ენაზე თარგმნა მარქსის „კაპიტალი“.

პოეტის ლექსის ჩემეული თარგმანი ასეთია:

ჯანდაბა, ეშმაკსაც ნაუღიხართ,  
 გარყვნილებას რომ აძლევთ გასაქანს,  
 რა გესაქმებათ კეთილ პოეტებთან,  
 ღირა ვერ აგიხელთ ვერასდროს თვალს,  
 დღემდე შემოგრჩათ ცული საჩეხი,  
 მწყემსის შოლტი და ბნელი სარდაფი,  
 კმარა ბრიყვებო, უტვინოებო!

და ბოლოს, ჩემი აზრით: ზოგიერთი შტრიხის მიუხედავად, რაც ქართველებთან მის დამოკიდებულებაში გამოიხატა, ჩვენთვის, ისევე, როგორც მსოფლიოსათვის, ის გენიალური პოეტია, ის „ევეგენი ონეგინის“, „ბოშების“, „ძეგლის“ ავტორია.

თუ მკაცრი, ეროვნული, მაგრამ სამართლიანი საზომით შევაფასებთ არამარტო რუსულ, არამედ მსოფლიო ლტერატურას, ვშიშობ, ამან ჩვენ რაიმე შეგვემატოს... პირიქით...

ალექსანდრე პუშკინი ყველა დროისა და ყველა ნიგნიერი ადამიანისათვის დიდი, გენიალური პოეტია... თავისუფლების და მხოლოდ თავისუფლების მომღერალი და თავისუფლებისათვის ბრძოლას შეწირული პოეტია!





ალეკ  
ლომიჯე

### სელოვანთა ოჯახი

#### ჯული და ვახტანგი

მათ ერთმანეთი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში გაიცნეს. ერთ კურსზე სწავლობდნენ, ერთად ეუფლებოდნენ თეატრალური ხელოვნების საიდუმლოებას. ჯერ კიდევ სტუდენტებმა სამუდამოდ დაუკავშირეს ერთმანეთს ბედი. ჯული ოშხერელი და ვახტანგ ალავიძე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მესხეთის თეატრში მოხვდნენ. იმხანად იქ მოღვაწეობდნენ გამოცდილი რეჟისორები: ნანა დემეტრაშვილი, მიხეილ მექმარიაშვილი, ლერი პაქსაშვილი, გურამ მაცხოვნაშვილი და სხვები. იდგმებოდა როგორც ქართველი, ასევე უცხოელი დრამატურგების პიესები.

მსახიობის პროფესია მეტად რთულია. უპირველესად, მას უნდა გააჩნდეს ღვთისგან ბოძებული ნიჭი, რათა გაითავისოს თითოეული როლი, ჰქონდეს კარგი მეტყველება და პლასტიკა, და რაც მთავარია, უყვარდეს თავისი საქმე. სწორედ ამ თვისებების შედეგია ის წარმატებული როლები, რომლებიც ახლაც ახსოვთ ჯულის და ვახტანგის ნიჭის თაყვანისმცემლებს.

მთელი ექვსი წელი დაჰყო მათმა ოჯახმა ახალციხეში. იქვე შეეძინათ შვილები: გიორგი და თეა. შემდეგ თბილისში გადავიდნენ საცხოვრებლად. ვახტანგმა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში დაიწყო მუშაობა. მალე ოჯახი რუსთაველი დაამკვიდრდა, თოჯინების სახელმწიფო თეატრში განაგრძეს მოღვაწეობა;.

თოჯინების თეატრის ხელმძღვანელმა, რეჟისორმა გუგული სებისკვერაძემ თავის გარშემო შემოიკრიბა გამოცდილი რეჟისორები: სოლომონ ყიფშიძე, ნუგზარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ბუკია, ანზორ ჩხიკვაძე... ნორჩმა მაყურებელმა შეიყვარა: ფიცხელა და მუცელა, კომბლე და ნაცარქექია, წითელქუდა, ბუტია, ხუთკუნჭულა და ზღაპრის სხვა პერსონაჟები.

ჯულიმ და ვახტანგმა მრავალი საინტერესო სახე შექმნეს, როგორც თოჯინურ, ასევე ცოცხლად ნათამაშებ სპექტაკლებში: „ბატის ჭუჭი“, „სათაგური“, „კომბლე“, „სამი გოჭი“, „ქაჯანა“, „წითელქუდა“, „ნაცარქექია“, „კომბლე“, „ფანტაზია მგლისა და კრავის თემაზე“ და სხვა.

– თოჯინების თეატრს სხვა სპეციფიკა აქვს, ვიდრე დრამატულ თეატრს, ადვილი არ არის ხისგან დამზადებული საგნის გაცოცხლება, ალაპარაკება და მოძრაობაში მოყვანა, მაგრამ ჩემში იმდენად ღრმად იყო გამჯდარი პასუხისმგებლობის გრძნობა და შრომისმოყვარეობის ყინი, რომ მალე პროფესიულ მეთოჯინე მსახიობებსაც კი არ ჩამოვუვარდებოდი. – იგონებს მოგვიანებით ჯული ოშხერელი.

გუგული სებისკვერაძის შემდეგ თოჯინების თეატრს თეატრმცოდნე ბორის ერისთავი ხელმძღვანელობდა, რომლის დროსაც არაერთი წარმატებული სპექტაკლი დაიდგა. 1996 წლის სექტემბერში ქუთაისში გაიმართა თოჯინების თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც რუსთავის თოჯინების თეატრმა წარადგინა სპექტაკლი „მებადური და ოქროს თევზი“. სპექტაკლმა აღიარება დაიმსახურა. საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის პრეზიდენტის გადამწყვეტილებით სპექტაკლს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა და მასში ცოტა როდი იყო ჯულისა და ვახტანგის წვლილი.

წლების შემდეგ თოჯინების თეატრმა სტატუსი შეიცვალა და გახდა საყმაწვილო და მოზარდთა სახელმწიფო თეატრი. ამ სტატუსით მას საშუალება მიეცა, სხვადასხვა ჟანრის პიესები დაედგა და პატარების გარდა, მოზარდი თაობისთვისაც ეზრუნა. თეატრის დირექტორად დაინიშნა რეჟისორი ლალი თაბაგარი. თეატრში მოღვაწეობდნენ რეჟისორები: ანზორ ჩხიკვაძე, ვაჟა ძიგუა, დათო და მამუკა მაცხოვნაშვილები, ანზორ ლოლუა, ნუგზარ ლორთქიფანიძე, მხატვარი ლომგულ მურუსიძე. დაიდგა სპექტაკლები: „სამი გოჭი“, „ბუტია“, ოქროს თევზი“,

„სისხლი“, „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „დაკარგული გრძნობების მღვიმე“, „დამნაშავედ არ დავბადებულვარ“, „გამარჯობა, მასწავლებლო“... თავისი არსებობის მანძილზე თეატრმა მრავალ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და არაერთხელ გაიმარჯვა.

ვახტანგ ალავეცი ნაყოფიერი დრამატურგი იყო, ათამდე საბავშვო პიესის ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია: „ფანტაზია მგლისა და კრავის თემაზე“, „თეთრი ქალი და ხუთი ჯამბაზი“, „ორი ცრუპენტელა“, „აურზაური განჯინაში“, „ურჩი ბეკეკოები“, „ჯიუტები“... ზოგიერთი პიესა საკუთარია, ზოგი კი მის მიერაა გასცენიურებული. თითოეული მათგანი გულით შეიყვარა პატარა მაყურებელმა.

მოგვიანებით ვახტანგი ნათელა მუხუღიშვილის მიერ დაარსებულ ლიტერატურულ თეატრში ვიხილეთ, როგორც მსახიობი და როგორც სცენარების ავტორი. ის მრავალი საქალაქო ღონისძიების ავტორი იყო, ამასთან ხელმძღვანელობდა კულტურის ცენტრთან არსებულ თოჯინების თეატრს. 2010 წელს ამაგდარ ხელოვანს დაბადებიდან 60, სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს.

სამწუხაროდ, ბატონ ვახტანგზე წარსულში გვინევს საუბარი. უკურნებელმა სენმა ამა წლის აგვისტოში შეიწირა.

ჯული ოშხერელის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი განათლების სისტემაში მოღვაწეობას უჭირავს. მის მიერ საჯარო სკოლებში დადგმულმა სპექტაკლებმა: „წითელქუდა“, „პატარა წერო და საფრთხობელა“, „კონკია“, „სამი გოჭი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მგელი, თხა და თიკნები“ საყოველთაო აღიარება მოიპოვეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი, როგორც რეჟისორ-პედაგოგის მოღვაწეობა რუსთავის ხელოვნების სკოლაში, რომელსაც ბორის ერისთავი ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდებთან მუშაობის სიყვარულმა განაპირობა ისეთი სადიპლომო სპექტაკლების წარმატება, როგორებიცაა: „ობობა“ და „უჩინმაჩინის ქუდი“. ეამაყება, რომ მისმა ოთხმა სტუდენტმა თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა და თბილისის და რუსთავის თეატრების სცენებში მოღვაწეობენ.

სკოლა-ბაღში – „მილენიუმი“, დირექტორის ელზა ლეკვეიშვილის თხოვნით ჯული ოშხერელმა დადგა ინესა მერაბიშვილის ორენოვანი კომპოზიცია, რომელიც ბაირონისა და ბარათაშვი-

ლის შემოქმედებას ეხებოდა. ლიტერატურულმა კომპოზიციამ ამერიკის ელჩის მონონება დაიმსახურა. ამას მოჰყვა გალაკტიონის „ენიგმები“, სადაც ბაირონისა და გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდები იყო გასცენიურებული. ამავე სკოლაში დაიდგა რუსთაველი დრამატურგის თეა ლობჯანიძის პიესა „ობობა და მილსადენი“, რომლის პრემიერა „ქორთიარდ-მარიოტში“ შედგა და უცხოელი სტუმრების მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურა. მეშვიდე კლასის მოსწავლემ ქეთევან მეტრეველმა მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში თემით „ნიჭი ღვთისგან ბოძებული“, პირველი ადგილი დაიკავა. ამ ნაშრომის ხელმძღვანელი ჯული ოშხერელი იყო.

### თეა ალავიძე

ხელოვანთა ოჯახში გაზრდილი შვილები ხშირად დედ-მამის კვალს მიჰყვებიან. ალავიძეების ოჯახშიც ასე მოხდა. თუმცა, გიორგიმ მედიცინის სფერო აირჩია და დღეს ის გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობს. აი, თეა კი... თვეების იყო, როცა მუსიკის ხმის გაგონებაზე ცეკვას იწყებდა. ხუთი წლის ასაკში კი პირველი სურათი დახატა. მშობლებმა ის რუსთაველ მხატვარს თემურ ქურციკიძეს მიაბარეს. ცეკვებს გოგი მარლანიას ქორეოგრაფიულ სტუდიაში დაეუფლა.

წარჩინებით დაამთავრა თოიძის სამხატვრო სასწავლებელი. განსაკუთრებული ნიჭი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში გამოავლინა. აკეთებს თოჯინებს, რომლებსაც არაჩვეულებრივი კოსტიუმებით მოსავეს. მერე ქოთნებზე ორნამენტების დატანის იდეა გაუჩნდა. თეა განსხვავებული მხატვარია, თავისი განუმეორებელი სტილი აქვს, რომელიც სხვა მხატვრებისაგან გამოარჩევს. მისი დახვეწილი გემოვნება და ხედვა ნახატს თავისებურ ელფერს აძლევს, რაც მნახველის აღფრთოვანებას იწვევს.

შემდეგ იყო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. სწავლობდა გამოცდილი რეჟისორის გივი სარჩიმელიძის ჯგუფში.

პირველი სამსახიობო ნაბიჯები რუსთავის თოჯინების თეატრში გადადგა. იყო როლები, წარმატებები, გასტროლები. რამდენიმე სპექტაკლიც გააფორმა ქორეოგრაფიულად.

ერთხანს ქვემო ქართლის ტელევიზიაში დილის გამამხნევე-ბელ ვარჯიშებს უძღვებოდა, სალამოს კი მიჰყავდა გადაცემა „კრიჭი-კრიჭი“.

## დიდობანა

მართალია, „დიდობანა“ თეატრალური სტუდიაა და არა ალავიძეების ოჯახის წევრი, მაგრამ ის სამივე ხელოვანს აერთიანებდა – ჯულის, ვახტანგს და თეას.

1992 წლის ერთ მშვენიერ დღეს ჯული ოშხერელს დაებადა იდეა, რუსთავის საბავშვო თეატრის ერთ-ერთ სპექტაკლში თოჯინების ნაცვლად მსახიობების შვილებს ეთამაშათ. იდეას ხორცი შეესხა. ეს იყო პიესა „ფანტაზია მგლისა და კრავის თემაზე“, რომლის ინსცენირება ეკუთვნოდა ვახტანგ ალავიძეს, რეჟისორი იყო ჯული ოშხერელი, მასვე ეკუთვნოდა სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება, კოსტიუმების ავტორი – თეა ალავიძე.

პრემიერამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ასე ჩაეყარა საფუძველი თეატრ-სტუდია „დიდობანას“. სტუდიაში სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი იყო. პატარები სწავლობდნენ თეატრის ისტორიას, მსახიობის ოსტატობას, მეტყველების კულტურას, ვოკალის ხელოვნებას, ქორეოგრაფიას, სასცენო მოძრაობებს. პედაგოგებიც გამორჩეულები ჰყავდათ: ჯული ოშხერელი, ვახტანგ ალავიძე, მანანა ალფაიძე, კახა მალრაძე, ლალი სიხარულიძე, თეა ალავიძე, ია ლაფაჩი, დავით კამისაშვილი და სხვები.

15 წლის საიუბილეო სალამოზე სამი თაობის მსახიობები იდგნენ სცენაზე. ისინი განვლილ წლებს, სპექტაკლებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს იხსენებდნენ და თავიანთ წარმატებებს ზემოთაღნიშნულ პედაგოგებს უმადლოდნენ.

სტუდიის წევრები ძირითად ბირთვის წარმოადგენდნენ ქვემო ქართლის ტელეკომპანიის გადაცემების: „დიდობანა“, „კრიჭი-კრიჭი“, „მხიარული თარიღი“ და „ანაბოდი“. მათი სცენარის ავტორი და რეჟისორი ვახტანგ ალავიძე იყო. გადაცემები დიდი მოწონებით სარგებლობდა არამარტო პატარებში, მოზრდილი თაობაც სიამოვნებით უყურებდა მათ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თეატრალური ფესტივალები, სადაც „დიდობანამ“ პირველობა არავის დაუთმო და მშობლიური ქალაქი ასახელა.

1996 წელს თბილისში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონკურსში „ჯადოსნური ხმები“ პირველი ადგილი დაიკავა სპექტაკლმა „წერო და საფრთხობელა“.

1999 წელს ფესტივალში – „ზღაპრის გუდა“ გაიმარჯვა სპექტაკლმა „კონკიამ“. 2000 და 2001 წლებში ფესტივალზე „ჯადოსნური ხმები“ გაიმარჯვეს „თავზე ხელაღებულმა ბაყაყმა“ და მიუზიკლმა „თამუნია მხატვარია“. ეს მიუზიკლი მინვეულის იყო თურქეთის ქალაქ დიდშიმში საერთშორისო საბავშვო თეატრალურ ფესტივალზე, სადაც მან პირველი ადგილი დაისაკუთრა, მონაწილეებს კი გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. „დიდობანამ“ დიდშიმში კონცერტიც გამართა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

2010წ. ბორჯომში ჩატარდა თეატრალური ფესტივალი „კოლხიდა“, სადაც თეატრ-სტუდიამ წარადგინა მონოსპექტაკლი – „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. ნომინაციაში – „პატრიოტიზმი“ ყიურიმ ერთხმად მიანიჭა გამარჯვება სპექტაკლს, მონაწილეები კი დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

2015წ. თბილისში ჩატარდა ბავშვთა თეატრალური ფესტივალი „მაჩაბელა – 2015“, სადაც რუსთავის №15 საჯარო სკოლის დრამატულმა სტუდიამ უჩვენა სპექტაკლი „ჯიუტები“. საპრიზო ადგილები არ განაწილებულა. ყიურიმ ერთხმად აღნიშნა მისი საუკეთესო რეჟისურა. საუკეთესოებს კი ფასიანი საჩუქრები გადასცა.

2019 წლის 12 მაისს №15 საჯარო სკოლის თეატრ-სტუდიამ გიორგი შავგულიძის სახელობის თეატრში წარმოადგინა ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“ და გრან-პრი დაიმსახურა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯული ოშხერელის მიერ დადგმული სპექტაკლების ინსცენირება და მუსიკალური გაფორმებაც მასვე ეკუთვნის.

ერთ წერილში ძნელია ხელოვანთა ოჯახის თითოეული წევრის შემოქმედების სრულად ასახვა. მათი როლებიც კი ყველა ვერ ჩამოვთვალე, მაგრამ მათ ისეთი დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდნენ, რომ იმედია, მათი ნიჭის თაყვანსმცემლებს კარგად ახსოვთ ისინი.

და ეს ყველაფერი როდია. ჯული ოშხერელს სამომავლოდ საინტერესო გეგმები აქვს დასახული. თეატრის სიყვარული და ერთგულება კი მას ყველა სურვილსა და ოცნებას აუხდენს.



ქეთევან  
სოსაქე

## „კავკასიური ზოლიაქოს“ განსახლების პრინციპები \*

ქართული წარმართული კალენდრის (წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები...) სალექსიკონო მასალის კვლევამ საინტერესო დასკვნები მოგვცა: ეს არის კარგად გააზრებული და ძირითადი საკულტო ღვთაებების (წარმართობის ეპოქის უდიდესი ღმერთები გვყავს მხედველობაში) დღესასწაულებზე დაფუძნებული სისტემა. და რადგან ეს ე.წ. თეოფორული სისტემაა (თეოს-ბერძ. ღმერთი ანუ ღმერთების სახელწოდებების თვეების დასახელებების მიხედვით შექმნილი), ამიტომ ისიც უნდა ექვემდებარებოდეს მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ კანონზომიერებებს. კერძოდ, შესაძლებელია, გამოითვალოს ნებისმიერი კალენდრის შექმნის თარიღი და ამ კალენდრის მეშვეობით, **გარპენდონავტების ფორმულის** გამოყენებით მეცნიერები ზუსტად ითვლიან ეგვიპტური პირამიდებისა და შემერული ზიქურათების არა მხოლოდ მდებარეობას, არამედ მათი მშენებლობის დაწყების თარიღს საათების სიზუსტითაც კი. ჩვენ კი გვსურდა შეგვემონმეებინა, ჩვენი ქართული კალენდარი თუ ითვალისწინებდა ამ კანონზომიერებებს. სათანადო სპეციალისტის ძიებამ **აკადემიკოს ჰამლეტ წულაიამდე** მიგვიყვანა, რომელსაც უკვე გამოთვლილი ჰქონდა მაიას ტომის კალენდარი. მან გამოთვლების საწარმოებლად უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების რუკა მოითხოვა. ასეთი რუკა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ქ-ნმა **რუსუდან ბახიამ** შექმნა. მასზე ის ტაძრებია დატანილი, რომლებიც ვახტანგ გორგასალმა ალადგენინა და ალაშენებინა უკვე არსებულთა ნაცვლად (მასალა ამოკრებილია „წმ. ნინოს ცხოვრების“, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა“ და „ქართლის



ცხოვრების“ უძველესი ტექსტებიდან). პირველივე მონახაზებმა ცხადყვეს, რომ ჩვენი წინაპრები ტაძართა მშენებლობის გარკვეულ ჩარჩოებს იცავდნენ და მაშინდელი მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციათა სტანდარტებს არ არღვევდნენ. ქრისტიანულ ტაძართა 90–95% ხომ ძველი წარმართული სატაძრო კომპლექსების ადგილასაა აშენებული (ოლიმპო-ათონის მთის მონასტერთა კომპლექსები, მარსის მოედანი – ნმ. პეტრეს ტაძარი რომში...). ამის გამო ჩვენს რუკაზე არქეოლოგიური ძეგლებიც დავატანინეთ და აი, რა აღმოჩნდა:

1. დღესდღობით ძირითადი საკათედრო ტაძრები სწორედ უდიდეს საკულტო ნაგებობებზეა დაშენებული (სვეტიცხოველი, ზედაზენი, ჯვარი...). ამაზე ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინ ვწერდით სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებსა თუ პოპულარულ გამოცემებში (ჟ-ბი: „კავკასიის მაცნე“, „მნათობი“, სხვადასხვა გაზეთი...). აღნიშნულმა რუკამ ამ ხნის მანძილზე არქეოლოგიური კვლევის ცენტრში სხვადასხვა ცნობილი ექსპერტის ხელში გაიარა (პროფ. რ. რამიშვილი, პროფ. გ. ლამბაშიძე, პროფ. გ. ყიფიანი...), გარკვეული პროფესიული რჩევებიც კი მივიღეთ მათგან. რუკის უტყუარი მონაცემები ყველამ ღიარა და, უფრო მეტიც, გარეჯის ცივილიზაციაზე საუბარი სწორედ მისი წყალობით დაიწყო.

2. რუკაზე კარგად ჩანს ის ტერიტორია, რასაც ჩვენამდე მოღწეული უძველესი წყაროები ქართლს უწოდებენ 1921 წელს დაკარგული მხარეებით. ჩვენი აზრით, ეს არის ე.წ. ქართის მოდგმის ტომთა განსახლების სივრცე.

3. თვითონ ტაძრები გარკვეულ ტერიტორიებზე არათანაბარ ჯგუფებად არის განაწილებული: ზოგან – მეტი, ზოგან – ნაკლები, ზოგი დიდი ზომისაა, ზოგი – საშუალო ან მცირე ე.წ. ერთნავიანი ბაზილიკები, ივრისპირეთში კვირია ეკლესიებს რომ უწოდებენ. ამიტომ გაჩნდა ლოგიკური კითხვები: ესა თუ ის ნაგებიბა რატომ დგას მაინცდამაინც აქ, ასეთი და ამ ზომის?

ეს არ არის თავდაცვითი ძეგლები, რომელთა განლაგება და სიდიდე მათივე ფუნქციიდან მომდინარეობდა. ტაძართა სიდიდეები და ფორმები ჩვენი წინაპრების სულიერებასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებთან უნდ ყოფილიყო დაკავშირებული და ბევრდ უფრო სათუთი საკითხია, ვიდრე მათ დღეს ვითვალისწინებთ.

რუკას რომ დახედა, ბ-ნმა **ჰამლეტ ნულაიამ** განაცხადა: აქ ყველფერი ზოდიამქოს ნიშნების მიხედვით არის განლაგებული, რამაც ჩვენი დიდი სკეპტიციზმი გმოიწვია. მაგრამ როცა მან რუკაზე 4 წერტილი – ბოდბე, გარეჯი, ნეკრესი და სოფ. ნინოწმინდა სწორი ხაზით ერთმანეთს დაუკავშირა, სასწორის თანავარსკვლავედის ნიშანი მივიღეთ. მერე უკვე დანარჩენებიც გადავამოწმეთ და ტაძართა



განლაგების სერთო კონტურები საქართველოს ყველა რეგიონში ზოდიაქოს ნიშანთა მოხაზულობას დაემთხვა: **სასწორი–კახეთი, ღრიაკალი (მორიელი) – საინგილო (დღევანდელი აზერბაიჯანის კახის, ნუხისა და ზაქათლის რაიონები), ქალწული – ქართლი, ლომი – ზემო იმერეთი და სამეგრელო სვანეთის ნაწილი, კიჩხიბი (კიბო) – აჭარა–ჭანეთი და ტყუშები – ტაო–კლარჯეთი (ე.წ. თორმეტ სავნეთა მხარით).**

## დენდერას ზოდიაქო



## სვეტიცხოვლის ფრესკა



და ჩვენს წინაშე მაშინვე დაისვა საკითხი: საერთოდ თუ არის დამახასიათებელი ქართული სინამდვილისთვის ზოდიაქოს ნიშნები? ზოდიაქო სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზეა განფენილი. ფრესკა დღესაც კარგად ჩანს და მისი თეოლოგიური მნიშვნელობა ასეთია: „ყოველი სული აქედით უფალსა“ (ფსალმუნი). ცენტრში მოთავსებული ქრისტე–პანტოკრტორი, მომდევნო წრე ანგელოზთა იერარქიისაა, გარე წრეში კი ზოდიაქოს ნიშნებია, რომელთაც სხვა ასეთი ზოდიაქოებისაგან განსხვავებით მზე და მთვარე აქვთ დამატებული. მზისა და მთვრის დამატებით კი ცის ბურჯებმა (საბა) 30<sup>0</sup> გადაინაცვლა დენდერის ზოდიაქოსთან (ეგვიპტე, ჩვ. აღ-მდე IV ათასწლეული) შედარებით. ამავე დროს, სვეტიცხოვლის ზოდიაქო 180<sup>0</sup>-თაა შემობრუნებული, რაც დროში განსხვავებას გვიჩვენებს სულ მცირე 6 ზოდიაქოთი მაინც (ერთი ზოდიაქოთი გადანაცვლება 2175 წელიწადში ხდება – სულ კი დაახლოებით, 13 050 წელი).


ერთი სიტყვით, მსოფლიო ცივილიზაციათა ცოდნა და გამოცდილება უცხო არ ყოფილა ჩვენი წინაპრებისთვისაც და მას შუა საუკუნეებშიც კი იყენებდნენ. ამიტომ კვლევაც სწორედ ამ მიმართულებით განვაგრძეთ. 6 ზოდიაქო სახეზე გვექონდა, მაგრამ სად იყო დანარჩენი 6 და ვინ ან რატომ განალაგა ისინი სამხრეთ კავკასიის სივრცეში?

4. მეორეს მხრივ, ტაძრები წრფივ განლაგებასაც გვიჩვენებენ და ეს აშკარად ჩანს „ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების“ 1991 წ. გამოცემულ რუკაზე. ისინი წრფეებზე ერთმნეთისაგან თანაბარი მანძილით არიან დაშორებული და თუ ერთ მათგანს ცენტრად მივიჩნევთ, სხვა ორი მისგან ერთნაირ თანაბარ მანძილზე აღმოჩნდება ცენტრის

მარჯვნივ და მარცხნივ ისე, რომ მათზე წრის შემოხაზვაც კი შეიძლება. ეს ისე ზუსტი და რეგულარულია, რომ ფარგლითაც კი შეიძლება მათი ადგილმდებარეობის დადგენა. წრფეები კი ჰორიზონტის მიმართ 23°-სითაა დხრილი, ანუ ზუსტად იმდენით, რა დახრის კუთხეც გააჩნია დედამიწას კოსმოსში.

ამ დროს განლაგებაში წრეც მონაწილეობს, უფრო სწორად, წრეები. აქ კიდევ ერთი დამთხვევა აღმოვჩინეთ – სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ (ტ. II, გვ. 650, თბ, 1993) ფიქსირებულია ცათა სისტემა, რომლის VIII და IX წრეებს შორის განლაგებული (ჰაერისა და ეთერის წრეები ამ სისტემაში სათვალავში არ ითვლება) 12 ვარსკვლავი 12 ზოდიაქოს აღნიშნავს. თავიდან არ ვიცოდით, სულხანისეული წრეები რა მანძილით უნდა დაგვეშორებინა ერთმანეთისთვის. არქეოლოგიური კვლევის ცენტრში განგვიმარტეს, რომ ეს არის 29, 5 კმ.-შთვარის სინოდური თვის ციფრი, რაც როგორც მანძილის საზომი ერთეული ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი დღის სავალად არის ცნობილი (გ. ლმბაშიძე).


### საბას ცათა სისტემა



გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელს მიხეილ საბაზიშვილს ეკუთვნის. ამ წრის ცენტრი მდებარეობს 44-ე და მე-40 პარალელების გადაკვეთაზე, მდ. არაქსზე საქართველო-სომხეთის დღევანდელი საზღვრის ახლოს. სულხანის ცათა სისტემის I და II წრე კი ჩვენს რუკაზე იმ ტერიტორიას

ისიც საინტერესო იყო, ჩვენი სისტემა როგორ მოერგებოდა სულხანისეულ ცათა სისტემას. გამოსათვლელი იყო წრის ცენტრიც... ბ-ნმა ჰამლეტ ნულაიამ თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში 1994წ. დაბეჭდილი რუკის მიხედვით, ის დღევანდელი კიროვაკანის (საქართველოს ყოფილი ტერიტორია – ლორე) მიდამოებში ივარაუდა. ზუსტი გამოთვლა კი ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის

### რუკა-ზოდიაქო



მოიცავს, რაც თრიალეთის კულტურის ცენტრს წარმოადგენს და არც ეს არის შემთხვევითი. ცათა სისტემის საბოლოო, ელექტრონული ვერსიის ავტორი გახლავთ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილების გამგე პროფ. **გიორგი დვალაშვილი**.

აღმოჩნდა, რომ საკათედრო ტაძრები განლაგებულია იმ ადგილებში, სადაც ზოდიაქოთა  $\alpha$  ვარსკვლავებია (ამა თუ იმ ზოდიაქოს უდიდესი ვარსკვლავი), ორნავიანი ტაძრები –  $\beta$  ვარსკვლავებზე, ხოლო ერთნავიანი ბაზილიკები –  $\gamma$  ყველაზე მცირე ვარსკვლავებზე.

5. ერთი სიტყვით, მივიღეთ, რომ გვექვს წრეები, პარალელური ხაზები, წრეების შიგნით კიდევ ჩახაზული წრეები, ზოდიაქოს ნიშნები და ოქროს კვეთის პრინციპზე (რაც უძველეს თეოლოგიურ ხელნაწერებში **ღვთაებრივ ჰარმონიად** არის სახელდებული, ხოლო ოქროს კვეთის პრინცი ლეონარდო და ვინჩიდან მოდის) დამყარებული ზუსტი გამოთვლები. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, ერთ სისტემში ჯდება – ცოცხალი კვადრატი და მასში ჩახაზული წრე, რაც ქართული ასომთავრული ანბანის საფუძველია.

ფაქტობრივად მივიღეთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანი და ქართის ტომი განსახლების პრინციპები ერთიდაიგივე ყალიბშია მოჭრილი. ის მხოლოდ გარკვეული კასტის წევრთა ცოდნაზე იყო გათვლილი. მათ **განდობილები** ანუ **ქურუმები** ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არეგულირებდნენ კალენდარს. მისი მეშვეობით კი საკუთარი ერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

6. კომპიუტერულ ვერსიაზე მუშაობისას თავიდან ევროპული ზოდიაქოების XVI-XVII ს-ის მონაცემებს ვეყრდნობოდით, ბოლო მომენტში კი ცნობილი ასტროფიზიკოსის **გალინა გლებოვას დენდერის ტაძრის ზოდიაქოს** (ეგვიპტე, ჩვ. წ. აღ-მდე IV ათასწლეული) ნიშნები გამოვიყენეთ. მასში ვარსკვლავთა უფრო მეტი რაოდენობაა ფიქსირებული, ვიდრე ევროპული ზოდიაქოების ნიშნებში. ჩვენი **ქართის ტომის რუკა** კი სწორედ დენდერის ტაძრისას იმეორებს. ამის ნათელი დასტურია 12 სავანეთა მხარის ძეგლები, გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ აგებული. ეს ძეგლები „აკლდა“ დენდერის ტაძრის **მარჩბივის (ტყუებვის)** ზოდიაქოს და ამიტომ დაამატეს აქ და ამ სახით. თავის მხრივ კი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ცნობიერება უშუალოდ მონაწილეობდა ეგვიპტე-აზიის კულტურის ფორმირება-განვითარების საკითხებში. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ ამ ტერიტორიებზეც განსახლების წრფივი განვითარება გვაქვს, 23<sup>0</sup>-იანი დახრის კუთხით. კონტინენტური საბერძნეთი კი ამ კანონზომიერებაში არ ჯდება. განსახლების ამ პრინციპებს ქურუმები ქმნიდნენ და, როგორც ცნობილია, თვითონ შუმერები საკუთარ ქუ-

რუმებს **ქალდეველებს** უწოდებდნენ. **ქალდ** – **ქართ** ძირები კი ერთმანეთთან რა მიმართებაშია, თავად მკითხველმა განსაჯოს. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს „**ქურუმთა ინსტიტუტები**“ საქართველოში დღემდე ცოცხალია **სვან მახვშთა და ხევისბერ-სულის მკადრეთა ინსტიტუციების** სახით.

ზოლიაქოს 12-ვე ეტლი ზუსტად მოერგო აღნიშნულ ტერიტორიებს. საკმარისი იყო, რომელიმე ნიშნისთვის 2 წერტილი მოძებნილიყო, დანარჩენს თვითონ კომპიუტერი სვამდა. თურმე კანონზომიერებებზე კი მაშინაც შეგვეძლო საუბარი, ყველა ეტლიდან ერთი ვარსკვლავის მიხედვით თუ შეიკვრებოდა წრე (სულხან-საბას ცათა სისტემის მსგავსად). ერთდერთი ირანსა და თურქეთში მდებარე თხის რქის, მერწყულისა და თევზების თანავარსკვლავედებზე დანამდვილებით ვერ ვიტყვით ამას, რადგან ამ ეტაპზე უძველესი მონაცემების მოძიება ჩვენთვის შუძლებელი იყო.

7. განსახლების ეს სქემა აშკარად გვიჩვენებს, რომ არქეოლოგიური და კულტურული ფენების თვალსაზრისით, ეს არის **მტკვარ-არაქსის კულტურის** გავრცელების არეალი. მისი ცენტრალური ნაწილი, ე.წ. წრის „გული“ I და II წრით **თრიალეთის კულტურის ზონაა**. ეს დასკვნა საშუალებას გვაძლევს, დღის წესრიგში დავაყენოთ **აკაკი შანიძის** მიერ მოძიებული მასალა **ნართ, პრთ, ქართ**-ის შესახებ – რას ნიშნავს და ვის მიერ არის დარქმეული ეს სახელები ამ ტომთა გაერთიანებებისათვის?

**აკაკი შანიძე** მართალი ბრძანდება როცა აღნიშნავს, რომ ეს სამი ეთნონიმი თავკიდური (ნ, ქ, პ) ბგერებით განირჩევა ერთმანეთისაგან. ისიც საინტერესოა, რომ საქართველოში თვით **ართ** ძირის ტოპონიმიც კი არის ფიქსირებული. XVIII ს-ის თურქი მოგზაური **ევლია ჩელები**, ადგილობრივთაგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, **ართ-ლარ**-ის სახელით აღნიშნავს ნავსადგურს ძიმთას ხეობაში (აფხაზეთი), რაც ქართულ საისტორიო წყაროებში შემდგომში **ლაიაში//ლიაშ**-ის სახელით მოიხსენიება (პ. ინგოროყვა, 1954:154).

ჩვენი რუკა ძალიან საინტერესო მასალას აფიქსირებს. ადამიანთა სამი მოდგმა: **ნართები, ქართები** და **პართები**, ეტყობა, გარკვეული დამსახურებების გამო მოხვედრილან ამ რუკისა თუ საერთოდ ამ კონცეფციის შემქნელთა მხედველობის არეში. **ნართებს** საკუთარ თავს უწოდებს ის ერი, რომელიც ჩვენს საისტორიო წყაროებში სხვა სახელით **ოვსებ-ად//ოსებ-ად** იწოდებიან („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“). ისინი რუკა-ზოლიაქოს ჩრდილოეთით ცხოვრობენ. მათი სახელწოდების თავკიდური ბგერა **ნ** ინგლისურ სიტყვა **Nordth** (ჩრდილოეთი) დაუკავშირეს (ა. მესხი). **ნართები** კი, როგორც ცნობილია, ინდო-ევროპული მოდგმისანი არიან. **პართები** კი საის-

ტორიო წყაროებში ჩვენი თნამედროვე **ირანელების** ეთნიკური სახელი იყო გარკვეულ პერიოდში. ირანისტ **მზია ანდრონიკაშვილს** თავის წიგნში „ნრკვევები ირანულ-ქართული ურთიერთობებიდან“ (1966წ.) **პართ-ძირის** სხვა განმარტებებთან ერთად სიტყვა **გვერდით-იც** აქვს მითითებული.

ამ ორი სიტყვის ზემოაღნიშნული ეტიმოლოგიური განმარტებების გათვალისწინებით გამოდის, **ნართები ქართების** ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხია, ხოლო **პართები** – მისი გვერდიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთით). და სწორედ რუკა-ზოდოქო გახლავთ ამის უტყუარი დასტური.

თუ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულწილად ცნობილია **ნართ** – და **პართ** – ძირების ეტიმოლოგია, დღემდე დადასტურებით არ არის გარკვეული **ქართ** – ძირის საკითხი. რუკის მიხედვით კი, **ქართ** – ძირი ძირითადი მდგენელია იმ მოდგმის ეთნონიმისა, რომელსაც **ქართულები**→**ქართველები** ეწოდებათ. ეს მტკვარ-არაქსის კულტურის შემოქმედი მოდგმაა, ის გახლავთ მთელი კავკასიის ცენტრი (გული)... მაგრამ ვინ დაარქვა ეს სახელი, როდის და რატომ?

დღემდე მეგრულ-ლაზურში \* **ქართ**–//**ქართა** (რესპ. **ქორთუ**) ნიშნავს **დედაქალაქს** (ამდენად თბილისს), **შემოფარგულ ადგილს** და **ქართველს** (ქეელ:332\*\*). ეს ტერიტორია კი „შემოფარგული“ მართო სულხან-საბას ცათა სისტემით კი არ არის, არამედ იმ ცოცხალი კვადრატითაც, რაშიც ეს წრეები ზის. არც ის უნდა დაგვაინყდეს, რომ „სიტყვის კონაში“ წარმოდგენილ ამ სისტემას კიდევ ერთი მე-12 წრე აკლია, ის მაშინ ცნობილი არც იყო და მოგვინებით დაემატა. თუ ამ წრესაც და მის კვადრატსაც დავამატებთ, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით საკმაო ტერიტორია შემოიფარგლება. და არც ეს არის გასაკვირი, რადგან 1921 წელს რუსეთის ფედერაციისაგან დემოკრატიული საქართველოს ტერიტორიისათვის ჩამოჭრილი 6000კმ.<sup>2</sup> მთლიანად მოიცავს ისტორიულ დვალეთს, სოჭის (ახლანდელი სოჩი) ოლქსა და იმ სანახებს, რომელთა სარგებლობისათვის სვანებს 1932 წ-მდე მიწის გადასახადს უხდიდნენ **ოსები, ჩეჩნები** და **ინგუშები**.

„ცათ სისტემით“ დატანილი წრეები და ზოდიაქოს მიხედვით განსახლების პრინციპი კი იმის მაჩვენებელია, რომ ამ რეგიონის ცივილიზაციის განმსაზღვრელი მოდგმა **იბერიულია** (ქართველური) და ამაზე არქეოლოგიური მონაცემებიც მეტყველებენ. 500 000 (ანუ ნახევარი მილიონი) წლის მანძილზე ერთგვრ უწყვეტ კულტურას რომ გვიჩვენებენ, რაც **მტკვარ-არაქსის კულტურის** სახელითაა ცნობილი. ეს ყველაფერი კი ეჭვქვეშ აყენებს **ივანე ჯავახიშვილის** თეორიას იბერიელთა (ქართველთა) **კავკასიაში მოსულობის შესახებ**. ამ ჩვენს მოსაზრებას ზურგს უმაგრებს დმანისის აღმოჩენები მზიასა და ზეზ-



ვას სახით და **ტუტენსამონის დნმ**-ის ანალიზი. თანამედროვე მეცნიერების მიერ აღიარებული იბერიული ცივილიზაციის ცალკეული თუ სისტემატური კერების აღმოჩენა (პელაზგური, კრეტა-მინოსის, პირინეის იბერიის, გნებავთ სტოუნჰენჯიც, რაზეც თვით ინგლისილები წერენ, რომ ის კელტ-იბერიული კულტურის ძეგლია; აღარაფერი რომ არ ვთქვათ წინა და მცირე აზიაში არსებულ ქართველურ ტოპონიმებზე), უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ეს მოდგმა განფენილი იყო სულ მცირე პირინეის ნახევარკუნძულიდან მთელი კავკასიით დ მისი ჩრდილოეთით მდებარე სანახების ჩათვლით და დროთა სიავის გამო თანდათან დაკარგა კუთვნილი. ამის გამო უხდებოდათ დედაქალაქის (რელიგიურ-კულტურული ცენტრის) უფრო უსფრთხო ადგილას გადატანა და ისევ სკუთრი სახელმწიფოს ფარგლებში, რადგან თავის კუთვნილს არცერთი მეზობელი არ დათმობდა. ძლევაგამოსილი პროტოხეთებიც სწორედ ასე მოიქცნენ, როცა საკუთარი დედაქალაქი უფრო სამხრეთით გადაანაცვლეს.

9) ე. წ. **კავკასიური ზოდიაქო** ბადებს კითხვას: ვინ და საიდან ქმნიდა აღნიშნულ ცივილიზაციას, რა წერტილიდან „ითვლიდა“ ამ კოორდინატებს? სად უნდა მდგარიყო მისი **ვგო** (მე), რომ ასე განესაზღვრა თავისი საცხოვრისი – ამ მიმართულებით გადმოელო ცის ტატნობი? ამ კითხვაზე უტყუარი პასუხი მაშინ გვექნება, როცა აბსოლუტურად ყველა თანავარსკვლავედს დავიტანთ (ზოდიაქოებით დაწყებული ორიონის თანავარსკვლავედის ჩათვლით, გიზის პირამიდების განლაგებას რომ განსაზღვრავენ). თუმცა, მანამდეც უკვე არსებული მონაცენები მაინც იძლევიან გარკვეულ დასკვნებს. ვფიქრობთ, განსახლების ამ სახით დაგეგმარება უფრო სამხრეთიდან, კონკრეტულდ კაპადოკიიდან უნდა მომხდარიყო. თვით კაპადოკიაში კი ქართველური ელემენტის უარყოფა შეუძლებელია აქ ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართველური ტოპონიმის გამო.

### **ქეთევან სოსხაძე**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის პროფესორი

## ავტორები

### პოეზია

#### მარინე ცხვედიაშვილი

თეთრი ლექსი შავი ლაქებით	8
ქიში	10
მომიტანია გული ზვარაკად	11
მოგონებები მომავალზე	12
საქართველოში	13

#### ასლან კორძია

*** შავმა აშკარად იძალა	14
შეხვედრა მთაში	15
*** წლების ბორკილი ამყარეთ და	15
თავსაკილავი	16
*** დაემსგავსა შარა ნაგზობს	16

#### თამარ ჯაჭვასი

მომენატრები	17
ერთიანი საქართველო	18
ღირსება	19
კახეთში	20

#### გოგიტა მელიქიძე

თავად უფალმა გაიღო სისხლი!	21
სიკვდილის შემდეგ სათქმელი ლექსი	22
სულთქმა	23

#### ჯეგალ კუხალაშვილი

ჩხუმი	24
ქორბელელა	25
მეორადებში	26
ონოტო	27
მე და შენ	27
ნოსტალგია	28

#### ბესიკ ზაალიშვილი

*** არ დამიჯერებთ, გზას მინათებთ იერის ცისკრით	29
*** სიტყვების ზღვაში შევცურე თითქოს	30

ბატონ ასლან კორძაიას	31
*** მე თავად, გზა-კვალს რატომ ავირევედი?..	32
ვიკას	33
*** გასული წლის ღვინობისთვის	34

### **ამირან ჯანაშვილი**

გიმხელ... (ნინი ზირაქაშვილს)	35
უშენთოვლობა	37
მე შეიძლება	38
*** ჩემი თვალების ფირიდან	39
რა შუაშია, მაგრამ მაინც...	40
დეჟავუ	41
*** ჩემს ფინჯანში ბევრი შაქარია, ჩაი – არა	42

### **ბარო ზაქარია**

სველი თითები	43
შენ ზამთარი ხარ...	44
*** რამდენ უხილავს აიტაცებენ	45
*** თოვდა თუ წვიმდა, არ ჰქონდა აზრი	45
სიყვარულს ვერ ვთმობ	46
ახალი გვერდიდან...	47

### **მურად ჭოლოკავა**

ალბათ, ასე სჯობს	48
დიდება მამალმერთს	49
რწმენა	50
*** როგორც სიზიფე, ლოდს მივათრევ დღიდან გაჩენის	50
*** გამთენიისას დაიხურავს ნისლის ყაბალახს	50
რეკენ ზარები...	51
მე მარადის ასეთად ვივლი	51

### **ლია გაყანიშვილი**

ღვთისმშობელს	52
გთხოვ, მოკითხვა უთხარი!	53
*** რად არ გიხმობდი, ვაჟაუ	53
შავტუხა	54



მოლაღატეს	54
შენზე თუ არ ვილოცე...	55
*** ვერ მივატოვე ჩემი ბავშვობა	55
როდის ვწერ ლექსებს...	56
გთხოვ!	56

**შორენა მამალაშვილი**

*** მოდი, ავიდეთ შემოდგომის პირას თუშეთში	57
გახსოვს?	58
*** ჩვენს შორის მხოლოდ ერთი მუხა დგას	59
ფერეიდნელო!	60
*** არ შემიყვარო!	61
გედის სიმღერა	62
მთვარის პილიგრიმები	62
გაზაფხული	63
*** წვიმა უკრავს შემოდგომის ელეგიას	64

**ნანა ყალიჩავა**

სულით საზიდო	65
გიჟის პერანგი	66
მეცხრე ტალღა	67
ერთმანეთს ვგავდით	67
როგორ გიშველო	68
მთვარეს ნავართმევ...	69
ლამაზ თარიღებს	70

**ბაღონა დვალი**

სონეტი 1	71
სონეტი 2	72
სონეტი 3	73
სონეტი 4	74
სონეტი 5	75

**მარინა იმანიშვილი**

ჩემი ფიქრები	76
დამელოდეთ	78
მზის და მთვარის სონატა	79

მოლოდინი . . . . .	80
ჯერ ყველაფერი არ არის გვიან . . . . .	80

**ლალი მჭადლიძე**

ანა იშხნელს . . . . .	81
ძონძებით დადის სიმართლე . . . . .	82
ნისლის მერდინში გახვეულა ყინწვისი . . . . .	82
გული გულია... . . . .	83
მალე შენგან უხმაუროდ წავალ . . . . .	84
ვერ ვიკადრე დგომა მონებთან . . . . .	85
*** ნუ გამომპრიყავ, ვით ზღვის ნიჟარას. . . . .	86
მატკინეს აპრილი . . . . .	87
ვუალი . . . . .	88
სიტყვისფერი სიჩუმე . . . . .	88

**ქეთევან სოსხაძე**

თავისმართლება . . . . .	89
მარტის ამინდი . . . . .	90
ჩიორას მოთქმა-გოდება . . . . .	91
ჩემი მეუღლე . . . . .	92
პოეტი . . . . .	92

**ლაფიჩია შაყილაძე**

დამიბრუნდება . . . . .	93
სიკვდილიც კი ჩაფიქრდება წამით . . . . .	94
სასთუმალზე გაყინული იდო . . . . .	95

**დარეჯან ალადაშვილი-უსენაშვილი**

ემიგრანტის დაბრუნება . . . . .	96
ნინოს გზებით . . . . .	97
შემომელია . . . . .	97
ყავა და სიგარეტი . . . . .	98

**ეთერ ჭალიძე**

სინდისი... . . . .	99
ჩემი გვარის სალოცავო! . . . . .	100
გულმოკლული ქართველი ვარ! . . . . .	101
რადგან მეძახდი! . . . . .	102
მზის საგალობელი . . . . .	103

---

## **მარი ცუცქირიძე**

*** რატომ არ შემხვდი გუშინ .....	105
ჩემი აფხაზეთი .....	106

## **მანია რაზმაძე**

კუხალას .....	107
მასხოვს .....	108
მამა გაბრიელის საფლავთან .....	109
სიყვარულს არა აქვს საზღვარი .....	110

## **ნანა გაბელაია**

*** როცა შენ ზეცას .....	111
ქართული ყოფა .....	112
*** დიდება შენს მოთმინებას... ..	113

## **მანანა ჯამაგიაძე**

არაფერს ვდარდობ .....	114
შენ... ..	115
მომენატრე... ..	115

## **თაბარ ლოშიაძე**

ოცნება .....	116
მე რომ მინდა? .....	117
სურვილი .....	117
ქმარი .....	118

## **ბულნაზი სარაიშვილი**

ფუტკარი .....	119
კაბას შევუცვალე ფერი .....	120

## **ევა ხუნდარია**

დღე ხვალინდელი .....	121
ჭეშმარიტება .....	122
ქეთევან დედოფალი .....	122
ღმერთის საუფლო .....	123

## **ცირა ბულაშვილი**

რუსთავს .....	124
ჩემო ანბანო .....	125

---

## **წინელი პინაშვილი**

ჭორაობა ..... 126

## **თარგმანები**

### **ია სულაბერიძე**

მე თქვენ მიყვარდით ..... 128

ანა კერნისადმი ..... 129

\*\*\* რა მოხდა, თუკი სულ სხვამ დაგლია ..... 130

\*\*\* ოცდაერთი. ორშაბათი. შელამება ..... 131

ეჭვი ..... 132

კონკვისტადორი ..... 133

### **მალხაზ კვინიკაძე**

\*\*\* დრო გაპარულა სადღაც... ..... 134

სევდა ..... 135

\*\*\* გაზაფხულს ყვავილი არა აქვს იმდენი ..... 135

\*\*\* ახალგაზრდობის გახუნდა წლები ..... 136

დონ კიხოტს ..... 137

## **პროზა**

### **გივი ჯახუა**

სიყვარულს რას გაუგებ... ..... 139

### **თინათინ სიყმაშვილი**

მარტოხელა შინაბერას წერილები დედას... ..... 148

### **გია ომანაძე**

ნაფეტვრები ..... 166

### **ემზარ გოგოლაძე**

ერთი აგურის ამბავი ..... 172

ყვავის ანდერძი ..... 173

წუნწურაქი და ნატვრისთვალი ..... 175

---

## **ციალა გორდუზიანი**

ყვავილები ჩემი მასწავლებლისათვის ..... 176

## **გიგა ვეფხვაძე**

ჭინკები ..... 183

ზღვის კენჭები ..... 187

ვარსკვლავების მხატვარი გოგონას ზღაპარი ..... 189

## **ვასტანო გოგოლაძე**

ბაბუას ობლიგაციები ..... 196

## **გარი ჩაფიძე**

ნეტავ მას, ვინც ხვალ დაიბადება! ..... 199

## **ზორის ბესელია**

მეეზოვე ..... 205

## **სოფო ზოცვაძე**

ჩემთვის რომ ეთქვათ... ..... 207

ჩემი შემოდგომის დასასრული... ..... 209

## **ლიტერატურული წერილები**

### **ლია მარტაშვილი**

მეორე მე-ს შესაცნობად ..... 213

### **გივი ჭუმბურიძე**

ქართული პუშკინიანას საკითხისათვის ..... 221

### **ალმარ ლომიძე**

ხელოვანთა ოჯახი ..... 224

## **მეცნიერება**

### **ქეთევან სოსაძე**

„კავკასიური ზოდიაქოს“ განსახლების პრინციპები ..... 230

